საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№17 (155)
9 - 15 მაისი, 2012
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

სად მიფრინავენ რაკეტები და ვინ დაიჭერს ბირთვულ ჩიტს? 2




6

# თოიძიდან ვაშაძემდე, ანუ «ვარდის-ფერი ჭირი»

**გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქცია სამამულო ომის ვეტერანებს გულითადად ულოცავს დიადი გამარჯვების დღესასწაულს!**



7 ვლადიმერ პუტინმა რუსეთის მართლ-მადიდებელ ეკლესიას ივერიის ღვთისმშობლის ხატი დაუბრუნა

10 ღარიბების ქვეყანა

გია ყარყარაშვილი:
11 დიდხანს მოგვიწევს სამძიმრების გამოცხადება ავღანეთში დაღუპული ბიჭების გამო

იაკობ ჯუღაშვილი: 14

# ანტისტალინიზმი დამარცხებული დასავლური ფაშიზმის რევანშის მცდელობაა!

„თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰიტლერმა დაიპყრო მთელი ევროპა, ინგლისის გარდა, რომელიც საიმედოდ იყო ბლოკირებული და იყენებდა მაგ ქვეყნების მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, წარმოიდგინეთ, რა საშინელი ძალა დაუპირისპირდა საბჭოთა კავშირს! და ეს ბნელეთი, ანუ დასავლური ფაშიზმი, განადგურებულ იქნა ჩვენი ქვეყნის მიერ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით! აქედან გამომდინარე, ეს არის დამარცხებული დასავლური სამყაროს რევანში!“


იოსებ ჯუღაშვილი


იაკობ ჯუღაშვილი


ევგენი ჯუღაშვილი


იაკობ ჯუღაშვილი

მიხეილის სიმღერა სოხუმზე 4

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უცნაურია, მაგრამ საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი იშვიათი ქვეყანაა, რომელშიც „ცივი ომის“ დროინდელი პოლიტიკური მითოლოგია კვლავინდებურად დომინანტურია. ის ფაქტი, რომ გლობუსზე რუსეთისა და აშშ-ის გარეშე არსებობენ სხვა ქვეყნები და თანამედროვე გეოპოლიტიკურ თამაშში ორ მხარეზე მეტია ჩართული სათვალავში, როგორც წესი, არ მიიღება.**



## ტონი ბლერი ბრუნდება

**დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ხუთწლიანი შესვენების შემდეგ დიდ პოლიტიკაში ბრუნდება.** როგორც უცხოური პრესა იუწყება, ბლერი ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელ დეპუტატებსა და პარტიის ლიდერ ედ მილიბენდთან შეხვედრებს მართავს და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს განიხილავს. „ბლერს კვლავ პოლიტიკაში დაბრუნება სურს. მას სათქმელი დაუგროვდა და მიაჩნია, რომ სწორედ ახლა არის შესაფერისი დრო. თუმცა საკითხავია, შეძლებს თუ არა ის ბრიტანეთის პოლიტიკურ არენაზე დაბრუნებას ლეიბორისტული პარტიის გარეშე“, — აცხადებს ბლერის გარემოცვის ანონიმური წევრი. ივლისში ბლერი მილიბენდთან ერთად ვახშამზე გამოჩენას გეგმავს, რომელიც ლონდონის ოლიმპიური თამაშების წინ ბრიტანული სპორტის მხარდასაჭერად გაიმართება.

## აშშ ბოდიშს არ მოიხდის

**აშშ-ის ადმინისტრაცია გმობს იმ ამერიკელი პასტორის ქმედებას, რომელმაც ყურანის ასლი საჯაროდ დაწვა, მაგრამ მისი საქციელის გამო ბოდიშის მოხდას არ აპირებს.** როგორც ირკვევა, ფლორიდელმა მღვდელმა ტერი ჯონსმა კვლავ ჩაატარა ყურანის დაწვის სახალხო ცერემონია. გასულ წელს მსგავსმა აქციამ მთელ მსოფლიოში საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. პროტესტანტმა პასტორმა 20 მომხრესთან ერთად ყურანი ქალაქ გეინსვილში, საკუთარი ეკლესიის წინ დაწვა. „თქვენ იცით, როგორი დამოკიდებულება გვაქვს ნებისმიერი რელიგიური ტექსტის შეურაცხყოფის მიმართ, ასეთი ქმედებები სამწუხარო ფაქტებია. ასეთი გამოვლინებები უპატივცემულობად მიგვაჩნია. მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, არ მინდა ამ ადამიანს და ამ თემას დრო დავუთმო“, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა.

# სად მიფრინავენ რაკეტები და ვინ დაიჭერს ბირთვულ ჩიტს?



**მოსკოვი არ გამორიცხავს, რომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ევროპული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ობიექტებზე წინმსწრები დარტყმის შესახებ, — განცხადება ამის თაობაზე რუსეთის გენშტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა გააკეთა. გენერლის თქმით, „გადაწყვეტილებას განადგურების არსებული საშუალებების გამოყენებაზე ვითარების დაძაბვის პერიოდში მიიღებენ“. მაკაროვმა ასევე თქვა, რომ „ახალი შეტევითი შეიარაღების განლაგება რუსეთის სამხრეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, კალინინგრადის ოლქში, სარაკეტო კომპლექსის — „ისკანდერის“ გაშლის ჩათვლით, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ინფრასტრუქტურის განადგურების ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს წარმოადგენს“. საინტერესოა, ხომ არ მიანიშნებს მსგავსი განცხადებები იმაზე, რომ ვლადიმერ პუტინი, რომლის ინაუგურაცია გუშინწინ მოსკოვში გაიმართა, დასავლეთთან საუბარში ახალ, ერთობ კონფრონტაციულ ტონალობს ირჩევს? რა გათვლა იმალება ამ განცხადებების მიღმა?**

### საუკეთესო თავდასხმა თავდაცვაა

გენერალ მაკაროვის მრისხანე განცხადება 3 მაისს მოსკოვში საერთაშორისო კონფერენციაზე გაკეთდა, რომელიც რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პრობლემატიკას მიეძღვნა. იქ რუსეთის გენშტაბმა (კერძოდ, კი ცენტრალური სამხედრო ოლქის ახალმა სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ვალერი გერასიმოვმა) წარმოადგინა პრეზენტაცია, სადაც ნაჩვენები იყო, რა საფრთხეები შეიძლება შეუქმნას რუსულ სტრატეგიულ ბირთვულ ძალებს აშშ-ის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განვითარებამ.

კონფერენციის ამერიკელმა მონაწილეებმა ეს მოსაზრებები ეჭვქვეშ დააყენეს. **ნატოს გენმდივნის მოადგილემ ალექსანდრე ვერშბოუმ განაცხადა, რომ რუსებს მაინც ძალიან ბევრი რაკეტა აქვთ, რომლებიც ამერიკულ დაცვას გარანტირებულად გაარღვევენ და დასძინა, რომ სისტემა კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების მასირებულ გაშვებას ვერაფერს დაუპირისპირებს.** მართალია, რუსები ამას არ ამტკიცებდნენ, მათ პრეზენტაციაში პრობლემა მხოლოდ გაშვებული რაკეტების ნაწილს შეექმნა, დანარჩენებმა კი აშშ-ის ტერიტორიას გამანადგურებელი დარტყმა მაინც მიაყენეს, თუმცა ვერშბოუმ სცადა, საფრთხე, რომელსაც ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა რუსულ კონტინენტთაშორის რაკეტებს მომავალში შეუქმნის, ძალიან უმნიშვნელოდ, თითქმის არარსებულად წარმოეჩინა. თავდაცვის მდივნის მოადგილემ მედელინ კრიდონმა კი თავის გამოსვლაში ხოტბა შეასხა რუსეთის სარაკეტო ძალების ძლიერებას და განაცხადა, რომ ისინი ამერიკულ სისტემას უპრობლემოდ მაშინაც კი გაარღვევენ, როდესაც ის ახალი, ჯერ კიდევ შექმნის სტადიაში მყოფი, რაკეტებითა და რადარებით აღიჭურვება.

ეს მეტად უცნაური სანახაობა იყო. ორი უძლიერესი სახელმწიფოს წარმომადგენლები დაუცხრომლად ამტკიცებდნენ, რამდენად დაუცველები არიან თვითონ და რამდენად ძლიერია ოპონენტი. კონფერენციის არც ერთ მონაწილეს აზრადაც არ მოსვლია, ტანზე მაისური შემოეხია და, როგორც სააკაშვილს, აგვისტოს ომამდე ხმის ჩახლეჩამდე ეყვირა: „დაგვბომბავენ და კაი ჩიტსაც დაიჭერენ და კარგადაც მოხვდებათ ცხვირში“. სავარაუდოდ, იმიტომ, რომ მაგიდასთან სერიოზული ადამიანები ისხდნენ, რომელთაც მშვენივრად ესმოდათ: არის ამქვეყნად სახელმწიფოები, რომლებთანაც მუქარა არ ჭრის, თანაც ბირთვული აპოკალიფსის „ჩიტის“ გალიიდან გაღწევის შემთხვევაში მას უკან ველარავინ შეაბრუნებს.

ტექნიკურ დეტალებს რომ არ ჩავუღრმავდეთ და უშუალოდ პრობლემის პოლიტიკურ ასპექტზე გადავიდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკელი და რუსი ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ეს სისტემა, **ვერც 2020 წელს, ვერც რამდენადმე ხელშესახებ პერსპექტივაში ვერ შეძლებს რუსული კონტინენტთაშორისი რაკეტების მასირებული იერიშისთვის რამდენადმე შესამჩნევი პრობლემების შექმნას, მათი დიდი უმრავლესობა აშშ-ის ტერიტორიამდე გარანტირებულად ჩააღწევს.** ისევე, როგორც რუსული საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის ძალები (2020 წლამდე შეიარაღებაზე გამოყოფილი სახსრების 20% მათზე დაიხარჯება, დაგეგმილია 28 ახალი სარაკეტო-საზენიტო პოლკის შექმნა, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის — „ა-135“-ის მოდერნიზაცია და ა. შ.) ვერ შეაჩერებენ ამერიკელების მასირებულ ბირთვულ იერიშს. მარტივად რომ ვთქვათ, **არც შტატებს, არც რუსეთს არ შეუძლია საკუთარი ტერიტორია ოპონენტის ყოვლისმომცველი ბირთვული დარტყმისგან დაიცვას. ეს ათწლეულების შემდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ ერთი მხარე აქტიურად განავითარებს თავის შეტევით და თავდაცვით სისტემებს, ხოლო მეორე — გულხელდაკრეფილი დაჯდება, რაც ძნელად წარმოსადგენია.**

იმისთვის, რომ უკეთ გავერკვეთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პრობლემაში, აუცილებლად უნდა შევეხოთ სტრატეგიული სტაბილურობის კონცეფციას, რომელიც შორეულ 1967-ში აშშ-ის თავდაცვის მდივანმა რობერტ მაკნამარამ ჩამოაყალიბა. მისი ცენტრალური იდეა ისაა, რომ ორივე მხარის სტრატეგიული ბირთვული შეიარაღება შესაძლებლობას აძლევს მოწინააღმდეგეს, გამანადგურებელი ზიანი იმ შემთხვევაშიც კი მიაყენოს, თუ ის იერიშს პირველი მიიტანს. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განვითარება კი, მაკნამარას აზრით, ქმნის ილუზიას, რომ შესაძლებელია პირველი დარტყმით დასუსტებული მოწინააღმდეგის კონტრიერიშის მოგერიება, რაც შესაბამის ცდუნებას აჩენს და ბირთვული ომის დაწყების ალბათობას ზრდის. ამასთანავე, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განვითარება მხარეებს შეტევითი არსენალის გაზრდისკენ უბიძგებს, რაც გამალებულ შეიარაღებას უწყობს ხელს.

მაკნამარას, ერთი შეხედვით, პარადოქსული და თავისი დროისთვის რევოლუციური იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ გლობალურ სტაბილურობას (და კაცობრიობის არსებობას) მთავარ საფრთხეს არა შეტევითი, არამედ უაღრესად თავდაცვითი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები უქმნიან. ეს იდეები საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამაც გაიზიარა და 1972-ში დაიდო აშშ-სსრკ-ის ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ, რომელმაც შესაბამისი სისტემების განვითარება მკვეთრად შეზღუდა. **მხარეები შე-** ▶

**არც შტატებს, არც რუსეთს არ შეუძლია საკუთარი ტერიტორია ოპონენტის ყოვლისმომცველი ბირთვული დარტყმისგან დაიცვას. ეს ათწლეულების შემდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ ერთი მხარე აქტიურად განავითარებს თავის შეტევით და თავდაცვით სისტემებს, ხოლო მეორე — გულხელდაკრეფილი დაჯდება, რაც ძნელად წარმოსადგენია**

მოკლედ

## ქეთრინ ეშტონი ისრაელში მიდის

**ევროკავშირს სურს, ისრაელი დაარწმუნოს, რომ ირანისა და „ექვსიანის“ მოლაპარაკებების კრიტიკისგან თავი შეიკავოს.** აღნიშნულთან დაკავშირებით ისრაელში ჩასვლას საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკომისარი ქეთრინ ეშტონი აპირებს. ვიზიტის ფარგლებში ის ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან — ბენიამინ ნეთანიაჰუსთან გეგმავს შეხვედრას. ეშტონის ვიზიტი რამდენიმესაათიანი იქნება. ირანსა და „ექვსიანს“ შორის მოლაპარაკებების მეორე რაუნდი 23 მაისს არის დაგეგმილი და ქეთრინ ეშტონი ისრაელში ჩასვლას ამ მოლაპარაკებამდე გეგმავს.

## აშშ-თან მოლაპარაკებები ჩიხშია

**ანტისარაკეტო სისტემის ევროპაში განთავსების საკითხზე აშშ-თან მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა.** როგორც უცხოური მედია იუწყება, ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა მოსკოვში ანტისარაკეტო თავდაცვის თემაზე გამართულ კონფერენციაზე განაცხადა. მისივე განცხადებით, მხარეებმა ვერ მოახერხეს ორივესთვის მისაღები გამოსავალის მოძებნა. სერდიუკოვმა ისიც აღნიშნა, რომ ანტისარაკეტო სისტემების ევროპაში განთავსება რუსეთის უსაფრთხოებას ემუქრება. აშშ-ის აზრით კი, ის ევროპელ პარტნიორებს პოტენციური სარაკეტო იერიშისგან დაიცავს. ნატო და რუსეთი ამ სფეროში თანამშრომლობაზე 2010 წელს შეთანხმდნენ.

# აშშ-ისა და რუსეთის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განვითარება, რომელსაც ისინი, ერთი შეხედვით, ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართავენ, სინამდვილეში ყველაზე მეტად ჩინეთს აზარალებს, რადგან აშორებს მას დღეს, როდესაც ოპონენტების გარანტირებული განადგურება და, შესაბამისად, პირველი რანგის ზესახელმწიფოების კლუბში შეღწევა შეეძლება

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თანხმდნენ იმაზე, რომ „რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შეზღუდვაზე მიმართული ეფექტური ზომები გახდებოდა არსებითი მნიშვნელობის ფაქტორი, რომელიც ბირთვული ომის დაწყების საფრთხეს შეამცირებდა“. 40 წლის განმავლობაში ეს მიდგომა დომინანტური იყო, თუმცა 2002 წელს შტატები ამ შეთანხმებიდან გამოვიდნენ და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების აქტიურ განვითარებას შეუდგნენ. საინტერესოა, რა იდგა ამ გადაწყვეტილების მიღმა, რატომ აღმოჩნდა მაკნამარას იდეები ნაკლებად აქტუალური XXI საუკუნეში?**

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხის მოძებნას შევეცდებით, კარგი იქნება, თუ შემდეგ სცენას წარმოვიდგენთ, მითუმეტეს, რომ ის ცხოვრებაში, ალბათ, არაერთგზის გვინახავს: ორ ადამიანს სადღაც მძიმე ტვირთი, როიალი ან თუნდაც ჩვეულებრივი მორი, მიაქვს, ისინი ჩხუბობენ და ერთმანეთს უმტკიცებენ, რომ პარტნიორს ტვირთი არასწორად უჭირავს, სხვა მიმართულებით მიდის და ა. შ. ხანდახან შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ტვირთისთვის ხელის გაშვება რომ შეეძლოთ, ისინი ერთმანეთს დახოცავდნენ. მათი ხმამაღალი კამათის ფონზე, ხშირად გვავიწყდება, რომ ისინი ამ დროს ერთ საქმეს აკეთებენ და ტვირთი, ყველაფრის მიუხედავად, დანიშნულების ადგილს უახლოვდება; არადა, მთავარი სწორედ ესაა, დანარჩენი კი ბელეტრისტიკაა. მიაქვს თუ არა ორ ბირთვულ ზესახელმწიფოს ეს ტვირთი დღეს? სად? აღმოსავლეთით ხომ არა?

## მესამე სრულიად ზედმეტია

მსოფლიოს არაერთი სახელმწიფო (მათ შორის — ირანი) მიუახლოვდა ერთგვარ „სარაკეტო-ბირთვულ ზღურბლს“, რომლის მიღმა, 15-25 წლის პერსპექტივაში, ბირთვული ქობინებით აღჭურვილი კონტინენტთაშორისი რაკეტების წარმოებას შეძლებენ. არის თუ არა ეს საფრთხე, რომლის გამო აუცილებელია რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ფორსირებული განვითარების და მაკნამარას სტრატეგიული სტაბილურობის კონცეფციის გადახედვა? ალბათ, არა, რადგან უკვე დღეს, მათ ხელთარსებული საშუალებებით შეუძლიათ შექმნან რაკეტსაწინააალმდეგო თავდაცვის ისეთი კონფიგურაცია, რომელიც სრულად გაანეიტრალებს საფრთხეს, რომელიც ამ მხრივ ირანმა, ჩრდილოეთ კორეამ ან ნებისმიერმა სხვა სახელმწიფომ შეიძლება ორი-სამი ათწლეულის შემდეგ შექმნას. ნებისმიერმა... ერთის გარდა.

**ჩინეთმა სტრატეგიული ბირთვული ძალების ფორსირებული განვითარებისთვის ყველა წინაპირობა შექმნა. დღეს მას არ შეუძლია აშშ-სა და რუსეთს ბირთვული დარტყმით გარანტირებული გამანადგურებელი ზიანი მიაყენოს, მეტიც, მას, წისმწრები განმაიარაღებელი დარტყმის „გატარების“ შემთხვევაში, პასუხის გაცემის შესაძლებლობა შეიძლება არ აღმოაჩნდეს**. ასეა დღეს, მაგრამ ხვალ ეს სიტუაცია შეიცვლება. აშშ-ისა და რუსეთის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განვითარება, რომელსაც ისინი, ერთი შეხედვით, ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართავენ, სინამდვილეში ყველაზე მეტად ჩინეთს აზარალებს, რადგან აშორებს მას დღეს, როდესაც ოპონენტების გარანტირებული განადგურება და, შესაბამისად, პირველი რანგის ზესახელმწიფოების კლუბში შეღწევა შეეძლება. ამით აშშ და რუსეთი იგებენ დროს, რომელიც, მათ შორის, სამხედრო ტექნოლოგიების განვითარების შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად სჭირდებათ.

**ახლა თვალი „ევროპულ ფლანგს“ შევავლოთ. დავუშვათ, რომ რუსეთმა მართლაც გააძლიერა დაჯგუფება კალინინგრადში, ამერიკელებმა (საპასუხოდ) დამატებითი საშუალებები განალაგეს პოლონეთში, რუსებმა (საპასუხოდ) გააძლიერეს დასავლეთის მიმართულება ზოგადად, წინ წაიწიეს ბელარუსში, რადგან ამის გარეშე კალინინგრადის გაძლიერებას, სტრატეგიული თავლსაზრისით, განსაკუთრებული აზრი არ აქვს, ამერიკელებმა (საპასუხოდ)... ალბათ, გასაგებია, სადამდე შეიძლება მივიდეს ყოველივე ეს საბოლოო ჯამში — „ევროპის მოტაცებამდე“, როდესაც ევროპა, რომელსაც „ცივი ომის“ შემდეგ ჯერაც ნორმალურად ვერ ამოისუნთქია, გადავა ორი გიგანტის მიერ გაჩაღებული თამაშის მძევალი აღმოჩნდება. იგივე სქემის პროეცირება „ჩვენს ფლანგზეც“, ანუ სამხრეთით შეიძლება.**

აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვები: **რატომ არ შეიძლება „ორთა კლუბში“ ჩინეთიც მიიღონ და 1972 წლის ხელშეკრულების ძირითადი პრინციპი მასზეც განავრცონ, ის ხომ ადრე თუ გვიან (თუ ძალისმიერად არ გააჩერებენ), მიუხედავად იმისა, რა შეფერხებები შეექმნება გზად, დიდი ალბათობით, მაინც დაეპატრონება ადეკვატურ ბირთვულ არსენალს? შესაძლებელია თუ არა გლობალური ბირთვული სტაბილურობა არა ორ, არამედ სამ საყრდენს დაეფუძნოს?** პასუხი ამ კითხვებზე განსაზღვრავს იმას, თუ როგორი იქნება მსოფლიო XXI საუკუნეში, თუმცა ასე შორს ნუ წავალთ. შემოვიფარგლოთ იმ ვარაუდით, რომ **აშშ-ის და, აქედან გამომდინარე, რუსეთის შემობრუნება რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებისკენ, უპირველესად, ჩინეთის შეკავების საშუალებაა,** და ჩვენთვის უფრო აქტუალურ საკითხზე გადავიდეთ, კერძოდ კი იმაზე, თუ როგორ აღიქმება მთელი ეს სიტუაცია ჩვენში.



ნიკოლაი მაკაროვი — რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი

**«ახალი შეტევითი შეიარაღების განლაგება რუსეთის სამხრეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, კალინინგრადის ოლქში, სარაკეტო კომპლექსის — «ისკანდერის» გაშლის ჩათვლით, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ინფრასტრუქტურის განადგურების ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს წარმოადგენს»**

## ისევ ორ აქლემს შორის

საუბარი საქართველოში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის რომელიმე კომპონენტის განლაგებაზე დღეს უადგილოა, არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ვაშინგტონი ამ შესაძლებლობას სერიოზულად განიხილავს. მთავარი პრობლემა, ალბათ, უფრო ზოგადია და უცნაურად ქრონიკულ ფსიქიკურ აშლილობას მოაგონებს. საქართველოში ერთგვარ ეროვნულ სპორტად იქცა გარესამყაროში ისეთი ფაქტების (უფრო ხშირად კი განცხადებებისა და ჟესტების) გამოძებნა, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებულ ჩვენს სააზროვნო სტერეოტიპებს ამყარებს. კონკრეტულ შემთხვევაში **საუბარი ეხება სააკაშვილის ხელისუფლების დიდი მოწადინების შედეგად ჩვენში ფართოდ გავრცელებულ რწმენა-წარმოდგენებს აშშ-რუსეთის სამკვდრო-სასიცოცხლო კონფრონტაციის შესახებ, რომლის გამოყენებით საქართველომ თითქოსდა საკუთარი საგარეო პოლიტიკა უნდა წარმართოს. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებული პოლემიკა, რომელიც მომავალში, სავარაუდოდ, სულ უფრო მწვავე გახდება, საქარველოში, ალბათ, სწორედ ასე იქნება აღქმული.** ეს არც ისე სასურველი შედეგია, რადგან სიტუაცია ამ მიმართულებით, როგორც მინიმუმი, მეტად ორაზროვანი და საეჭვოა და მთელი ამ „სასცენო ფარიკაობის“ მიღმა შეიძლება საპირისპირო ქვეტექსტი იდგეს, რომლის გაშიფრვას ან თუნდაც დაფიქრებას მასზე ხშირ შემთხვევაში ვერ ვახერხებთ.

ხანდახან სრულიად გაუგებარია უცნაური სიხარული და მოლოდინი „აი ახლა დასცხებენ“, რომელიც ხელისუფლების მხარდამჭერების შეთხელებულ რიგებს პერიოდულად გადაუვლის ხოლმე (ეს გენერალ მაკაროვის განცხადების შემდეგაც შეიმჩნეოდა). ის გარემოება, რომ აქლემების ჩხუბში ყველაზე მეტად კოზაკი დაზარალდება (საქართველოს შემთხვევაში ეს პრაქტიკულად გარანტირებულია), რატომღაც მეორე, თუ არა მეშვიდე, პლანზე ექცევა. **უცნაურია, მაგრამ საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი იშვიათი ქვეყანაა, რომელშიც „ცივი ომის“ დროინდელი პოლიტიკური მითოლოგია კვლავინდებურად დომინანტურია. ის ფაქტი, რომ გლობუსზე რუსეთისა და აშშ-ის გარეშე არსებობენ სხვა ქვეყნები და თანამედროვე გეოპოლიტიკურ თამაშში ორ მხარეზე მეტია ჩართული სათვალავში, როგორც წესი, არ მიიღება.**

შეიძლება ყოველივე ეს არცთუ მნიშვნელოვან ფაქტორებად მოგვეჩვენოს, თუმცა გამორიცხული არაა, რომ მთელი ის უბედურება, რომელიც დღეს ჩვენს თავს ტრიალებს, ამ უცნაური წარმოდგენების და ზოგადი სააზროვნო კრიზისის შედეგი იყოს.

**დიმიტრი მონიავა**

**აშშ-ის და, აქედან გამომდინარე, რუსეთის შემობრუნება რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებისკენ, უპირველესად, ჩინეთის შეკავების საშუალებაა**

## ლიბიის ნავთობმრეწველობის ყოფილი მინისტრი მკვდარი იპოვეს

**ლიბიის ნავთობმრეწველობის ყოფილი მინისტრი შუკრი განემი ავსტრიის პოლიციამ მდინარე დუნაიში გარდაცვლილი იპოვა.** ავსტრიელი სამართალდამცავების ინფორმაციით, განემი ვენაში, ერთ-ერთ კომპანიაში, კონსულტანტად მუშაობდა, სახლიდან კვირას, დილით, გავიდა, რამდენიმე საათის შემდეგ კი მისი ცხედარი იპოვეს. სამართალდამცავების ცნობით, ცხედარს ძალადობის კვალი არ აღენიშნება. განემი მუამარ კადაფის მთავრობის წევრი იყო, 2003-2006 წლებში — ქვეყნის პრემიერ-მინისტრად, ხოლო 2011 წლამდე ნავთობმრეწველობის მინისტრად მუშაობდა. ლიბიაში მიმდინარე დაპირისპირების დროს განემმა ლიბიის ყოფილი ლიდერის — მუამარ კადაფის მთავრობა დატოვა.



## თურქეთს სამოქალაქო კონსტიტუცია ექნება

**თურქეთის საპარლამენტო კომიტეტი ქვეყნის პირველი და სრული სამოქალაქო კონსტიტუციის დასაწერად მუშაობას იწყებს. კომიტეტის მიზანია, შექმნას მარტივი და უფრო დემოკრატიული წესდება, რომელიც ამჟამად არსებულ იმ კონსტიტუციას ჩაანაცვლებს, რომელიც 30 წლის წინ სამხედრო მმართველობის მიერ შეიქმნა.** კონსტიტუციამ სამხედროებს უდიდესი ძალაუფლება მიანიჭა, შეზღუდა ინდივიდთა უფლებები და ქვეყანაში მცხოვრები უმცირესობების იგნორირება მოახდინა, მათ შორის ქურთების. გავრცელებული ინფორმაციით, ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება. მრავალპარტიულ კომიტეტში ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული კონსენსუსია და მოსახლეობას ჰპირდებიან, რომ ახალი მთავარი კანონი ასახავს ხალხის სურვილებს და შექმნის ჭეშმარიტად წარმომადგენლობით დემოკრატიას.

მოკლედ

## გაერო სირიაში დამატებით დამკვირვებლებს აგზავნის

**გაეროს სამშვიდობო მისიის მასშტაბი იზრდება. უახლოეს დღეებში სირიაში კიდევ 30 დამკვირვებელი ჩავა.** ამჟამად გაეროს სულ 300 დამკვირვებელია წარგზავნილი. სირიაში გაეროს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის — მაჯ გენ რობერტ მუდის თქმით, მხოლოდ სირიელებს შეუძლიათ ქვეყანაში ძალადობის დასრულება. გაეროს ხელმძღვანელთა აზრით, ქვეყანას თუნდაც ათასი შეუიარაღებელი დამკვირვებელი მშვიდობისკენ თავისთავად ვერ წაიყვანს. დამასკოში ჩასვლის დღიდან რობერტ მუდი კონფლიქტის ყველა მხარესთან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს და ამბობს, რომ მშვიდობას ერთობლივი ძალისხმევით უნდა მიაღწიონ.



## ლონდონის მერად ბორის ჯონსონი აირჩიეს

**კონსერვატორი ბორის ჯონსონი კვლავ ლონდონის მერად აირჩიეს. მან არჩევნებში ხმების 3%-ით მეტი მიიღო, ვიდრე მისმა მოწინააღმდეგე ლეიბორისტმა კენ ლივინგსტონმა.** ჯონსონის გამარჯვება პრაქტიკულად ერთადერთი ნუგეში გახდა ინგლისში, უელსსა და შოტლანდიაში გამართულ ადგილობრივ არჩევნებზე. ლიბერალ-დემოკრატებმა ამ არჩევნებში ვერ გაიმარჯვეს. ჯონსონის გამარჯვება ლონდონში მოულოდნელობა არ იყო — ამას წინასწარმეტყველებდა კიდეც ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვები და ეგზიტპოლები. თუმცა მისი სხვაობა ლივინგსტონთან იმაზე გაცილებით უფრო ნაკლები აღმოჩნდა, ვიდნე ელოდნენ.

საქართველო და მსოფლიო

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



სიტყვები „არ იყო ის საქართველოს შემადგენლობაში“, შესაძლოა, არის პირველი ნაბიჯი სრული კაპიტულაციისკენ, რომელიც აფხაზეთზე უარის თქმას გულისხმობს. გამორიცხული არაა, რომ ამით სააკაშვილი (თავისი ჭკუით) ცდილობს, ერთის მხრივ, „მოქრთამოს“ პუტინი, რათა მან სააკაშვილის სკამს უცაბედად რაიმე საფრთხე არ შეუქმნას; მეორე მხრივ, მოხსნას კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ბლოკავს; და ბოლოს, აფხაზეთის თემა ქართული საზოგადოებისთვის არააქტუალური გახადოს და ის წინასაარჩევნოდ როგორმე უკანა პლანზე ჩააჩოჩოს, რათა მის დანახვაზე ელექტორატს მუდამ არ ახსენდებოდეს დათმობილი ტერიტორიები და დალეჭილი ჰალსტუხი.

# მიხეილის სიმღერა სოხუმზე





**«ყველა სიმღერა იყო დაწერილი ვერაზე, ვაკეზე, ავლაბარზე, ორთაჭალაზე, ქუთაისზეც კარგი სიმღერები დაიწერა, სოხუმზე არ იწერებოდა, არ იყო ის საქართველოს შემადგენლობაში»**

**სააკაშვილის ადმინისტრაციამ მორიგ თაღლითობას მიმართა. ფიგურანტის ოფიციალურ ვებსაიტზე შეიცვალა საკვანძო ფრაზა, რომელიც მან 2 მაისს ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, წარმოთქვა. სხვათა შორის, რელიზში მას უბრალოდ „ქუთაისის განახლებული თეატრი“ უწოდეს, თითქოსდა ქუთაისი მიყრუებული რაიცენტრი იყოს, რომელშიც სხვა თეატრის არსებობა, პრინციპში, გამორიცხულია. „განახლების“ რა მოგახსენოთ, 6 მაისს ქუთაისში გაწვიმდა და წყალი სცენაზე სპექტაკლის მსვლელობისას ჩამოვიდა. გაოგნებული დარბაზის წინაშე მსახიობები მედგრად განაგრძოდნენ ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილის“ წარმოდგენას (რუსი კლასიკოსის პიესის სახელწოდების პირველი ვარიანტი, მკვლევართა ახლახან გაჟღერებული ვერსიის თანახმად, „შემოსავლიანი რემონტი“ იყო), თუმცა ეს მხოლოდ სახასიათო დეტალებია, მთავარი კი სააკაშვილის გამოსვლის გაყალბებაა, რაც ჩვენ თვალწინ მოხდა.**

ციტატა სააკაშვილის ოფიციალური ვებსაიტიდან: **„ჩვენ ილუზორულად ვაკონტროლებდით აფხაზეთს საბჭოთა პერიოდში — სოხუმში ქართული ენა არ ისმოდა. სიმღერები მუდმივად იწერებოდა ვერაზე, ვაკეზე, ავლაბარზე და ა. შ. ქუთაისზეც კარგი სიმღერები დაიწერა, მაგრამ სოხუმზე სიმღერები არ იწერებოდა, თითქოს ის საქართველოს შემადგენლობაში არ იყო“.** ახლა კი ვიდეოკამერების მიერ დაფიქსირებული გამოსვლა და ის, რაც სააკაშვილმა რეალურად თქვა: **„ჩვენ ილუზორულად ვაკონტროლებდით აფხაზეთს საბჭოთა პერიოდში, თორემ სოხუმში არ ისმოდა ქართული ენა. სოხუმში... სოხუმზე... აი მითხარით, გულზე ხელი დავიდოთ, რამდენი ქართული სიმღერა არის დაწერილი სოხუმზე? ყველა სიმღერა იყო დაწერილი ვერაზე, ვაკეზე, ავლაბარზე, ორთაჭალაზე, ქუთაისზეც კარგი სიმღერები დაიწერა, სოხუმზე არ იწერებოდა, არ იყო ის საქართველოს შემადგენლობაში“.**

ჩვენ ვხედავთ, რომ ტექსტის „დავარცხნის“ გარდა, მასში პრინციპული ხასიათის ცვლილება შეიტანეს. კერძოდ კი სიტყვა „თითქოს“, და კოშმარულ ფრაზას **„არ იყო ის საქართველოს შემადგენლობაში“,** სულ სხვა ფორმა და შინაარსი მიეცა: **„თითქოს, ის საქართველოს შემადგენლობაში არ იყო“.**

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სააკაშვილის მგზნებარე „რეჩების“ საფუძვლიანი რედაქტირება ხდება. ასე მაგალითად, **მის ოფიციალურ ვებგვერდზე 26 აპრილის გამოსვლის ტექსტიდან შემდეგი სიტყვები გაქრა: „მზად ვარ, დამატებით, მოვიჭრა და მათ გავუგზავნო ჩემი სხეულის ის ნაწილები, რომლების მიმართაც მათ არაერთხელ გამოხატეს თავისი ინტერესი. მზად ვარ, ესეც კი გავაკეთო და ამას ვამბობ ყოველგვარი ირონიის გარეშე“.** გასაგებია, რომ ადმინისტრაცია დაუღალავად ზრუნავს იმაზე, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ „ნაცმოძრაობის“ ბელადი უიმედო შიზოფრენიკად არ აღიქვას, თუმცა ამ მედალს მეორე მხარეც აქვს. **როდესაც საინფორმაციო საშუალებები ამა თუ იმ ფრაზის ფართო ტირაჟირებას ახდენენ, ხოლო ოფიციალურ ვებ-გვერდზე ის ტექსტიდან ქრება, ეს, ფაქტობრივად, იმის აღიარებაა, რომ სააკაშვილმა ძალიან დიდი სისულელე თქვა.**

ისე, ტაციტუსს თუ დავუჯერებთ, როდესაც გერმანიკუსმა აჯანყებულ ჯარისკაცებთან კამათის დროს იარაღს ხელი სტაცა და იყვირა, რომ თავს მოიკლავს, ერთ-ერთმა მეომარმა სიტყვებით „ეს უფრო ბასრია“ საკუთარი ხმალი გაუწოდა. საველე ფსიქოთერაპიის ესოდენ რადიკალურმა სეანსმა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, საოცარი შედეგი გამოიღო, ამის შემდეგ ცნობილ რომაელ მხედართმთავარს თავის მოკვლაზე სიტყვაც არ დასცდენია. ჩვენ, რა თქმა უნდა, გაცილებით ჰუმანურ დროში ვცხოვრობთ, მაგრამ ფაქტია, სააკაშვილის მუდმივი საუბრები შესაძლო თვითდასაჭურისებაზე და საერთოდ, „სხეულის იმ ნაწილებზე“ რამენაირად უნდა აღიკვეთოს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს დიდი სირცხვილია — მსოფლიო უყურებს, ხალხი უსმენს... **სააკაშვილის გვერდით ის ერთი უბრალო ცენტურიონი რომ აღმოჩენილიყო, პრობლემას ერთი ფრაზით მოაგვარებდა, თუმცა უბედურება, ალბათ, ისაა, რომ სააკაშვილის სიახლოვეს არც ერთი ნამდვილი ცენტურიონი არ დაიარება, მისი საოპერეტო კამარილია კი მსგავსს ვერაფერს შებედავს.**

სააკაშვილის იდეები საკუთარი თავის დასაჭურისებაზე, პრინციპში, მისი პირადი პრობლემაა, რომელსაც პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს. რეპლიკა სოხუმზე, რომელიც მის ოფიციალურ ვებსაიტზე გაყალბდა, გაცილებით მძიმე ქვეტექსტის მქონეა. თავიდან დავიწყოთ: **„ჩვენ ილუზორულად ვაკონტროლებდით აფხაზეთს საბჭოთა პერიოდში“... აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ვინ „ჩვენ“? საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლებაზე საუბრობდა? თუ ეს მისი „ჩვენ“ „ქართველებს“ ნიშნავდა? თუ საქმე მეორე ვარიანტთან გვაქვს, ესე იგი სააკაშვილმა პირველსავე სიტყვებით გაავლო ძნელად გადასალახი ზღვარი საქართველოსა და სოხუმს (აფხაზეთს) შორის, თითქოსდა საუბარი ბრიტანელების მიერ სინგაპურის გაკონტროლებას ეხებოდეს.**

აქ, ალბათ, მცირე ავტობიოგრაფიული ჩანართი დამჭირდება. მამაჩემი თბილისელია, დედა კი — სოხუმელი; პირველი ქართული სიტყვები სოხუმში, ბაბუაჩემის სახლში, წარმოვთქვი და დღესაც კი ხდება, რომ ჩემი საუბრის უაღრესად (შესაძლოა, ზედმეტად) თბილისურ სტილსა და მანერაში უცაბედად, ამდენი წლის შემდეგ, მცირე „სოხუმური მონაკვეთი“ შემოიჭრება ხოლმე. „სოხუმური ქართულის“ ამ პატარა ნაპერწკლებს კრისტალურად სუფთა „ლიტერატურულში“ არასოდეს გავცვლი, დაახლოებით ისე, როგორც არ გაყიდის ბავშვი ზღვის პირას ნაპოვნ პირველ ნიჟარას, თუნდაც მის სანაცვლოდ ოქროს ზოდი შესთავაზონ.

**ქართული სოხუმში არ ესმოდა მხოლოდ ყრუს ან ფრიად შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანს, რომელსაც არ შეეძლო განსხვავებული, პოლილინგვისტური გარემო აღექვა და მასში რაღაც არასწორს და უკონტროლოს ხედავდა.** ეს პითეკანთროპის ჩვეულებრივი რეაქციაა, უჩვეულო მისთვის შეუწყნარებელს ნიშნავს. თუმცა ის, რომ ვიღაც ტვინის უჯრედების მწვავე ნაკლებობას განიცდის, ალბათ, არ ნიშნავს იმას, რომ ქართული (და ამავე დროს აფხაზური) სოხუმი არ არსებობდა ან აღარ არსებობს (დღეს ის ჩვენშია) ან მომავალში არ იარსებებს.

როდესაც ჟურნალისტები ვაჟა აზარაშვილთან მივიდნენ და ჰკითხეს, მართალია თუ არა, რომ სოხუმზე ქართული სიმღერა არ დაწერილა, თავიდან მის სახეზე, ცოტა არ იყოს, წინასაინფარქტო გამომეტყველება დაფიქსირდა (ტელეეკრანზე ასე ჩანდა); შემდეგ კი მან სტუმრებს მთელი კრებული წარუდგინა. საერთოდ, იმ მოსაზრების კრიტიკას, რომ სოხუმზე (აფხაზეთზე) ქართული სიმღერა და მითუმეტეს ლექსი არ დაწერილა, აზრი არ აქვს, ეს ისევ მიგვიყვანს დისკუსიამდე ყრუ პითეკანთროპთან. რას ნიშნავდა საერთოდ სიმღერების ეს უცნაური მიბმა ქალაქებზე (ცალკე სიმღერები სოხუმზე, ცალკე ახალქალაქზე, ცალკე სამტრედიასა თუ ფოთზე)? ქართული სიმღერა (ამა თუ იმ ტოპონიმის მოხსენიებით თუ მის გარეშე), რომელსაც სოხუმში მღეროდნენ, ზუგდიდშიც, ქუთაისშიც, თბილისშიც ისმოდა. ეს ერთიანი მუსიკალური, უფრო ფართოდ კი, კულტურული სივრცე იყო. ქართული სიმღერები აფხაზებმაც იცოდნენ. საინტერესოა, სააკაშვილმა თუნდაც ერთი თუ იცის? რა სიმღერა მოგისმენიათ მისი შესრულებით?

**ქალაქის დაცემის დღეებში ასეთი რამ მოხდა: ქართველი მებრძოლების ჯგუფს ალყა შემოარტყეს და ისინი მოწინააღმდეგეს „შავლეგოს“ მღერით შეაკვდნენ. გახდა თუ არა იმ მომენტში ის, ქვეყნის სულ სხვა კუთხეში შექმნილი „შავლეგო“, ქართული სიმღერა სოხუმზე და ამავე დროს, სრულიად საქართველოზე? სააკაშვილს, როგორც ჩანს, არც ის სიმღერა ჩაესმის და არც საქართველოსი ესმის.**

აფხაზეთის ომში არაერთი მეგობარი დამეღუპა, მათი უმრავლესობა ქართველი იყო, მაგრამ იყო ორი აფხაზიც, რომლებიც მეორე მხარეს იბრძოდნენ და სოხუმს უტევდნენ. სააკაშვილი ამას, ალბათ, ვერ გაიგებს, შეიძლება ვერ გამიგონ სხვებმაც, მათ გარდა ვინც სოხუმს დღემდე გრძნობს, თუმცა მინდა ვთქვა, რომ ვერ ვავლებ ზღვარს დაღუპულ მეგობრებს შორის, არ შემიძლია გავყო ისინი, ერთნი მარჯვნივ, მეორენი კი მარცხნივ დავაყენო; ეს, უბრალოდ, არ გამომივა. **რა სახელიც არ უნდა მოუძებნონ ისტორიკოსებმა მომავალში ამ ომს, ჩემთვის ის, ნებისმიერ შემთხვევაში, ძმათამკვლელ ომად დარჩება.**

დღეს ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ქვეყნის გამთლიანების გზა ქართველების, აფხაზებისა და ოსების გაწყვეტილი კავშირის აღდგენაზე გადის, თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, ხშირ შემთხვევაში ეს მხოლოდ რიტორიკაა, პრინციპული არჩევანი ამ მიდგომის სასარგებლოდ არც ისე ბევრმა ადამიანმა გააკეთა. ფსიქოლოგიურად საკმაოდ რთულია უარის თქმა სამხედრო რევანშის სურვილზე, რომელიც სააკაშვილის პროპაგანდამ რაღაც მომენტში ლამის საერთო ეროვნულ მილიტარისტულ ფსიქოზად გადააქცია. დავთესეთ — მოვიმკეთ, დავთესეთ — მოვიმკეთ... საინტერესოა, **როდემდე უნდა ვთესოთ დრაკონის ეს კბილები? იმ მომენტამდე ხომ არა, როდესაც ყანისგან არაფერი დარჩება? საქართველოს მთლიანობას ტანკებზე გაცილებით მყარი საყრდენი სჭირდება.**

სიტყვები „არ იყო ის საქართველოს შემადგენლობაში“, შესაძლოა, არის პირველი ნაბიჯი სრული კაპიტულაციისკენ, რომელიც აფხაზეთზე უარის თქმას გულისხმობს. გამორიცხული არაა, რომ ამით სააკაშვილი (თავისი ჭკუით) ცდილობს, ერთის მხრივ, „მოქრთამოს“ პუტინი, რათა მან სააკაშვილის სკამს უცაბედად რაიმე საფრთხე არ შეუქმნას; მეორე მხრივ, მოხსნას კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ბლოკავს; და ბოლოს, აფხაზეთის თემა ქართული საზოგადოებისთვის არააქტუალური გახადოს და ის წინასაარჩევნოდ როგორმე უკანა პლანზე ჩააჩოჩოს, რათა მის დანახვაზე ელექტორატს მუდამ არ ახსენდებოდეს დათმობილი ტერიტორიები და დაღეჭილი ჰალსტუხი. **„ყველაზე დიდი ისტერიკა ახლა ატეხილია იმაზე, რომ მიწებს ვკარგავთ“,** — განაცხადა სააკაშვილმა ქუთაისში. **როდესაც საზოგადოების რეაქციას ტერიტორიების დაკარგვაზე ქვეყნის პირველი პირი „ისტერიკას“ უწოდებს, მასთან საუბრის გაგრძელებას, ალბათ, არანაირი აზრი აღარ აქვს.**

აფხაზეთზე უარის თქმა, სამოქალაქო ომის გაჩაღება, ქვეყნის შემდგომი დანაწევრება, ტოტალური რეპრესიები დიდი მსხვერპლით — დღეს ამ სცენარებზე საქართველოში სრული სერიოზულობით მსჯელობენ, შესაძლოა, იმიტომ, რომ ქვეყანაში პრაქტიკულად აღარ დარჩა მოქალაქე, რომელიც მიიჩნევს, რომ რაიმე შინაგანი წინაღობა (შიშის გარდა) დააბრკოლებს სააკაშვილს და ჩამოთვლილთაგან რომელიმე მიმართულებით წასვლას გადააფიქრებინებს. ეს, ალბათ, იმის გამოც ხდება, რომ **სააკაშვილი არ არის ის ადამიანი, რომელსაც ოდესმე შატობრიანის ცნობილ ციტატას მიუსადაგებენ: „იმ დღეს მან დაკარგა ყველაფერი, ღირსების გარდა“.**

როგორც ჩანს, კულმინაცია ახლოვდება. ცოტაც და საქართველო, სავარაუდოდ, იხილავს მიხეილ სააკაშვილს ყოველგვარი ნიღბის გარეშე, ისეთს, როგორიც ის სინამდვილეში არის. მანამდე კი მხოლოდ ის შეგვიძლია ვურჩიოთ, რომ საჯარო გამოსვლებში თავის წარმოსახვით ლაზიკაზე, რაც უნდა, ის თქვას, ხოლო სოხუმს აღარ შეეხოს, თავი დაანებოს, დაეხსნას. მასზე საუბრის უფლება 2 მაისის ბენეფისის შემდეგ სააკაშვილმა, სავარაუდოდ, სამუდამოდ დაკარგა.

**რაც შეეხება კაპიტულაციას, კაპიტულაცია არ იქნება.**

**ქართული სოხუმში არ ესმოდა მხოლოდ ყრუს ან ფრიად შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანს, რომელსაც არ შეეძლო განსხვავებული, პოლილინგვისტური გარემო აღექვა და მასში რაღაც არასწორს და უკონტროლოს ხედავდა**

**ღირდა ყველა სოციალური სიკეთის დაკარგვა და სრული გაღატაკება იმის ფასად, რომ ხელისუფლებაში დემოკრატიის სახელით მოსული ნეობოლშევიკები გვყოლოდა? ღირდა დამოუკიდებლობის პირობებში საკუთარი სუვერენიტეტის ოკეანის გაღმა გადაბარება? ღირდა საბჭოთა კავშირში აღიარებულ საზღვრებში მყოფი ორი ავტონომიის დაკარგვა?**



ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პატრონ-ყმობა დემოკრატიის ქურქში

**ერთი თვის წინ, როდესაც სტატია „ლიბერალიზმის დასასრული და უკანასკნელი ლიბერალი“ შევთავაზე „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველს, ჩვენსავე საიტზე ამგვარი კომენტარი გაჩნდა: „ნანა დევდარიანი, არჩევნები რომ გააყალბა, ის არაა? უკვე კომუნისტი გამხდარა. ჯერ ეთნონაციონალისტი გახდა, მერე კომუნისტი, ბოლოს, ალბათ, ლიბერტარიანელობაზეც უარს არ იტყვის. ისე, ამ სტატიაში ინტერნეტის მიერ შექმნილ ახალ საზოგადოებაზე და მის აბსოლუტურ თავისუფლებაზე არც არაფერი წერია და რაღაც „გლობალიზმზე“ წერს და ტრანსნაციონალურ კომპანიებზე, ვითომ აიფონზე უარს იტყვის“.**




არჩევნების გაყალბებაზე არ შევჩერდები; ამ თემით აღარავინ ტყუვდება მას შემდეგ, რაც მმართველმა პარტიამ 2003 წლის არჩევნებში არასრული 22 პროცენტი მიიღო, ხოლო მას შემდეგ ყველა არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობას იღებენ არჩევნების გაყალბების გამო აჯანყებული რევოლუციის რაინდები. აიფონს რაც შეეხება, რა კავშირშია იგი თანამედროვე ლიბერტარიანობის კრიტიკასთან, ამას ვერც თავად კომენტარის ავტორი ახსნის. ინტერნეტსა და „ახალ საზოგადოებაზე“, გპირდებით, უთუოდ დავწერ, ახლა კი იმას მივხედოთ, კომუნისტობაა ცუდი თუ ლიბერტარიანელობა.

**მართალია, ჩემს „გულშემატკივარს“ ჰგონია, რომ ჯერ ეთნონაციონალისტი ვიყავი, ხოლო შემდეგ – კომუნისტი, მაგრამ ესეც ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, რომ გლობალიზაცია „რაღაც“ მოგონილი რამ არის, ხოლო „ვარდების რევოლუციის“ საბაბი – არჩევნების მითიური გაყალბება.** ეს კომენტარი უფრო იმ ეჭვს ბადებს, რომ მის ავტორს ლიბერტარიანობა აიფონის მიღების სანაცვლოდ ულიარებია. თუმცა ისევ კომუნისტებს მივუბრუნდეთ. მოტანილი კომენტარი ვრცელი სტატიის იმ მონაკვეთმა გამოიწვია, რომელშიც ვწერდი:

**„ბედის ირონიით, გლობალიზაცია, რომელიც განვითარებული ქვეყნების, უფრო სწორად, მათი ფინანსური ელიტების იარაღად იყო ჩაფიქრებული, მათვე მოუტრიალდა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ბაზრის გაფართოება, როგორც კაპიტალიზმის კრიზისის წამალი, აღარ არსებობს. ბაზარი უკვე გლობალურია და მეტად ველარ გაფართოვდება. სწორედ ამით აიხსნება მემარცხენე იდეოლოგიური ალტერნატივის მოთხოვნა ამერიკაში.**

**საქართველოში კი, როგორც არაერთხელ მომხდარა, ადგილობრივი ლიბერალ-დემოკრატები დეპოში მდგომი მატარებლის საფეხურზე არიან შემხტარნი, საბაზრო ფუნდამენტალიზმს ქადაგებენ და ჯერაც იმის გაყიდვით ირჩენენ თავს, რაც სოციალური სახელმწიფოს მიერ შეიქმნა. ისინი ხშირად იმეორებენ, რომ არ სჭირდებათ საბჭოთა გამოცდილება, მაგრამ მათ არც ლიბერალური დემოკრატიის გამოცდილება სჭირდებათ, რომელიც საკუთარი კრიზისიდან გამოსვლას მემარცხენე იდეოლოგიის მეშვეობით ლამობს. მათ მხოლოდ ხელისუფლებაში ყოფნა აინტერესებთ, რადგან ეს არის ერთადერთი გზა, — უმცირესობამ საკუთარი ნება მოახვიოს უმრავლესობას.**

**მარქსის შემდეგ (მანამდეც) არავის შეუქმნია ისეთი სისტემური მოძღვრება, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავდა. ლიბერალიზმი, რომელიც ჩვენში უმცირესობათა დაცვის ცალმხრივ მოძღვრებას დაამსგავსეს, მუდმივი კორექციის პირობებში ინარჩუნებდა თავს. სოციალური სახელმწიფოს განადგურებამ მას ახალი ბაზარი გაუხსნა, მაგრამ ამოსუნთქვა დროებითი აღმოჩნდა.**

ფუკუიამამ მხოლოდ გაახმოვანა ის საფრთხეები, რომლებიც ლიბერალური დასავლეთის წინაშე, კარგა ხანია, დგას. ახლა შეადარეთ ერთმანეთს საქართველოს მდგომარეობა თუნდაც 20 წლის წინანდელი და ის ადგილი, რომელზეც იგი დღეს აღმოჩნდა, შემდეგ კი საკუთარ თავს ჰკითხეთ: **ღირდა ყველა სოციალური სიკეთის დაკარგვა და სრული გაღატაკება იმის ფასად, რომ ხელისუფლებაში დემოკრატიის სახელით მოსული ნეობოლშევიკები გვყოლოდა? ღირდა დამოუკიდებლობის პირობებში საკუთარი სუვერენიტეტის ოკეანის გაღმა გადაბარება? ღირდა საბჭოთა კავშირში აღიარებულ საზღვრებში მყოფი ორი ავტონომიის დაკარგვა?**

ეს ყველაფერი ადამიანთა მხოლოდ იმ მცირე ჯგუფს ულირდა, რომელთაც თანამედროვე ლიბერალიზმის მამა — ფრენსის ფუკუიამა უმრავლესობის კეთილდღეობის მოსპობისთვის და მდიდართა კიდევ უფრო გამდიდრებისთვის ედავება. ასეთები კი ოკეანის გაღმაც არიან და აქაც — საქართველოში“.

თუმცა ამას ვერ აუხსნი იმას, ვისთვისაც ოცნების ზღვარი და იდეოლოგიის განმსაზღვრელი აიფონია. სამაგიეროდ, ამის გაგება არ გაუჭირდებათ იმ ადამიანებს (ასეთები კი საქართველოში უმრავლესობას შეადგენენ), რომელთათვისაც აიფონი კი არა, ექიმი, წამალი, ბავშვების თუ მოხუცი მშობლების გამოკვება აიფონივით მიუწვდომელი ხილია. სახელმწიფო მათ დღენიადაგ ჩააგონებს, რომ არავითარი ვალდებულება არა აქვს მათ მიმართ, რადგან ვალდებულებები „კომუნისტობაა“. **საფრთხე და გამოწვევა — ეს თანამედროვე ტერმინები არ მოიცავს შიმშილს, ჯანდაცვის მიუწვდომლობას, უმუშევრობას. საქართველოსთვის ყველაზე მთავარი გამოწვევა ავღანეთში დემოკრატიის დამყარებაა და არა კვაზიგანათლება, რომელსაც ჩვენს ბავშვებს სთავაზობენ.**

ყველაზე მთავარ გამოწვევას — უმუშევრობას აიფონების მფლობელები 11-დან 16 პროცენტამდე ანგარიშობენ, თან იმასაც ამატებენ, რომ სოფლად თურმე ეს ციფრი 3-4 პროცენტია. საკარმიდამო ნაკვეთის მფლობელი უკვე დასაქმებულად ითვლება. მერე რა, რომ მასზე მოწეული ბოსტნეულით თავს ვერ გაიტანს და საქონლის ყოლაც მხოლოდ სასაკლაოებისა და ხორცის მაღაზიების ქსელის პატრონ გუბერნატორს ამდიდრებს! მთავარია, რომ ჩვენ კომუნისტები არ გვეძახონ, დანარჩენი უმნიშვნელოა.

ვისაც ბედმა გაუღიმა და სამუშაო იშოვა, იმდენად დაუცველია, რომ მზად არის, პატრონის (პატრონ-ყმურია ეს ურთიერთობა — სხვას ვერ დაარქმევ) ნებისმიერ სისულელეს თავი დაუკრას. საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, დამსაქმებელს ყოველგვარი მოტივაციის გარეშე შეუძლია გაათავისუფლოს დასაქმებული როგორც კერძო სექტორში, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში.

**დამსაქმებელს შეუძლია, ღამითაც ამუშაოს ადამიანი და გადაბმულ ცვლებშიც, დამატებითი ანაზღაურების გარეშე. გაბედავ პროტესტის გამოხატვას? შრომის კოდექსის 51-ე მუხლის მე-4 პუნქტი გიპასუხებს: „უკანონოდ ჩაითვლება იმ დასაქმებულთა გაფიცვა, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ დავის წარმოშობამდე“.**

ერთი სიტყვით, გაფიცვის უფლებაც აღარ არსებობს.

ჩვენში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ადამიანებს პროტესტის უნარი დაუჩლუნგდათ, მაგრამ რა მდგომარეობაში აგდებენ იმ ადამიანებს, რომლებიც არამცთუ პოლიტიკური, საკუთარი სოციალური პირობების გამო იღებენ ხმას, ამაზე ჩვენი პოლიტიკოსები ან არ ლაპარაკობენ, ან, თუ ამბობენ, მორცხვად დუმან შრომის კოდექსის მონათმფლობელურ შინაარსზე. რა ქნან, არ უნდათ, კომუნისტები უძახონ!

შრომის ინსპექცია საქართველოში ხუთი წლის წინ გაუქმდა. ესეც „კომუნისტური“ დანამატია, რადგან „სამეწარმეო საქმიანობის შემაფერხებელი მექანიზმია“! ამასობაში **საქართველოში სამუშაო ადგილზე გარდაცვლილთა რაოდენობამ 5-6-ჯერ გადააჭარბა ევროპის მაჩვენებლებს. თუ 2009 წელს სამუშაო ადგილზე 37 ადამიანი დაიღუპა, 2010-ში ეს ციფრი 81-მდე გაიზარდა. დაღუპულთა ოჯახები კი ამაოდ ელიან სოციალურ პაკეტს.** 10 ათასი ლარი, რომელიც, მაგალითად, დაღუპული მეშახტის ოჯახმა უნდა მიიღოს, სხვადასხვა საბაბით არ ეძლევათ, როგორც დაზღვევის შემთხვევაში, როცა კომპანია ყველა ხერხით არიდებს თავს პაციენტის ან დაზარალებულის დაფინანსებას.

ფილმ „იღბლიანში“ მალკოლმ მაკდაუელის გმირს დაკითხვას უწყობენ. შეკითხვაზე — მიაჩნია თუ არა, რომ ბავშვები ჩვენი ცხოვრების ყვავილებია, — გმირი უყოყმანოდ დადებითად პასუხობს. გამომძიებლის დასკვნა ასეთია: „კომუნისტია“!

**გჯერათ, რომ შრომა ისეთივე ფასეულია, როგორც კაპიტალი და მიწა? — ესე იგი კომუნისტი ხართ!**

**გჯერათ, რომ სახელმწიფოს მომავალი თითოეული ადამიანის ბედნიერებას ეფუძნება? — ესე იგი კომუნისტი ხართ!**

**გჯერათ, რომ ქვეყნის ხელისუფლება მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და შობადობის გაზრდაზე უნდა ზრუნავდეს? — ესე იგი კომუნისტი ხართ!**

**გჯერათ, რომ შრომის მსურველმა ნებისმიერ ასაკში უნდა შეძლოს მუშაობა საკუთარი არჩევანით? რომ ადამიანები ჩვეულ გარემოში უნდა ხვდებოდნენ სიბერეს? რომ ქალებმა ხვალინდელი დღის შიშის გარეშე უნდა გააჩინონ შვილები? — ესე იგი თქვენ კომუნისტი ხართ!**

**თქვენ გენატრებათ ის დრო, როცა დედა ბავშვს სამ წლამდე დეკრეტული შვებულების პირობებში უვლიდა? — ესე იგი კომუნისტი ხართ! ივანიშვილიც კომუნისტია, მერე რა, რომ ოლიგარქია — ერთ-ერთ პირველ სატელევიზიო ინტერვიუში იგი ასაბუთებდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვილისთვის სიცოცხლის პირველ წლებში დედასთან უშუალო კონტაქტს!**

**თქვენ ჯერ კიდევ გახსოვთ, რომ ვერავინ გაბედავდა თქვენს უმუშევრად დატოვებას? ისიც გახსოვთ, რომ უშვილობის გადასახადი არსებობდა? ისიც, რომ გარანტირებული ანაზღაურებული შვებულებისას სანატორიუმის საგზურებში მათი ღირებულების მეათედს იხდიდით? კომუნისტი ხართ, კომუნისტი და კომუნისტზე უფრო კომუნისტი!**

კაპიტალიზმის ფორმულა — ადამიანი ადამიანისთვის მგელია, კინოფილმ „ლონდრეს“ გმირმა, ვაჟარმა გეომ თავისებურად მოთარგმნა: „მგელი უნდა იყო, მგელი და მგელზე უფრო მგელი“! თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ გულის სიღრმეში იმედი, რომ ადამიანი ადამიანისთვის ძმა და მეგობარია? ხომ გითხარით, კომუნისტი ხართ, მაგრამ ვერ მიმხვდარხართ-მეთქი!

ძმობა და მეგობრობა შეიძლება მხოლოდ სტრატეგიულ პარტნიორთან, ისიც — მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე. კომუნისტები ავღანეთის ოკუპანტები იყვნენ, ლიბერალები — მისი განმათავისუფლებელი და დემოკრატიზატორები.

**ცხოვრება კონკურენციაა, თუ დამარცხდები, ეს მხოლოდ შენი ბრალია. მართლმადიდებლობა ჩამორჩენილობაა, რადგან კაცობრიობის ყველაზე დიდი „ლუზერის“ — მაცხოვარის სწამს.**

წარმატებისთვის ყველაფერი ნებადართულია, მთავარია, მოიგო. ფული მართავს სამყაროს და წერს ისტორიას. ფული, ნედლეული, მიწა — ეს ყველაფერი ერთ მუჭა ადამიანებს უნდა ეკუთვნოდეთ, ყველა დანარჩენი ბალასტია. გადარჩება ის, რომელიც მონად გამოდგება. ვინც ვერა — უნდა ჩაირეცხოს.

პრობლემა შრომის კოდექსში როდია. პრობლემა იმაშია, რომ ჩვენ ვიღაცის ნაკარნახევ შეფასებებს ვუფრთხით. არ გვინდა კომუნისტები, ჩამორჩენილები, ჩასარეცხები და ჩარეცხილები გვეძახონ. გვსურს, შეგვაქონ მათ, ვისაც ჩვენი არსებობაც კი არ აინტერესებს. თუ ისინი შეგაქებენ, იცოდე, რომ საქმე კიდევ უფრო ცუდადაა, ვიდრე გეგონა.

**რამდენიმე წლის წინ, როცა სარკოზიმ საპენსიო ასაკის 1 (!) წლით გაზრდა განიზრახა, მთელი საფრანგეთი ქუჩებში გამოვიდა. წითელი დროშების სიუხვით პარიზი საპირველმაისო წითელ მოედანს დაემსგავსა. ჩვენთან კი მაშინ იმით ამაყობდნენ, რომ რუსთაველზე ფოთოლი არ ჩამოვარდნილა.**

**როდესაც ეს სტრიქონები იწერებოდა, ნიკოლა სარკოზიმ არჩევნებში დამარცხება აღიარა. საფრანგეთმა სოციალისტ ფრანსუა ოლანდს მისცა ხმა. ფრანგებს არ ადარდებთ, რომ რომელიმე აიფონის მფლობელი მათ კომუნისტებს დაუძახებს. მათთვის მნიშვნელოვანი ის არის, თუ როგორ იცხოვრებენ თვითონ და მათი შვილები.**

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქრონიკა

**ერთი სიტყვით, ფაშიზმზე გამარჯვებაზე მნიშვნელოვანი მთელ იმ აპოკალიპსში გლობალიზაციის დაბადება ყოფილა, ხოლო ქართველები საკუთარ სამშობლოს კი არა, ზოგადსაკაცობრიო იდეალებს იცავდნენ. დაახლოებით ისე, როგორც ახლა – ავღანეთში!**



**«რამდენი დროც უნდა გავიდეს დიდი სამამულო ომის დასრულებიდან, 9 მაისი სამუდამოდ დარჩება საერთო სიამაყისა და ხსოვნის დღედ ქართველი და რუსი ერებისთვის»**




# თოიძიდან ვაშაძემდე, ანუ «ვარდის-ფერი ჭირი»

**ირაკლი თოიძემ პლაკატ „დედა–სამშობლო გვეძახის“ შექმნა ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დღეს დაიწყო. იგი იგონებდა, რომ 22 ივნისს, როდესაც რადიოში ომის დაწყების შესახებ გამოცხადდა, სახელოსნოში მისი მეუღლე შევარდა ყვირილით: „ომი დაიწყო“! თოიძეზე იმდენად იმოქმედა მისი სახის გამომეტყველებამ, რომ იგი ქაღალდზე გადაიტანა. ასე დაიბადა ეს ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სახე, რომელიც მართლაც გამარჯვებისკენ მოუწოდებდა საკუთარ შვილებს.**

ირაკლი თოიძე ქართველი საბჭოთა მხატვარი იყო, დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე კი 2008 წლის ომამდეც და ომის შემდეგაც კარგა ხანს – რუსეთის მოქალაქე.

**თოიძისთვის ფაშისტები მისი სამშობლოს მტრები იყვნენ, ვაშაძისთვის – ზოგადსაკაცობრიო საფრთხე. თოიძე სამშობლოს იცავდა, ვაშაძე – დემოკრატიას, რომელსაც არც ჯიში აქვს და არც ფესვი! თოიძე „ყავისფერ ჭირს“ ებრძოდა, ვაშაძე – „ვარდისფერ ჭირს“ თესავს მისნაირებთან ერთად!**

9 მაისი გერმანული ფაშიზმის დამარცხების და ევროპის დღეა. **„ყავისფერ ჭირზე“ გამარჯვების დღეს საქართველოს „ვარდისფერ ჭირად“ ქცეული ხელისუფლება ჯიუტად აღნიშნავს 8 მაისს და ამტკიცებს, რომ „9 მაისი სტალინის მოგონილი თარიღია“. ზოგადად, ფაშიზმის დამარცხება მართლაც „სტალინის მოგონილია“, რადგან მოკავშირეები მანამ არ ჩაერივნენ ომში, ვიდრე არ დაინახეს, რომ სტალინისა და საბჭოთა ხალხის გამარჯვება გარდაუვალი იყო.**

როგორც 2008 წლის აგვისტოში გამოგვიგზავნეს სასმელი წყალი და პამპერსები, ასე აგზავნიდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს „ლენდ ლიზის“ ფარგლებში იმას, რაც თავად ჭარბად ჰქონდათ, და ამ „დახმარებას“ ომში გამარჯვების წვლილად ნათლავდნენ. მელენდლიზეების შთამომავალი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, ჯონ ბასიც 8 მაისს მიბრძანდა ვაკის პარკში ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წლისთავთან დაკავშირებით, უცნობი ჯარისკაცის საფლავს პატივი მიაგო და ჟურნალისტებს განუცხადა:

**„დღეს ნამდვილად უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, მნიშვნელოვანია, როდესაც ჩვენ პატივს მივაგებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავისუფლებისთვის ბრძოლაში დიდი წვლილი შეიტანეს. ისინი ბევრ ქვეყანას წარმოადგენენ, ისინი ჩვენი ქვეყნების მოქალაქეები არიან. წელს ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წლისთავს აღვნიშნავთ. მას შემდეგ, რაც ეს გამარჯვება იქნა მოპოვებული, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ თავისუფლება თავისით არ მოდის და მნიშვნელოვანია მისთვის ბრძოლა და მისი შენარჩუნება, ასევე ხელშეწყობა იმ საზოგადოებისთვის, რომლისთვისაც თავისუფალი ცხოვრების წესი ხელმისაწვდომი არ არის“.**

ერთი სიტყვით, საქართველოში ელჩობის ვადის მიწურვისთვის ბასმა ქართული პოეზიის ფასიც გაიგო და შემოგვძახა: **„თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრიაო“!**

რა დღეში ვართ ლომები?!

საკუთარი ინაუგურაციის მეორე დღეს ვლადიმერ პუტინმა, რაკი იცოდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მაინც 8 მაისს იზეიმებდა გამარჯვების დღეს, საქართველოს ყველა მოქალაქეს მიულოცა, სააკაშვილის გარდა: **„რამდენი დროც უნდა გავიდეს დიდი სამამულო ომის დასრულებიდან, 9 მაისი სამუდამოდ დარჩება საერთო სიამაყისა და ხსოვნის დღედ ქართველი და რუსი ერებისთვის. ჩვენი მამები და ბაბუები მხარდამხარ ებრძოდნენ ჰიტლერელ დამპყრობლებს თავისუფლებისა და მშვიდობისთვის. ჩვენ მუდამ მივაგებთ პატივს გამარჯვებულებს, შევინარჩუნებთ სიმართლეს ომის შესახებ და წინ აღვუდგებით ისტორიის გადაწერის ნებისმიერ მცდელობას“.**

ისტორიის გაყალბება, შავის თეთრად წარმოჩენა ყველასათვის გასაგებ გლობალურ მიზნებს ემსახურება და საბოლოო ჯამში ფასეულობათა, ზნეობრივი ნორმების, სიკეთისა და ბოროტების კოორდინატთა სისტემის შეცვლას ისახავს მიზნად, თუმცა გასათვალისწინებელია რომ ამ პროცესმა, შესაძლოა, შედარებით მძიმე და კატასტროფული შედეგი მოგვიტანოს. ჩვენს გაზეთთან ერთ-ერთ ინტერვიუში პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ აღნიშნა: **„თუ ჩვენ, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ნებით, გარე ძალების საამებლად უარს ვიტყვით ჩვენი ისტორიის ამა თუ იმ პერიოდზე, შავ სალებავს მივასხამთ ჩვენი წინაპრების ამა თუ იმ თაობას, ჩვენ არსებობას შევწყვეტთ, როგორც სრულფასოვანი ერი“.**

სრულფასოვანი ერის სტატუსის განმსაზღვრელი ატრიბუტებიდან, „ნაციონალური მოძრაობის“ (რომელსაც ხალხში უფრო და უფრო ხშირად მოიხსენიებენ ვარდისფერ ჭირად) დამსახურებით, ბევრი არაფერი შემოგვრჩა. ახლა ისტორიული მეხსიერების ჯერია, სიმართლე სიყალბეში უნდა აიზილოს და ყოველივე ემსახუროს „დიად მიზანს“, რასაც „გლობალიზაცია“ ჰქვია. გლობალიზაციაზე ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი ისტორიის გადაწერაში დაყოჩაღებული საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანმა ნიკოლოზ ვაშაკიძემ არც აცია, არც აცხელა და პუტინს პირდაპირ ვაკის პარკიდან გაეპასუხა: „იმ ფორმით მილოცვებით, როგორც პუტინმა საქართველოს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა, შეუძლია თავი აღარ შეიწუხოს. ქართველი ხალხი ასეთ შეურაცხმყოფელ მილოცვებს არ იღებს“.

ქართველი ხალხის სახელით მოლაპარაკე ვაშაკიძე ვაკის პარკში ჯონ ბასის გვერდით იდგა და გულში ფიქრობდა: „მე და ჯონს ვინ მოგვერევა“? ვაშაკიძეს ტოლი არც მანანა მანჯგალაძემ დაუდო, პუტინის მილოცვას სულ ცინიკური უძახა: **„ესაა ერთი ხელით საუბარი საქართველოსთან მეგობრობაზე, ძმობასა და ქართველი ხალხის სიყვარულზე, მეორე ხელით კი ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოგზავნა. ეს არის რუსეთში მოქმედი ხელისუფლების ჭეშმარიტი და ნამდვილი სახე“,** — განაცხადა სააკაშვილის პრესსპიკერმა.

მანჯგალაძე „ერთი ხელით მოსაუბრე“ პუტინზე აღარ შეჩერდა და მეორე ხელით პოლიეთილენის პარკში ჩადებულ ასაფეთქებელ ნივთიერებას მიუბრუნდა: „ის ფაქტი, რომ ასაფეთქებელი ნივთიერებები რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან იქნა შემოტანილი, ადასტურებს იმ აგრესიულ ზრახვებს, რომლებიც რუსეთის ფედერაციას ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების მიმართ აქვს. ქართველი ხალხის სიყვარული ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენი ხალხის სიცოცხლის, ჩვენი საზოგადოების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში გამოიხატება“.

„ჩვენი საზოგადოების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში“ მანჯგალაძეს უთუოდ სააკაშვილის სხეულის იმ ნაწილების უსაფრთხოება ჰქონდა მხედველობაში, რომელთა მოჭრასა და რუსეთში გაგზავნასაც თვით შეღონებული მიშაც კი ყაბულს არის. საგარეო საქმეთა სამინისტრო კი 8 მაისს „მსოფლიოს ხალხთა და სახელმწიფოთა სოლიდარობისა და ერთიანობის უპრეცედენტო გამოვლინებას“ უწოდებს, ხოლო ომში გამარჯვებულად (ოღონდ სტალინი და საბჭოთა ხალხი არ ახსენონ!) მთელ კაცობრიობას აცხადებს!

**ვაშაძე რის ვაშაძეა, „ახალ მსოფლიო წესრიგს“ რომ „ვაშა“-ს არ ეძახდეს და მისი უწყების ახალი ისტორიული პარადიგმაც მზად არის: „მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკულმა მოვლენებმა მსოფლიოს ხალხებს დაანახა ახალი საერთაშორისო სამართლის სისტემის შექმნის აუცილებლობა, რომელიც თავიდანვე გამორიცხავდა მსგავსი გლობალური კატაკლიზმების გამეორებას და დედამიწაზე სტაბილურობისა და მშვიდობის გარანტი გახდებოდა“.**

**ერთი სიტყვით, ფაშიზმზე გამარჯვებაზე მნიშვნელოვანი მთელ იმ აპოკალიპსში გლობალიზაციის დაბადება ყოფილა, ხოლო ქართველები საკუთარ სამშობლოს კი არა, ზოგადსაკაცობრიო იდეალებს იცავდნენ. დაახლოებით ისე, როგორც ახლა – ავღანეთში!**

ყური უგდეთ: „ფაშიზმზე დიად გამარჯვებას კაცობრიობამ უდიდესი მსხვერპლის ფასად მიაღწია. არნახული მასშტაბის ომმა მილიონობით ადამიანი, მათ შორის, ასი ათასობით ჩვენი თანამემამულე შეიწირა. მეორე მსოფლიო ომში ქართველი მეომრები საკუთარი სამშობლოს ფარგლებს გარეთ საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ ისეთ ზოგადსაკაცობრიო იდეალებს, როგორიცაა თავისუფლება, სამართლიანობა და მშვიდობა. ქართველ ხალხს შეუძლია სამართლიანად იამაყოს თავისი მეომრებით, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ საყოველთაო საქმეში“.

ომი და მისი ვეტერანები მიშას მხოლოდ საარჩევნო წლებში რომ ახსენდება, ეს ცნობილიც არის და გასაგებიც. ამიტომ საგარეო საქმეთა სამინისტრო საგულდაგულოდ ეფერება მათ და „მადლიერებით აღნიშნავს ვეტერანთა თავდადებასა და წვლილს საქართველოსა და მსოფლიოს წინაშე“. საქართველო და მსოფლიო (ზოგადად და ჩვენი გაზეთი — კერძოდ) მადლობას უძღვნის „ყავისფერი ჭირისგან“ მსოფლიოს მხსნელ ქართველ გმირებს და უსურვებს მათაც და საკუთარ თავსაც, მომავალი წლის გამარჯვების დღეს — 9 მაისს „ვარდისფერი ჭირის“ გარეშე შევხვდეთ!

**თამარ დავითულიანი**

**ომი და მისი ვეტერანები მიშას მხოლოდ საარჩევნო წლებში რომ ახსენდება, ეს ცნობილიც არის და გასაგებიც. ამიტომ საგარეო საქმეთა სამინისტრო საგულდაგულოდ ეფერება მათ და «მადლიერებით აღნიშნავს ვეტერანთა თავდადებასა და წვლილს საქართველოსა და მსოფლიოს წინაშე»**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვლადიმერ პუტინი: „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გარეშე წარმოუდგენელია რუსული სახელმწიფოებრიობა და ჩვენი კულტურა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც სხვა ტრადიციული კონფესიები, ჩვენი ზნეობრივი ფასეულობების მცველია. სიხარულის გრძნობით გადავცემ ამ ხატს მართლმადიდებელ ეკლესიას, დაე, იგი მსახურებდეს და ხალხს ეხმარებოდეს“.**

# ვლადიმერ პუტინმა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ივერიის ღვთისმშობლის ხატი დაუბრუნა



**«ვიდრე ამ სავანეში იხილვება ჩემი ხატი, არ მოგაკლდებათ თქვენ ჩემი ძის მადლი და წყალობა»**



**ინაუგურაციის წინა დღეს ვლადიმერ პუტინმა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ივერიის ღვთისმშობლის ხატი დაუბრუნა.
სასწაულმოქმედი ხატის უძველესი ასლი ათონის მთიდან რუსეთში 1648 წელს ჩააბრძანეს.
ხატის გადაცემის ცერემონიალი მოსკოვის ნოვოდევიჩის დედათა მონასტერში გაიმართა და მას ათასობით მორწმუნე დაესწრო.**

ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი 350 წლის განმავლობაში ინახებოდა ნოვოდევიჩის მონასტერში, ხოლო რევოლუციის შემდეგ ისტორიული მუზეუმის საცავებში გადაიტანეს. მას შემდეგ ხატმა მხოლოდ რამდენიმეჯერ დატოვა მუზეუმის კედლები მომლოცველებთან მისაბრძანებლად.

ვლადიმერ პუტინმა ხატის გადაცემისას განაცხადა: **„ეს სიწმინდე ჩვენს წინაპრებს ასწლეულების მანძილზე მფარველობდა მშვიდობიან შრომაში, ბრძოლაში, მათ შორის სმოლენსკის დამპყრობლისგან განთავისუფლებისას XVII საუკუნეში. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გარეშე წარმოუდგენელია რუსული სახელმწიფოებრიობა და ჩვენი კულტურა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც სხვა ტრადიციული კონფესიები, ჩვენი ზნეობრივი ფასეულობების მცველია. სიხარულის გრძნობით გადავცემ ამ ხატს მართლმადიდებელ ეკლესიას, დაე, იგი მსახურებდეს და ხალხს ეხმარებოდეს“.**

პატრიარქმა კირილემ ხაზგასმით აღნიშნა: **„დღეს დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა ხდება. თქვენ, როგორც რუსეთის ფედერაციის არჩეული პრეზიდენტი, ისტორიული მუზეუმიდან სამუზეუმო თანამეგობრობის სრული თანხმობითა და ყველა იმ ადამიანის მხარდაჭერით, ვინც კარგად იცის ამ ხატის სულიერი და კულტურული ღირებულება, აბრუნებთ სასწაულმოქმედ ხატს იმ ადგილზე, სადაც იგი ყოველთვის იმყოფებოდა“.**

ბედის ირონიით, საბჭოთა პერიოდში ნოვოდევიჩის მონასტერი მუზეუმი იყო და ივერიის ღვთისმშობლის ხატს მისი კედლები არ დაუტოვებია, ოღონდ კარადაში იყო გამოკეტილი. რამდენიმე წლის წინ კი, როცა მონასტერი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას დაუბრუნეს, ხატი მუზეუმში გადაიტანეს. სამართლიანობა მხოლოდ ახლა აღდგა.

ისტორიული წყაროების თანახმად, IX საუკუნეში, ხატმებრძოლეობისას, ნიკეის ახლოს — ერთ მდიდარ და ღვთისმოსავ ქვრივს ჰქონდა ღვთისმშობლის ხატი, რომლის მიმართაც უდიდეს სასოებას განიცდიდა. ქვრივმა მისთვის განსაკუთრებული სამლოცველო მოაწყო და ყოველგვარი ცხოვრებისეული განსაცდელის ჟამს მხურვალე ლოცვით მიმართავდა. იმპერატორმა თეოფილე ხატმებრძოლმა მსტოვრები გაგზავნა ბრძანებით, რომ ხატები ყველგან გაენადგურებიათ. ისინი ნიკეელ ქვრივთანაც მივიდნენ და, როდესაც ღვთისმშობლის ხატი იხილეს, მისი შემუსვრა მოინდომეს, მაგრამ ქვრივმა დაარწმუნა, რომ სიწმინდე დილამდე მასთან დაეტოვებიათ, თან დაჰპირდა, რომ ამ დროისათვის მათ მიერ მოთხოვნილი თანხის მნიშვნელოვან ნაწილს მოამზადებდა.

**მტრები განშორდნენ, მაგრამ ერთმა მათგანმა მახვილი სცა ხატს და იმწამს ღვთისმშობლის სახიდან, როგორც ცოცხალიდან, სისხლი გარდამოვიდა. ქვრივი ვაჟთან ერთად სამლოცველოში მივიდა და წმინდა ხატის წინაშე ცრემლითა და მეტანიებით დიდხანს ლოცულობდა. მან გადაწყვიტა, რომ კადნიერთა შეურაცხყოფისგან დასაცავად წმინდა ხატი ზღვის სანაპიროზე წაეღო. იქ მიწაზე დაემხო და ევედრა ღვთისმშობელს, ეხსნა იგი მეფის რისხვისგან, ხოლო თვით ხატი — ზღვაში დანთქმისგან. ამის შემდეგ იგი ემთხვია ხატს, ზღვაში შეაცურა და დიდად გაახარა იმის დანახვამ, რომ ის წყალზე კი არ დაეცა, არამედ ტალღებზე ვერტიკალურად აღიმართა და დასავლეთისკენ გასცურა.**

ღვთისმოსავმა ქვრივმა მადლობა შესწირა ღმერთს და შვილი დაარწმუნა, რომ ხატმებრძოლთა დევნას საბერძნეთში განრიდებოდა. მან ყურად იღო დედის რჩევა, ლოცვა-კურთხევა გამოითხოვა მისგან და თესალონიკში წავიდა, აქედან ათონზე გადასახლდა და ბერად აღიკვეცა. ათონელმა მეუდაბნოეებმა მისგანვე შეიტყვეს, რომ ქვრივმა ხატი ზღვაში ჩაუშვა.

არავინ იცის, სად და რამდენხანს იყო დაფარული წმინდა ხატი. უკვე ნიკეელი ბერის გარდაცვალების შემდეგ ივერიის სავანიდან, რომელიც 896 წელს იყო დაარსებული და სახელი სამი წარჩინებული ივერიელის საპატივცემულოდ ეწოდა, საღამოხანს ზღვაზე ბერებმა შენიშნეს ცეცხლის სვეტი, რომლის წვერი ცას იყო მიწვდენილი. **ხატი კვლავ გამოჩნდა 999 წელს ათონის მთის აღმოსავლეთ სანაპიროსთან. აღდგომის მარხვის დროს ივერთა მონასტრის ბერებმა იხილეს ზღვაზე აღმართული ნათლის სვეტი, რომელიც ბრწყინავდა ღამის წყვდიადში და არ ქრებოდა დღის შუქზე. ნათელი მოდიოდა ზღვის ტალღებზე მდგომი ღმრთისმშობლის ხატიდან. ბერები შეეცადნენ, ნავით მიახლოებოდნენ ხატს, მაგრამ ხატი მათ განეშორა.**

**ივერთა მონასტერში ბერებმა გამუდმებული ლოცვები დაიწყეს. რამდენიმე კვირის შემდეგ ხატი ნაპირზე გამოაბრძანა ქართველმა — გაბრიელ ბერმა, რომელმაც სასწაულებრივად ზღვაზე ფეხით გაიარა. ეს ამბავი მოხდა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს. სამი დღის შემდეგ ხატი გადაიტანეს მონასტრის მთავარ ტაძარში, კათოლიკონში და საკურთხეველში დააბრძანეს. მეორე დღეს, ცისკრის ლოცვის წინ, კანდელების ასანთებად ეკლესიაში შესულ ბერს ხატი ადგილზე აღარ დახვდა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ ბერებმა იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს და კვლავ უწინდელ ადგილას დააბრუნეს. სასწაული რამდენიმეჯერ განმეორდა.**

ბოლოს ღმრთისმშობელი ძილში გამოეცხადა გაბრიელ ბერს და აუწყა: **„გამოუცხადე ძმებს, რომ მეტად აღარ გამომცადონ, რადგან არ მნებავს თქვენი მფარველობა, არამედ თვითონ მსურს, ვიყო თქვენი მფარველიც და მცველიც, არამარტო ამ ცხოვრებაში, არამედ მომავალშიც. დაე, ყველა ბერი, ვინც ამ მთაზე კეთილად და ღვთის შიშით ილვაწებს, სასოებდეს ჩემი ძისა და მეუფის მოწყალებას, რამეთუ მე გამოვითხოვე მისგან ეს ნიჭი და, აჰა, იყოს თქვენდა სასწაულად: ვიდრე ამ სავანეში იხილვება ჩემი ხატი, არ მოგაკლდებათ თქვენ ჩემი ძის მადლი და წყალობა“.**

მას შემდეგ ხატი ღმრთისმშობლის მიერ გამორჩეულ ადგილზე ბრძანდება, რის გამოც იწოდება **„პორტაიტისად“**, ანუ **„კარიბჭისმცველად“**. ღმრთისმშობელმა ივერთა სავანე აირჩია თავის სამყოფელად და ამიტომ ეწოდება ხატს **„ივერიის ღმრთისმშობელი“**. ხატის წინ კიდია დიდი, ვერცხლის ან მოოქროვილი ვერცხლის 12 უქრობი კანდელი. ტაძრის მოვლა-პატრონობა და ხატის მსახურება ევალება მღვდელ-მონაზონს, რომელსაც ირჩევს მთელი საძმო. **ივერიის ღმრთისმშობლის ხატი ქაიხოსრო ჯაყელის საფასითა და სამცხის ეპისკოპოსის ამბროსის ღვაწლით ქართველ ოსტატს მოუჭედავს. ხატის პერანგის ქვედა ნაწილზე შემდეგი წარწერაა ქართულ ენაზე:**

**„ჰო?, დედუფალო, დედაო კაცთმოყვარისა ღმრთისაო, ყოვლად უბიწოო ქალწულო მარიამ! შეიწყალე სული პატრონისა ჩემისა, დიდისა ყვარყვარეს შვილისა ქაიხოსროსი და მე, მონა შენი და ყოვლითურთ უღონო ქმნილი, საბრალო ამბროსი გმადლობ, რომელმან ღირს-მყავ უღირსი ესე მოჭედასა და შემკობასა წმიდისა ხატისა შენისა პორტაიტისა (კარისა). აჰა, დედუფალო, შეიწირე მცირე ესე, ჩემ ცოდვილისა მიერ კადრებული და დაიცევ ნეშტიც ხოვრებისა ჩემისა უცოდველად და, ჟამსა საწყალობლისა სულისა ჩემისაგან სვლისასა, შემეწიე და უჩინო ჰყვენ ყოველნივე ცოდვათა ჩემთა ხელით წერილნი, და წარმადგინე ცოდვილი საყდართა მისსა და ღმრთისა შენისათა დიდებად ძისა შენისა და თანადაუსაბამო?სა მამისა მისისა და ყოვლადწმიდისა სულისა მისისა, აწ დამარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.**

ივერიის ღვთისმშობლის ხატთან დაკავშირებით ცნობილია მამა გაბრიელის მოწოდება ქართველი ერისადმი: **„სანამ ერი მუზეუმიდან ანჩისხატს არ დაიბრუნებს, აწყურის ღმრთისმშობლის ხატი არ გამოჩნდება და ივერიის ღმრთისმშობლის ხატი არ ჩამოზრძანდება, როგორღა გაბრწყინდება საქართველო?“**

GEWORLD.GE

**მამა გაბრიელის მოწოდება ქართველი ერისადმი:**

**«სანამ ერი მუზეუმიდან ანჩისხატს არ დაიბრუნებს, აწყურის ღმრთისმშობლის ხატი არ გამოჩნდება და ივერიის ღმრთისმშობლის ხატი არ ჩამობრძანდება, როგორღა გაბრწყინდება საქართველო?»**

ვაი ქვეყნისაგან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ რესტავრაცია გვინდა, ეს საქმე უნდა გავაკეთოთ იმ მასალით, რომლითაც შეიქმნა ეს ძეგლი. ეს ქრესთომატიულია. სამწუხაროდ, ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ბევრს, ვისაც ამ საქმისთვის ხელი აქვს მოკიდებული, განათლება აკლია. ან განათება აკლიათ ან არ ჰყოფნით პროფესიული პატივისცემა საკუთარი საქმისადმი და მიჰყვებიან სხვის ნაკარნახევს — როგორ გააკეთონ.“

# ვილაცის ხოშს შეწირული ბაგრატის ტაძარი

„სექტემბერში ვხსნით ბაგრატს“
*მიხეილ სააკაშვილი*

„სიძველისადმი გრძნობა, პატივი თუ შენში ოდნავ მაინც ელვარებს“...
*იოსებ გრიშაშვილი*

**ქუთაისში ბაგრატის ტაძარს, როგორც მიხეილ სააკაშვილმა თქვა, სექტემბერში ვხსნითო. ეტყობა, წითელი ლენტის გაჭრას აპირებს... და სანამ ეს საზეიმო ცერემონიალი დაიწყება, მოდით, ვთხოვოთ გამოჩენილ ქართველ არქიტექტორსა და მოღვაწეს — გიგა ბათიაშვილს, ორიოდ სიტყვა გვითხრას რესტავრაციის პრობლემების შესახებ: ღირს კი ტაშის დასაკრავად იმ „გახსნაზე“ მისვლა?**





— ისტორიული ღირებულებანი, — **ამბობს ბატონი გიგა**, — სხვადასხვა მაჩვენებლის ერთობლიობაა: ასაკი, რომელიც ილუსტრაციაა იმ დროის, იმ ეპოქის, რომელშიც იგი დაიბადა, შეიქმნა და „ფეხზე დადგა“ — ისტორიის ძეგლია; მეორე, როცა მას გააჩნია მხატვრულ-კულტურული ღირებულება, და მესამე, როცა თავისთავად არც მხატვრული, არც არქიტექტურული თვალსაზრისით არავითარ ემოციებს არ იწვევს, სამაგიეროდ აქვს ბიოგრაფია, ანუ ამ შენობაში თუ ამ ადგილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ერისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურა.

აი, მაგალითად, თბილისში, კალას უბანში, არის სახლი, სადაც პლატონ იოსელიანი ცხოვრობდა **(პლატონ იოსელიანი — დიდი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი, არქეოლოგიის მრავალმხრივი მკვლევარი, ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების შემსწავლელი და გამომცემელი და ა.შ. — ა.ს.),** არაფრით გამორჩეული. მაგრამ სწორედ იქ დაწერა ამ შესანიშნავმა სწავლულმა თავისი ქრესთომატიული მნიშვნელობის ნაშრომები.

**— თქმულიდან რა უნდა დავასკვნათ, ბატონო გიგა?**

— ის, რომ ყველანაირი ჩვენი ქმედება იმ ეროვნული ღირებულებების მიმართ, რომელთა არაერთ გამოვლენაზე ესესაა მიგანიშნეთ, ძალზე ფრთხილი, სათუთი და ყურადღებიანი დამოკიდებულება გვმართებს, რათა მეცნიერული ცოდნით შეიარაღებულებმა გავუხანგრძლივოთ სიცოცხლისუნარიანობა.

ნებისმიერ ასეთ ობიექტს რატომ ვუფრთხილდებით? იმიტომ, რომ სხვა თაობებმაც იხილონ, დააფასონ, შეისისხლხორცონ და იმ ქვეყნის ღირსეულ შვილებად იგრძნონ თავი, რომლშიც ეს ყველაფერი იქმნებოდა.

**— თქვენის ნებართვით, კონკრეტიკაზე გადავიდეთ.**

— გადავიდეთ, თორემ ლექციასავით გამომდის.

**— შეაფასეთ, თუ შეიძლება, ამ კუთხით ჩვენი დღევანდელობა.**

— ზოგ შემთხვევაში კმაყოფილი და აღტაცებულიც კი ვარ იმით, რაც ამ მიმართებით კეთდება, რადგან შედეგები მისაღებია. მაგრამ უმეტესად ვეწინააღმდეგები იმიტომ, რომ არ ჯდება იმ ჩარჩოებში, რომლებზეც ვილაპარაკეთ.

მე მესმის თქვენი ინტერესი, რომელიც ახალი ამბავია და ქუთაისის ბაგრატის ტაძართან არის დაკავშირებული.

**— ახალი — პირობითად, რადგან ამ ტაძრის რესტავრაციასთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა საზოგადოებრივი ინტერესის საგანი, კარგა ხანია, არის.**

— ჩემს დამოკიდებულებას გეტყვით. თუ კი ქალაქში, ამ შემთხვევაში ქუთაისში, შეიქმნება ადამიანის კომფორტული ცხოვრებისთვის საჭირო პირობები, ამას რა სჯობს, რადგან კომფორტული არსებობა განაპირობებს პიროვნულ სიამაყესაც და თავისუფლებასაც, მაშასადამე, ადამიანების საქმიანობა უფრო სასარგებლო იქნება ქვეყნისთვისაც და ხალხისთვისაც.

ასეთი სიახლეები არ მაღიზიანებს.

მაგრამ, ამასთან ერთად, კეთდება ისეთი რამ, რაც ჩემთვის სრულიად მიუღებელია, სრულიად უცხოა ზოგადად ქართული კულტურისთვის და არ არის აღმოცენებული ქუთაისის არქიტექტურული სახის სპეციფიკიდან, ფესვიდან.

თბილისს თავისი სახე აქვს, ქუთაისს — თავისი. თუმცა ბევრიც საერთოა. მნიშვნელი შეიძლება საერთო ჰქონდეს, მაგრამ გამოვლენა — სხვადასხვა. ეს ისეთივე ნორმალური მოვლენაა, როგორც ქართული ენის განსხვავებული კილოკავები.

ჩვენ აღმოცენებულები ვართ ქრისტიანობის საფუძველზე, ვართ ფორმირებული რუსთაველის იდეოლოგიით, რომელმაც საუკუნე-ნახევრით გაუსწრო ევროპულ რენესანსს.

**ქუთაისური არქიტექტურის ძირი და ფესვი ცოცხალია და მას ჰაიჰარად ვერ უარყოფ და ვერ შეცვლი. ისევე, როგორც თბილისთან დაკავშირებით მიუღებელია ძველის გარიყვით „ახალი ეპოქის“ შექმნა, ასევე, ქუთაისშიც აუცილებელია ტრადიციის, შთამომავლობითი პრინციპის დაცვა.**

ამის შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებთან ადრეც გვისაუბრია.

ახლა, კერძოდ, ბაგრატის ტაძარზე ვთქვათ, რომელიც ღვთისმშობლის მიძინების სახელზეა აგებული XI საუკუნის პირველ ოცწლეულში და რომლის ნანგრევების მეცნიერული შესწავლის, აღდგენა-კონსერვაციის სამუშაოები 1952 წლიდან მიმდინარეობდა.

ბაგრატ მესამემ, ყველამ ვიცით, საქართველოს სამეფოს გაერთიანება მოახერხა.

**— ტაძარი ამიტომ ერთიანი საქართველოს სიმბოლოდაა მიჩნეული.**

— დიახ. აღმოსავლეთ საქართველოში — სვეტიცხოველი, დასავლეთში — ბაგრატის ტაძარი, ერთმანეთის საპირწონეები. ასეთი იყო ბაგრატ მესამის ზეობის ხელწერა...

მეოცე საუკუნემდე ამ ტაძარმა უმშვენიერესი, ულამაზესი ნანგრევების სახით მოაღწია.

**— „ნაშთი ძველი დიდებისა“...**

— საგანგებოდ ვერ მოაწყობდი იმ სცენას, იმ კომპოზიციას, ტაძრის ეზოში კაპიტელები და კოლონის ძირები რომ ეგდო ფრთამოტეხილი კედლების ფონზე.

**შესანიშნავმა ქართველმა რესტავრატორმა, არქიტექტორმა ვახტანგ ცინცაძემ ბევრი იმუშავა ბაგრატის ტაძრის შესწავლაზე და მისი კონსერვაცია მოახერხა, გაუხანგრძლივა სიცოცხლე. საჭირო იყო მისი მეთოდების გამოყენებით მივდგომოდით ტაძრის ისტორიული ღირებულების შენარჩუნებას.**

ისტორია კი გვასწავლის, რომ არსებობს არაერთი ძეგლი როგორც ჩვენს ეროვნულ, ისე ევროპის კულტურაში, როცა ძველ ტაძარს მიუშენებდნენ მეორეს — ახალს, მესამეს, პატივისცემისა და მადლიერების ნიშნად, რომ ქრისტიანობამ შემოინახა ერი, სულიერების გადარჩენის ნიშნად.

**ჩვენც ასე რომ მოვქცეულიყავით, აგვეგო მეორე ბაგრატი, იქვე, გვერდზე, რა დაშავდებოდა?! რატომ უცვლი ისტორიას? თუ ისტორიის გამდიდრება გინდა, შექმენი შენი. მოვა მესამე თაობა და, თუ საჭიროდ ჩათვლის, მიუშენებს თავის ტაძარს. ნუ წავშლით პირვანდელს, ნუ შევუცვლით სახეს.**

ჩემი დამოკიდებულება უშუალოდ ტაძრისადმი ასეთია. ერთ-ერთი ვარ იმ ათასობით ადამიანთა შორის, ვინც აღტაცებული იყო ბაგრატის ტაძრის დიდებული ნანგრევებით: თან გვეტირებოდა, თან გვიხაროდა, რომ ეს მშვენიერება, ვერსად სხვაგან ვერ განმეორდებოდა.

**— ესე იგი, დაიკარგა ძველი ბაგრატი?**

— ცხადია, წაიშალა. დარჩა ტექსტი, რომ ამ ადგილზე იყო ბაგრატის ტაძარი. შენობას რა სახითაც ამთავრებენ, სუბიექტური ხედვით გადაწყვეტაა. რაღაც ფრაგმენტებით დამაჯერებელია, რადგან ის ფრაგმენტები მიწაზე ეყარა და შენობას აშკარად ეტყობოდა, საიდანაც იყო ამოვარდნილი. ამის ზუსტად აღდგენა შეიძლება, მაგრამ ტაძრის დაგვირგვინება, მისი გუმბათი სუფთად სუბიექტური აღქმაა. რა უფლება მაქვს, ჩემი ხედვით წარმოდგენილი ისტორიის წაკითხვა გაიძულოთ?

**— სამშენებლო მასალაზე მინდა გკითხოთ: იტალიაში, საბერძნეთში არაფერი იციან თანამედროვე სამშენებლო მასალების შესახებ? არაფერი გაუგიათ რკინაბეტონზე, არმატურაზე, მეტალოპლასტიკატზე და ამიტომ არც ფიქრობენ მათ გამოყენებას ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოების დროს?**

— არ გამოუყენებიათ იმიტომ, რომ არც უცდიათ, ეს ძეგლები თანამედროვე ცხოვრების მწყობრში ჩაეყენებიათ.

ევროპის ტრადიციულ ქვეყნებში აქვთ მოწიწებული დამოკიდებულება თავიანთი ისტორიული სიწმინდეების, ძეგლების მიმართ და მხოლოდ და მხოლოდ მათ რესტავრაციაზე ზრუნავენ.

რესტავრაცია და კონსერვაცია კი და-ძმასავით არიან: რისი რესტავრაციაც შეუძლებელია, კონსერვაციას ექვემდებარება.

**თუ რესტავრაცია გვინდა, ეს საქმე უნდა გავაკეთოთ იმ მასალით, რომლითაც შეიქმნა ეს ძეგლი. ეს ქრესთომატიულია. სამწუხაროდ, ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ბევრს, ვისაც ამ საქმისთვის ხელი აქვს მოკიდებული, განათლება აკლია. ან განათება აკლიათ ან არ ჰყოფნით პროფესიული პატივისცემა საკუთარი საქმისადმი და მიჰყვებიან სხვის ნაკარნახევს — როგორ გააკეთონ.**

**— ტურისტებისთვის მიმზიდველი რომ გახდესო?**

— მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ცხოვრება ასე თუ ისე კალაპოტში ჩადგა და გაცხოველდა ტურიზმი, ბერძნებმა, ისტორიული პართენონი „ტურისტების შემოსევისგან“ რომ დაეცვათ, ძეგლის ტერიტორიაზე მარმარილოს ნატეხები დაყარეს, და მალემრწმენთა არმიაც კმაყოფილი დარჩა — „ისტორიული“ ნამუსრევი მიჰქონდათ და არავითარ ვანდალურ გამოვლენას ადგილი არ ჰქონია.

**— ბაგრატის ტაძრის ნანგრევები ერის სულიერების იმ ხელქმნილი ძეგლის ნაწილია, რომელიც საკრალურ სიძლიერეს გამოასხივებს. თანამედროვე სამშენებლო მასალების „სარკოფაგში“ მოქცეულს ხომ დაეკარგება თავისი ძალა და სიწმინდე? რწმენაზე ვლაპარაკობ.**

— სხვა კუთხით შევხედოთ. ამ სიწმინდემ გადაარჩინა ქართველი ერი. დღეს საშუალება გვიჩნდება, რომ წინაპართა ნაკვალევზე უფრო ხმამაღლა ვთქვათ ჩვენი სიტყვა და გავაგონოთ დანარჩენ სამყაროს, რომ ვარსებობთ, ვაპირებთ ცხოვრებას და საქმის კეთებას, **ისტორიას სახე კი არ შევუცვალოთ, არამედ დავტოვოთ ისეთად, როგორიც არის, როგორც ჩვენამდე მოაღწია, და ვაჩვენოთ მსოფლიოს, რომ ვართ ძლიერი ერი, რომელიც ნანგრევებიდან აღვდექით. აგვეშენებინა იქვე ახლოს ახალი ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, ხოლო ისტორიულის რესტავრაცია-კონსერვაცია გაგვეხორციელებინა.**

**ვაშენოთ ახალი, მაგრამ მომავალ თაობებს დავუტოვოთ ის ძარღვი და ის ფესვი, რომელიც დღესაც გვაცოცხლებს.**

ასეთია ეროვნული ყოფის ფილოსოფიის ჩემეული გაგება: გუშინდელის ამოკითხვა, გააზრება და ხვალინდელის გონივრული დაგეგმვა.

**— ის, რაც ბაგრატთან დაკავშირებით გაკეთდა „კიჩია“?**

— შეიძლება — კი. როცა არაპროფესიულია, „კიჩია“, როცა ისტორიულად, მეცნიერულ საფუძველზე არ არის წარმოდგენილი, „კიჩია“.

**— ქუთაისში ქუთაისობაზე ნასროლი იყო ფრაზა „ბაგრატს სექტემბერში გავხსნითო“. ასეთ დამოკიდებულებას (ტაძარი და გახსნა?!) ხომ არ ეწირება არქიტექტურაც, რესტავრაციაც, და ბაგრატიც ამის მსხვერპლი ხომ არ არის?**

— რა თქმა უნდა, არის.

**— ე. ი. საქართველოში ყველაფერი...**

— ისევ ხოშით იმართება! პირველად თქვენთან საუბარში ვთქვი ასე, ხშირადაც გავიმეორე, რადგან საქართველოში მას შემდეგ არაფერი შეცვლილა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**გავრცელებული ვერსიით, ირაკლი ალასანიასთან ახლო ურთიერთობას შეეწირა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამმართველოს მაღალჩინოსანი გოგი ნაჭყებია. იგი კონტრაბანდული საქონლის გადმოტანის ბრალდებით დააკავეს და ორთვიანი წინასწარი პატიმრობა აქვს მისჯილი.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი, ანუ სომხური არჩევნების ქართული გაყალბება



**ვიდრე მთელი საქართველო სულგანაბული ელის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს, საქართველოს ხელისუფლება გაჭირვებაში მყოფ სომეხ ძმებს იქით ეხმარება. ვარაუდი იმის შესახებ, რომ ძმები ერთმანეთს არჩევნებისას აუცილებლად გაუმართავდნენ ხელს, რამდენიმე თვის წინაც გამოითქვა და, მართლაც, სომხეთში საპარლამენტო არჩევნების გამართვისთანავე ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მოქალაქეები სომხეთის რესპუბლიკურ პარტიას აძლევდნენ ხმას.**

ეს უკანონობა უთუოდ გაფიქრებინებს, რომ ოქტომბერში იმავეს გააკეთებს ის ათასობით სომეხი, რომელთაც საქართველოს ხელისუფლებამ ბოლო წლებში დაჩქარებულად მიანიჭა მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქე სომხებიც, სავარაუდოდ, კვლავ სააკაშვილს მისცემენ ხმას. **ვიდრე ივანიშვილი იმის დამტკიცებას ლამობს, რომ საქართველოს მოქალაქეობა ნამდვილად ეკუთვნის, მისი მთავარი ვიზავის – სააკაშვილის სასარგებლოდ ხმას სომხეთის მადლიერი ხელისუფლების მითითებით ადგილობრივი სომხები და ორგანიზებულად ჩამოყვანილი სომხეთის მოქალაქეები მისცემენ.** ამ „გონივრულ ეჭვს“ საფუძველი ნამდვილად აქვს:

სომხეთში მოქმედმა საზოგადოებრივმა ჯგუფმა „სომხეთი ფალსიფიკაციის გარეშე“ თხოვნით მიმართა ქვეყნის სპეცსამსახურებს, გამოაქვეყნონ იმ მოქალაქეთა მონაცემები, ვინც 3-დან 5 მაისამდე სომხეთის სახელმწიფო საზღვარი საქართველოდან გადმოკვეთა. მოთხოვნის მიზეზი გახდა ის, რომ სამოქალაქო საინიციატივო ჯგუფის ინფორმაციით, ეთნიკური სომხებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონიდან, ჯავახეთიდან, საქართველოს მოქალაქეები სომხეთის საპარლამენტო არჩევნებში უკანონო მონაწილეობისთვის ჩამოიყვანეს.

**„ჯავახეთის რეგიონიდან სომხეთში ავტობუსებით უამრავი ადამიანი ჩამოიყვანეს. იმის მიუხედავად, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან, მათ სომხური პასპორტებიც აქვთ და საარჩევნო სიებშიც არიან. საქმე გვაქვს ჯავახეთის სომხებისთვის უკანონოდ გაცემულ სომხურ პასპორტებთან, რაც მათ ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობის უფლებას აძლევს. ავტობუსებს, რომლითაც ჯავახეთიდან საქართველოს მოქალაქეები ერევანში ჩაიყვანეს, რუსულენოვანი ტრაფარეტი ჰქონდა, „ჯავახკი რესპუბლიკური პარტიის მხარდასაჭერად“. ჯავახეთის მოსახლეობა აცხადებს, რომ კორტეჟს ახალქალაქის პოლიციის უფროსის შვილი აცილებდა“**, — ნათქვამია მიმართვაში.

ახალქალაქის პოლიციის უფროსის შვილი რომ ვანო მერაბიშვილის ნებართვის გარეშე „ხმის მიმცემებს“ საზღვარგარეთ ვერ წალალავდა, ეს ბავშვსაც ესმის. ქართული ოპოზიცია კი თავს იმით იმშვიდებს, რომ ოქტომბერში გაყალბებას არ დაუშვებს და სააკაშვილის რეჟიმს დაემშვიდობება. **დაიცავით დღეს სომეხი ხალხის არჩევანი, თუ გინდათ, რომ ოქტომბერში არჩევანი გქონდეთ!**

# დიდი სამამულო ომის ვეტერანი, აფხაზეთიდან დევნილი, 89 წლის ივანე ჟვანია ზუგდიდში დღემდე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს

**კაცობრიობა ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წლისთავს ზეიმობს. ყოველწლიურად მცირდება სამამულო ომის მონაწილე ვეტერანთა რაოდენობა. „ჩვენ, ვინც დავრჩით, ყველანი 90 წელს მიღწეულნი ვართ, ამიტომაც გვჭირდება განსაკუთრებული ყურადღება, საარსებო მინიმუმი. ძალიან ბევრი ვეტერანი გარდაიცვალა საკვებისა და მკურნალობის სახსრების უქონლობით“, — აცხადებს სამამულო ომის ვეტერანი, აფხაზეთიდან დევნილი, 89 წლის ვანო ჟვანია, რომელიც ხელისუფლების გულგრილობის გამო დღემდე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს.**

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეის მკვიდრი ვანო ჟვანია 19 წლის იყო, როცა 1942 წლის მაისში ჯარში გაიწვიეს. ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლა ყველაზე სახიფათო და ყველაზე საშიშ ადგილებში მოუწია, სადაც ათასობით ჩვენი თანამემამულე დაიხოცა. ეს იყო ქერჩი, ნოვოროსიისკი, ტამანი, ანაპა, სევასტოპოლი. ეს ის ადგილებია, სადაც 1947 წლის აპრილამდე იმყოფებოდა ბატონი ივანე. მხოლოდ 10 დღით გამოეთიშა ბრძოლებს, როდესაც მსუბუქად დაიჭრა ყელის არეში. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო 1942 წლის ნოემბერი. **„საშინელი ბრძოლის გადატანის შემდეგ მიცვალებულებს ვასაფლავებდით, ჩემ წინ დროგი გაჩერდა, გავიხედე და დედაჩემი არ ვნახე? კინაღამ გავგიჟდი, როგორ მოახერხა ჩამოსვლა ან როგორ მომძებნა დედაჩემმა, რომელმაც საერთოდ არ იცოდა რუსული ენა? მან მამაჩემის დაღუპვის ამბავიც შემატყობინა. მამაჩემი იასონ ჟვანია ჩემს მერე გაიწვიეს ჯარში და 44 წლის ასაკში 1942 წლის ივნისში სტალინგრადთან დაიღუპა“**, — აღნიშნა ვანო ჟვანიამ. გამარჯვების დღეს 9 მაისს სევასტოპოლში შეხვდა, სადაც კიდევ 2 წელი დარჩა და სამხედრო ტყვეებს დარაჯობდა.

მედლებითა და ორდენებით დაჯილდოებული ვანო ჟვანია სოფელ ოხურეიში ქართულ-აფხაზურ კონფლიქტამდე ბრიგადირად მუშაობდა. 1949 წელს ცოლად შეირთო მედიკო კვეკვესკირი, რომელიც 1988 წელს გარდაიცვალა. შეეძინათ შვიდი შვილი, რომელთაგან ნუგზარი, სოფელ ოხურეის ყოფილი საბჭოს თავმჯდომარე, 2002 წელს თბილისში გარდაიცვალა. ამჟამად ვანო თავის ქალიშვილ ზაირასთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს ქალაქ ზუგდიდში. **„ჩემი შვილები გაბნეულნი არიან — ზოგი მოსკოვში, ზოგი სანკტ-პეტერბურგში, ზოგიც — თბილისში. ჩემი ზუგდიდში დარჩენა განაპირობა დედაჩემმა ჟენია მებონიამ, რომელმაც არ ისურვა სხვაგან წასვლა, ზუგდიდში მინდა ჩემს თვისტომთანო. დედაჩემი 2003 წელს გარდაიცვალა 100 წლის ასაკში“**, — განაცხადა ვანო ჟვანიამ.

ბატონი ვანო იხსენებს ძველ დროს, როდესაც ომის ვეტერანებს ყურადღება და მზრუნველობა არ აკლდათ. **„საბჭოთა კავშირის დროს მართლაც არ გვაკლდა ყურადღება. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი ვიყავი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატი, ახლა კი არავის ვსჭირდები, არავინ ყურადღებას არ მაქცევს. მე ამ ხელისუფლებას არაფერს ვთხოვ, გარდა ბინისა. სად და ვის არ მივმართე, რომ ჩემთვის მოეცათ თავშესაფარი, რადგან ქირის გადახდის საშუალება არ გამაჩნია. გვპირდებიან, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება. ჩვენ, სამამულო ომის ვეტერანები, ხომ თითებზე ჩამოსათვლელნი დავრჩით და მოფერება და მზრუნველობა გვჭირდება“**, — დასძინა ბატონმა ვანომ.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

**P.S. ბატონმა ვანო ჟვანიამ იცის, რომ ზუგდიდში არსებობს ორგანიზაცია — სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ და ძალიან ეამაყება, რომ ამ მოძრაობას ხელმძღვანელობს მისი რაიონის, ოჩამჩირის, მკვიდრი ალექსანდრე ჭაჭია. სწამს და სჯერა, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დარეგულირებასა და მოგვარებაში ალექსანდრე ჭაჭია აუცილებლად შეასრულებს უდიდეს როლს.**

# «ქართული ოცნების» ზუგდიდის ოფისს მსჯავრდებული უხელმძღვანელებს

**პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ზუგდიდის ოფისის გახსნა რამდენიმეჯერ გადაიდო. გავრცელებული ვერსიით, ყოფილ რესტორან „უკრაინის“ შენობაში განთავსებული ამ შესანიშნავი ოფისის ხელმძღვანელობა ბევრს სურდა, სწორედ ეს დავა და წინააღმდეგობა იყო გახსნის გაჭიანურების მიზეზი, მაგრამ ყოველივე ამას წერტილი დაუსვა ირაკლი ალასანიამ. ყველასთვის მოულოდნელად, ზუგდიდში თავის მხარდამჭერებთან შეხვედრისას მან კოალიცია „ქართული ოცნების“ ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელად დაასახელა თავისი პარტიის წევრი, მსჯავრდებული სერგო ჩაჩიბაია, რომელსაც მისჯილი აქვს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით.**



ზუგდიდში, ენგურქაღალდკომბინატის კულტურის სახლში, შეკრებილნი მიესალმნენ ირაკლი ალასანიას ამ გადაწყვეტილებას, რადგან სერგო ჩაჩიბაია იქნება ამ ოფისის სიმბოლური ხელმძღვანელი, აქტიურად კი „ქართულ ოცნებას“ ზუგდიდსა და მთელ სამეგრელოში ირაკლი ალასანია უხელმძღვანელებს.

ირაკლი ალასანიამ თავისი მოღვაწეობის დაწყება სამეგრელოში ხალხმრავალი შეკრებით დაიწყო. ამდენი ხალხი კომბინატის კულტურის სახლს, კარგა ხანია, არ ახსოვს. დარბაზი შეხვედრამდე ერთი საათით ადრე გაივსო ხალხით, ერთი იმდენი კი გარეთ იცდიდა. ყოველივე ეს კარგად ენიშნათ იქ მყოფთ და თავად ირაკლი ალასანიასაც. **„დღეს აქ ამდენი ხალხის მოსვლა დასტურია იმისა, რომ შიში უკვე გუშინდელი დღეა. დღეიდან შიშზე ლაპარაკი არ უნდა გავიგონო. ამიერიდან ძირფესვიანად იცვლება სამეგრელო. სამეგრელოდან, ზუგდიდიდან, დაიწყება ამ ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი. დღეიდან სამეგრელოში**



**თავისუფლება იწყება“**, — მიმართა დარბაზს ირაკლი ალასანიამ.

„ქართულ ოცნებას“ და ირაკლი ალასანიას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ცნობილმა ნეიროქირურგმა, აფახაზეთის მკვიდრმა ნაპო მესხიამ. **„მე ჩემს ცხოვრებაში ორჯერ შევცდი: პირველად, როდესაც დაუჯერე ედუარდ შევარდნაძეს, და მეორედ, როცა ხმა მივეცი მიხეილ სააკაშვილს. მჯერა, რომ მესამედ არ შევცდები, თუ გვერდით დავუდგები ირაკლი ალასანიასა და ბიძინა ივანიშვილს. ამიტომ მოგიწოდებთ აფხაზეთიდან დევნილებს, თქვენც ჩემსავით გვერდით დაუდგეთ ამ პიროვნებებს“**, — აღნიშნა შეხვედრაზე გამოსულისას ნაპო მესხიამ. მსჯავრდებული სერგო ჩაჩიბაია სასამართლო პროცესზე წარსდგება, როგორც „ქართული ოცნების“ ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი. გავრცელებული ვერსიით, იგი სწორედ ირაკლი ალასანიასთან და „ქართულ ოცნებასთან“ აქტიურად თანამშრომლობის გამო არის დაპატიმრებული. ასევე გავრცელებული ვერსიით, ირაკლი ალასანიასთან ახლო ურთიერთობას შეეწირა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამმართველოს მაღალჩინოსანი გოგი ნაჭყებია. იგი კონტრაბანდული საქონლის გადმოტანის ბრალდებით დააკავეს და ორთვიანი წინასწარი პატიმრობა აქვს მისჯილი.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლება აღიარებს, რომ მაშინ, როდესაც რუსთაველის პროსპექტზე რგავს ტიტებს, ენძელებს, კამელიებს, მაშინ, როდესაც აშენებს შადრევნებს, ღებავს სახლებს, ტროტუარებზე ბაზალტის ფილებს გრანიტით ჩაანაცვლებს, როდესაც აწყობს მასობრივ საესტრადო შოუებს, მაშინ იგი ცალი ხელით ამ 690 ათასი კაცის ცოდვით თვალებზე მომდგარ ცრემლს იწმენდს. ე.ი. გაჩნდა საქართველოში საკუთარი ქართული ორიენტირი, სიღარიბის არა ფარდობითი, არამედ აბსოლუტური სიდიდის აღსანიშნავად.**

# ღარიბების ქვეყანა

**წერილი პირველი**

**ქართულ პრესას რომ ვეცნობი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თითქოს მთელი მსოფლიო გაფაციცებით ადევნებს თვალს ჩვენს ყოველდღიურობას! ამის პარალელურად არიან სკეპტიკოსები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველო ერთი პატარა და „ნაკლული" ქვეყანაა, რომლისადმი ინტერესს სერიოზულად არავინ იჩენს და ამიტომ სრულადაა დამოკიდებული დიდი სახელმწიფოების მითითებებზე. ზოგჯერ გვხვდებიან ზომიერი, გაწონასწორებული აზრის მატარებლებიც. თუ გვსურს, რეალისტები ვიყოთ, ეს პრობლემა გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესის გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ. ასევე, გვერდს ვერ ავუვლით მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე ეკონომიკურ კრიზისს, რომელშიც მსოფლიოს ერთიანი ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობაზე დაკვირებული და მაფიქრალი ხალხის აზრით, არაფერია განსაკუთრებული!**



## ეკონომიკური კრიზისის ფრთებქვეშ

მიხეილ სააკაშვილი და ხელისუფლების „მოლაპარაკე თავები" დაჟინებით ჩაგვჩიჩინებენ, რომ, მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, საქართველოს ეკონომიკა შედარებით სტაბილურია, მაშინაც კი, როდესაც რუსეთის მილიტარისტული მანქანა მთელი სიძლიერით დაგვესხა თავს (2008 წ.), ჩვენი ეკონომიკა მტკიცედ იდგა! ამის მიზეზი ჩვენი აქტიურობა არ ყოფილა, მაშინ და ახლაც ეკონომიკური შედეგები საქართველოს დამოუკიდებელი ეკონომიკური ძალისხმევიდან არ გამომდინარეობდა. ეს იყო ჩვენი იმ მეგობრების დამსახურება, რომლებსაც სურთ, საკუთარი ინტერესების არეალში მოაქციონ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური რესურსი.

**გამოდის, რომ ჩვენი რესურსების სხვათა მიერ საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენებაში გვაძლევენ სათანადო საზღაურს, რომელიც იღებს იაფი კრედიტებისა და მიზნობრივი გრანტების ფორმას, რაც მძიმე ვალად ედება ჩვენს ეკონომიკას. ქვიშაზე შენდება კოშკი, უფრო სწორად, უსაფუძვლო პირამიდა.**

ამ საკითხზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ **ორიენტირების გარეშე ეკონომიკა უწესრიგო, ურთიერთგამომრიცხავი ქაოტური პროცესების სიმრავლეს წარმოადგენს, რომლის შედეგიც აუცილებლად ჩიხია.**

დღეს შეუიარაღებელი თვალიც ხედავს, რომ საქართველო არ ცხოვრობს იმ შემოსავლებით, რომლებსაც თვითონ ქმნის. **ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალის სიდიდემ და მისი გამოყენების პრაქტიკამ ჩვენი ყაზახი მეგობარი ნურსულთან ნაზარბაევიც კი შეაშფოთა და ყოველგვარი დიპლომატიურობის გარეშე მოგვიწოდა, ჩავუფიქრდეთ საკუთარ საქმიანობას.**

თანამედროვე მსოფლიო კრიზისის შესახებ ჩამოყალიბდა საერთო აზრი, რომლის მიხედვით ეკონომიკური დეპრესიის მომაკვდინებელი დარტყმები ამძაფრებს საერთაშორისო კონკურენციას და ყველა ქვეყანა ვალდებული ხდება, მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი რესურსები, რათა შეამციროს საერთო კრიზისიდან მომდინარე დარტყმები.

გავყვეთ ამ ლოგიკას: საქართველოში **2010 წელს ხორბლის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე 1,1 ტონა იყო. მეგობარი ქვეყნების ძლიერი დახმარება რომ არა, შიმშილის ზონაში აღმოვჩნდებოდით. შეიძლება ითქვას, რომ გლობალურ გარემოში აქტიურმა ინტეგრაციამ გვიხსნა 2008 წელს ეკონომიკური კატასტროფისგან** და ამ ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისის პერიოდშიც ჩვენი ეკონომიკა თავის ძირითად პარამეტრებში აგრძელებს მოქმედებას. მაგრამ, **თუ ჩვენი 850 ათასი ჰექტარი სახნავი მიწებიდან დავამუშავებდით 650 ათასს მაინც (როგორც 1996 წელს), სწორი სპეციალიზაციისა და აგროკულტურის მისაღებ დონეზე, მაშინ ქვეყანაში საგრძნობლად მოიკლებდა უმუშევრობაც და ღარიბი ადამიანების რაოდენობაც.** ჩვენთვის ბევრად უსაფრთხო იქნებოდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და გაჩნდებოდა მომავლის იმედი, თავიდან ავიცილებდით 2011 წლის ჰიბრიდული სიმინდის სამარცხვინო კამპანიას და სხვა მანკიერებას, რაც ჩვენი ქვეყნის სასოფლო სექტორში დამკვიდრებული.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქმედითი, კარგად გათვლილი, მომავალზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე არაფერი გამოგვივა.

## ადამიანის ფაქტორი – კი, ფუყე რეფორმები – არა

**„ჩვენ არც ნავთობი გვაქვს და არც სხვა მნიშვნელოვანი რესურსი",** — ამბობენ ჩვენში და გამოსავალს ქვეყნის საზოგადოებრივი სისტემის მუდმივ რეფორმირებაში ხედავენ. მინდა შევახსენო ყველას, რომ ჩვენ გვაქვს რესურსი, რომელსაც სწორი გამოყენება ესაჭიროება. **მსოფლიოს ბანკის მონაცემებით, ნებისმიერ მაკროეკონომიკაში სამეურნეო შედეგები მხოლოდ 15 პროცენტით არის დამოკიდებული ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე, 25 პროცენტი — ტექნოლოგიებზე, დანარჩენი 70 პროცენტი ადამიანურ კაპიტალზე მოდის.** თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ადამიანების შრომის შედეგია, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური მიღწევების 85 პროცენტი ადამიანების დამსახურებაა. ამიტომ აუცილებელია საქართველოში ადამიანის განვითარების საკითხების განხილვა.

**გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ, თუ ქვეყნები შეძლებენ, დანერგონ ადამიანის განვითარების ხარისხობრივი მაჩვენებლების მათ მიერ რეკომენდებული სტანდარტები, მაშინ განვითარებად ქვეყნებს ძალუძთ, 30 წელიწადში გაიარონ ის გზა, რომელიც განვითარებულმა ქვეყნებმა 300 წელიწადში დაძლიეს.**

გაერო გვთავაზობს, რომ ქვეყნებმა, ეკონომიკურის ზრდის გარდა, იზრუნონ ადამიანის განვითარებაზე, რომელიც გამოიხატება **სამი მთავარი მაჩვენებლით: 1. მოქალაქის სიცოცხლის ხანგრძლივობით, რომელიც, როგორც შედეგი, გამომდინარეობს ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის სისტემის ქმედითუნარიანობიდან; 2. ქვეყანაში მოსახლეობის განათლებულობით, რომელიც იზომება ქვეყნის მოსახლეობის (6 წლიდან 24 წლამდე) ჩართულობით საგანმანათლებლო სისტემაში; 3. მოქალაქისთვის ღირსეული ცხოვრების პირობებით, რაც იზომება ერთ სულ მოსახლეზე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით.** ამ სამი მაჩვენებლის აგრეგირებით მიიღება მეოთხე, „ადამიანის განვითარების მაჩვენებელი", რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ადგილს გაეროს რეიტინგში. ცნობისათვის: საქართველოს ამ მაჩვენებლით მსოფლიოში 57-ე ადგილი ეჭირა 2011 წელს, ხოლო 1997 წელს — 51-ე ადგილი.

ჩვენთან ჩატარდა და ახლაც გრძელდება **განათლების სისტემის რეფორმა**, რომლის ერთ-ერთი შედეგი ასეთია: **2011 წლის მონაცემების საფუძველზე, საქართველომ დაწყებითი განათლების ხარისხით მსოფლიოში 120-ე ადგილი დაიკავა. საგანგაშოა თავისთავად ეს ფაქტი, მაგრამ უფრო სავალალოა ის, რომ საქართველო ერთ დროს განათლების დონით მსოფლიო ლიდერი გახლდათ. მათ შორის, დაწყებითი განათლების თვალსაზრისით მრავალი ახალი მეთოდური წამოწყების ორგანიზატორი და პრაქტიკაში გამტარებელი.** საილუსტრაციოდ შეგახსენებთ: გურამ რამიშვილის გერმანულენოვან საშუალო სკოლას — დაწყებით კლასებში უცხო ენის სწავლების ორიგინალური მეთოდიკით; შალვა ამონაშვილის გახმაურებულ სიახლეს და კომაროვის სახელობის სკოლის პრაქტიკას. დღეს რა უბედურობა დაგვემართა, როდესაც დაწყებით სკოლაში სწავლების მეთოდიკის გაუმჯობესების ნაცვლად ვმსჯელობთ მოსწავლეთა ჩანთების წონაზე, სკოლაში მანდატურების მნიშვნელობაზე და ათას სხვა სწავლების ხარისხისთვის უმნიშვნელო საკითხებზე?! აშკარაა, რომ რეფორმა განათლების სისტემაში უხარისხოდ ჩატარდა. ეს არ იყო სისტემის ტრანსფორმაცია, რადგან მისი მიზნობრივი მახასიათებლები კი არ შეცვლილა, არამედ გაუარესდა.

ხელისუფლება თავს იწონებს **უმაღლესი სკოლის რეფორმით**... მაგრამ რას ვასწავლით ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას, რომელი მსოფლმხედველობის ბაზაზე გადაიცემა სასწავლო დისციპლინები, როგორია სწავლების მეთოდიკა? თუ ამ კითხვებს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ **ჩვენი უმაღლესი სკოლა აზროვნების ჰორიზონტის გაფართოებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე კი არ არის ორიენტირებული, არამედ საშუალო სკოლაში დაწყებულ რეპეტიტორულ საქმიანობას აგრძელებს, უკვე არსებული სასწავლო მასალის დასწავლაში ავარჯიშებს სტუდენტობას.** აღარაფერს ვიტყვი აკადემიური პერსონალისადმი დამოკიდებულებაზე, ამაზე ბევრი დაიწერა. განათლების მნიშვნელობა საქართველოში იმითაც შეიძლება შეფასდეს, თუ რა რაოდენობის ფული გამოიყო ბიუჯეტიდან **2012 წელს უმაღლესი სკოლისთვის — 100 მილიონი დაახლოებით 120 ათასი სტუდენტისთვის. ეს მაშინ, როდესაც პენიტენციალურ სისტემას 24 ათასი პატიმრისათვის გამოეყო ცოტა უფრო მეტი. ესეც — სახელმწიფოს პრიორიტეტები!**

საქართველოს **ჯანდაცვის სისტემაში** მიმდინარე რეფორმების წყალობით ჩვენი ჯანდაცვა მთლიანად ბევერჯის მიერ შემოთავაზებული მეთოდებით მოქმედებს. **ბევერჯის სისტემა კი გულისხმობს, რომ ავადმყოფმა ისე უნდა იმკურნალოს, რისი გადახდის უნარიც აქვს.** ასეთ პირობებში საინვესტიციო რესურსი, რომლითაც ახალი საავადმყოფოები აშენდა, თვით ავადმყოფთა და მათი ოჯახის წევრების გაძვალტყავებული შემოსავლიდან გაჩნდა. **ქვეყანაში, სადაც 22-მილიარდიანი მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში 3,5 მილიარდი** (თითქმის 15 პროცენტი) **ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯებია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხოლოდ ამ ხარჯების 10 პროცენტი იფარება. რა მოვლენასთან გვაქვს საქმე: რეფორმაა ეს თუ ტრანსფორმაცია?** ჩემი აზრით, ცუდმა რეფორმამ მართლაც გამოიწვია მიზნობრივ ამოცანათა სახეცვლილება და ამ სფეროზე პასუხისმგებელი პირების აზროვნების დეჰუმანიზაცია. თავის დროზე პროფესორმა მუხაძემ ბევერჯის სისტემის გაქართულებული ვარიანტი ასე გადმოსცა: „ავადმყოფი ლოგინში უნდა მო...სო". ამ სისტემის დანერგვის შედეგი დღეს ასეთია: **საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 71,5 წლიდან 69,6 წლამდე შემცირდა.**

**«საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 71,5 წლიდან 69,6 წლამდე შემცირდა»**

## ვინ დააწესა სიღარიბის ზღვარი?

**გამუდმებით გაისმის ხმები და მოჰყავთ ციფრები, თუ ვინაა და რატომაა სიღარიბის ზღვარს დაბლა ან მაღლა. მაინც რამდენი კაცია ჩვენთან სიღარიბის ზღვარს დაბლა? მოსახლეობის 15 პროცენტიო, თქვა პრეზიდენტმა. ოპოზიციონერები ამბობენ, რომ 40-45 პროცენტიაო.**

მოდით, დავეთანხმოთ პრეზიდენტ სააკაშვილს.

სიღარიბის ზღვარს ყველა ქვეყანა თვითონვე განსაზღვრავს. მაგალითად, ამერიკაში 24 ათასი აშშ დოლარის ტოლია. გერმანიაშიც ამდენია. რუსეთი, უკრაინა, სლოვაკეთი და ზოგიერთი სხვა ქვეყანა განსაზღვრავს არა სიღარიბის ზღვარს, არამედ მოქალაქის საარსებო მინიმუმს და ამით არეგულირებს სოციალურ ტრანსფერებს. **საქართველოს ხელისუფლებას არ განუსაზღვრავს საკუთარი მოქალაქეებისთვის სიღარიბის ზღვარი, არც სამომხმარებლო მინიმუმი დაუდგენია, მაგრამ ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც ჩვენ ვართ, ე.ი. ვისაც ეს ზღვარი თავისთვის არ დაუდგენია, მსოფლიო ბანკმა დაადგინა: ვისაც დღეში 1,25 აშშ დოლარი აქვს, იგი სიღარიბის ზღვარზეა.**

მსოფლიო ბანკის ეს ნორმატივი ხელს აძლევს ჩვენს ხელისუფლებას და ამიტომ საქართველოში სიღარიბე ფასდება მსოფლიოს ბანკის მეთოდიკით. ჩვენი პენსიონერი თვეში იღებს დაახლოებით 70 აშშ დოლარს, რომელიც შეადგენს დღიურ 2,1 აშშ დოლარს. შესაბამისად, იგი მსოფლიო ბანკისთვის, აგრეთვე, ჩვენი ხელისუფლებისთვის მდიდარი კაცია. ის, ვინც თვლის, რომ საქართველოში მოსახლეობის 40 პროცენტი ღარიბია, გულისხმობს პენსიონერებსაც, რომლებიც მოსახლეობის 20 პროცენტს შეადგენენ, ამიტომ დავეთანხმოთ პრეზიდენტს და გვეცოდინება, რომ საქართველოში ცხოვრობს 690 ათასი კაცი, ვისი დღიური შემოსავალიც 1,25 დოლარზე, ე.ი. 2 ლარზე დაბალია. ამგვარად, **ხელისუფლება აღიარებს, რომ მაშინ, როდესაც რუსთაველის პროსპექტზე რგავს ტიტებს, ენძელებს, კამელიებს, მაშინ, როდესაც აშენებს შადრევნებს, ღებავს სახლებს, ტროტუარებზე ბაზალტის ფილებს გრანიტით ჩაანაცვლებს, როდესაც აწყობს მასობრივ საესტრადო შოუებს, მაშინ იგი ცალი ხელით ამ 690 ათასი კაცის ცოდვით თვალებზე მომდგარ ცრემლს იწმენდს. ე.ი. გაჩნდა საქართველოში საკუთარი ქართული ორიენტირი — სიღარიბის არა ფარდობითი, არამედ აბსოლუტური სიდიდის აღსანიშნავად.**

გამოდის, რომ, თუ მსოფლიო ბანკის ნორმატივით 690 ათასი ადამიანი საქართველოში ღარიბია, ასევე 900 ათასი (მოსახლეობის მეხუთედი, 20 პროცენტი) პენსიონერიც ღარიბია, რადგან მათი პენსია ვერ უზრუნველყოფს მათთვის ცილების საჭირო რაოდენობით კვებას. ასეთი კვებისთვის საქართვე- ▶

„ხელისუფლებას ხშირად ლობირებენ ამერიკელი პროფესიონალი მაღალჩინოსნები, რომელთაც, ალბათ, ესმით, რომ, როდესაც პოლიტიკური ოპონირება გადადის სიძულვილში, რადიკალიზმში, მტრობაში, იქ ტერორამდე ერთი ნაბიჯია. თუ ხელისუფლებაში ყოფნის სურვილი ისე აბრმავებს ადამიანს, რომ ქვეყნის მომავალი საკუთარი თავის გარეშე ვერ წარმოუდგენია, ის ხელისუფლების შენარჩუნების საშუალებად ყველა ღონეს, მათ შორის, ტერორსაც გამოიყენებს...“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...ლოში, საერთაშორისო ორგანიზაციების გათვლებით, დღეში საჭიროა 4,5 ლარი. ეს მსჯელობა უფლებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ **საქართველოში სიღარიბის ზღვარი უნდა განისაზღვროს: „დაცული ცილით“ უზრუნველყოფილი კვების ღირებულება** (4,5 ლარი), **პლუს მინიმალური კომუნალური გადასახდელები და სხვა დანიშნულების საქონელი და მომსახურება** (3 ლარი, კვების ღირებულების 40 პროცენტი), **მაშინ სიღარიბის ზღვარი იქნება 7,5 ლარი, რაც წელიწადში 2750 ლარს, თვეში 230 ლარს უდრის, ანუ ორჯერ მეტს, ვიდრე დღევანდელი პენსიაა.**

აი, რატომ არ განსაზღვრავს ჩვენი ხელისუფლება ქვეყანაში მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისთვის სპეციალურ-ეკონომიკურ ინდიკატორს. თავს არიდებს პენსიონერებთან და სხვა დაბალანაზღაურებული პერსონალთან (დღიურად ხუთ ლარად მომუშავეებთან) მოსალოდნელ გართულებებს. საქართველოში წლიური საშუალო შემოსავალი 2750 ლარზე დაბალი აქვს მოსახლეობის 40-45 პროცენტს. ამიტომ დისკუსია ამ საკითხზე მანამ იქნება რიტორიკის სფერო, სანამ ოპოზიცია არ ჩაატარებს სერიოზულ გამოკვლევას, არ განსაზღვრავს სიღარიბის რაციონალურ მაჩვენებელს და ზოგადი ემოციური დეკლარაციებიდან არ გადავა საფუძვლიან მოთხოვნაზე, რომ ხელისუფლებამ განსაზღვროს საკუთრივ საქართველოსთვის მოსახლეობის სიღარიბის განმსაზღვრელი ზღვარი.

**კორუფციასთან ბრძოლა ჩვენი ხელისუფლების მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევა, მაგრამ ელიტარული კორუფციის არსებობაც ფაქტია. ჩვენმა ზოგიერთმა დილეტანტმა „ექსპერტმა“ ელიტარული კორუფცია გაიგო, როგორც მინისტრებისა და სხვა ჩინოვნიკთა კორუმპირებულობის ფაქტის კონსტატაცია. ელიტარული კორუფცია კი არის ისეთი მოვლენა, როდესაც წინასწარგანზრახვით, ვისიმე გამდიდრების ან შემოსავლების შემცირების მიზნით, მიიღება საკანონმდებლო ნორმატიული აქტი.** მაგალითად, კანონი, რომლის მიხედვითაც იმ აქციონერებისგან, ვისაც ჰქონდა აქციების 4 პროცენტზე ნაკლები, კონტროლის პაკეტის მფლობელ აქციონერს შეეძლო მათი ნებართვის გარეშე შეეძინა აქციები საბაზრო ფასად (!). სხვა მაგალითი: **სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვა ვისიმე შეხედულების მიხედვით და შემდეგ შექმნილი მდგომარეობის დაკანონება ბიუჯეტში შესწორებების შეტანის გზით, ელიტარული კორუფციის კლასიკური მაგალითია.** ამის მაგალითია კერძო პოლიტიკური მიზნებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსების გამოყენებაც.

ამგვარად, როდესაც ვლაპარაკობთ ადამიანის განვითარების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ჩვენს ქვეყანაში ვერაფერს ვერ ვპოულობთ მისაბაძსა და სასარგებლოს.

**დავით იაკობიძე,**
**პროფესორი**

# გია ყარყარაშვილი: დიდხანს მოგვიწევს სამძიმრების გამოცხადება ავღანეთში დაღუპული ბიჭების გამო

**თავდაცვის ექს-მინისტრი გია ყარყარაშვილი საზოგადოების გახლეჩას და დაპირისპირებას ხელისუფლებას აბრალებს. მისი თქმით, იმ სიძულვილს, რომელსაც ხელისუფლება ყოველდღიურად გამოხატავს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების მიმართ, შესაძლოა სერიოზული საფრთხეები მოჰყვეს. ყარყარაშვილის აზრით, ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს იმდენად აქვთ ძალაუფლების შენარჩუნების სურვილი, რომ ტერორზეც არ იტყვიან უარს.**



**— ბატონო გია, როდესაც ხელისუფლების მიერ შეიარაღებული ჯგუფების შექმნის შესახებ განცხადებები გაკეთდა, თავდაცვის სამინისტრომ ნებაყოფლობითი რეზერვის შესახებ პროექტი შექმნა, რათა ამ ჯგუფებისთვის ლეგიტიმურობა მიენიჭებია, თუმცა საზოგადოებამ თავდაცვის სამინისტროს ეს ნაბიჯი სარწმუნოდ არ მიიჩნია...**

— ხელისუფლებისადმი უნდობლობის საფუძველი საზოგადოებაში, დიდი ხანია, არის. ყველას გვახსოვს 2004-2008 წლები, გვახსოვს, რა ნაბიჯები გადაიდგა სამხედრო აღმშენებლობაში და რა შედეგები მოგვიტანა ამან... დღეს იგივე მოქმედი პირები იგივე განცხადებებს აკეთებენ. ვინც სკეპტიკურად ვუყურებთ იარაღის ჟღარუნს, ხელისუფლების ლანძღვის ადრესატები ვხდებით. **რასაც 4 წლის წინ აცხადებდნენ, იმავე განცხადებებს აკეთებენ დღესაც. მაშინაც პოლიტიკური ნიშნით კომპლექტდებოდა ბატალიონები და მეთაურებად პარტიული აქტივისტები ინიშნებოდნენ. ვუყურებდით ტელევიზორში და ვისმენდით მითს უძლეველობის შესახებ. სინამდვილეში რეზერვის მომზადების ფორმას არაფერი ჰქონდა საერთო იმ სავარაუდო ომის ხასიათთან, რომლისკენაც ქვეყანა მიექანებოდა.**

დღესაც იგივე ხდება. ხოლო ნებისმიერი ადამიანი, ვინც კრიტიკულად შეაფასებს ყოველივეს, წინასწარ არის შერაცხული მტრად. არადა, რეზერვისტების სისტემა არ არის პატრიოტთა ბანაკი, რომ საპილოტო პროგრამებით ყალიბდებოდეს. თავდაცვასა და უსაფრთხოებას კანონი სჭირდება. კანონი სჭირდება ჯარისკაცის, მოქმედის თუ რეზერვისტის ვალდებულებას სახელმწიფოს მიმართ და სახელმწიფოს ვალდებულებებს ჯარისკაცის (რეზერვისტის) მიმართ მშვიდობიან დროსაც. რეზერვისტმაც წინასწარ უნდა იცოდეს, რომ შეიძლება მოკვდეს და რისთვის კვდება. როცა რეზერვზე საუბრობენ, ნებაყოფლობითი იქნება ის თუ სხვანაირი, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ საქმე ეხება მობილიზაციას, სამხედრო ჯგუფების დაკომპლექტებას და განთავსებას...

**კანონს სანამდე დაწერ და საპილოტო პროგრამას**

## «თუ როგორი სახით უნდა შევიდეთ ნატოში და როგორით არა, დიდი ხანია, ქართველების ნება-სურვილი აღარაა»

**დაიწყებ, მანამდე უნდა იყოს გააზრებული მოსალოდნელი ომის ხასიათი, მოწინააღმდეგის მოქმედების სავარაუდო ფორმები და მხოლოდ აქედან გამომდინარე უნდა შეიქმნას რეზერვი. რეზერვისტს, თუნდაც 5 დღით გაწვეულს, უნდა ჰქონდეს კანონის წინაშე ვალდებულება და, შესაბამისად, უნდა ჰქონდეს სოციალური დაცვის გარანტია სიკვდილის შემთხვევაში.**

სიამოვნებით მივუძღვნიდი ქებას, ამგვარი სამხედრო აზრი რომ შეინიშნებოდეს. ჩემი აზრით, რეზერვის შექმნის ასეთი ნებაყოფლობითი ფორმა არ პასუხობს იმ მიზანს, რასაც სამშობლოს დაცვა ჰქვია ფართომასშტაბიანი აგრესიის წინააღმდეგ. შესაძლოა, საარჩევნო ხმების მოზიდვასთან იყოს დაკავშირებული ან...

**— არსებობს ვარაუდი, რომ „რეზერვისტებს“ მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლების ჩასახშობად გამოიყენებენ.**

— ამ ფუნქციას პოლიციაც კარგად ასრულებს და ეს 7 ნოემბერმა და 26 მაისმაც დაგვანახა. თანაც, არა მგონია, ყველა რეზერვისტმა უყოყმანოდ აიღოს ჯოხი და მოსახლეობის დარბევაზე დათანხმდეს. საერთოდ, როდესაც ხდება მოსახლეობის შეიარაღება თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის, მერე კი შეფარვით მისი პოლიციური მიზნით გამოყენებას ცდილობენ, ძალიან დიდია საფრთხე, რომ ეს ჯგუფები გაიხლიჩოს და ერთმანეთს დაუპირისპირდეს. საფრთხე, რომ რეზერვისტებს მოსახლეობის პროტესტის ჩასახშობად გამოიყენებენ, არსებობს და, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი იქნება, თუკი გასამხედროებულ ჯგუფებს პოლიციის ფუნქციას დააკისრებენ, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში სიძულვილი არის გაბატონებული და საზოგადოება ორ ნაწილად არის გახლეჩილი.

**— რამ შეუწყო ხელი საზოგადოების ორ ნაწილად გაყოფას?**

— გახლეჩა ხელისუფლების გამო მოხდა და არა ოპოზიციის. ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს ხელისუფლება არ სძულთ, სიძულვილი ხელისუფლებიდან მოდის. **ხელისუფლებისგანვე მოდის სისასტიკე საკუთარი მოქალაქეების მიმართ. უსამართლობები და უკანონო დაჭერა-დაპატიმრებები. სამწუხაროდ, საკუთარი სიძულვილითა და სისასტიკით ჭაობში თვითონვე ეფლობიან, თუმცა მე არ მესმის — რატომ?**

**— შეუძლია თუ არა ოპოზიციურ ძალებს, შეცვალონ არსებული ხელისუფლება?**

— ყველაფერი იწყება და მთავრდება... დღეს ხელისუფლების შეცვლის წინაპირობა შექმნილია. არიან ცალკეული ადამიანები, რომლებსაც აქვთ ოპტიმიზმის საფუძველი, ალბათ, მათ უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ. მე ერთ რამეს ვიტყვი: ის სიძულვილი, რომელიც ხელისუფლებამ დათესა, თავად ქმნის ნიადაგს და ადამიანებს უჩენს ცვლილებების სურვილს.

**— მიგაჩნიათ, რომ ცვლილებები არჩევნების გზით შესაძლებელია?**

— საერთაშორისო თანამეგობრობის მჭიდრო მხარდაჭერის გარეშე საქართველოში დემოკრატიას მომავალი არა აქვს. საერთაშორისო თანამეგობრობაა სამართლიანობის არბიტრი და დემოკრატიის გარანტი ჩვენს ქვეყანაში. მიმაჩნია, რომ მათი ნება-სურვილი იქნება გადამწყვეტი და ძალიან კარგი იქნებოდა, თუკი საბოლოოდ არ გადაგვამტერებდნენ ქართველებს ერთმანეთს. თუ მეგობრები არიან, მაშინ გვითხრან, რომ იმ პოლიტიკურ მიზნებსა და გეოპოლიტიკურ რეალობებს, რომლებიც წინ უდგას კავკასიას, სჭირდება ასეთი ხელისუფლება, რომელიც, ერთის მხრივ, ავტორიტარულ პირობებში ამყოფებს საკუთარ ხალხს, სამაგიეროდ მორჩილებით გაატარებს დიდ გეოპოლიტიკურ ინტერესებს. გვითხრას საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლობამ და გავჩერდებით, შევეგუებით. ამერიკელებმა გვითხრან მინიშნებით მაინც, სანამ ქართველებს ერთმანეთი დაგიჭამია, ან ერთხელ მაინც ჩაატარებინონ ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნები.

**— ხელისუფლება ხშირად საუბრობს ნატოში გაწევრიანებაზე. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა რეალური დღეს ნატოში გაწევრიანება და ეს დაკარგული ტერიტორიების გარეშე უნდა მოხდეს?**

— ის, თუ როგორი სახით უნდა შევიდეთ ნატოში და როგორი სახით არა, დიდი ხანია, ქართველების ნება-სურვილზე აღარ არის დამოკიდებული. ნატოში შესვლის გადაწყვეტილება მიღებულია და მორჩა.

**— თქვენი აზრით, როგორ უნდა დალაგდეს რუსეთთან ურთიერთობა?**

— არავის სჭირდება რუსეთთან მარტო სავაჭრო ურთიერთობის დამყარება იმისთვის, რომ ქუთაისური მწვანილი ან მანდარინი გავიდეს იქაურ ბაზარზე. **მარტო რუსული ბაზარი არ არის საქართველოს ინტერესი, საქართველოს ინტერესია ის, რომ მიმდინარეობდეს უწყვეტი დიალოგი რუსეთთან და მუდმივად დაფიქსირდეს ქართველი ხალხის სურვილი, რომ ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში საქართველოსა და რუსეთის მეგობრული თანაცხოვრების ხარისხი გადის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე.** სხვა საუბრები იმის შესახებ, რომ რუსეთთან ეკონომიკურად ვიმეგობროთ და პოლიტიკურად არა, აბსურდია. რუსეთთან ურთიერთობის ფორმა უნდა იყოს არა რიტორიკა და ტელევიზიით გაკეთებული რადიკალური განცხადებები, არამედ დიალოგი დეოკუპაციაზე, ომის ნაცვლად მშვიდობაზე, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების უფლებებზე და სხვა, რათა რუსეთი არ შეეწინააღმდეგოს ქართველების აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის ლეგიტიმურ ინტერესს. მიმაჩნია, რომ რუსეთთან დიალოგის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, რომ 2012 წელს ხელისუფლებაში მოვა ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი მთავრობა.

**— ავღანეთში ნატოს სამშვიდობო მისიაში ჩვენი ჯარისკაცების მონაწილეობაზე რას იტყვით? საზოგადოების ერთი ნაწილი თვლის, რომ ქართველები იქ არ უნდა იღუპებოდნენ, მით უფრო საქართველოს თავად აქვს ტერიტორიები დასაბრუნებელი.**

— ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების სამშვიდობო მისიაში მონაწილეობას თანაბრად მოაქვს სიკეთეც და ტკივილიც. ჩვენ, ალბათ, დიდხანს მოგვიწევს სამძიმრების გამოცხადება ავღანეთში დაღუპული ბიჭების გამო. დაღუპული მეომრები კი უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებენ.

**— გინდათ, თქვათ, რომ დიდხანს ვიქნებით ავღანეთში?**

— ვერ გეტყვით, არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

**— ხელისუფლება ძალიან ხშირად საუბრობს გარე საფრთხეებზე. არსებობს დღეს ომის განახლების საფრთხე?**

— თავდაცვის სამინისტრომ მიიღო რეზერვის მომზადების მოდელი. სწორედ ეს არის ხელისუფლების მხრიდან დანახული საფრთხეები. არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, ვითომდა გაზრდილი საფრთხეებიდან გამომდინარე, საზოგადოებას საპილოტე პროექტი შესთავაზეს. ჩვენ ვხედავთ ხელისუფლების მხრიდან სიძულვილის ენას... არადა, **ხელისუფლებას ხშირად ლობირებენ ამერიკელი პროფესიონალი მაღალჩინოსნები, რომელთაც, ალბათ, ესმით, რომ, როდესაც პოლიტიკური ოპონირება გადადის სიძულვილში, რადიკალიზმში, მტრობაში, იქ ტერორამდე ერთი ნაბიჯია.** თუ ხელისუფლებაში ყოფნის სურვილი ისე აბრმავებს ადამიანს, რომ ქვეყნის მომავალი საკუთარი თავის გარეშე ვერ წარმოუდგენია, ის ხელისუფლების შენარჩუნების საშუალებად ყველა ღონეს, მათ შორის, ტერორსაც გამოიყენებს...

## «არა მგონია, ყველა რეზერვისტმა უყოყმანოდ აიღოს ჯოხი და მოსახლეობის დარბევაზე დათანხმდეს»

ესაუბრა
**ეთერ ბალაძე**

საქართველო და მსოფლიო
სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება, ჩვენი ბრალია, ვინაიდან თითოეულ დანაშაულზე სათანადოდ არ მოვთხოვეთ პასუხი ხელისუფლებას, ვილაპარაკეთ და დაგვავიწყდა. საერთაშორისო ორგანიზაციების იმედზე კი არ უნდა ვიყოთ, ხელისუფლებას ჩვენ უნდა ვთხოვდეთ პასუხს და მაშინ ვერ გაგვიბედავდნენ ამდენს. მთელი მსოფლიო საპროტესტო აქციებმა მოიცვა, ჩვენ კი კაბინეტებიდან ვაპროტესტებთ."



ლალი აფციაური:

# სამართალდამცავ ორგანოებში მკვლელები არიან

**შინაგან საქმეთა მინისტრის — ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ბოლო 4 წლის მანძილზე პოლიციელის იარაღით არც ერთი მოქალაქე არ დაღუპულა, ხოლო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ ხათუნა კალმახელიძის მტკიცებით, 2012 წელს პატიმრების გარდაცვალების მაჩვენებელი შემცირდა. მინისტრების განცხადებების მიუხედავად, მათი საქმიანობის ირგვლივ დღემდე უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა რჩება. გორის რაიონის პოლიციის შენობაში დაკავებული თამაზ ჯღირაძისა და ხაშურის პოლიციაში გარდაცვლილი სოსო ქიმერიძის შემდეგ, ზუგდიდელ ბადრი ტაბიძის მკვლელობაშიც პოლიციის დანაშაულზე საუბრობენ. ხოლო რამდენიმე დღის წინ კიდევ ორი პატიმრის — თენგიზ ბელქანიასა და ზურაბ დელიანიძის — გარდაცვალების შესახებ გახდა ცნობილი. გარდაცვლილთა ოჯახები პატიმრების სიკვდილში კვლავ სასჯელაღსრულების სამინისტროს სდებენ ბრალს.**

**რამდენად სარწმუნოა მინისტრების განცხადებები და რამდენად დაცულია საქართველოში ადამიანის უფლებები, „საქართველო და მსოფლიოს" ადვოკატი ლალი აფციაური ესაუბრება, რომელიც უმოქმედობაში ადანაშაულებს კოლეგებს, სახალხო დამცველს, საზოგადოებას და, მათ შორის, საკუთარ თავსაც.**





**«გარეგნული დაზიანებების გარდა, გარდაცვლილს სხეულზე აღენიშნება კახექსია, რაც არასათანადო კვებისგან არის გამოწვეული. ციხეებში ჩიხირთმას რომ ამზადებს კალმახელიძე, საინტერესოა, მარტო თავად მიირთმევს?»**

— შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულების სამინისტროების თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულის წამახალისებელი ისევ და ისევ ჩვენი სახელმწიფო და მისი მეთაური მიხეილ სააკაშვილია. ვანო მერაბიშვილის განცხადება, თითქოს ბოლო 4 წლის მანძილზე პოლიციელის ხელით არავინ გარდაცვლილა, აბსოლუტური სიცრუეა. საქართველოს პოლიციაში დასაკითხად მიყვანილი ადამიანები კიბიდან თურმე უბრალოდ „გორდებიან" ან დაკითხვის დროს გული უსკდებათ, რაც, რა თქმა უნდა, ტყუილია.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, რამდენიმე ხნის წინ, ხათუნა კალმახელიძე შეეცადა, თავისი საქმიანობა გაეპიარებია და ერთ-ერთი ნაციონალური ტელეკომპანიის ჟურნალისტი შეუშვეს ციხეში. აჩვენეს, რა კარგია ხათუნა კალმახელიძე, როგორ არის პატიმართა უფლებები დაცული, როგორი კვებაა საქართველოს ციხეებში და ა. შ., რაც, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, სიცრუეა.

გაითვალისწინეთ, რომ ეს არის ცნობილი და გახმაურებული შემთხვევები, რისი უარყოფაც ხელისუფლების მხრიდან უკვე შეუძლებელია, მაგრამ ბევრი ფაქტია, რაც არ ვიცით, ვინაიდან გარდაცვლილების ოჯახები სერიოზულ ზეწოლას განიცდიან.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ სხვა გარდაცვალების ფაქტებიც არსებობს, რაც საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია?**

— რა თქმა უნდა, არსებობს. ამაზე კითხვაც არ შეიძლება გაჩნდეს. ასე რომ, ვანო მერაბიშვილსა და ხათუნა კალმახელიძეს სატრაბახო არაფერი აქვთ. როცა ადამიანს გამეტებით სცემ, თავს არტყმევინებ კედელზე, ეს ნიშნავს, რომ მას სასიკვდილოდ იმეტებ. საამაყო ნამდვილად არ არის, როცა სამართალდამცავ ორგანოებში მკვლელები არიან.

**— თუმცა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის — ხათუნა კალმახელიძის განცხადებით, პენიტენციალურ დაწესებულებებში 2012 წელს პატიმართა გარდაცვალების ფაქტები შემცირდა. თქვენ რა სტატისტიკურ მონაცემს ფლობთ?**

— ხათუნა კალმახელიძე შემცირებაში რას გულისხმობს? 150 პატიმრის გარდაცვალება თუ მცირედ მიაჩნია, არ ვიცი. ყველა, პატიმრების 99% მაინც, განიცდის ფიზიკურ ზეწოლას, აღარაფერს ვამბობ მორალურ ზეწოლაზე. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: მიმდინარეობს პატიმრების სასტიკად წამება, ცემა-ტყეპა, მათ სასტიკ პირობებში ამყოფებენ. საქართველოს ციხეებში კატასტროფული მდგომარეობაა.

**რა თქმა უნდა, აშენდა ახალი საპატიმროები, ბაღლინჯოები და მორიელები აღარ დაძვრებიან კედლებზე. ციხე ვიზუალურად ლამაზად გამოიყურება, მაგრამ, როცა ასეთ მდგომარეობამდე მიიყვან პატიმარს, უკვე ციხის გარეგნული მხარე აღარ არის საინტერესო. ასე ნაწამები და ნაცემი პატიმრები ძველ, დანგრეულ ციხეებში მე არ მინახავს. ყველა სიბოროტე, რაც კი შეიძლება ადამიანის წინააღმდეგ მოიფიქრონ და განახორციელონ, საქართველოს ციხეებში ხდება.**

**— რატომ არ იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ფაქტებს და რატომ არ სჯის დამნაშავე თანამშრომლებს, ეს ხომ მათ იმიჯზეც დადებითად აისახება?**

— მაშინ, როცა ქვეყანაში ნულოვანი ტოლერანტობაა გამოცხადებული და სახელმწიფოს მეთაურისგან პირდაპირ აქვთ ნაბრძანები, ყველას ესროლეთ და კბილები ჩაუმტვრიეთო, რატომ უნდა დასაჯონ? დღეს არც შსს და არც სასჯელაღსრულების სამინისტრო, თავის არც ერთ თანამშრომელს არ დასჯის, ვინაიდან ხალხში შიშის ფაქტორის დანერგვა უფრო სჭირდებათ, იმიჯი საერთოდ არ ადარდებთ. ან რატომ დასჯიან ვინმეს? რომელ საქმეს მივყევით ბოლომდე და მოვთხოვეთ ხელისუფლებას პასუხი?

**— ქვეყანაში უამრავი უფლებადამცველია, ასევე ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს, მათ ურთიერთობა აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რატომ არ მიჰყევით ბოლომდე რომელიმე საქმეს?**

— სწორი კითხვაა, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ უპასუხისმგებლოები ვართ, არავის ბედი არ გვადარდებს და ყველაფერი საკუთარი კეთილდღეობისთვის გვჭირდება. ვგულისხმობ ჩემს კოლეგებს, ადვოკატებს, ქვეყანაში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს. მე, პირველ რიგში, საკუთარ თავს ვგულისმხობ... თუნდაც ზურაბ დელიანიძის გარდაცვალების ფაქტის გამო, მთელი თბილისი ქუჩაში უნდა იყოს გამოსული, მაგრამ ჩვენ ამას არ ვაკეთებთ.

რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს, მივაწოდებთ ამ მასალებს, შეშფოთდებიან, აღშფოთდებიან, მაგრამ, როცა ისინი ხედავენ, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილნი ვსხედვართ და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მომზადებული მასალების მიწოდების გარდა არაფერს ვაკეთებთ, ჩვენ მაგივრად თავს რატომ შეიწუხებენ?

**«თუ დასჭირდათ, შეიძლება კოჭოია გვერდით დაიყენონ და არც ეგ უნდა გაგვიკვირდეს»**

**ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება, ჩვენი ბრალია, ვინაიდან თითოეულ დანაშაულზე სათანადოდ არ მოვთხოვეთ პასუხი ხელისუფლებას, ვილაპარაკეთ და დაგვავიწყდა. საერთაშორისო ორგანიზაციების იმედზე კი არ უნდა ვიყოთ, ხელისუფლებას ჩვენ უნდა ვთხოვდეთ პასუხს და მაშინ ვერ გაგვიბედავდნენ ამდენს. მთელი მსოფლიო საპროტესტო აქციებმა მოიცვა, ჩვენ კი კაბინეტებიდან ვაპროტესტებთ.**

**— გარდაცვლილი ზურაბ დელიანიძის ოჯახის განცხადებით, ის სასტიკად არის ნაწამები, ამიტომ ოჯახი გაჩერებას არ აპირებს. რით შეიძლება დაეხმაროთ უფლებადამცველები?**

— სახალხო დამცველს აქვს საშუალება, ინფორმაციის შეტყობისთანავე გააგზავნოს ჯგუფი და მაშინვე ჩაატაროს ექსპერტიზა. თუ ოჯახს არ აქვს მატერიალური საშუალება, რომ დამოუკიდებელი ექსპერტიზა ჩაატაროს, უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლებიც დიდ გრანტებს იღებენ, გამოყონ თანხები და კეთილი ინებონ, დანიშნონ ალტერნატიული ექსპერტიზა. თუმცა ამ ფოტომასალას რომ შეხედავ, ექსპერტიზა აღარც კი სჭირდება, ყველაფერი ნათელია. გარეგნული დაზიანებების გარდა, გარდაცვლილს სხეულზე აღენიშნება კახექსია, რაც არასათანადო კვებისგან არის გამოწვეული. ციხეებში ჩიხირთმას რომ ამზადებს კალმახელიძე, საინტერესოა, მარტო თავად მიირთმევს?

ჩემი პატიმარი რომ ასეთ მდგომარეობაში ვნახო, როგორშიც ზურაბ დელიანიძე, არ ვიცი, რას ვიზამ, მაგრამ პიროვნებას გაძლევთ, ქვა-ქვაზე არ დარჩება. ამიტომ ჩემს პატიმრებს, სიმართლე გითხრათ, ერიდებიან. ბოლო პერიოდში ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ზვიადაძის საქმე იყო გახმაურებული, რომელიც სასტიკად სცემეს, მაგრამ №7 საპყრობილის თანამშრომლებმა არ იცოდნენ, რომ მე ვიცავდი. ის დაპატიმრების დღესვე უცემიათ. როცა მივმართე სახალხო დამცველს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში აუგს ვერ ვიტყვი, დაუყოვნებლივ დაინიშნა ექსპერტიზა და ეს ფაქტი მან თავის დასკვნაშიც მოიხსენია.

**— სახალხო დამცველი წლევანდელ ანგარიშში ციხეებში წამებისა და გარდაცვალების ფაქტებზე საუბრობს. დასახელებულია კონკრეტული დამნაშავეების გვარებიც. მართალია, მისი მოხსენებიდან მცირე დრო გავიდა, თუ დაისაჯა ვინმე ან გამოძიება მაინც დაიწყო ამ მიმართულებით?**

— არანაირი რეაგირების შესახებ მე არ მსმენია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ სახალხო დამცველმა დაასახელა ის ფაქტები, რომლებიც ჩვენ მიერ უკვე გახმაურებული იყო. გაუხმაურებელი შემთხვევები სახალხო დამცველს არ დაუსახელებია, რაზეც ძალიან ვწუხვარ, რადგან სახალხო დამცველის აპარატს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს შევიდეს ციხეში და მოინახულოს პატიმარი, ამიტომ სახალხო დამცველის ინფორმაცია ნაწამები პატიმრების შესახებ ასეთი მწირი არ უნდა ყოფილიყო.

**— რატომ არ იყენებს სახალხო დამცველი თავის ბერკეტებს?**

— იმიტომ, რომ ამისთვის არ არსებობს სახელმწიფოს ნება. ის, რომ სახალხო დამცველი დამოუკიდებელია და ობიექტურ დასკვნებს დებს, ძნელია, ამაში ეჭვი არ შეიტანო იმიტომ, რომ ეს ყველაფერი სახელმწიფოს მხრიდან მართულია. ელემენტარულად, განსხვავებულ აზრს რომ გამოთქვამს ადამიანი, საჯარო სამსახურში იმას არ აჩერებენ. სკოლის პედაგოგსა და დამლაგებელსაც კი ათავისუფლებენ სამსახურიდან და, როგორ ფიქრობთ, სახალხო დამცველს გააჩერებდნენ?

**— ხათუნა კალმახელიძის განცხადებით, პენიტენციალურ სისტემაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი პირველადი ჯანდაცვის დანერგვაა, თუმცა როგორც პატიმრები, ასევე უფლებადამცველები გამუდმებით გამოთქვამენ უკმაყოფილებას, რომ პატიმრებს სათანადო მკურნალობა არ უტარდებათ. ცოტა ხნის წინ თქვენც აპროტესტებდით თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი ნანა თხელიძის მდგომარეობას.**

— **ის, რომ პენიტენციალურ სისტემაში გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურება, კიდევ ერთი ზღაპარია. ელემენტარულ მაგალითს გეტყვით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2500 პატიმარია და მხოლოდ 2 ექიმი მუშაობს, რანაირად მოუვლის ეს ორი ექიმი ამდენ პატიმარს?** აღარაფერს ვამბობ მედიკამენტებზე. ანალგინისა და ციტრამონის დონეზე მკურნალობენ პატიმრებს. პატიმარს, რომელსაც მკურნალობის კურსი უტარდება, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს უთხრან, იცით, მედიკამენტები გაგვითავდა და წადით, აფთიაქში იყიდეთო.

**— ციხეებში ხშირია ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევები. დაავადებულებს მაინც თუ უტარდებათ შესაბამისი მკურნალობა?**

— ციხე ტუბერკულოზის ინფექციის კერაა. მაშინ, როცა ავადმყოფი და ჯანმრთელი პატიმარი არ არის ერთმანეთისგან გამიჯნული, სრულიად ჯანმრთელი ადამიანი, ციხეში მოხვედრიდან ერთ-ორ კვირაში უკვე ტუბერკულოზით ავადდება. ▶

**ხანგრძლივი ლოდინისა და ქანცის გამძრობი რეპეტიციების შემდეგ გადადებულ აღლუმზე ჯერ ერთმა პოლიციელმა დაკარგა გონება (გვერდით მდგომი მეწყვილე მის შეკავებას ცდილობდა), მოგვიანებით ის ხელით გაიყვანეს, შემდეგ წინა რიგებიდან კიდევ 3 მანდილოსანი და ერთი პოლიციელი გახდნენ ასევე მოსასულიერებელნი. სულ ათამდე ადამიანს დასჭირდა სამედიცინო დახმარება.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ მინდა ერთი საინტერესო ფაქტის შესახებ გითხრათ, რაც სანდო წყარომ შემატყობინა და პატიმრებმაც დამიდასტურეს. იცით, რომ „წითელი ჯვარი" ატარებს ტუბერკულოზის დოტის პროგრამას. ეს არის ტუბერკულოზის მკურნალობისთვის განკუთვნილი პროგრამა, სადაც უფასოა საკმაოდ ძვირადღირებული მედიკამენტები. „წითელი ჯვარი" მიდის და იმ პატიმარს უღებს ანალიზს, რომელზეც ეჭვი ჩნდება, რომ დაავადებულია, და ანალიზი ლაბორატორიაში გამოსაკვლევად იგზავნება. მაქვს ინფორმაცია, რომ, სამედიცინო პერსონალი დაავადებული პატიმრების რაოდენობის დამალვის მიზნით, დაავადებული პატიმრის ანალიზს ჯანმრთელი პატიმრის ანალიზით ცვლის.**

ქალბატონი ნანა თხელიძე სრულიად ჯანმრთელი შევიდა ციხეში და დაკავებიდან ძალიან მალე არაერთი დაავადება, მათ შორის, ონკოლოგიურიც აღმოაჩნდა. ჩვენი მოთხოვნის შემდეგ შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშოა და ის სასწრაფო ოპერაციას საჭიროებს, მაგრამ ნანა თხელიძე უარს აცხადებს ოპერაციაზე. ის ამბობს, რომ ძალიან ბევრი ოპერაცია დასრულდა ლეტალური შედეგით. ნანა თხელიძე ითხოვს ექსპერტიზის ჩატარებას მისი დაავადების სიმძიმის განსაზღვის მიზნით, რაზეც უარი გვითხრეს. მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვიკვლიეთ ქალბატონ ნანას ჯანმრთლობის მდგომარეობა და ექიმებმა მკურნალობაც დაუნიშნეს, ერთი თვის შემდეგაც კი, დაწესებულების სამედიცინო სამსახურს მისთვის არანაირი მკურნალობა არ ჩაუტარებია.

კიდევ ერთი პრობლემაა სასმელი წყალი, რომელიც კუჭ-ნაწლავის მხრივ დაავადების წყაროა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას რუსთავში. რამდენიმე წლის წინ რუსთავის №17 დაწესებულებიდან ავიღეთ ანალიზი და, ექსპერტიზის შეფასებით, არამცთუ დასალევად, ფეხის დასაბანადაც კი უვარგისია ეს წყალი. მიუხედავად ამისა, სიტუაცია არც მას შემდეგ შეცვლილა.

**— და ბოლოს, ტერორისტული აქტების განხორციელებაში მსჯავრდებულებმა — მერაბ ყოლბაიამ (იმავე კოჭოიამ) და გოგიტა არქანიამ ჩვენებები შეცვალეს და წამებასა და სასტიკ მოპყრობაზე ალაპარაკდნენ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მათ, შესაძლოა, საპროცესო გარიგება გაუფორმონ.**

— ამ ქვეყანაში არაფერია გასაკვირი. იმავე ვალერი გელბახიანსაც, რომელიც ორჯერ იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ბრალდებული, საპროცესო გაუფორმეს. ეს საქმეები ძალიან პრიმიტიულია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ტერაქტებს ასე „ხსნიან" ჩვენი პოლიციელები. თავიდანვე ნათელი იყო, რომ ეს იყო შეთითხნილი საქმე და ხვალ და ზეგ, თუ დასჭირდათ, შეიძლება კოჭოია გვერდით დაიყენონ და არც ეს უნდა გაგვიკვირდეს.

**ესაუბრა შორენა ციქარაშვილი**

# უშველეთ პოლიციას!

**„დღეს ჩვენ გიორგობის დღესასწაულთან ერთად საქართველოს ისტორიაში ყველაზე საშიში სეპარატისტის, ადგილობრივი ფეოდალის — ასლან აბაშიძის აჭარიდან გაძევების 8 წლისთავს და აჭარის საქართველოს საკონსტიტუციო სივრცეში დაბრუნებას აღვნიშნავთ", – როგორც სჩვევია, ამაყად განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა 6 მაისს გორში. ჩვენში დარჩეს, გორის სიახლოვეს მაშინაც და ახლაც უფრო საშიში სეპარატისტები არიან, მაგრამ მათზე მიხეილს ხმა არ ამოუღია.**



არადა, სიმართლემ დროდადრო წამოცდენა იცის; საქართველოს ყველაზე დიდ მტრად აღიარებულ რუსეთს „სეპარატისტი" ასლან აბაშიძე თავად გაურიდებია: **„ასლან აბაშიძემ იგორ ივანოვთან ერთად ბათუმიდან იმ წუთიდან გაკურცხლა, როცა ბათუმში საქართველოს შინაგანი ჯარის პირველი შენაერთის ჯავშანტექნიკა შევიდა".** იგორ ივანოვი, ვიდრე საქართველოს შინაგანი ჯარის პირველი შენაერთის ჯავშანტექნიკის „შეეშინდებოდა", სააკაშვილის გვერდით იდგა 22 ნოემბერს პარლამენტის შენობის წინ და რევოლუციურ მასას „გაუმარჯოს" ეძახდა. ახლა კი რუსეთის ჯარი „ნაკლებად საშიშ" სეპარატისტულ (ბოდიში, უკვე აღიარებულ) სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დგას, ხოლო დამარცხებული მთავარსარდალი პოლიციის აღლუმს მართავს და მერაბიშვილს წმ. გიორგის ორდენით აჯილდოებს.

გიორგობა დღეს პოლიციის აღლუმის დაანონსებისთანავე გორელებმა გასაგებად თქვეს, რომ ამ დღეს ისინი გორიჯვრის წმინდა გიორგის ეკლესიაში აპირებდნენ ყოფნას, მაგრამ „ყოვლისშემძლე" პოლიციამ და კიდევ უფრო „მძლეთამძლე" სააკაშვილმა გამოცხადებული 12 საათი არ გადათქვეს. **14 საათამდე, მთელი საქართველოდან ჩამოყვანილი პოლიციელების გარდა, სტალინის ძეგლის ადგილზე არავინ მისულა. ნაცაქტივისტები კი კარდაკარ ჩამოვლით ცდილობდნენ აღლუმის მაყურებლების შეკრებას.**

გიორგობას გორში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციით, წმინდა გიორგის სალოცავში მასობრივი მსვლელობით აღნიშნავენ. გადმოცემის თანახმად, მასში წმინდა გიორგის ნაწილი ინახება. მორწმუნეები გორიჯვრის ეკლესიაში, რომელიც ქალაქგარეთ მდებარეობს, ფეხით, ზოგჯერ კი ფეხშიშველიც ადიან. იქამდე გრძელი და ციცაბო გზა მიდის. ამიტომაც იყო, რომ **პრეზიდენტის მოსასმენად და პოლიციელების სანახავად ქალაქის ცენტრში ათასამდე ადგილობრივს ძლივს მოუყარეს თავი, ძირითადად, სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგებს, საჯარო სექტორში მომუშავე პირებსა და დევნილებს. მხურვალე აპლოდისმენტებს და „მიშა, მიშა"-ს ყვირილს გორში ადგილი არ ჰქონია.**

**ხანგრძლივი ლოდინისა და ქანცის გამძრობი რეპეტიციების შემდეგ გადადებულ აღლუმზე ჯერ ერთმა პოლიციელმა დაკარგა გონება (გვერდით მდგომი მეწყვილე მის შეკავებას ცდილობდა), მოგვიანებით ის ხელით გაიყვანეს, შემდეგ წინა რიგებიდან კიდევ 3 მანდილოსანი და ერთი პოლიციელი გახდნენ ასევე მოსასულიერებელნი. სულ ათამდე ადამიანს დასჭირდა სამედიცინო დახმარება.**

მიხეილ სააკაშვილმა პოლიციის რეფორმისა და, ზოგადად, სახელმწიფოს მშენებლობაში გაწეული წვლილისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, ვანო მერაბიშვილს წინ კიდევ დიდი გზა აქვს და ის ნამდვილად ღირსია, რომ საზოგადოების პატივისცემას იმსახურებდეს. ვანო მერაბიშვილის გარდა, სხვადასხვა სახის ჯილდოები გადაეცათ რიგით პოლიციელებსაც. აღლუმის დასრულების შემდეგ მერაბიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისთვის პრეზიდენტისგან მიღებული ჯილდო მოულოდნელი იყო.

სამაგიეროდ, მოსალოდნელი იყო ის, რაც შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრში მოხდა. მათი ოფისი გორის ცენტრალურ მოედანს გადაჰყურებს და მისი აივნიდან აღლუმის გადაღება თავისუფლად შეიძლებოდა. **რაკი ჟურნალისტებმა პოლიციელების გულის წასვლა ფირზე აღბეჭდეს, პრეზიდენტის დაცვის თანამშრომლები რედაქციის ოფისში შევიდნენ და პოლიციის აღლუმის გადაღების შეწყვეტა მოითხოვეს.** ასე იყო თუ ისე, აღლუმის „არასასურველი" კადრების გარდა, თავად პრეზიდენტის დაცვის თანამშრომლების ვიდეოჩანაწერიც საჯარო გახდა.

ამასობაში სააკაშვილი გაილექსა და იმის მტკიცებას მოჰყვა, რომ ქართული პოლიცია ნეიტრალურია და მისი როლი ძალიან დიდია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. მისი თქმით, **პოლიციის ნეიტრალურობა არ ნიშნავს, რომ საფრთხის შემთხვევაში ისინი მზად არ იქნებიან კონსტიტუციური წესრიგის დასაცავად. რა თქმა უნდა, 26 მაისი ან 7 ნოემბერი სააკაშვილს არ უხსენებია, მაგრამ ეს ისედაც იგულისხმებოდა პოლიციის დამსახურებებზე ნათქვამ სიტყვებში.** საქართველოს პრეზიდენტმა საზეიმო აღლუმი გორში, როგორც თავად განაცხადა, „მტრის ჯინაზე" ჩაიბარა.

პრეზიდენტი და საპატიო სტუმრები სწორედ იმ ადგილს იკავებდნენ, რომელზეც ორი წლის წინ სტალინის ძეგლი იდგა. საზეიმო აღლუმისთვის მზადება რამდენიმე დღის წინ დაიწყო. ამისთვის საგანგებოდ მოეწყო მოედანი და დამონტაჟდა ტრიბუნები. აღლუმში 5 ათასი პოლიციელი მონაწილეობდა. მოედანზე საზეიმო მსვლელობაში მონაწილეობა ასევე მიიღეს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის, საზღვაო და სახმელეთო ჯარების წარმომადგენლებმა. აღლუმში სპეცტექნიკაც მანევრირებდა, პოლიციის ავტომანქანების გარდა, მსვლელობაში მონაწილეობდა ორი სახის ჯავშანტექნიკა — „კობრა" და „მგელი".

სააკაშვილმა უკვე მერამდენედ ისაუბრა ქართული სახელმწიფოს მიღწევებზე, ძალოვანი უწყების წარმატებულ რეფორმირებაზე, რომელიც სამაგალითოა ყველა, მათ შორის მტრულად განწყობილი მეზობელი ქვეყნისთვისაც. **მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შედარება შეიძლება მხოლოდ ათი საუკუნის წინანდელ, დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოსთან, რადგან ახლაც ისევეა კონსოლიდირებული და გაერთიანებული ქვეყანა, როგორც ამ ძლევამოსილი მეფის მოღვაწეობის დროს.**

მიხეილ სააკაშვილის ვერსიით, საქართველო, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ევროპის ქვეყნებს შორის პირველ ადგილს იკავებს: „ადრე, თუ ზოგჯერ გვაკრიტიკებდა ევროკავშირი, ახლა, მისივე გამოკითხვებით, საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა. **„ჩვენ ჩვენი მიღწევების შესახებ ცოდნა გავუზიარეთ და დავეხმარეთ ავსტრიას, ესპანეთს, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს... ჩვენ მთელი მსოფლიო შეგვნატრის",** — სიტყვა დააგდო სააკაშვილმა, აღლუმის შემდეგ გორის ძველ უბნებში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა და გეზი ბათუმისკენ აიღო.

იმავე დღეს ახალსოფელში პოლიციის ახალი განყოფილება გაიხსნა. შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ახლადპრეზენტირებული შენობიდან 4 კილომეტრში რუსული ბლოკპოსტებია განთავსებული, თითქოს იქაურები საკუთარი თვალით ვერ ხედავდნენ! მით უფრო, რომ შიდა ქართლში ეს ერთადერთი ადგილი არაა, სადაც ამგვარი ბლოკპოსტები ჩანს. **გორი-თბილისის ცენტრალური მაგისტრალიდან ჩრდილოეთის მხარეს არა მხოლოდ ბლოკ საგუშაგოები, არამედ რუსული სამხედრო ბაზებიც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად მოჩანს.**

**დავით აღმაშენებელს რომ ის ყველაფერი ენახა და მოესმინა, რაც გიორგობას, 6 მაისს, გორში ხდებოდა, ალბათ, ახალი დიდგორისთვის დაიწყებდა მზადებას. სტალინზე აღარაფერი ითქმის – იგი მოვლენათა ეპიცენტრს სააკაშვილის ხელისუფლებამ წინდახედულად მოაცილა...**

რაც შეეხება ვანოს, **„მერაბიშვილს წინ კიდევ დიდი გზა აქვს და ის ნამდვილად ღირსია, რომ საზოგადოების პატივისცემას იმსახურებდეს"!** ჯილდოსგან განსხვავებით, სააკაშვილის ეს შეფასება მერაბიშვილისთვის მოულოდნელი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო: **კაცი ავსტრიასა და ესპანეთს ეხმარება და ქართველი საზოგადოების პატივისცემას აღარ იმსახურებს?**

**თამარ დავითულიანი**

## ბარაკ ობამამ ავღანეთში «საქმის დასრულების» პირობა დადო

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ავღანეთში „საქმის დასრულების" და ომის ბოლომდე მიყვანის პირობა დადო. ამის შესახებ ობამამ ავღანეთში ბარგიმის ავიაბაზიდან გაკეთებული ტელემიმართვისას განაცხადა.** ობამა ავღანეთში მოულოდნელად ჩავიდა და ქვეყნის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაისთან ერთად ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის 10-წლიან შეთანხმებას მოაწერა ხელი. შეთანხმებაში აღნიშნულია აშშ-ის როლი ავღანეთში 2014 წლის შემდეგ, მას მერე, რაც ნატოს ჯარების დიდი ნაწილი ქვეყანას დატოვებს. ავღანეთში ობამას ვიზიტი უსამა ბინ ლადენის მკვლელობის წლისთავს დაემთხვა. „ჩვენ უნდა დავასრულოთ დაწყებული საქმე და პასუხისმგებლობით მივიყვანოთ ეს ომი ბოლომდე", — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა. ობამამ პირობა დადო, რომ ჩიკაგოს სამიტზე ალიანსი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ მომავალ წელს თითქმის ყველა სამხედრო ოპერაციაში ლიდერის როლის შესრულება ავღანელებს გადასცეს.



ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰიტლერმა დაიპყრო მთელი ევროპა, ინგლისის გარდა, რომელიც საიმედოდ იყო ბლოკირებული და იყენებდა მაგ ქვეყნების მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, წარმოიდგინეთ, რა საშინელი ძალა დაუპირისპირდა საბჭოთა კავშირს! და ეს ბნელეთი, ანუ დასავლური ფაშიზმი, განადგურებულ იქნა ჩვენი ქვეყნის მიერ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით! აქედან გამომდინარე, ეს არის დამარცხებული დასავლური სამყაროს რევანში!“

# იაკობ ჯუღაშვილი: ანტისტალინიზმი დამარცხებული დასავლური ფაშიზმის რევანშის მცდელობაა!

**იოსებ სტალინი იმ უიშვიათესი პოლიტიკური ბუმბერაზების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც რაც უფრო უსამართლოდ, დაუსაბუთებლად ლანძღავ, მით უფრო მჟღავნდება მათი სიდიადე! „ნაციონალებისთვის“ განვმარტავ: თქვენ, თავად ბოროტები, რაც უფრო მეტ სიმბოლურ „ქვას“ სტყორცნით სახალხო ბელადის მიმართულებით, მით უფრო აამაღლებთ მის სიმბოლურ „კვარცხლბეკს!“ ჩვენი გაზეთის დღევანდელი სტუმარია იოსებ სტალინის შვილთაშვილი იაკობ ჯუღაშვილი.**


იოსებ ჯუღაშვილი


იაკობ ჯუღაშვილი


ევგენი ჯუღაშვილი


იაკობ ჯუღაშვილი

**— ბატონო იაკობ, იოსებ სტალინის შთამომავალთა გვარტომობის ხე ისეა ტოტებგაშლილი, რომ შეიძლება დაიბნე კიდეც — ესა თუ ის პიროვნება რა მხრიდან ენათესავება საბჭოთა კავშირის ბელადს, ამიტომ გთხოვთ, წარუდგინოთ თავი ჩვენს მკითხველს.**

— მე ვარ იაკობ ევგენის ძე ჯუღაშვილი. მამაჩემი პოლკოვნიკი ევგენი ჯუღაშვილია, სტალინის უფროსი ვაჟის — იაკობის და ოლგა პავლეს ასულ გოლიშევას შვილი; დედაჩემი — ნანა ნოზაძე გერმანული ენის სპეციალისტია. დავიბადე 1972 წელს თბილისში. საშუალო სკოლა დავამთავრე მოსკოვში. საქართველოში დავბრუნდი 1989 წელს. სამი წლის შემდეგ, 1992-ში, ჩავაბარე გამოცდები თბილისის სამხატვრო აკადემიაში. მერე, 1994 წელს, ჩემი უშუალო პედაგოგის — ზურაბ წერეთლისა და ასლან აბაშიძის ხელშეწყობით გავემგზავრე შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში სამხატვრო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1997 წელს. 1999 წელს ჩამოვედი საქართველოში და, უკვე ცამეტი წელია, აქ ვცხოვრობ.

**— ოჯახური მდგომარეობა?**

— ჩემი მეუღლეა ნინო ლომკაცი, პროფესიით მხატვარი. მყავს ქალიშვილი ოლგა-ეკატერინე, რომელიც სამი წლისაა.

**— რატომ აქვს ბავშვს ორი სახელი?**

— ამ პატარა გოგოში ხუთი ბებია „გავაერთიანეთ“. ნინოს ბებიას, ისევე, როგორც ჩემს, ოლგა ჰქვია. რაც შეეხება სამ ეკატერინეს, ესენი არიან: სტალინის დედა, სტალინის პირველი მეუღლე და კიდევ ერთი ეკატერინე მამაჩემის დედის მხრიდან იყო. ბავშვი მოვნათლეთ ატენის სიონში, როგორც ეკატერინე. აი, მოკლედ რისი თქმა შემიძლია ოჯახზე და საკუთარ თავზე.

**— ბატონო იაკობ, ბევრმა ადამიანმა, როგორც ქართველმა, ისე არაქართველმაც ძალიან განიცადა სტალინის ძეგლის დემონტაჟი მის მშობლიურ ქალაქ გორში. თქვენ, როგორც მის შვილთაშვილს, რა გრძნობა დაგეუფლათ ამ ბარბაროსობის შემდეგ?**

— როგორც ვხედავ, თქვენ გინდათ ჩემში გრძნობების, ემოციების გამოწვევა და მკითხველს მიართვათ ლამის შექსპირისეული ვნებათაღელვა, რომელიც შვილთაშვილის სულში აღანთო დიდი წინაპრის ძეგლის დანგრევამ!

**— რატომაც არა?! ეს საინტერესოა!**

— ყველა თავის გრძნობებსა და ემოციებზე წერს, ლაპარაკობს, მაგრამ ცარიელი ემოციები საქმეს არ შველის. დღეს გაზეთის ფუნქცია არ არის „ახალი ამბები“, მაგისთვის ინტერნეტი არსებობს. დღევანდელ გაზეთს უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო დანიშნულება და ზუსტად ეს უნდა გახდეს მისი პოპულარობის მიზეზი. მოკლედ, შევეშვათ ლირიკას, მოდით, სხვაგვარად დავსვათ კითხვა — რას ნიშნავს ანტისტალინიზმი?

ანტისტალინიზმი, როგორც იდეოლოგია, ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეს იყო და არის რევანშისტული იდეოლოგია.

**— რა შუაშია აქ რევანშიზმი?**

— საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იბრძოდა 5,5-მილიონიანი არმია. აქედან 4 მილიონ ექვსასი ათასი იყო გერმანელი, დანარჩენები იყვნენ იტალიელები, უნგრელები, რუმინელები და, წარმოიდგინეთ, ებრაელებიც!

**— ებრაელებიც?**

— დიახ, ებრაული სრული დივიზია! **თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰიტლერმა დაიპყრო მთელი ევროპა, ინგლისის გარდა, რომელიც საიმედოდ იყო ბლოკირებული და იყენებდა მაგ ქვეყნების მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, წარმოიდგინეთ, რა საშინელი ძალა დაუპირისპირდა საბჭოთა კავშირს! და ეს ბნელეთი, ანუ დასავლური ფაშიზმი, განადგურებულ იქნა ჩვენი ქვეყნის მიერ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით! აქედან გამომდინარე, ეს არის დამარცხებული დასავლური სამყაროს რევანში!**

**«ანტისტალინიზმი ყურით მოთრეულ არგუმენტებსა და ფაქტებზეა დაფუძნებული და იგი აუცილებლად გასკდება საპნის ბუშტივით!»**

**— ნებისმიერი იდეოლოგია ეფუძნება როგორც სოციალურ, ისე ისტორიულ მომენტებსაც. რას ეყრდნობა ანტისტალინიზმი?**

— ტროცკის ცილისწამებას თავი რომ დავანებოთ, ანტისტალინიზმი, ასე ვთქვათ, შედგება ხუთი ელემენტისგან: 1932-33 წლების ვითომდა უკრაინაში ხელოვნურად გამოწვეული შიმშილისგან — „გოლოდომორისგან“; შემდეგ 1937-38 წლების ე. წ. დიდი ტერორისგან; აუცილებლად მოლოტოვ-რიბენტროპის ე. წ. პაქტისგან, თითქოს საბჭოთა კავშირმა და გერმანიამ დაამყარეს მოკავშირეული ურთიერთობები და შესანსლეს „საწყალი პოლონეთი“; კიდევ, კატინის ე. წ. დახვრეტებისგან და, ბოლოს, ხრუშჩოვის ნალაპარაკებიდან პარტიის XX ყრილობაზე. თუმცა ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში სტალინს ადანაშაულებს მხოლოდ საკუთარი „პიროვნული კულტის“ დანერგვა-გავრცელებაში.

**— ანუ ე. წ. პიარში, არა?**

— ისე, მართლა საინტერესოა, სააკაშვილის „პიროვნების კულტს“ რომელი ნაციონალი გამოამზეურებს თავის პარტიის ყრილობაზე?

ჩვენი ამოცანაა ამ ხუთი „პოსტულატის“ გაქარწყლება. ხალხს უნდა დავანახოთ, რომ **ანტისტალინიზმი ყურით მოთრეულ არგუმენტებსა და ფაქტებზეა დაფუძნებული; და იგი აუცილებლად გასკდება საპნის ბუშტივით!**

**— რით დავიწყოთ?**

— პირველი. ჩვენ უნდა შევიგრძნოთ, რომ სტალინის დამცირება, თითოეული ჩვენგანის დამცირებაა. იცით, მე, პირადად, თავს რატომ ვგრძნობ დამცირებულად? არა იმიტომ, რომ სტალინის პირდაპირი ჩამომავალი ვარ, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოების ნაწილი ვარ! მამაჩემის გარდა, სტალინს შვიდი შვილიშვილი ჰყავდა და არც ერთი მათგანი თავს დამცირებულად არ გრძნობს, ბოდიში და, სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ!

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ არ არიან საზოგადოების წევრები! ინდივიდუალისტები არიან, როგორც ქართველების უმრავლესობა; და, აი, ამ ინდივიდუალიზმით ჩვენ გვკლავენ! თუ მართლმადიდებლები ვართ და ტრადიციები გაგვაჩნია, შორს მოვისროლოთ ინდივიდუალიზმი! ოღონდ ნუ ავურევთ ინდივიდუალიზმში თითოეული ადამიანის განსაკუთრებულობას, რაც კარგია! **ინდივიდუალიზმი ზოგიერთისთვის უფრო მეტია, ვიდრე ოჯახი, ვიდრე მეგობრობა, ვიდრე თავგანწირვა სამშობლოსთვის. მაშასადამე, უფლება არ გაქვს, იყო ინდივიდუალისტი, როცა ქვეყანა ინგრევა! და თუ ვინმეს ეს არ აწუხებს, თავისი ინდივიდუალიზმი უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ის პირადად ჩემი მტერია! ამიტომ, თუ ჩვენ საკუთარ თავს ვთვლით საზოგადოების წევრებად, ვალდებულნი ვართ, დავამარცხოთ ანტისტალინიზმი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში!** აქედან უნდა დაიწყოს ჯაჭვური რეაქცია! ჩვენ დავამტკიცებთ, რომ „გოლოდომორი“ იყო მოგონილი ამერიკელი მედიამაგნატის, ჰიტლერის პირადი მეგობრის — ვილიამ ჰერსტის მიერ და ის „მამხილებელი“ სურათები გადაღებულია არა უკრაინაში, არამედ ამერიკის შტატ ოკლაჰომაში 1929-32 წლების დიდი დეპრესიის დროს.

**— ანუ „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო!“**

— ასეა! მერე, უნდა დავამტკიცოთ, რომ ე. წ. 1937-38 წლების დიდი ტერორი არ არსებობდა და მაგ „პარტიული წმენდის დროს“ სტალინის როლი სულ სხვა იყო. ურწმუნოებს ვურჩევ, ჯერ წაიკითხონ არჩ გეტის წიგნი „დიდი ტერორი“. ასევე, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ **კატინის ტრაგედიაში საბჭოთა კავშირს ბრალი არ მიუძღვის. ჯერ კიდევ 1992 წელს ისტორიკოსმა იური მუხინმა გამოაქვეყნა წიგნი „КАТЫНЬСКИЙ ДЕТЕКТИВ“-ი და იქ მოყვანილი არგუმენტაცია ჯერჯერობით ვერავინ უარყო პოლონეთის სეიმის ჩათვლით!** ჩვენ უნდა განვუმარტოთ ქართულ საზოგადოებას, რომ მოლოტოვ-რიბენტროპის ე. წ. პაქტი არ იყო მოკავშირული, რადგან მხარეები არანაირ ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ არ იღებდნენ! რაც შეეხება ხრუშჩოვის ლუღლუღს პარტიის მეოცე ყრილობაზე, ყველა დაინტერესებულს ვურჩევ, გაეცნონ გროვერ ფერის წიგნს „ხრუშჩოვის 61 ტყუილი“.

**— ბატონო იაკობ, გვიახლოვდება 9 მაისი — მეორე მსოფლიო ომის დასრულების მორიგი წლისთავი. ეგებ, უფრო ვრცლად ისაუბროთ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტზე, რომელმაც, ვაი-ისტორიკოსების აზრით, კაცობრიობის ეს ტრაგედია გამოიწვია.**

— თუ ნებას მომცემთ, დავაზუსტებ: არა „ვაი-ისტორიკოსები“, არამედ „ბნელი ძალების მიერ მოსყიდული ისტორიკოსები!“ განვმარტავ: „ვაიისტორიკოსები“ — უვიცებს ნიშნავს, „მოსყიდული ისტორიკოსები“ კი ისეთი ხალხია, რომლებმაც მშვენივრად იციან, რომ ცრუობენ, ანუ ტყუილი და ცილისწამება მათი „პურია“! სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ისტორიკოსებს არ ეხება. მოსყიდულები, იგივე, სულმიყიდულები არიან, მაგალითად, ის ფსიქიატრები და ფსიქოლოგე- ▶

**«თუ ჩვენ საკუთარ თავს ვთვლით საზოგადოების წევრებად, ვალდებულნი ვართ, დავამარცხოთ ანტისტალინიზმი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში!»**

**„ყველა საღად მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს ჰქონდა, აქვს და ექნება საკუთარი ინტერესები. ეს დღევანდელ საქართველოს, როგორც ერთადერთ გამონაკლისს მსოფლიოში, არ გააჩნია ინტერესები! საქართველო სხვისი ინტერესებით სულდგმულობს და ეწირება კიდეც მათ!..“**

## ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბი, რომლებიც ჰომოსექსუალიზმს აცხადებენ ნორმად და არა უმძიმეს ფსიქიკურ დაავადებად! ასევე, ამგვარნი არიან ექიმები, რომლებიც, დასავლური ფარმაკოლოგიური კონცერნების დავალებით, საკუთარ მოსახლეობაზე ცდებს ატარებენ... და, თუ გნებავთ, პედაგოგებიც! თუმცა ეს სულ სხვა თემაა. კეთილი, ვუამბოთ ხალხს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტზე.

**დასავლელი რევანშისტები მსოფლიო საზოგადოებას თავს ახვევენ იმ აზრს, თითქოს 1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის გაფორმებული თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულება, ანუ ე. წ. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, დაიდო სსრკ-ის ინიციატივით. ეს ბლეფია!** სინამდვილეში მაგ დროს საბჭოთა კავშირი იყო დაკავებული ანტიფაშისტური ბლოკის შექმნით. თუმცა პოლონეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა ეს მცდელობა დაასამარეს, რამაც ხელი შეუწყო მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას. როცა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბოლოოდ ცხადი გახდა ანტიფაშისტური ბლოკის ჩაშლის თაობაზე, მთავრობის თავმჯდომარე ვიაჩესლავ მოლოტოვი თანხმდება გერმანელებთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების დაწყებას და წინაპირობად აყენებს სავაჭრო-საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებას. მისი მიხედვით, გერმანია იღებდა ვალდებულებას, საბჭოთა კავშირისთვის 200 მილიონი მარკის ღირებულების მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მიწოდებაზე (დანადგარები, მანქანები, ძრავები, ოპტიკა, ზუსტი მექანიზმები და ა.შ.), ხოლო ჩვენ ვაწვდიდით, ძირითადად, ნედლეულს (ხეტყე, ბამბა, ნახშირი და ა. შ.). საბჭოთა ქვეყანამ, ამ ხელშეკრულების დადებით, აიძულა გერმანია შეეჩერებინა თავისი სამხედრო ძალების სწრაფი ზრდა, რადგან პოტენციური ჯარისკაცები (ანუ ჩვენი წინაპრების მკვლელები) დაეტოვებია ქარხნებში არა მხოლოდ ჩვენი შეკვეთების შესასრულებლად, არამედ ჩვენ მიერ მიწოდებული ნედლეულის გადასამუშავებლადაც.

აქვე მინდა შეგახსენოთ ორი ისტორიული ფაქტი, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ქართველების უმრავლესობას არც კი გაუგია. საუბარია იმავე 1939 წლის 7 ივნისის ლატვია-გერმანიისა და ესტონეთ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულებებზე, რომლებიც ისტორიაში ცნობილია, როგორც სელტერს-რიბენტროპის და მუნტერს-რიბენტროპის პაქტები. და კიდევ, **შეგახსენებთ ყველაზე მთავარ მოვლენას, რამაც, საბოლოო ჯამში, განაპირობა ჰიტლერის დაგეგმილ დროზე ადრე თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. ესაა 1938 წლის 29 სექტემბრის მიუნხენის ხელშეკრულება, შემდგომში „მიუნხენის შეთქმულებად“ წოდებული. ეს ზუსტად ის ხელშეკრულებაა, რომლითაც „უძველესმა დემოკრატიებმა“ — ინგლისმა და საფრანგეთმა გაწირეს ჩეხოსლოვაკია და მიართვეს იგი ჰიტლერს, რითაც მას გზა გაუხსნეს აღმოსავლეთისაკენ; „საწყალმა მსხვერპლმა“ — პოლონეთმა კი ისარგებლა „მიუნხენით“ და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მოახდინა ჩეხოსლოვაკიის ტეშინის ოლქის ოკუპაცია! ამ ფაქტზე ჩვენი შინნაზარდი ფაშისტები დუმან!**

**— მაგრამ, ბატონო იაკობ, გვიმტკიცებენ, რომ მოლოტოვ-რიბენტროპის ხელშეკრულებას ახლდა „საიდუმლო დამატებითი პროტოკოლი“, ე. წ. სდპ, რომლითაც თითქოს გერმანია და სსრკ შეთანხმდნენ, ერთობლივად დაეპყროთ, შემდეგ კი გაეყოთ პოლონეთი.**

— ეს არა მხოლოდ სასაცილო, არამედ ამაზრზენია, რომ დღემდე ჰებელსის სულიერ შვილებს, ამ ნაძირლებს, თავადაც არ უნახავთ ეს „საბუთი“, თუმცა ძალიან უყვართ მისი ციტირება! **1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის გაფორმდა თავდაუსხმელობის ხელშეკრულება და არა პაქტი, რომლის სრული ტექსტი 24 აგვისტოს დაიბეჭდა „იზვესტიასა“ და „პრავდაში“; ხოლო 26 დღეში, ანუ 18 სექტემბერს, ამ ხელშეკრულებას ეწოდა პაქტი;** თუ რატომ, ამაზე მომდევნო, შემდეგ საუბარში განვმარტავ, მკითხველი რომ არ გადავღალოთ!

**— ბატონო იაკობ, დავუშვათ, რომ საბჭოთა კავშირი და გერმანია შეთანხმდნენ ერთობლივ აგრესიაზე პოლონეთის წინააღმდეგ, თქვენი კონტრარგუმენტები!**

— ამ შემთხვევაში ჩნდება რამდენიმე კითხვა.

პირველი: რატომ არ გამოუცხადა სსრკ-ს ომი პოლონეთის მოკავშირეებმა — ინგლისმა და საფრანგეთმა ისევე, როგორც გერმანიას?

მეორე: რატომ არ გამოუცხადა რუმინეთმა ომი საბჭოთა კავშირს, რადგან ეს იყო რუმინეთის პირდაპირი ვალდებულება, პოლონეთთან დადებული ხელშეკრულების თანახმად?

მესამე; რატომ დატოვა „ერთა ლიგამ“ რეაგირების გარეშე საბჭოეთის მიერ ჩადენილი აგრესია?

არადა, იმავე 1939 წლის ნოემბერში, როდესაც საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა იარაღით მოეგვარებინა ურთიერთობა გერმანელი ფაშისტების ლაქიასთან — ფინეთთან, „ერთა ლიგამ“ მომენტალურად სცნო სსრკ აგრესორად და გააძევა თავისი რიგებიდან! ეს იმის უტყუარი მანიშნებელია, რომ **არავითარი საიდუმლო გარიგება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის პოლონეთის ერთობლივად დაპყრობაზე არ ყოფილა! ამ ფაქტს ადასტურებს თუნდაც გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის მეთაური ფრანც ჰალდერი.** ის თავის ცნობილ დღიურში წერს, რომ უკვე 7 სექტემბერს ჰიტლერი მზად იყო, დაეწყო მოლაპარაკება პოლონეთთან, კერძოდ, დასავლეთ უკრაინის დამოუკიდებლობის შესახებ, კრაკოვის პოლონეთისთვის დატოვებაზე და სხვ. ეს თვალნათლივ მეტყველებს, რომ **არც გერმანია და არც სსრკ არ აპირებდნენ პოლონეთის განაწილებას!** ერთი წლის შემდეგ, 1940 წლის 13 ნოემბერს, ბერლინის შეხვედრაზე მოლოტოვი შენიშვნას აძლევს ჰიტლერს იმის გამო, რომ იგი იარაღის ძალით ცვლის ევროპის რუკას, რაზეც ჰიტლერმა უპასუხა, რომ იარაღით განხორციელებული ცვლილებები არ ყოფილა მოსკოვის 23 აგვისტოს ხელშეკრულების საგანიო. აქედან, თუ „საიდუმლო დამატებითი პროტოკოლის“ გამომგონებლებს დავუჯერებთ, გამოდის, რომ თვით ჰიტლერსაც კი არ სცოდნია მოსკოვის ხელშეკრულების შინაარსი! კი, ბატონო, ჰიტლერი იყო ტირანი, მაგრამ „სდპ“-ის შემთითხვნელებისნაირი გონებაჩლუნგი ნამდვილად არ ყოფილა!



იაკობ ჯუღაშვილი მეუღლესთან — ნინო ლომკაცთან ერთად

**«არავითარი საიდუმლო გარიგება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის პოლონეთის ერთობლივად დაპყრობაზე არ ყოფილა! ამ ფაქტს ადასტურებს თუნდაც გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის მეთაური ფრანც ჰალდერი»**

**— როგორ აფასებთ იმდროინდელი პოლონეთის ხელისუფლების ქმედებებს?**

— პოლონეთის მთავრობა და მთავარსარდლობა მოიქცნენ როგორც ლაჩრები, მოღალატეები! და, აი, რატომ: **1939 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, პოლონური არმია იყო უფრო ძლიერი, ვიდრე გერმანიის შეიარაღებული ძალები! პოლონეთის ჭეშმარიტი პატრიოტი, გამოჩენილი მთავარსარდალი იუზეფ პილსუდსკი, რომელიც გარდაიცვალა 1934 წელს, კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა პოლონეთის გენერალიტეტს და მას ლამის დეგენერატების საკრებულოდ თვლიდა; ჩერჩილი კი პოლონელი ხალხის ტრაგედიის მიზეზს ასე ხსნიდა: სამწუხაროდ, უმამაცესთა შორის უმამაცესებს ძალიან ხშირად ხელმძღვანელობდნენ გარეწართა შორის უგარეწრესებიო!**

**— ბატონო იაკობ, ზუსტად დღევანდელ საქართველოზეა ნათქვამი!**

— თუმცა ადრე, როცა პოლონეთმა ჩეხოსლოვაკიას ტეშინის ოლქი წაართვა, იმავე ჩერჩილმა პოლონეთის სახელმწიფო დაახასიათა როგორც „ევროპის ხარბი აფთარი“... მოკლედ, 10 სექტემბერს პოლონეთის ხელისუფლებამ, მოსციცკის მეთაურობით, ბედის ანაბარად მიატოვა ვარშავა და იმის ნაცვლად, რომ დარჩენილიყო ქვეყანაში, გახიზნულიყვნენ აღმოსავლეთით და იქ ემოქმედათ ან დაედოთ სამშვიდობო ხელშეკრულება გერმანიასთან, ან გამოეცხადათ კაპიტულაცია, ან გადაფრენილიყვნენ გერმანიასთან საომარ მდგომარეობაში მყოფ ინგლისში ან საფრანგეთში, 17 სექტემბერს გადაკვეთეს რუმინეთის საზღვარი. რუმინეთი კი იმ მომენტში გერმანიასთან მიმართებაში იყო ნეიტრალური ქვეყანა. ამ შემთხვევაში, რუმინეთი ვალდებული იყო, პოლონელები დაეპატიმრებია, ანუ, დიპლომატიური ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, პოლონელების ინტერნირება მოეხდინა, რაც გააკეთა კიდეც. ინტერნანტებს კი, ეკრძალებათ ყოველგვარი ქმედების განხორციელება, მათ შორის, პოლიტიკურისაც! ეს ნიშნავდა პოლონეთის სახელმწიფოს დაცემას, არარსებობას!

**ყველა საღად მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს ჰქონდა, აქვს და ექნება საკუთარი ინტერესები. ეს დღევანდელ საქართველოს, როგორც ერთადერთ გამონაკლისს მსოფლიოში, არ გააჩნია ინტერესები! საქართველო სხვისი ინტერესებით სულდგმულობს და ეწირება კიდეც მათ!..** რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირსაც ჰქონდა თავისი ინტერესები! მისი ამოცანა იყო კუთვნილი ტერიტორიისა და მოსახლეობის დაცვა. შესაბამისად, მას არ სჭირდებოდა სხვისი მიწების მითვისება, მათ შორის, პოლონურის. პირიქით! ის დაინტერესებული იყო, პოლონეთი ძლიერი ბუფერული სახელმწიფო ყოფილიყო, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა ფაშისტურ გერმანიას. **პოლონური „ელიტის“ ამგვარმა ქმედებამ საფრთხე შეუქმნა არა მხოლოდ საკუთარ ხალხს, არამედ დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის სლავურ მოსახლეობასაც.**

საბჭოთა კავშირი არ მოელოდა პოლონური ხელისუფლების მხრიდან ასეთ სიმხდალეს. 10 სექტემბერს საბჭოთა მთავრობამ პოლონეთის ელჩს მოსკოვში წერილით მიმართა, რომელშიც სთხოვდა პოლონეთის მმართველობას, ნება დაერთოთ, გაეტარებინა საბჭოთა ჯარი თავის ტერიტორიაზე სლავური მოსახლეობის დასაცავად. ეს თხოვნა პოლონეთმა უპასუხოდ დატოვა, არაა გასაკვირი, რადგან 10 სექტემბერს პოლონეთის მთავრობა და გენერალიტეტი ვარშავიდან უკვე გაქცეულები იყვნენ და არავინ იცოდა მათი ადგილსამყოფელი. დუმილი კი დიპლომატიურ ენაზე ნიშნავს თანხმობას. 14 სექტემბერს სსრკ-ის მთავარსარდლობამ გასცა მობილიზაციის განკარგულება, ხოლო 17 სექტემბერს საბჭოთა ჯარი შევიდა დასავლეთ უკრაინასა და ბელორუსიის ტერიტორიებზე. ასევე, 17 სექტემბერს გახდა ცნობილი, რომ პოლონეთის ხელისუფლება ჩაბარდა რუმინეთს, რამაც პოლონეთის სახელმწიფო ავტომატურად გააუქმა და, შესაბამისად, 1932 წლის გაფორმებული და 1938-ში განახლებული საბჭოთა-პოლონურმა ხელშეკრულებამ თავდაუსხმელობის შესახებ, ასევე, ავტომატურად დაკარგა ძალა. მაშასადამე, **საბჭოთა ჯარების მიერ დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის სლავური მოსახლეობის დასახლებული ტერიტორიების დაკავება იყო ყველა საერთაშორისო იურიდიული თუ სხვა ნორმების დაცვით განხორციელებული აქტი.**

დაბოლოს, ამ თემასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ შარშანწინ, „ნოვაია გაზეტას“ წინააღმდეგ სასამართლო პროცესის დროს, ჩვენმა მხარემ მოპასუხისგან მოითხოვა, სასამართლოსთვის წარედგინა „საიდუმლო დამატებითი პროტოკოლის“ თუნდაც ასლები, რაზეც ჩვენ კატეგორიული უარი მივიღეთ. ეს ცრუპენტელების ბუნებრივი რეაქციაა, რადგან მოპასუხეებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქაღალდი აღმოჩნდებოდა სასამართლოში, ჩვენი მხარე დაუყოვნებლივ მოითხოვდა ექსპერტიზას, რისიც მათ ცეცხლივით ეშინოდათ და ეშინიათ ახლაც.

**— გურიაში, ბატონო იაკობ, პირველი სადღეგრძელო მშვიდობისაა, ხოლო გორში, არათუ დღესასწაულებზე, ქორწილებში, არამედ ქელეხებშიც პირველი სადღეგრძელო სტალინისა იყო! თქვენი აზრით, რა დაემართა გორელებს?**

— თქვენ ახლა განახორციელეთ „შემოვლითი მანევრი“ და ფარულად პირველ კითხვას დაუბრუნდით, მაგრამ მე ემოციებზე ვერ ამიყოლიებთ! რაც შეეხება გორელების ინერტულობას, ეს სერიოზული თემაა. მოდით, შემდეგ საუბარში ამასაც შევეხოთ!

**«კატინის ტრაგედიაში საბჭოთა კავშირს ბრალი არ მიუძღვის. ჯერ კიდევ 1992 წელს ისტორიკოსმა იური მუხინმა გამოაქვეყნა წიგნი «КАТЫНЬСКИЙ ДЕТЕКТИВ»-ი და იქ მოყვანილი არგუმენტაცია ჯერჯერობით ვერავინ უარყო პოლონეთის სეიმის ჩათვლით!»**

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

საქართველო და მსოფლიო
ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკვე მეოთხე ვეტერანს ვესაუბრები და მათ ერთი რამ აერთიანებს — თავმდაბლობა! სიამოვნებით აღწერენ მეგობრების მიერ ჩადენილ გმირობას, თავისაზე კი მოკლედ გეუბნებიან: ვომობდი, ვისროდი მოწინააღმდეგის მიმართულებით, მოკლედ, დიდი არაფერი... აი, ამ „დიდ არაფერში“ 1941 წლის აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით, რიგითი, შემდეგ ზემდეგი შოთა გამყრელიძე დაჯილდოვდა 12 მედლით და მესამე ხარისხის „დიდების ორდენით“.**

აკადემიკოსი შოთა გამყრელიძე:

# სტალინი, როგორც ქართველი, ჩემი სიამაყეა!



**ნუთუ ეს კაცი 90 წლისაა?! მაქსიმუმ, 75-ისა გამოიყურება! თანაც მუშაობს და როგორ! მხოლოდ მის კაბინეტთან იდგა რიგი! საგულდაგულოდ დავითვალე 11 პაციენტი; და ეს — დღის ბოლოს! მოიცა, ძმაო, მოიცა... აზრები დაალაგე. ეს რა გამოდის? „ნაციონალების“ „ქორონიკონის“ მიხედვით, გამოჩენილი ქართველი ფსიქიატრის — შოთა გამყრელიძის ასაკი უდრის 2,5 „ჩამოწერილისა“ და თითქმის ორი „ჩარეცხილის“ წლოვანებას?!**

— დავიბადე თბილისში 1922 წლის 28 თებერვალს და, აი, რატომ თბილისში, — **მიყვება ბატონი შოთა,** — მამაჩემი — აკაკი გამყრელიძე კავალერისტი იყო, ოფიცერი, რომელიც ქართულ ჯარში მსახურობდა. 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ, ის არ გაჰყვა ჟორდანიას მთავრობას ემიგრაციაში, სამშობლოში დარჩენა ამჯობინა; შეირთო ცოლად დედაჩემი, თავადის ასული აგრაფინა აბაშიძე და ჭიათურაში დასახლდა. დედაჩემს მშობიარობის დრო რომ მოუახლოვდა, მამამ თბილისში ჩამოიყვანა. მაგ დროს დედაქალაქში მხოლოდ ერთი სამშობიარო სახლი არსებობდა, ზუსტად ის, რომელიც ახლანდელ კოსტავას ქუჩაზეა. მანდ მთავარ გინეკოლოგად მუშაობდა მამაჩემის სიძე, პროფესორი მიხეილ მგალობლიშვილი.

**მშობიარობა მშვიდობით დასრულდა — ქვეყანას კიდევ ერთი ქართველი, პატარა შოთა მოევლინა.**

— დედისგან ვიცი, რომ გალურჯებული და ბოთლივით წაგრძელებული თავი მქონდა, — **იცინის აკადემიკოსი.**

**აკაკი გამყრელიძის ოჯახური ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. 1924 წელს საქართველოში იფეთქა საყოველთაო აჯანყებამ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ჭიათურაც განზე არ იდგა და, რასაკვირველია, ყოფილი ოფიცერი, სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად, ჩაება ამ უთანასწორო ბრძოლაში...**

— დედაჩემი 21 წლისა დაქვრივდა. მამა რომ დახვრიტეს, მე 2,5 წლის ვიყავი, ხოლო ჩემი და — 6 თვის... ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდში კი გვქონდა ყანა, მაგრამ დედაჩემს, აბაშიძის ქალს, გაუჭირდა მიწის დამუშავება. მაგრად გვიჭირდა! მეზობლად ბაბუას ძმა ცხოვრობდა, ისიც ძალზე ხელმოკლე. ის ხანდახან მეკითხებოდა: ბაბუა, დღეს სადილზე რა მიირთვიო? ვპასუხობდი: პიტნაკალია და კვახიჭელათქო. იცით, რა არის პიტნაკალია? — **შინაურულად მეკითხება ბატონი შოთა.**

**— არა!**

— რა იმერელი ხარ, ბიჭო, ასეთი?! პიტნას ჩაყრიდნენ მდუღარეში, უზამდნენ ნიგოზს, მოურევდნენ და, აი, ამას ბავშვები ვხვლიპავდით!

**— კვახიჭელა?**

— ბებიაჩემი კვახს ლენტივით გათლიდა და გასახმობად ჩამოკიდებდა. უზამდნენ მერე ნიგოზს, დაუმატებდნენ ძმარს და, იცოცხლე, კარგი საჭმელი იყო!

**ბატონი შოთა გამზრდელად ბიძას, დედის ძმას — სერგო აბაშიძეს მიიჩნევს.**

— ბიძაჩემმა დედაჩემი, ჩემს დასთან ერთად, საცხოვრებლად საჩხერეში გადაიყვანა. ორი პატარა ოთახი ჰქონდა და იქ დააბინავა. მე კი მესამე კლასამდე სოფელში ბებიასთან — პლატონიდა ბარათაშვილთან ვცხოვრობდი, რომელიც ძალიან მიყვარდა. სწორედ მან მასწავლა სიმღერა და გიტარაზე დაკვრა. მერე დედასთან გადავედი საჩხერეში და იქ დავამთავრე საშუალო სკოლა.

**1937 წელს გამოვიდა ბრძანება, რომლის მიხედვით, სკოლას ფრიადზე თუ დაამთავრებდი, უმაღლესში უგამოცდოდ მიგიღებდნენ. 1939 წლის ივლისში ფრიადოსანი შოთა გამყრელიძე მიადგა „ალმა-მატერის“ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარიბჭეს.**

— აღმოჩნდა, რომ დავაგვიანე! 40-პროცენტიანი ლიმიტი, რომელიც იყო გამოყოფილი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე მედალოსნებისთვის, შევსებული დამხვდა. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კი წარჩინებულთათვის მარტო სამთო-საინჟინრო ფაკულტეტზე იყო დარჩენილი ვაკანტური ადგილები; მაგრამ ჭიათურაში მუშებივით გამურულ სამთო-ინჟინრების შემყურემ იქ შესვლა გადავიფიქრე და სასოფლოზე ჩავაბარე. მართალია, ხუთებზე ვსწავლობდი, მაგრამ თეატრში უფრო დავდიოდი, ვიდრე ლექციებზე.

**1940 წელს შოთა გამყრელიძე ჯარში გაიწვიეს. მსახურობდა ვინიცის ოლქის ქალაქ ჟმერინკაში.**

— მაგ ნაწილში ქართველები ბევრნი ვიყავით. ჩვენი განათლების გამო პატივს გვცემდნენ. რუსს იშვიათად თუ ჰქონდა საშუალო განათლება მიღებული. ამიტომ, მეთაურებმა შემოგვთავაზეს, წავსულიყავით სასწავლებლად ლეიტენანტების სკოლაში, მაგრამ უარი ვუთხარით, რადგან ჩვენ — ახალგაზრდებს, გარნიზონული ცხოვრება მისი სიმკაცრითა და ერთფეროვნებით გულზე ნამდვილად არ გვეხატებოდა.

**«საქართველოს პრეზიდენტი, მისი აღმატებულება მიხეილ სააკაშვილი, ფსიქიკურად სრულიად ჯანმრთელია!.. იგი სრულიად ათვითცნობიერებს თავის ნებისმიერ ქმედებას და მათზე პასუხისმგებელია!»**

**1941 წლის აპრილის ბოლოს ნაწილი, რომელშიც რიგითი გამყრელიძე ირიცხებოდა, საზღვრისკენ დაძრეს.**

— გვითხრეს, ერთთვიან ლაშქრობაში მივდივართო. ჩვენთან მსახურობდნენ ოფიცრები — ფინეთის ომის მონაწილეები, რომლებიც დარწმუნებულები იყვნენ ახალი ომის მოახლოებაში — ან თურქეთთან იქნება ომი, ან გერმანიასთანო, — ორჭოფოდნენ ისინი.

**თურქეთთან სამხედრო კონფლიქტის პერსპექტივამ ძალზე გაამხნევა რიგითი გამყრელიძე.**

— თურქეთთან ომი ნიშნავდა ჩემს უსწრაფეს დაბრუნებას საქართველოში! რამდენიმე ჯარისკაცი შეგვარჩიეს და მიგვავლინეს ქალაქ ორშის ავიასკოლაში. გამგზავრების დღეს, შაბათს, კიევში ვიყავით. მე და ჩემს მეგობრებს ძალიან გვინდოდა, დავსწრებოდით ხრუშჩოვის სახელობის ცენტრალური სტადიონის გახსნას. ჩვენი მეთაური ვერაფრით დავითანხმეთ და ღამის ორ საათზე მატარებლით გავემგზავრეთ კიევიდან. მოგილიოვში დილის ხუთს საათზე გავჩერდით. ამოვიდნენ ქართველი სამხედროები და გვითხრეს, ომი დაიწყოო.

ომის დაწყებიდან მეხუთე დღეს ფაშისტები ორშის დაბომბვას შეუდგნენ.

— ავიასკოლის მთავარ შესასვლელთან, ჩემი საგუშაგოს წინ ლენინის ძეგლი იდგა. დაბომბვისას ამოვეფარე მის კვარცხლბეკს, ძეგლი კი ლამის შუაზე გააპო ჩამოგდებულმა ჭურვის ნამსხვრევმა. ილიჩის ძეგლს უნდა ვუმადლოდე, რომ 90 წელს მივაღწიე **(იცინის).**

**გერმანელებმა დესანტი გადმოსხეს, რომელიც ქალაქის ახლოს მდებარე ტყეს შეეფარა.**

— აი, მაგ დესანტს ვებრძოდით, — **ყვება ვეტერანი.** — მერე ხმა გავარდა, რომ ფაშისტებმა მეორე დესანტი გადმოსვეს, რომელიც ორშაში შემოვიდა საბჭოთა მილიციელთა ფორმაში გამოწყობილიო. დავიწყეთ მილიციონერთა დაკავება და მათი კომენდატურაში გადაგზავნა. მადლობა ღმერთს, არც ერთი მათგანი გერმანელი არ აღმოჩნდა!

**ბრძოლების მიუხედავად, ავიასკოლაში სწავლა არ შეწყვეტილა.**

— იმ დღეებში ჩვენთან, ინსტრუქტაჟის ჩასატარებლად მოვიდა ორი ქართველი ოფიცერი — ინასარიძე და ფრცქიალაძე. ორივენი მფრინავები იყვნენ. **3-4 დღის განმავლობაში ჩვენს თავზე აბსოლუტურად დაუსჯელად დაფრინავდნენ გერმანული სადაზვერვო თვითმფრინავები. ასეთი თავხედობისგან გაგიჟდა ინასარიძე! მივიდა სკოლის უფროსთან და კატეგორიულად მოსთხოვა, ფრონტზე გაეშვათ. ერთ თვეში ინასარიძე საბჭოთა კავშირის გმირი გახდა!**

**სულ მოკლე დროში ორშას უკვე გერმანული არმიის რეგულარული ნაწილები მოადგნენ. ავიასკოლა მთელი შემადგენლობით სასწრაფოდ გადაიყვანეს გორკის ოლქში.**

— გჯერა, რომ, მაგალითად, მძინარე კაცი დადიოდეს? — **გამომცდელი თვალით მეკითხება მოსაუბრე.**

— მე დავდიოდი მძინარე, ვითარცა მთვარეული! ვიღვიძებდი, როცა კოლონა მიმართულებას იცვლიდა!..

**გორკის ოლქში მდებარეობდა უზარმაზარი ტყე, რომელშიც განლაგებული იყო ე. წ. გოროხოვეცის სამხედრო ბანაკი.**

— აქ სარეზერვო ნაწილები იდგნენ. მიწურში ვიცხოვრე ორი კვირა. ყველაფერს შევეჩვიე, გარდა ტილებისა. უკეთესია მოწინავე ხაზზე დავიღუპო, ვიდრე აქ ტილებს შევაჭმევინო თავი-მეთქი და მოვითხოვე ფრონტზე გაგზავნა!


სამი შოთა: ბაღათურია, გამყრელიძე, მუქერია. 1941 წ.


ორშის ავიასკოლის კურსანტი შოთა გამყრელიძე

**«ქაოსი და განუკითხაობა ბოგინობს დედამიწაზე და ადამიანს აუცილებლად გაუჩნდება წესრიგის სურვილი; და, აი, ამ დროს სტალინი წესრიგის და ჰარმონიის სიმბოლოდ იქცევა!»**

„ფაშისტების სქემა ამგვარი იყო: არასრულფასოვანი რასის წარმომადგენელი გაივლიდა ფსიქო-ქიმიურ დამუშავებას, რის შედეგადაც სრულიად კარგავდა მეხსიერებას. ამის გამო, მასთან ვერ აღწევდა ვერანაირი გარე ინფორმაცია... ფაშისტებს უნდოდათ, შეექმნათ ბიორობოტი, რომელიც არაფერზე ფიქრობს, ყოველთვის კმაყოფილია და მრავლდება, აწარმოებს თავისნაირ ადამიან-რობოტებს... რასაკვირველია, ეს იყო სრული ბოდვა, მაგრამ მთელი სირთულე იმაშია, რომ ამგვარი სისაძაგლე არ დასამარდა ფაშისტურ გერმანიასთან ერთად!..“

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

1941 წლის აგვისტოდან რიგითი შოთა გამყრელიძე იბრძვის მოსკოვის მიმართულებაზე, ქალაქ მალოიაროსლავეცთან.

**უკვე მეოთხე ვეტერანს ვესაუბრები და მათ ერთი რამ აერთიანებს — თავმდაბლობა! სიამოვნებით აღწერენ მეგობრების მიერ ჩადენილ გმირობას, თავისაზე კი მოკლედ გეუბნებიან: ვომობდი, ვისროდი მოწინააღმდეგის მიმართულებით, მოკლედ, დიდი არაფერი... აი, ამ „დიდ არაფერში“ 1941 წლის აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით, რიგითი, შემდეგ ზემდეგი შოთა გამყრელიძე დაჯილდოვდა 12 მედლით და მესამე ხარისხის „დიდების ორდენით“.**

— სულ ოთხი თვე ვიომე, თორემ „დიდების ორდენის“ სრული კავალერობა არ ამცდებოდა! — **ხუმრობს ბატონი შოთა.**

**ზემდეგი გამყრელიძე მძიმედ დაიჭრა 1942 წლის პირველ დღეს... მკურნალობა რთულად მიმდინარეობდა. ჯერ იყო ოპერაცია მოსკოვის ჰოსპიტალში, მერე — რეაბილიტაციის პერიოდი, ხოლო იმავე წლის აპრილში იგი საქართველოში დაბრუნდა. „Годен к нестроевой службе“ — გამოუტანა განაჩენი ახალგაზრდა ჯარისკაცს სამედიცინო კომისიამ.**

— სამხედრო კარიერა არასდროს მიზიდავდა. ასე რომ, გული დიდად არ დამწყვეტია. 1942 წელს გამოვიტანე დოკუმენტები სასოფლოდან და წარმატებით ჩავაბარე გამოცდები თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. წარჩინებით ვსწავლობდი, ვიყავი აქტიური საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ვმღეროდი ინსტიტუტის გუნდში. აქვე გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე — ნათელა ფუტკარაძე, რომელიც ჩემსავით ექიმი-ფსიქიატრია.

**პარადოქსურად ჟღერს, მაგრამ ჩემი რესპონდენტი ფსიქიატრიაში შემთხვევით მოხვდა.**

— ნეიროქირურგობაზე ვოცნებობდი, მაგრამ არ არსებობს, რომ ცხოვრებაში ყველა სურვილი შეგისრულდეს, თუმცა, ღვთის წყალობით,



1948 წელი



სამოცი წლის შემდეგ!

**«თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე — ნათელა ფუტკარაძე, რომელიც ჩემსავით ექიმი-ფსიქიატრია... ღვთის წყალობით, მთავარი სურვილი ამიხდა — ვიქორწინე ნათელაზე და, მგონი, ერთად კარგი ქართული ოჯახი შევქმენით!»**

მთავარი სურვილი ამიხდა — ვიქორწინე ნათელაზე და, მგონი, ერთად კარგი ქართული ოჯახი შევქმენით! ჩვენი უფროსი შვილი — აკაკი, ცნობილი ფსიქიატრი იყო, სრული პროფესორი. საუბედუროდ, ორი წელია, რაც გარდაიცვალა... ქალიშვილი — მარინა — ბიოლოგია, ხოლო უმცროსი — ხათუნა — მხატვარი. გვყავს 6 შვილიშვილი და 4 შვილთაშვილი!

**პირადად მე ვერ ვიმარჩიელებ, რა დაკარგა ნეიროქირურგიამ, მაგრამ მსოფლიო ფსიქიატრიამ ნამდვილად იხეირა! აკადემიკოსი შოთა გამყრელიძე ქართულ ფსიქიატრიაში აღიარებულია მეცნიერული და კლინიკური ფსიქოფარმაკოლოგიური მიმართულების მესაძირკვლედ. მის მიერ შესრულებულია და გამოქვეყნებულია 320(!) მეცნიერული ნაშრომი ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ჩეხურ, პოლონურ და ფრანგულ ენებზე, მათგან — 18 მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო.** 2011 წელს გამოვიდა ბატონი შოთას უაღრესად საინტერესო წიგნი „აზარტომანია — XXI საუკუნის ნარკომანია“ პროფესორების — აკაკი გამყრელიძისა და ირაკლი გიორგობიანის თანაავტორობით.

ვინაიდან ასეთი მასშტაბის პროფესიონალთან მქონდა საუბარი, არაა გასაკვირი, რომ დავუსვი ისეთი კითხვები, რომლებიც აღელვებს ჩვენს საზოგადოებას და ხანდახან მის გარკვეულ ფენებს შორის დაპირისპირებასაც იწვევს. საინტერესოა, რას ფიქრობს ამაზე ფსიქიატრი?

**— ბატონო შოთა, თქვენ ცხოვრების დიდი გზა გაქვთ გავლილი. იყავით მონაწილე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი ომისა, რომელიც ფაშიზმის სასტიკი მარცხით დასრულდა. ამ ომის, თუ შეიძლება ასე თქმა, ყველაზე მთავარი ფიგურა იყო იოსებ სტალინი. მაინტერესებს და, ვფიქრობ, არა მხოლოდ მე, ამ პიროვნების თქვენეული შეფასება.**

— მე ახალს არაფერს ვიტყვი. **სტალინი, თუ მას არა კონფორმისტული, არამედ ობიექტური ხედვით შეაფასებ, იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური პოლიტიკური და სამხედრო ფიგურა და, აქედან გამომდინარე, ჩემთვის სტალინის ქართველობა საამაყოა!**

**— მიუხედავად იმისა, რომ მამათქვენი 1924 წელს ბოლშევიკებმა დახვრიტეს?**

— ყველა ის ჯალათი, რომლებმაც საქართველოში 1924 წელს სისხლის ტბორები დააყენეს, სიკვდილით დაისაჯნენ 30-იან წლებში პირადად სტალინის განკარგულებით! ნებისმიერ მოვლენას მე ობიექტური კრიტერიუმით ვუდგები. დღევანდელი მსოფლიო ირყევა ყოველგვარი წინააღმდეგობებით: ეკონომიკური, რელიგიური და, წარმოიდგინეთ, კლასობრივითაც. **ქაოსი და განუკითხაობა ბოგინობს დედამიწაზე და ადამიანს აუცილებლად გაუჩნდება წესრიგის სურვილი; და, აი, ამ დროს სტალინი წესრიგის და ჰარმონიის სიმბოლოდ იქცევა!**

**— მიუხედავად ასეთი შეფასებისა, მისი ძეგლი, თანაც გორში, დაამხეს. ამ შემთხვევაში, რა ქმედებასთან გვაქვს საქმე?**

— ისეთ პრიმიტიულ ქმედებასთან, რომლის სახელია ბარბაროსობა!

**— ფაშიზმს თქვენ იცნობთ, რადგან იარაღით ხელში ებრძოდით. საინტერესოა, ფსიქიატრიული კუთხით როგორ შეაფასებთ ფაშიზმს, როგორც მოძღვრებას?**

— ფაშისტებმა პირველებმა მოინდომეს ადამიანის გენეტიკური სტრუქტურის შეცვლა! ისინი არც დროს, არც ენერგიას და არც თანხებს არ იშურებდნენ, ადამიანთა მასობრივი გაიდიოტების საშუალებების შექმნისთვის. განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენდა ამ იარაღის ქიმიური საშუალებები, რადგან ისინი პირდაპირ აზიანებს ადამიანის ფსიქიკას და ანადგურებს მის ნერვულ სისტემას.

**— კაცობრიობის რომელი ნაწილის გაიდიოტებას ცდილობდნენ ფაშისტები და რა იგულისხმებოდა ამ გაიდიოტებაში?**

— გერმანელი ფაშისტები კაცობრიობას ბატონებად და მონებად ყოფდნენ. ბატონებში ისინი, რა თქმა უნდა, თვლიდნენ მარტო გერმანულ რასას, ხოლო მონებში — ყველა დანარჩენს. მთავარი და საინტერესო აქ იყო ის, რომ მონები ბედნიერები უნდა ყოფილიყვნენ თავისი მონობით!

**— ვერ გავიგე, ბატონო შოთა! როგორ შეიძლება ადამიანი ბედნიერი იყოს მონობაში?!**

— ახლავე აგიხსნით. **ფაშისტების სქემა ამგვარი იყო: არასრულფასოვანი რასის წარმომადგენელი გაივლიდა ფსიქო-ქიმიურ დამუშავებას, რის შედეგადაც სრულიად კარგავდა მეხსიერებას. ამის გამო, მასთან ვერ აღწევდა ვერანაირი გარე ინფორმაცია.** რისგან იტანჯება ადამიანი ყველაზე მეტად? — ეკითხებოდნენ ფაშისტი იდეოლოგები საკუთარ თავს. — რა თქმა უნდა, შედარებისგან! ვიღაც უკეთ ცხოვრობს, ვიღაც უფრო ნიჭიერია, ვიღაც უფრო მდიდარია, ვიღაც უფრო ძლევამოსილია. ამისგანაა ყველა უბედურება! მაშ, როგორ გავაბედნიეროთ მონა? უნდა მოვუსპოთ მას შედარების გრძნობა! ამიტომაა საჭირო, რომ არასრულფასოვანმა გაიაროს ფსიქო-ქიმიური დამუშავება, რის შემდეგ მას უწყვეტი სიხარული ელის! გაუხარდება, რომ თბილა, რომ ბალახი მწვანეა, რომ მზე ანათებს, რომ ზუსტად დღის ორ საათზე, ქვეყანა რომც დაინგრეს, იგი აუცილებლად მიიღებს სადილად თავის ნოყიერ სალაფავს, ღამით კი — ქალს; და ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ბეჯითად იმუშავებს! წარმოიდგინეთ: ადამიანი-მუშა, ადამიანი-ხაბაზი, ადამიანი-მძღოლი... ამასთან, მას არ გააჩნია არავითარი სხვა მოთხოვნილება. არ აქვს არანაირი არასრულფასოვნების კომპლექსი. აი, ხომ არა აქვს, დავუშვათ, ღორს არასრულფასოვნების კომპლექსი, რომ ის ღორია?! ანუ **ფაშისტებს უნდოდათ, შეექმნათ ბიორობოტი, რომელიც არაფერზე ფიქრობს, ყოველთვის კმაყოფილია და მრავლდება, აწარმოებს თავისნაირ ადამიან-რობოტებს... რასაკვირველია, ეს იყო სრული ბოდვა, მაგრამ მთელი სირთულე იმაშია, რომ ამგვარი სისაძაგლე არ დასამარდა ფაშისტურ გერმანიასთან ერთად!..**

**— ბატონო შოთა, მომდევნო კითხვა საკმაოდ სახიფათოა და შეგიძლიათ პასუხი არ გამცეთ...**

— ახალგაზრდავ! მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც მოსკოვის მისადგომებთან იგერიებდა „ესესის“ დივიზიის შეტევებს! შეგიძლიათ დამისვათ ეს კითხვა და გიპასუხებთ!

**— როგორც ფსიქიატრი, როგორ შეაფასებთ სააკაშვილის ფსიქიკურ მდგომარეობას?**

**— მე, როგორც ფსიქიატრი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: საქართველოს პრეზიდენტი, მისი აღმატებულება მიხეილ სააკაშვილი, ფსიქიკურად სრულიად ჯანმრთელია!**

**— ბოდიში, რას გულისხმობთ „ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაში“?**

— ვგულისხმობ, რომ ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანი სრულად აცნობიერებს თავის ნებისმიერ ქმედებას და მათზე პასუხისმგებელია! **მე კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ოპოზიციის იმ ნაწილს, ვინც სპეკულირებს, თანაც უნიჭოდ, პრეზიდენტის ფსიქიკური მდგომარეობით, რითაც ლახავს ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟს!** აი, თქვენ რას იფიქრებთ იმ ოჯახზე, სადაც მისი წევრები ოჯახის უფროსს თვლიან პედერასტად და ამ თავის მოსაზრებას სამეზობლოში ავრცელებენ!.. სირცხვილია!

**გამოგიტყდებით, ასეთი პასუხი მე ხელს არ მაძლევს, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამ ადამიანს ფსიქიატრიაში ვერ ვეპაექრები, რადგან ჩემ წინაშეა ამ დარგის არა რიგითი სპეციალისტი, არამედ ადამიანი, რომლის ბიოგრაფია, ოქსფორდის უნივერსიტეტის წარდგინებით, შეტანილია XXI საუკუნის გამოჩენილი ინტელექტუალების საპატიო წიგნში და რომელიც დაჯილდოვებულია შესაბამისი ვერცხლის მედლით.**

**— რაც შეეხება შიშს, —** აგრძელებს ბატონი შოთა, **დედამიწაზე არ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია დააშინოს ადამიანი. თავად ადამიანი აშინებს საკუთარ თავს და, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, გაუაზრებლად მოსწონს თავისი ასეთი მდგომარეობა...**

**დღეს, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ქალაქ ჭიათურის საპატიო მოქალაქე, „ღირსებისა“ და „ბრწყინვალების“ ორდენების კავალერი, აკადემიკოსი შოთა გამყრელიძე კვლავ ხალხის სამსახურშია! ჩვენს ნევროზულ დროში იგი მთელ თავის უმდიდრეს გამოცდილებას იყენებს ადამიანის ფსიქიკის გადასარჩენად, რაც, დამეთანხმებით, ფასდაუდებელია!**

**გიორგი კორძაძე**



სოხუმის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი — შოთა გამყრელიძე, თანამშრომლებთან და შვილთან — აკაკისთან ერთად

**აკადემიკოსი შოთა გამყრელიძე ქართულ ფსიქიატრიაში აღიარებულია მეცნიერული და კლინიკური ფსიქოფარმაკოლოგიური მიმართულების მესაძირკვლედ. მის მიერ შესრულებულია და გამოქვეყნებულია 320(!) მეცნიერული ნაშრომი ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ჩეხურ, პოლონურ და ფრანგულ ენებზე, მათ შორის — 18 მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო**

საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ის ომი ჩვენი ომი არ იყო; რისთვის იბრძოდნენ ჩვენი მამა-პაპები კომუნისტების ომში; გაემარჯვა ჰიტლერს, ახლა ბავარიულ ლუდს დავლევდით; რატომ დაიღუპა ამდენი ქართველი, როდესაც ჩვენს მიწაზე გერმანელებს ფეხი არ დაუდგამთ და ა.შ. — მსგავსი სერიოზულ-არასერიოზული სისულელეები გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს აზბოქრებული ეროვნული მოძრაობის, დღეს უკვე ოდიოზური ზოგიერთი ლიდერის გაცხელებულ თავებში იშვა და მათივე ბაგეებიდან ხმიანდებოდა.**

# დიდი სამამულო და არა მეორე მსოფლიო!

**შარშან საქართველოს ე. წ. დამოუკიდებლობის შემდგომ ისტორიაში პირველად იყო მცდელობა, რომ ფაშიზმზე გამარჯვების დღე არა 9 მაისს გვეზეიმა, როგორც აქამდე ვზეიმობდით, არამედ 8 მაისს, როგორც ამას დანარჩენი „ცივილური მსოფლიო" აღნიშნავს...**



გივი ჟორკოშვილი

**გივის ავიაპოლკი მოსკოვთან ახლოს, დაბა კლიაზმაში, იყო დისლოცირებული, საიდანაც არაერთხელ გაჰყოლია მისი ავიაგამანადგურებლების ესკადრილია მძიმე ბომბდამშენებს დამცავ ესკორტად ღამეული დაბომბვებისას**

ოდითგან დადგენილი თარიღის „მოულოდნელად" უარყოფა საზოგადოებას ასე აგვიხსნეს: თურმე, ნუ იტყვით და, 1945 წლის 8 მაისს გერმანიის მიერ ხელმოწერილი უსიტყვო კაპიტულაციის აქტმა როდესაც მოსკოვს ჩამოაღწია, მაშინ მოსკოვში უკვე 9 მაისის გამთენია ყოფილა და ამიტომ დადგინდა საბჭოეთში, დანარჩენ მსოფლიოსგან განსხვავებით, 9 მაისი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დღედ, ანუ უნდათ, დროის სხვადასხვა სარტყელით გამოწვეულ ტექნიკურ ლაფსუსად შემოგვასაღონ ეს აშკარა მკრეხელობა!

არა და არა, შინაურ-გარეული ისტორიის გამყალბებელო ბატონებო და ქალბატონებო! საბჭოთა კავშირში არასოდეს უზეიმიათ ე. წ. მეორე მსოფლიო ომის დასრულება, რადგანაც, რაც „განათლებული და დემოკრატიული" დასავლეთისთვის ბანალურად ჟღერადია „მეორე მსოფლიო ომი", ჩვენთვის, „გაუნათლებელი და ბნელი" საბჭოელებისთვის", რომლებმაც სტალინის გენიალური სარდლობით ლომის წილი დავიდეთ ფაშიზმის განადგურებაში, ის ომი იყო, არის და იქნება დიდი სამამულო ომი! და სწორედ დიდ სამამულო ომში (როგორც სტალინმა უწოდა ამ ომს) გამარჯვებას ვზეიმობდით 9 მაისს და მომავალშიც ასევე ვიზეიმებთ!

გასათვალისწინებელია ისიც, თუ ვინ, რა „ფასი გადაიხადა" მოკავშირეთაგან ამ გამარჯვებისთვის, — აშშ-მა დაახლოებით 250 ათასი ჯარისკაცი, ხოლო ინგლისმა ამაზე ოდნავ მეტი. სსრკ-მა კი, უკანასკნელი დაზუსტებული მონაცემებით, 30 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიტანა გამარჯვების სამსხვერპლოზე. თუნდაც ამ აშკარად „სასაცილო სხვაობის" გამო, არა თუ ეკუთვნოდა საბჭოეთს გამარჯვების თარიღის ცალკე დაწესება-აღნიშვნა, არამედ მოვალეც კი იყო გენერალი-სიმუსი, ამითაც გაესვა ხაზი და განსაკუთრებული პატივი მიეგო დაღუპულთა ხსოვნისთვის!

**თუმცა საერთოდ რაზეა და ვის თანაბარ დამსახურებაზეა ლაპარაკი, როდესაც პატარა საქართველომაც კი რაოდენობრივად ბევრად მეტი, 300 ათასი ვაჟკაცი, შესწირა ფაშიზმზე გამარჯვებას, ვიდრე აშშ-ინგლისმა. საბჭოეთის მოკავშირეებმა, რომლებმაც მეორე ფრონტის გახსნა მხოლოდ მაშინ იკადრეს, როდესაც გერმანიის დამარცხება მათ გარეშეც გარდაუვალი გახდა, ამიტომ იძულებულები გახდნენ, მეორე ფრონტი გაეხსნათ, რათა ომის შემდგომ ევროპაში „ტორტის გაყოფის" დროს მსუყე ნაჭერი მათაც დაეთრიათ...**

**აშშ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, დღეს ცდილობს, რომ ფაშიზმზე გამარჯვების ლომის წილი ისტორიის გაყალბებით მიიწეროს — ჰოლივუდის გადაღებული ფილმებიც იმას უმტკიცებენ მსოფლიოს, რომ თითქოს ჰიტლერული გერმანია „რიგით რაიანებს" დაემარცხებინოთ და წითელი არმია ლამის არაფერშუაში იყო.** არადა, იმ ომის დროს ნიუ იორკის ბარრესტორნებში ისე უბერავდნენ ამერიკელი ჯაზმენები, რომ ომისა არაფერი ეტყობოდათ. ის ყბადაღებული „ლენდლიზიც", რითაც სსრკ-ს ეხმარებოდნენ, საბოლოო ჯამში საკუთარი ეკონომიკის დახმარება იყო, ეკონომიკის, რომელმაც ე. წ. დიდ დეპრესიის შემდეგ პირველად სწორედ მეორე მსოფლიო ომის წლებში დაიწყო აღმასვლა და ომის შემდგომ ნანგრევებადქცეული ევროპის ფონზე ხომ საერთოდ, როგორც იტყვიან, შავი დედალივით გაკეთდნენ, მიდიოდნენ და მიდიოდნენ...

ინგლისი? — იშვიათი გამონაკლისის გარდა (საუთჰემპტონი), ნაკლებად ეფექტურ ავიადაბომბვებს თუ არ ჩავთვლით, მაინცდამაინც მძიმედ არც ბრიტანეთი დაზარალებულა. მიუხედავად ამისა, 1945 წლის გაზაფხულზე ბრიტანეთის სამეფო ავიაციამ მძინარე ლაიფციგი მიწასთან გაასწორა, რასაც ათი ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის, მათ შორის, ქალებისა და ბავშვების სიცოცხლე შეეწირა, ანუ მაშინ, როდესაც მესამე რეიხი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და, აქედან გამომდინარე, ასეთი ბარბაროსობის არანაირი სტრატეგიულ-ტაქტიკური აუცილებლობა არ იყო.

**ამას დავუმატოთ უკვე პრაქტიკულად დამთავრებული მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელების მიერ ჩადენილი ხიროსიმა-ნაგასაკის ატომური გენოციდი და მერე ილაპარაკონ შინაურმა თუ გარეულმა „ჰუმანისტმა" ისტორიის გამყალბებლებმა სტალინის სისხლისმსმელობაზე.**

თუმცა არც ამას სჯერდებიან დასავლელი „მშვიდობის მტრედები" და აქტიურად მუშაობენ, რათა სტალინი და ჰიტლერი ერთნაირ ბოროტებად აღიარებინათ მსოფლიოს. ამის პირველი მცდელობა ევროსაბჭოში რუსეთის მძაფრი პროტესტის გამო ჯერჯერობით ჩაუვარდათ...

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ დიდი სამამულო ომის თემების განქიქება არც დღეს და, მითუმეტეს, არც მიშნაცებს დაუწყიათ.

ის ომი ჩვენი ომი არ იყო; რისთვის იბრძოდნენ ჩვენი მამა-პაპები კომუნისტების ომში; გაემარჯვა ჰიტლერს, ახლა ბავარიულ ლუდს დავლევდით; რატომ დაიღუპა ამდენი ქართველი, როდესაც ჩვენს მიწაზე გერმანელებს ფეხი არ დაუდგამთ და ა.შ. — მსგავსი სერიოზულ-არასერიოზული სისულელეები გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს აზბოქრებული ეროვნული მოძრაობის, დღეს უკვე ოდიოზური ზოგიერთი ლიდერის გაცხელებულ თავებში იშვა და მათივე ბაგეებიდან ხმიანდებოდა.

მიშნაცებმა, უბრალოდ, გააგრძელეს ეს ხაზი და, მათივე დევიზიდან გამომდინარე, ლაპარაკიდან საქმეზე გადავიდნენ, საქმეებზე, რომელთაგან პირველი ქუთაისში დიდების მემორიალის აფეთქების ვანდალური აქტი იყო. მემორიალის, რომლის გახსნისას თავის დროზე პატარა სასწაული მოხდა — ათეულობით ჰაერში გაშვებული მტრედებიდან ერთერთმა „ირაო დაარტყა" და მემორიალის ავტორს, გენიალურ მერაბ ბერძენიშვილს მხარზე დააჯდა (!!!), რაც ღვთის სასიკეთო მინიშნება იყო უთუოდ.

ამ მემორიალის აფეთქებისას ორი ადამიანის — დედისა და უცოდველი ბავშვის სიკვდილიც ღვთის მინიშნება იყო, რომელიც ყურად არ იღო ჩვენმა მანქურთმა ხელისუფლებამ და შემდგომ „ლიბერასტული" ნაბიჯი გადადგა — შუაღამისას მზაკვრულად მიაყენეს ამწევები სტალინის მონუმენტს გორში და ფაშიზმის განადგურების უპირველესი მსოფლიო შემოქმედის ძეგლი უცერემონოდ გააქრეს...

აქედან გამომდინარე, გასაკვირია, რომ 9 მაისის 8 მაისით შეცვლაც მონდომეს ამ ხლისტებმა?!

**მაგრამ ეგ არაფერი, ხალხო! ნათქვამია, „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო". ამ ვარდისფერ ჭირსაც მოვიცილებთ, როცა იქნება, და, თუ საქართველოს ეროვნული ხელისუფლება ეღირსება, სტალინის ძეგლი ისევ დიდებით დაბრუნდება თავის კვარცხლბეკზე!**

მანამდე კი ერთ სულისშემძვრელ საგას გიამბობთ დიდი სამამულო ომის თემაზე...

## „და თუ სტალინმა მიკითხოს, უთხარ, არ ვიყავ ჯაბანი"

არ არსებობს ოჯახი საქართველოში, რომელსაც იმ უსასტიკეს ომში ახლობელი არ დაეკარგოს. ამ მხრივ არც ჩვენი ოჯახია გამონაკლისი და ახლა, რაც მამაჩემისგან მსმენია, იმას გიამბობთ...

1934 წელს მამაჩემის ბიძა თბილისის უნივერსიტეტში სრულიად მშვიდობიან, გეოლოგიის ფაგულტეტზე სწავლობდა. ამ დროს დაწყებულა პირადად სტალინის ინიციატივით კავშირის მაშტაბით „ვისოკი, კრასივი" ბიჭების „დავერბოვკება" მაშინ ჯერ კიდევ ახლადფეხადგმულ საბჭოთა ავიაციაში. ჰოდა, ერთ-ერთი ასეთი „ვისოკი, კრასივი" 22 წლის ჭაბუკი გივი ჯორკოშვილიც აღმოჩნდა. მამაჩემის ბიძაც იმ არმიას შეუერთდა, რომელსაც შემდეგ „სტალინსკიე სოკოლები" ეძახდნენ...

ქიზიყში დაბადებულ შევარდენს, თავისი „ოტეც სალდატიც" ჰყავდა — უნივერსიტეტის უბრალო კარისკაცი, რომელსაც მთელი მაშინდელი უნივერსიტეტი სიყვარულით ძია მოსეს ეძახდა, ჩემი დიდპაპა, ვისაც მხოლოდ იმიტომ ვახსენებ, რომ ამ სევდიანი ამბის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა.

გივის ავიაპოლკი მოსკოვთან ახლოს, დაბა კლიაზმაში, იყო დისლოცირებული, საიდანაც არა ერთხელ გაჰყოლია მისი ავიაგამანადგურებლების ესკადრილია მძიმე ბომბდამშენებს დამცავ ესკორტად ღამეული დაბომბვებისას. დაბრუნებისას გივის წესად ჰქონია, უვნებლად გადარჩენა იქვე, კლიაზმაში, მცხოვრები ულამაზესი ნინა სოსეიკინას სახლის თავზე უმაღლესი პილოტაჟის ტრიუკებით ეცნობებინა ფრონტული სიყვარულისთვის.

ერთ-ერთი ასეთი „ტრიუკაჩობისას" შემთხვევით მისი „ისტრიბიტელის" ფრთა მაღალ ალვისხეს წამოსდებია, მანქანა მსუბუქად დაზიანებულა, გივი კი „მძიმედ" დაუსჯიათ — ხელფასიდან დაუქვითეს თვითმფრინავის რემონტის საფასური. ეს ისე, მცირე ლირიული გადახვევა...

1944 წლის თებერვალში საკუთარი თვითმფრინავით ჩამოფრენილა 31-ე ქარხანაში და, სანამ მის თვითმფრინავს გაარემონტებდნენ, რამდენიმე დღე მადლიანი ქიზიყი მოუვლია, მოუნახულებია დიდი ხნის უნახავი ნათესავები თუ მეგობრები.

ძია მოსემ საკუთარ შვილს, თბილისში დაბრუნებულ გივის, დიდი ხნის ჭოჭმანის შემდეგ მაინც შეჰბედა და გლეხურად, ქიზიყურად უთხრა — შვილო, ე ომი საცაა გათავდება, მაგათ უშენოდაც მაუგრეხენ კისერსა, აქ ერთი ცალხელა კაცია, ფულ თუ მისცემ, „პერედავოი აკოპიდან" ამაიყავს ხალხი. შენ აქა ხარ, მოდი ცოტა ფულ მივცემ და იგეთ საბუთ გაგიკეთებს რომა...

მაგას რას ამბობ მამიი (აღარ დაამთავრებინა თურმე გივიმ მამას სათქმელი), შენს გაზრდილს ეგ როგორ გამიბედე? მე იქ ჩემი ამხანაგები მელოდებიან, პარტიას, სტალინს აქვს ჩემი იმედიო. და ის ორიოდე დღე, რაც მის გამგზავრებამდე იყო დარჩენილი, ძია მოსესათვის ხმა აღარ გაუცია და ასე, მამასთან „უმძრახათ", წასულა ფრონტზე.

1944 წლის 4 ნოემბერს გივი ჯორკოშვილს ვიღაც გენერალი უნდა წაეყვანა ფრონტის ხაზზე. მისი თვითმფრინავი კი დივერსიის გამო აფრენისთანავე აფეთქებულა და ახლა ქიზიყელი „ღიმილის ბიჭის" ნეშტი კლიაზმის სასაფლაოზე განისვენებს.

მისგან სახსოვრად ძია მოსეს მისივე ნაჩუქარი სამხედრო ქამარი, ხოლო მამაჩემს ლამაზი ბებუთი დარჩა. და კიდევ დეპეშები, რომელთაც გივის დაღუპვის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში აგზავნიდა ნინა სოსეიკინა გივისთვის ჩვეული ტექსტით „жив, здоров, целую гиви"...

დიდ სამამულო ომში გამარჯვების მორიგ წლისთავს გილოცავთ, პირველ რიგში, ომის ვეტერანებს, და შემდეგ სხვებსაც, ვისაც გჯერათ, რომ ის ომი დიახაც ჩვენი ომი იყო!..

**დავით მხეიძე**

---

**მოკლედ**

## მიწისქვეშა ბიძგები კიდევ გაგრძელდება



**სააგენტო ჯი-ეიჩ-ენის ინფორმაციით, ე.წ. აფთერ შოკები, ანუ განმეორებითი მიწისძვრა ბიძგები კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება. თუმცა სეისმოლოგები ვარაუდობენ, რომ მათი სიმძლავრე გაცილებით ნაკლები იქნება და მოსახლეობის შეშფოთების მიზეზი არ აქვს.** მთელი ღამის განმავლობაში საქართველოში 15-მდე ე. წ. აფთერ შოკი დაფიქსირდა. საქართველოს სეისმოლოგიური ცენტრის ინფორმაციით, ბოლო ბიძგი დილის 8 საათსა და 5 წუთზე დაფიქსირდა, მისი სიმძლავრე 3,1 მაგნიტუდა იყო.

**„აფთერ შოკები" სერია აუცილებლად განმეორდება ერთი ან ორი კვირის განმავლობაში. ეპიცენტრი 30 კილომეტრით არის დაშორებული, ამიტომ საქართველოს მოსახლეობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ეს არის ეფექტი, რომელსაც მოსახლეობა გრძნობს ამ დიდი მიწისძვრისგან და ეს ეფექტი იმდენად მცირეა, რომ მას არანაირი ზარალის მოტანა არ შეუძლია",** — აცხადებს სეისმოლოგი თეა გოდოლაძე.



იური მშველიძე

**მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში არ არსებობს პიროვნება, რომელიც სტალინს შეედრებოდა ლიდერის ჩვევებით, ერუდიციით, სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის ნიჭით, პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის განვითარების ორი ნაბიჯით ადრე ხედვის უნარით!**

მოსაზრება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ხსოვნა და დიდება წარუშლელია!»

> „ალბათ, სტალინის გარდა, ვერც ერთი სხვა ადამიანი ვერ გააკეთებდა იმავეს იმ ომში ისეთი დაუნდობლობით, მოქნილობით ან მიზანსწრაფულობით, რასაც ასეთი არაადამიანური მასშტაბების ომის წარმატებით წარმართვა მოითხოვდა...“
>
> *სერ პიტერ უსტინოვი*



**ამ დღეებში გამარჯვებისა და დიდი სამამულო ომის 67 წლისთავის მოახლოვებისას, მთელ მსოფლიოში გავრცელდა ამბავი, რომ საქართველოში, ქალაქ გორში, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის მუზეუმის სტალინიზმის მუზეუმად გადაკეთებას აპირებენ. ჭეშმარიტად „ისტორიული გადაწყვეტილებაა“ იმ პიროვნების უკვდავსაყოფად, რომელიც მსოფლიო ისტორიის ანალებში სამუდამოდაა ჩაწერილი!**

1941-1945 წლების სამამულო ომში დიდი გამარჯვების დაკნინება, პრაქტიკულად, იმით დაიწყო, რომ სტალინი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ამ გამარჯვებისთვის, თავისი სამშობლოსა და კაცობრიობისთვის, მოინდომეს ურჩხულად, საფრთხობელად ექციათ ადამიანთა ბევრი თაობისთვის. სტალინის კრიტიკამ გაუხსნა გზა მმართველი პარტიის კრიტიკას, საბჭოთა კავშირის მიღწევებისა და სამამულო ომში გამარჯვების დაკნინებას.

**სტალინის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის, კრიტიკით იწყება გზა სამამულო ომის ტოტალური კრიტიკისკენ. ამ გეზის მიმდევრები სულ უფრო შორს მიდიოდნენ, რითაც სულ უფრო მეტ შეურაცხყოფას აყენებდნენ უდიდეს სახალხო გმირობას.**

მით უფრო სამწუხაროა, რომ ი. ბ. სტალინის სახელთან დაკავშირებულ ყველა ტიტანური მიღწევის საწინააღმდეგო პროპაგანდაში ახლა გარედან დავალებით მოქმედი ვაიპოლიტიკოსები ჩაერთნენ, რომლებსაც თავი „ახალი მესიები“ ჰგონიათ, რომელთაც „სინათლის სხივი“ მოაქვთ „გაუნათლებელი ქართველი ერისთვის“.

უპრიანია შეხსენება, რომ **ხელისუფლებაში ი. ბ. სტალინის ყოფნისას საქართველოს სსრ განვითარებული მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მქონე რესპუბლიკა იყო. ჩვენ ვამაყობდით ჩვენი სამეცნიერო კადრებით, კულტურით, იმ მსხვილმასშტაბიანი წარმატებებით, რომლებსაც რესპუბლიკამ იმ წლებში მიაღწია.** რას იზამ, დრო დაუნდობლად მირბის და ყველაფერი, უეჭველად, საკუთარ ადგილს დაიბრუნებს!

ნიშანდობლივია, ი. ბ. სტალინის ნათქვამი თანამოსაუბრესთან, როცა მან წინასწარმეტყველურად განაცხადა: **„ჩვენი პარტიისა და ხალხის ბევრ საქმეს დაამახინჯებენ და გალანძღავენ, უპირველეს ყოვლისა, საზღვარგარეთ და ჩვენს ქვეყანაშიც კი. სიონიზმი, რომელიც მსოფლიო ბატონობისკენ ისწრაფვის, სასტიკად იძიებს შურს ჩვენი წარმატებებისა და მიღწევების გამო. იგი ჯერ კიდევ ისე უყურებს რუსეთს, როგორც ბარბაროსების ქვეყანას, როგორც სანედლეულე დანამატს“.**

ეს სიტყვები 1934 წლის ნოემბერში ითქვა და რამდენად აქტუალურია ისინი დღეს!

იმავე წელს ამერიკულმა ჟურნალმა Time-მა ი. ბ. სტალინი წლის ადამიანად დაასახელა! მას ისეთი ამერიკელი ჟურნალისტები ართმევდნენ ინტერვიუს, როგორებიც იყვნენ — უოლტერ დიურანტი, იუჯინ ლაიონე, როი უილსონ ჰოვარდი. **ხანგრძლივი და სერიოზული საუბრები ჰქონდათ სტალინთან მწერალ ემილ ლუდვიგს და პროფესორ ჯერომ დევისს, დრამატურგ ჯორჯ ბერნარდ შოუს, რომელმაც აღნიშნა, რომ სტალინი სასიამოვნო ადამიანი და გიგანტია, ხოლო დასავლეთის ყველა მოღვაწე — პიგმეი.**

საბჭოთა რუსეთმა, თავისი სამართლიანი საგარეო პოლიტიკის გამო ნამდვილად დაიმსახურა მსოფლიოში გარკვეული პატივისცემა. იგი ავსტრიის, ჩინეთის, ესპანეთის, უნგრეთის სახალხო ხელისუფლებებს რეაქციონერების თავდასხმებისგან იცავდა.

შემაშფოთებელი და მძიმე დრო იყო, ჰაერშიც ომის სუნი ტრიალებდა.

როდესაც სტალინმა რუსეთს ძლიერი სამრეწველო, ანუ სამხედრო ზესახელმწიფოდ ქცევისკენ მოუწოდა, თან დასძინა:

**„ძველი რუსეთის ისტორია იმაში მდგომარეობს, რომ მას ყოველთვის ურტყამდნენ ჩამორჩენილობის გამო. ურტყამდნენ მონღოლი ხანები, თურქი ბეგები, შვედი ფეოდალები. ყველა ურტყამდა სამხედრო, კულტურული, სახელმწიფოებრივი, სამრეწველო, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის გამო. აი, რატომ აღარ შეიძლება ჩამორჩენა“.**

დიახ, იყვნენ მტრები, იყო გულაგი, მაგრამ მან იცოდა, თუ რა და როგორ უნდა ეკეთებია და აკეთებდა კიდეც! უმოკლეს ვადებში შეიქმნა ხელისუფლების სისტემა ცენტრიდან პერიფერიებამდე და სისტემა მუშაობდა. შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკა. ქვეყანა საკუთარ თავს უზრუნველყოფდა — აცმევდა, აჭმევდა, იცავდა. ხალხს ხვალინდელი დღის რწმენა ჰქონდა.

**მიუხედავად წლების განმავლობაში უამრავი ტყუილისა, სტალინის სახელი ხალხის გულებში რჩება. მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში არ არსებობს პიროვნება, რომელიც სტალინს შეედრებოდა ლიდერის ჩვევებით, ერუდიციით, სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის ნიჭით, პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის განვითარების ორი ნაბიჯით ადრე ხედვის უნარით!**

მას ისეთი უდრეკი ნებისყოფა ჰქონდა, რომ მტერიც კი მის წინაშე გაჭიმული იდგა.

თვით აშშ-ის პრეზიდენტი ფ. რუზველტი სტალინის შემოსვლისას მის წინაშე ინვალიდის ეტლიდან ადგომას ცდილობდა! ყველამ იცის სახელგანთქმული მხედართმთავრების – გ. ჟუკოვის, კ. როკოსოვსკის, ს. კონევის, ვასილევსკის და სხვების გამონათქვამები სტალინზე. ისინი სტალინის უდავო სამხედრო და ორგანიზატორულ ტალანტზე მიუთითებდნენ.

**მარშალმა კ. როკოსოვსკიმ, არმიის ფავორიტმა, ნ. ხრუშჩოვის წინადადებაზე, მასთან ერთად გამოსულიყო სტალინის წინააღმდეგ ბრალდებებით, უპასუხა: ნიკიტა სერგის ძევ! ამხანაგი სტალინი ჩემთვის წმინდანია!**

ესენი იყვნენ თანამოაზრეები და თანამებრძოლები, მაგრამ დასავლეთის პოლიტიკური და სამხედრო ელიტაც ხომ არ მალავდა თავის ჭეშმარიტ აღფრთოვანებას რუსეთის ლიდერის მიმართ!

## სტალინი სასიამოვნო ადამიანი და გიგანტია, ხოლო დასავლეთის ყველა მოღვაწე — პიგმეი

*ჯორჯ ბერნარდ შოუ*

**უ. ჩერჩილი:** „რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ უმძიმესი გამოცდის წლებში ქვეყანას სათავეში გენიოსი და მტკიცე მხედართმთავარი — სტალინი ჩაუდგა. იგი ყველაზე გამოჩენილი პიროვნება იყო, რომელიც იმპონირებდა ჩვენს ცვალებად და სასტიკ დროში, რომელშიც გადიოდა მისი ცხოვრება, სტალინი საუცხოო ენერგიისა და უდრეკი ნებისყოფის ადამიანია, რომელიც საუბარში ხისტი, სასტიკი და დაუნდობელი იყო“.

**ე. იდენი:** „სტალინმა თავიდანვე დატოვა ჩემზე შთაბეჭდილება თავისი ნიჭით და ჩემი აზრი არ შეცვლილა. მისი პიროვნება თავად მეტყველებდა საკუთარ თავზე და მისი შეფასება გაზვიადებას არ საჭიროებდა. **მას კარგი ბუნებრივი მანერები ახასიათებდა, როგორც ჩანს, ქართული წარმომავლობისა.**

მე ყოველთვის ვხედავდი მასში საინტერესო, ოდნავ პირქუშ და მკაცრ თანამოსაუბრეს, რასაც განსახილველი საკითხები განაპირობებდა. მე არ ვიცნობ სხვა ადამიანს, რომელიც ასე ფლობდა თავს თათბირისას. სტალინი კარგად იყო ინფორმირებული ყველა იმ საკითხზე, რომლებიც მას ეხებოდა, წინდახედული და ოპერატიული იყო... ყოველივე ამის უკან უდავოდ ძალა იდგა“.

**ა. ჰარიმანი:** „ღრმა ცოდნა, დეტალების წვდომის ფანტასტიკური უნარი, გონების სისხარტე და ადამიანის ხასიათის გასაოცარად დახვეწილი გაგება... მე აღმოვაჩინე, რომ იგი რუზველტზე და ჩერჩილზე უკეთაა ინფორმირებული და გარკვეულწილად ყველაზე ეფექტიანია სამხედრო ლიდერებიდან“.

სტალინის გარდაცვალების მეორე დღეს, 1953 წლის 6 მარტს, გენერალმა **დე გოლმა** ფრანგულ რადიოს ინტერვიუ მისცა და განაცხადა: **„სტალინს კოლოსალური ავტორიტეტი ჰქონდა, და არა მხოლოდ რუსეთში. მას შეეძლო მტრების „მოთვინიერება“, არ ვარდებოდა პანიკაში წაგებისას და არ ტკბებოდა გამარჯვებებით. გამარჯვებები კი მეტი ჰქონდა, ვიდრე მარცხი. სტალინური რუსეთი — ეს ის ძველი რუსეთი აღარაა, რომელიც მონარქიასთან ერთად მოკვდა, მაგრამ სტალინური სახელმწიფო სტალინის ღირსეული მემკვიდრეების გარეშე განწირულია“.**

საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი მოსკოვს ოფიციალური ვიზიტით 1966 წლის ზაფხულში ეწვია და ი. ბ. სტალინის საფლავი გვირგვინით შეამკო.

მაღალი, სწორი და უდრეკი გენერალი, წითელ მოედანზე სტალინის საფლავთან მხედრული სალმით იდგა!

უცხოელი პოლიტიკური მოღვაწეების ზემოთმოტანილი გამონათქვამები ნათლად აღწერს და გვიჩვენებს სტალინს, როგორც მეოცე საუკუნის უდიდეს ლიდერსა და პოლიტიკურ მოღვაწეს, არაორდინალურ პიროვნებას, მითუმეტეს, რომ ამ სამმა პოლიტიკოსმა არისტოკრატიული ოჯახებიდან, რომელთაგანაც ერთი მსხვილი სარკინიგზო მაგნატის შვილი იყო, შესაბამისი კასტური განათლებისა და მენტალიტეტის მქონე ადამიანებმა, კომუნიზმის მიმართ თავისი შეუმწყნარებლობით შესაბამის ავტორიტეტსა და დიდებას მიაღწიეს. არაფერია დასამატებელი, არა?

**ი. ბ. სტალინის სიდიადე იმაშია, რომ იგი, როგორც ჩანს, პირველია დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთაგან, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ალტერნატიული ისტორიის რეალიზაციის საშინელი პასუხისმგებლობა.** თანაც რეალიზება ისეთი სახით მოახდინა, რომ ამ რეალიზაციის შედეგად საბჭოთა კავშირმა გაანადგურა კაცობრიობის ყველაზე საშიში მტერი. მან ყველა დროის უდიდესი გამარჯვება მოიპოვა. და, აი ამ გრანდიოზული მიღწევების, გრანდიოზული ამოცანების, ერთდროულად ტრაგიკულის და კოსმიურის შეგრძნებამ აქცია სტალინი ბელადად.

**როგორც არ უნდა მოვიქცეთ, არაკეთილმოსურნე და ისტორიის გამყალბებელი ბევრია, ხოლო სტალინი ერთია და ჯერჯერობით მისი ტოლი ახალ ისტორიაში არ არის და, ალბათ, არც იქნება!**

**იური მშველიძე**

## სტალინის სიდიადე ისაა, რომ იგი, როგორც ჩანს, პირველია დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთაგან, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ალტერნატიული ისტორიის რეალიზაციის საშინელი პასუხისმგებლობა

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთელი მისი ეკონომიკური რეფორმებისა და პროდასავლური რიტორიკის მიუხედავად, სააკაშვილის დემოკრატიული რეპუტაცია კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. საერთაშორისო კრიტიკა მიმართული იყო საქართველოში არჩევნების ჩატარებისა და იმისკენ, რომ სააკაშვილი ანტისამთავრობო გამოსვლების წინააღმდეგ ზოგჯერ სასტიკ პოლიციურ ძალას იყენებდა.**

# რამდენად ავნო WikiLeaks-მა შეერთებულ შტატებს?

**ორ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საიტმა WikiLeaks-მა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის უამრავი, ერთ დროს გასაიდუმლოებული დეპეშა გამოაქვეყნა. თუმცა სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, WikiLeaks-ის ეპიზოდს არც ისეთი ნეგატიური გავლენა მოუხდენია, როგორსაც თავიდან ელოდნენ.**




სემინარზე, რომელიც ვაშინგტონში, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტთან არსებულ ელიოტის სახელობის საერთაშორისო ურთიერთობების სკოლაში გაიმართა, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილმა თანაშემწემ ფილიპ კროულიმ დამსწრეთ დიპლომატიურ წერილებთან დაკავშირებულ სკანდალზე საკუთარი შეფასება გაუზიარა. ზოგადად და საერთო ჯამში, **„ცა არ ჩამოქცეულა“,** — თქვა მან. — **„მაგრამ... მიაყენა თუ არა ამან ზიანი ეროვნულ უსაფრთხოებას ცალკეულ, კონკრეტულ შემთხვევებში ზოგიერთ ქვეყანაში? — რა თქმა უნდა!“.**

ორი ქვეყანა, რომლებშიც WikiLeaks-ის მიერ გამოქვეყნებულმა დეპეშებმა ამერიკულ დიპლომატიას პრობლემები შეუქმნა, პაკისტანი და ავღანეთია. WikiLeaks მა გააუარესა ამერიკული ურთიერთობები ავღანეთის პრეზიდენტ კარზაისთან, **„როდესაც მან მიიღო ავტორიტეტული დოკუმენტები, რომლიდანაც შეიტყო, რომ** (აშშ-ის ელჩი ქაბულში კარლ) **აიკნბერი აშშ-ს მის შესახებ ცნობებს აწვდიდა“,** — აღნიშნა კროულიმ.

WikiLeaks -ის მიერ დიპლომატიური დეპეშების გამოქვეყნების მომენტისთვის სახელმწიფო დეპარტამენტმა, კროულის თქმით, თავისი რეაქცია **„პრობლემების სამ კალათად“** დააჯგუფა. **პრობლემები პირველი კალათიდან შეგვიძლია შემდეგნაირად დავასათაუროთ: „რას შეიძლება ეს ნიშნავდეს აშშ-ს და სხვადასხვა უცხოური ქვეყნების მთავრობებს შორის ყოველდღიური თანამშრომლობის კონტექსტში?“**

კროულის თქმით, რომელმაც თანამდებობა 2011 წლის მარტში დატოვა, საერთაშორისო რეაქცია არაერთგვაროვანი იყო. **„ზოგიერთ შემთხვევაში არანაირ რეაქციას ადგილი არ ჰქონია, რადგან გამოქვეყნებული დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა, კერძოდ, ავტორიტარულ ქვეყნებში“.** სხვა შემთხვევაში, ხშირად საქმე წინა ადმინისტრაციებს ეხებოდა. ასე რომ, მოქმედ მთავრობებთან პრობლემა არ შექმნილა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში უცხოეთის ოფიციალურმა პირებმა გაგვაფრთხილეს, რომ **„ღირებულ ინფორმაციას აღარ მოგვაწვდიან“.**

**მეორე პრობლემად სახელმწიფო დეპარტამენტისთვის იქცა „დეპეშებში მოხსენიებული ადამიანების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეალური წუხილი“,** — აღნიშნა კროულიმ 18 აპრილის სემინარზე. დოკუმენტებში მოხსენიებული ზოგიერთი ადამიანი მოგვიანებით დააპატიმრეს, მოკლეს, მათზე ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენდნენ. თუმცა კროული აღიარებს, რომ ხშირად რთულია ამ მოვლენებს და სახელმწიფო დეპარტამენტის უკანონოდ გამოქვეყნებულ დეპეშებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, რადგან ბევრი დაზარალებული მანამდეც წარმოადგენდა უცხოური მთავრობების მხრიდან თვალთვალის ობიექტს.

**პრობლემების მესამე კალათა უკავშირდებოდა WIKILEAKS-ის სკანდალით გამოწვეულ პოტენციურ გავლენას ამერიკის დიპლომატიური კორპუსის მომავალ მუშაობაზე მსოფლიოში და წინსვლას, რომელიც მიღწეულ იქნა ინფორმაციის გაცვლის საქმეში 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ.** კროულის აზრით, **„ზოგიერთ შემთხვევაში ისინი** (ამერიკელი დიპლომატები) **მართლაც შესანიშნავ დეპეშებს ადგენდნენ“.** მისი ერთ-ერთი „ყველაზე საყვარელი“ დეპეშა დაღესტნურ ქორწილზეა.

კროულიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის მთავრობას ჯერ კიდევ ძალუძს მისი საიდუმლო ინფორმაციის დაცვა და ამის დასტურად ის ფაქტი მოიყვანა, რომ გამოქვეყნებულ დეპეშებში არ აღმოჩნდა ისეთი ინფორმაცია, რომელიც ნეგატიურად აისახებოდა ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესზე. მან ხაზი გაუსვა ასევე კონფიდენციალობას, რომელიც თან ახლდა კომანდოსების პაკისტანურ ოპერაციას 2011 წელს უსამა ბენ ლადენის წინააღმდეგ.

კროულის აზრით, დღეს საელჩოს თანამშრომლები თავიანთ ინფორმაციას ელექტრონულ ფოსტას ან ტელეფონს უფრო ანდობენ, და არა დიპლომატიურ ფოსტას. **„ასე რომ, ამ მხრივ ინფორმაციის გადაცემა კვლავაც გრძელდება, შესაძლოა, არა იმ მასშტაბით, როგორითაც ადრე, მაგრამ მაინც“,** — განაცხადა მან.

შედეგად, ამერიკის მთავრობას, როგორც ჩანს, მოუხდა გარკვეული პოზიციების დათმობა, რომელსაც მან, ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით, 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ მიაღწია. კროულიმ წუხილი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ **აშშ „საბოლოო ჯამში აღმოჩნდება სიტუაციაში, როდესაც პოლიტიკის დამუშავების პროცესი განხორციელდება უფრო ნაკლებად ისეთი ადამიანის მონაწილეობით, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა დაინახონ მოვლენები სწორ პერსპექტივაში“,** ხოლო **„ინფორმაცია კვლავ სადღაც იყრის თავს და არა იქ, სადაც საჭიროა“.**

**რიჩარდ ვაიცი,**
**ვაშინგტონში ჰადსონის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი**
**EURASIANET.org**

# სააკაშვილის ოპონენტებს საქართველოს განახლება უნდათ



**ერთ-ერთ ბოლო კვირა დღეს თბილისის ცენტრალურ — რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის წინ, ახალი კანონის გასაპროტესტებლად რამდენიმე ათეული ადამიანი შეიკრიბა.**

მათ განაცხადეს, რომ კანონი მიწათმფლობელებს თავიანთ საკუთებაზე ნებისმიერი ქმედების შესაძლებლობას აძლევს (ისეთის, როგორიცაა ტყეების უკონტროლო ჩეხვა და რადიაციული ნარჩენების დამარხვაც კი) მთავრობისგან ყოველგვარი კონტროლის გარეშე. მათ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმაში დაადანაშაულეს, რომ მან დიდი ბიზნესის ინტერესები ეკოლოგიურ პრობლემებზე მაღლა დააყენა.

აქციაზე, რომელიც რუსთაველის გამზირზე გაიმართა, რამდენიმე მონაწილეს ხელში ბანერები ეჭირა წარწერებით, რომელიც ღრმა შეშფოთებას გამოხატავდა საქართველოს მდგომარეობის გამო სააკაშვილის (დასავლეთის წამყვანი მოკავშირისა და სტრატეგიულ და არასტაბილურ სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრისთვის მებრძოლი საიმიჯო ბიჭუნას) მმართველობის პირობებში.

**„მან კარგი რაღაცებიც გააკეთა. თბილისი უფრო დინამიკურია. სერიოზული ინფრასტრუქტურა ააგო და კარგია, რომ აქ ტურისტები ჩამოდიან“,** — ამბობს 31 წლის თამუნა ზანდუკელი. **„მაგრამ მედია ტოტალურად სააკაშვილის სამსახურშია. არ არსებობს არანაირი პლატფორმა იმისთვის, რომ ოპოზიციამ თავისი შეხედულებები გაავრცელოს“.** მისი მეგობარი — 23 წლის თორნიკე კუსიანი კი აცხადებს, რომ პრობლემები ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე მხოლოდ მედიის სუბიექტურობა: **„მე არჩევნებზე დამკვირვებელი ვიყავი და ვნახე, რომ მათ შეუძლიათ აკეთონ ის, რასაც მოისურვებენ. ხმების დათვლის დროს მათ, უბრალოდ, გამორთეს უსაფრთხოების კამერები და დაწერეს ის ციფრი, რომელიც მათ სურდათ. ოპოზიციას შანსი არ აქვს“.**

ეს ის ახალგაზრდა, ნიჭიერი ადამიანები არიან, რომლებიც, სააკაშვილის თქმით, საქართველოს მომავალს წარმოადგენენ, ქვეყნის, რომელიც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაჩნდა, როდესაც მან და მისმა მხარდამჭერებმა პარლამენტი შტურმით აიღეს და იქიდან საბჭოთა ეპოქის დაღლილი ელიტა განდევნეს.

ხელისუფლების უსისხლო გადაცემას საქართველოში ექსტრაორდინარული ცვლილებები მოჰყვა, მათ შორის საგზაო პოლიციის დაახლოებით 30 ათასი თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვა, დაბერებული რუსოფილი ჩინოვნიკები კი ახალგაზრდა, ინგლისურად მოლაპარაკე, ევროპასა და შეერთებულ შტატებში განსწავლულმა კადრებმა ჩაანაცვლა.

ახალმა საქართველომ მოსკოვთან კავშირი გაწყვიტა და ცდილობდა ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას; სააკაშვილი ბიუროკრატიის შეზღუდვით უცხოურ ინვესტიციებს იზიდავდა: მსოფლიო ბანკის ბოლო რეიტინგებით, საქართველო ბიზნესის იოლად კეთების რეიტინგებში მე-16 ადგილზეა და გერმანიასა და იაპონიას უსწრებს; რუსეთი 120-ე პოზიციაზეა ჩარჩენილი.

**საქართველოს ეკონომიკა 2003 წლის შემდეგ მტკიცედ გაიზარდა, თბილისსა და რეგიონებში თვალშისაცემი ნაგებობები და ხიდები გაჩნდა. მაგრამ თბილისის ძველი ქალაქის ახლახან რეაბილიტირებულ ნაწილში, სადაც ღამით განათებული ღია კაფეებია, ახალი პოლიტიკური ძალა საქართველოს მომავალს სააკაშვილის გარეშე გეგმავს.**

„ზუსტად ერთი წლის შემდეგ მას ხელისუფლებაში ყოფნის ათწლეული უსრულდება. ეს საკმარისია – მან გააკეთა ის, რაც შეეძლო“, — ამბობს ირაკლი ალასანია, ერთ დროს სააკაშვილის მოკავშირე და ახლა მისი წამყვანი ოპონენტი. — **„საქართველოს აქვს განახლების უფლება. ახლა სააკაშვილს შეუძლია ხელი შეუწყოს იმას, რომ საქართველომ პირველად შეძლოს ხელისუფლების დემოკრატიული გადაცემა. ეს შეიძლება იქცეს მის მემკვიდრეობად და ის დარჩეს ისტორიაში, როგორც ნამდვილი დემოკრატი რეფორმატორი“.**

**მთელი მისი ეკონომიკური რეფორმებისა და პროდასავლური რიტორიკის მიუხედავად, სააკაშვილის დემოკრატიული რეპუტაცია კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.**

საერთაშორისო კრიტიკა მიმართული იყო საქართველოში არჩევნების ჩატარებისა და იმისკენ, რომ სააკაშვილი ანტისამთავრობო გამოსვლების წინააღმდეგ ზოგჯერ სასტიკ პოლიციურ ძალას იყენებდა.

მას დასცინოდნენ იმის გამო, რომ ოპოზიციური პარტიებისა და კრიტიკულად განწყობილი მედიის დამორჩილებას ცდილობდა; ადანაშაულებდნენ, რომ საქართველოს მუდმივად ზღვარზე ამყოფებდა რუსეთის ჯაშუშებზე საფრთხის გაზვიადებითა და იმის მტკიცებით, რომ მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს კრემლი აკონტროლებს.

მას ასევე ადანაშაულებენ 2008 წლის რუსეთთან ომისთვის საქართველოს გამოყოფილი სამხრეთ ოსეთის რეგიონის გამო, რომლის დროსაც 150-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები შექმნა და სერიოზულად დააზიანა ქვეყნის ინფრასტრუქტურა, ისევე, როგორც სააკაშვილის რეპუტაცია.

ზოგიერთები ელოდებიან, რომ სააკაშვილი მომავალ წელს პრეზიდენტობის შემდეგ პრემიერ-მინისტრის ძლიერი პოსტის დაკავებას მოინდომებს, ისევე, როგორც ეს მისმა მოსისხლე მტერმა — ვლადიმერ პუტინმა გააკეთა.

ალასანია, რომელიც 2006-08 წლებში გაეროში საქართველოს ელჩად მუშაობდა, ამბობს, რომ ოპოზიციის აქტივისტებს და მათ ნათესავებს უკვე დევნიან და აშინებენ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ, იმ არჩევნების, როდესაც პრეზიდენტის პარტია ახალი და სახიფათო გამოწვევის წინაშე აღმოჩნდება. ალასანიას პარტია შეუერთდა ბიძინა ივანიშვილის, ქართველი მილიარდერის კოალიციას, რომლის ფუტურისტული სასახლეც დედაქალაქს თბილისის ფერდობიდან გადმოჰყურებს. შიგნით, პიკასოს, შილეს და ლიხტენშტეინის ნამუშევრების ასლებია; მან მიზანშეწონილად მიიჩნია, ორიგინალები უცხოეთში შეენახა.

**ივანიშვილი ამბობს, რომ მას შეუძლია საქართველოს აყვავებულ და ფუნქციონირებად დემოკრატიად გარდაქმნა, მაგრამ საკუთარი ამბიციების გაცხადებიდან რამდენიმე დღეში სააკაშვილმა მას საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვა, პოლიციამ კი მისი ბანკიდან ერთ მილიონზე მეტი ევროს კონფისკაცია მოახდინა. ეს იოლი ბრძოლა არ იქნება.**

ალასანიას სჯერა, რომ ევროკავშირი და ვაშინგტონი დაიღალა არაპროგნოზირებადი სააკაშვილისგან და იმედი აქვს, რომ ისინი საკმარისი რაოდენობის დამკვირვებლებს გამოგზავნიან იმის გარანტირებისთვის, რომ ეროვნული არჩევნები წელს და გაისად სუფთად ჩატარდეს.

**„როდესაც ივანიშვილი პოლიტიკურ ლიდერად გამოჩნდა, ჩვენი კოალიცია გახდა მმართველი პარტიის მკაფიო ალტერნატივა,** — ამბობს ალასანია. — **ჩვენ სერიოზული ძალა ვართ და სააკაშვილს ახლა ჰყავს რეალური ოპონენტი“.**

**დენიელ მაკლაფლინი**
**THE IRISH TIMES**




**საზოგადოებამ უნდა შეიმუშაოს ინფორმაციის სკეპტიკური შეგროვების სისტემა, რომ მოაგვაროს სერიოზული ინფორმაციის კლებასთან დაკავშირებული პრობლემა. მე მაქვს მარტივი წესი: თუკი თქვენ ხედავთ, რომ რომელიმე მიმომხილველი ან პოლიტიკოსი აქებს რომელიმე დიქტატურას, პლუტოკრატს ან კორპორაციას, ყველაზე კარგია, იფიქროთ, რომ მას იყენებენ, ვიდრე საპირისპიროს არ დაამტკიცებს.**

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერიდეთ პიარის ოსტატებს

**მთელი მსოფლიოს დესპოტები, უნგრეთიდან და ყაზახეთიდან დაწყებული, ბრიტანელებში პიარის შავი ხელოვნების ოსტატებს ხედავენ.**

გასულ კვირაში, ლონდონში უნგრეთის შემაშფოთებელი მემარჯვენე მთავრობის პრესსამსახურის თანამშრომლები მოძრაობდნენ. არავინ იმ ადამიანთაგან, ვინც მათ ხვდებოდა, არ იცოდა, რა ექნა – ბრაზისგან ეყვირა თუ ეცინა. **პიარსააგენტო Project Associates-მა ჟურნალისტები, მთავრობა და საქველმოქმედო ორგანიზაციები გააფრთხილა, რომ ესმინათ ვინმე ზოლტან ბალოგისთვის, რომელიც სოციალური ინტეგრაციის საქმეთა მინისტრის კეთილშობილურ ტიტულს ატარებს.** ბალოგის თქმით, მას სურს, გააგებინოს მსოფლიოს ის, თუ როგორ გეგმავს უნგრეთი „ინიციატივების გაფართოებას ჯანდაცვისა და თემთა სფეროში“ საკუთარი ბოშებისთვის და მათთვის „პოლიტიკური წარმომადგენლობითობის“ გარანტიის შექმნას.

**ინტერნეტის ეპოქაში მსგავსი პიარსვლა უნაყოფო და სასაცილოც კია. ნებისმიერ მსურველს შეუძლია იმის გარკვევა, რომ უნგრეთში მემარჯვენე პოლიტიკოსების გამოცოცხლებამ 1930-1940-იანი წლების ფაშისტური მოძრაობებისთვის დამახასიათებელი სიძულვილი ააღორძინა.** არ მსურს იმის თქმა, რომ ვიქტორ ორბანის მთავრობა – თანამედროვე რკინის გვარდიაა, მაგრამ არც ერთი წუთით არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ მოვა დრო და ისტორიკოსები იმის ანალიზს, თუ როგორ გაუღო კარი ფინანსურმა კრიზისმა ევროპულ ექსტრემიზმს, უნგრეთიდან დაიწყებენ და დაწერენ, რომ ანტისემიტიზმი, თავისუფალ პრესაზე თავდასხმები და, პირველ რიგში, ბოშების დევნა ამ ქვეყანაში ისე დაბრუნდა, თითქოს იქ არც არაფერი შეცვლილა და ვერავინ ვერაფერი ისწავლა. **უკიდურესად მემარჯვენე დაჯგუფებები ბოშებს სახლებიდან ყრიან, თავს ესხმიან და ზოგჯერ კლავენ კიდეც.**

მაგრამ, შესაძლოა, ბ-ნი ბალოგი ასეთი ბრიყვიც არ არის. თაღლითური პიარი ფინანსურ სერვისთან ერთად ის ბრიტანული დარგია, სხვა სფეროებისგან განსხვავებით, რომლის ზრდაც შეიმჩნევა (რაც არ უნდა თქვათ ჩვენს დაღმასვლაზე, ფულითა და ინფორმაციით მანიპულირებაში მსოფლიოში ლიდერები ვართ). **უნგრეთის მთავრობა არ არის ერთადერთი, რომელიც ფიქრობს, რომ შეუძლია ბრიტანული ტალანტების გამოყენება საკუთარი იმიჯის გამოსასწორებლად. პუტინის რუსეთი და ყაზახეთის დიქტატურა PORTLAND COMMUNICATIONS-ის მომსახურებით სარგებლობდნენ. ეს კომპანია ტონი ბლერის ყოფილმა თანაშემწემ — ტიმ ალანმა შექმნა.**

ყაზახური კონტრაქტის შემდეგ, ალანი სიამოვნებით უყურებდა იმას, თუ როგორ უკეთებდა მისი ყოფილი ბოსი ამ დიქტატურას სარეკლამო ვიდეორგოლს. ადრეც მითქვამს, რომ ბლერი სიამაყით უნდა ატარებდეს „ნეოკონის“ ტიტულს, რომელიც მას მტრებმა მიანიჭეს. დემოკრატიის გავრცელებისკენ მისწრაფება დანაშაული არ ყოფილა. მაგრამ ეს ძველად იყო, დღეს კი ბლერი ადიდებს ყაზახეთის დიქტატურას, რომლის პოლიციაც მოქალაქეებს ისეთი დანაშაულისთვის აპატიმრებს, როგორიცაა პრეზიდენტის შეურაცხყოფა, აწამებს ოპოზიციის აქტივისტებს და ცეცხლს უხსნის გაფიცულ მუშებს.

**ერთადერთი გამოცანა არის ის, თუ რატომ გადაწყვიტა რეჟიმმა Portland-ის დაქირავება, რატომ ხარჯავენ ფულს დასავლეთის „იმიჯმეიკერებზე“ ბელარუსი და აზერბაიჯანელი ტირანები, უნგრეთთან, რუსეთთან და ყაზახეთთან ერთად?**

პასუხი უარყოფს იმ წარმოდგენას, თითქოს ინტერნეტი არის გარანტია იმისა, რომ ჩადენილზე პასუხს აგებ, მაგრამ ამის მხოლოდ ქსელის ენთუზიასტ უტოპისტებს არ სჯერათ. **გორდონ ბრაუნი და ჰილარი კლინტონი, რომლებსაც სისასტიკე სისხლში აქვთ გამჯდარი და იდეალიზმი ბევრად უფრო ადრე დაკარგეს** (თუკი გააჩნდათ საერთოდ), **ვიდრე კომპანია Microsoft-ი თავის პირველ საოპერაციო სისტემას გამოიგონებდა, ძალიან ხმამაღლა და აქტიურად ამტკიცებდნენ იმას, რომ დიქტატურები ვერ გაუძლებენ კონკურენციას ისეთ სამყაროში, რომელშიც ეკონომიკური წარმატება თავისუფალ საინფორმაციო ნაკადზეა დამოკიდებული.** მაშინ, როდესაც გაზეთების რედაქციებში ხარ და ლამის უშუალოდ აკვირდები იმას, თუ როგორ მიედინება იქიდან ფული, ხვდები, რომ




მათ მიერ ნაწინასწარმეტყველები მომავალი არც თუ დამაიმედებელია. რაც უფრო ანგრევს ინტერნეტი მედიის ბიზნესგეგმებს, მით უფრო რთული ხდება უცხოელი კორესპონდენტების დაფინანსება ისეთი ტიპის ქვეყნებში, როგორიცაა უნგრეთი, რუსეთი და ყაზახეთი.

**გამჭვირვალობისა და ღიაობის ახალ ეპოქაში ცხოვრების ნაცვლად, მთავრობები და კორპორაციები იყენებენ მედიის სამყაროს, რომელშიც სულ უფრო იზრდება უთანასწორობა.** საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტთა ასოციაციაში (Public Relations Consultants Association) მითხრეს, რომ, მათი შეფასებით, ბრიტანეთში მუშაობს დაახლოებით 60 ათასი პრესმდივანი. საგაზეთო ასოციაცია (Newspaper Society) იუწყება, რომ ადგილობრივ და რეგიონულ გაზეთებში მუშაობს 10 ათასი ადამიანი. კვლევა, რომელიც ორგანიზაციამ „ქალები ჟურნალისტიკაში“ (Women in Journalism) ჩაატარა და რომლის შედეგებიც შარშან ფლიტსტრიტმა გამოაქვეყნა, საერთოეროვნულ პრესაში რედაქტორებისა და რეპორტიორების რაოდენობა სულ 3800 ადამიანია.

**საქმეს ვერც ფართო მაუწყებლობა უშველის. რუპერტ მერდოკთან შეთანხმების ფარგლებში კონსერვატორებმა მკვეთრად შეამცირეს BBC-ს ბიუჯეტი. არხის მენეჯერებმა კი არა სახელმწიფო სამსახურით მინიჭებული პრივილეგიები, არამედ ხარისხიანი ჟურნალისტიკა შეამცირა.** ამ ციფრებში ხარვეზების პოვნაც შეიძლება, მაგალითად ისეთის, როგორიცაა ე.წ. „ფრილანსერების“ დაფინანსების ბედი, რომლებიც გაზეთების ვებ-გვერდებისთვის წერენ. თუმცა უსიამოვნო ფაქტი, ფაქტად რჩება: **პიარის სპეციალისტთა მზარდი არმია მასალებით ამარაგებს სულ უფრო კლებად პრესკორპუსს, რომელიც სასოწარკვეთილებისგან გაზეთის გვერდებზე ცარიელ ადგილებს ნებისმიერი იმ გაზვიადებული რეკლამით ავსებს, რომელიც მის საფოსტო ყუთში ხვდება.**

არსებობს მოსაზრება, რომ ახალი ამბების ძველ რედაქციებს ცვლის ინფორმაციის ახალი წყაროები ინტერნეტიდან, ისეთები, როგორიცაა ბლოგები: „ტვიტერი“, ელექტრონული ინტერნეტგამოცემები, მაგრამ ის, რასაც ეს საიტები წერენ — არაფერია, გარდა ნემსის ჩხვლეტისა, რომელიც ვერც კი შეედრება იმ ხელკეტის ძლიერ დარტყმებს, როგორსაც წარმოადგენდა მედია მე-20 საუკუნეში. **რა თქმა უნდა, ოლიგარქს ან დიქტატორული რეჟიმის ლიდერს ურჩევნია, რომ არსად არანაირი კრიტიკა არ გაჩნდეს. მაგრამ მათ მშვიდად სძინავთ, თუკი კრიტიკა ინტერნეტის მიყრუებულ კუთხე-კუნჭულებში იქნება გადამალული და წამყვანი მედიის გვერდებზე არ გაჩნდება.** პიარის სპეციალისტები, რომლებსაც მთელი სახელმწიფოს ან ამ სახელმწიფოს უკან მდგომი ოლიგარქის რესურსები გააჩნიათ, თავიანთ სამუშაოს ასრულებენ და სიმართლე სანიტარულ კორდონში ჰყავთ მოქცეული.

**„პიარ კომპანიები გაცილებით აქტიურად იცავენ თავიანთ კლიენტებს, ვიდრე დიპლომატები საკუთარი ქვეყნების ინტერესებს“,** — ამბობს მაიკლ ჰარისი ჟურნალიდან Index on Censorship-ი. — **„თუკი რეჟიმი დაემხობა, დიპლომატებს სანერვიულო არაფერი აქვთ. დიდი ალბათობით, ისინი თანამდებობებს შეინარჩუნებენ, მაგრამ პიარის მუშაკებმა იციან, რომ თუკი ისინი შედეგს არ დადებენ, კონტრაქტს დაკარგავენ“.**

ბრიტანეთი, რომელიც უიოლებს მათ ცხოვრებას, ამერიკელებს არ ბაძავს და არ იღებს კანონს უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ, რაც აიძულებს უცხოური სახელმწიფოების მთავრობებს, საჯარო გახადონ თავიანთი პროპაგანდისტების ვინაობა და მათი ჰონორარები.

პროპაგანდაში, ისევე, როგორც ბევრ სხვა რაღაცაში, ფულს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. აზერბაიჯანს, რომელიც აზიის ერთ-ერთი ყველაზე კორუფციული სახელმწიფოა, ძალიან ღირებულ ინვესტიციად მიაჩნია 3500 ფუნტი სტერლინგის დახარჯვა ბრიტანელი პოლიტიკოსების უძვირფასეს სასტუმროებში განთავსებაზე. არც ერთ უფლებადამცველ ორგანიზაციას ამასთან მიახლოებული ფულიც კი არ აქვს. ხოლო როდესაც უფრო შეძლებულმა ევროპის საბჭომ, რომელიც შეეცადა აზერბაიჯანში ერთი გერმანელი პოლიტიკოსის გაგზავნას, რომელმაც თითქოს შეისწავლა ის, თუ როგორ ეპყრობოდნენ ქვეყანაში პოლიტპატიმრებს, აღმოაჩინა, რომ ეს კაცი ვერ გაჩერდებოდა ვერც ერთ სასტუმროში, რადგან აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ამ ადამიანის ქვეყანაში შეშვებაზე უარი თქვა.

**საზოგადოებამ უნდა შეიმუშაოს ინფორმაციის სკეპტიკური შეგროვების სისტემა, რომ მოაგვაროს სერიოზული ინფორმაციის კლებასთან დაკავშირებული პრობლემა. მე მაქვს მარტივი წესი: თუკი თქვენ ხედავთ, რომ რომელიმე მიმომხილველი ან პოლიტიკოსი აქებს რომელიმე დიქტატურას, პლუტოკრატს ან კორპორაციას, ყველაზე კარგია, იფიქროთ, რომ მას იყენებენ, ვიდრე საპირისპიროს არ დაამტკიცებს.**

10 მაისს, როდესაც ბალოგი ბრიტანეთში ჩამოვა, ქვეყანას გამოცდა ელის. თუკი თქვენ გაიგებთ, რომ რომელიღაც მინისტრი ან მკვლევარი ხმამაღლა ამტკიცებს იმას, რომ უნგრელ პოლიტიკოსებთან დაკავშირებული პრეტენზიები მხოლოდ მემარცხენე ძალების ისტერიაა, თქვენ გეცოდინებათ, რა მოხდა.

**ნიკ კოენი**
**THE GUARDIAN**




## რუსეთი შიდა საქმეებში ჩარევას არ დაუშვებს

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთში აშშ-ის ელჩის — მაიკლ მაკფოლის იმ განცხადებას ეხმაურება, რომლის თანახმადაც, სერგეი მაგნიტსკის საქმის კონტექსტში მყოფ ოფიციალურ პირებს აშშ-ში შესვლა ეკრძალებათ.** ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზეა აღნიშნული. რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენლის — ალექსანდრ ლუკაშევიჩის განცხადებით, რუსეთი ქვეყნის შიდა საქმეებში აშშ-ის ჩარევის მცდელობებს უპასუხოდ არ დატოვებს. „საკითხის მსგავსად დაყენებას მიუღებლად მივიჩნევთ და ვთვლით, რომ იგი არა მხოლოდ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებს აზარალებს, არამედ უდანაშაულობის პრეზუმპციის საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს არღვევს. ჩვენ არაერთხელ გამოვედით გაფრთხილებით, რომ ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის მცდელობა უპასუხოდ არ დარჩებოდა“, —აღნიშნა ლუკაშევიჩმა.




## «ფეისბუქის» აქციებს ბირჟაზე გაიტანენ

**18 მაისს მსოფლიოს უმსხვილესი სოციალური ქსელი Facebook NASDA ბირჟაზე საკუთარ აქციებს გაიტანს.** უცხოური მედიის ცნობით, აქციების საჯარო განთავსება ისტორიაში ერთ-ერთი მსხვილი და სხვა ინტერნეტკომპანიებისათვის ბევრი რამით განმსაზღვრელი იქნება. ექსპერტების შეფასებით, ეს ტრანზაქცია „ფეისბუქს“ 5 მილიარდი დოლარის მიზიდვის საშუალებას მისცემს. თავად კომპანია კი 100 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. აღნიშნული სოციალური ქსელი უკვე 900 მილიონ მომხმარებელს აერთიანებს. ის 2004 წელს მარკ ცუკერბერგმა დააფუძნა.

## მადლობა ბოიკოტისთვის

**უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო მსოფლიო ლიდერებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მხარდაჭერისათვის მადლობას უხდის.** ამის შესახებ იულია ტიმოშენკოს ქალიშვილმა ევგენია ტიმოშენკომ განაცხადა. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ევროპულმა მაღალი თანამდებობის პირმა უკრაინაში ჩასვლაზე უარი განაცხადა და „ევრო-2012“-ს, რომელიც უკრაინაში ივნისში უნდა გაიმართოს, ბოიკოტი გამოუცხადა. მათი ბოიკოტის მიზეზი უკრაინის ხელისუფლების იულია ტიმოშენკოსადმი დამოკიდებულება გახდა.



## მაკკეინი კვლავ პუტინს გადასწვდა

**ლიტვაში ვიზიტით მყოფი ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი რუსეთის პირველ პირ ვლადიმერ პუტინს კალინინგრადში სამხედრო ბაზის მობილიზაციის გამო აკრიტიკებს.** რესპუბლიკელი სენატორის აზრით, რუსეთის ეს გადაწყვეტილება „პუტინის პარანოიული პოლიტიკის ნაწილია. რუსეთში ამბობენ, რომ კალინინგრადის სისტემა აშშ-ის ანტისარაკეტო სისტემაზე რუსეთის მიერ გაცემული პასუხია. მათ უნდა გაიგონ, რომ ჩვენი ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემა საფრთხეს არავის უქმნის“, — განაცხადა მაკკეინმა.

საქართველო და მსოფლიო
დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პროკურორმა ფრანსუა მოლენმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამ რადიკალური დაჯგუფების წევრები ჯიჰადის დაწყებას აპირებდნენ, პარიზის ირგვლივ მდებარე პარკებსა და ტყეებში კი სამხედრო მომზადებას გადიოდნენ. დაჯგუფება სიძულვილისა და ძალადობის პრინციპებს ქადაგებდა. მათ საიტზე განთავსებულია საფრანგეთში ისლამური ხალიფატისა და შარიათის სასამართლოს დაფუძნების მოწოდებები. გარდა ამისა, ფრანგი მუსლიმანები, ამ მოწოდებების თანახმად, უნდა გაერთიანებულიყვნენ და მომზადებულიყვნენ სამოქალაქო ომისთვის. ეს ფუჭი ლაქლაქი არ იყო — პოლიციამ პარიზის შემოგარენსა და კიდევ არაერთ ქალაქში იარაღის სამალავები, ექსტრემისტული ლიტერატურა და კომპიუტერული აღჭურვილობა აღმოაჩინა.**

# ჯიჰადი — ევროპის გულში, ანუ პოლიტკორექტულობისა და მულტიკულტურიზმის სახიფათო შედეგი

**3 აპრილს ლონდონში გაიმართა სასამართლოს მორიგი სხდომა რადიკალი ისლამისტის, „მოძღვარ“ აბუ კატადის იორდანიაში ექსტრადიციის საკითხზე. შეგახსენებთ, რომ აბუ კატადა, რომელსაც „ევროპაში უსამა ბენ ლადენის მარჯვენა ხელის“ რანგში ფართოდ იცნობდნენ, ბრიტანეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა 17 აპრილს დააკავეს. ლონდონის სასამართლომ გამოაცხადა, რომ აპირებდა, დაუყოვნებლივ განეხილა ტერორისტის საქმე და იორდანიაში გაეგზავნა.**



აბუ კატადა

გამოძიების მსვლელობისას დადგინდა, რომ იორდანიაში ტერაქტების მოწყობის გამო დაუსწრებლად დამნაშავედ გამოცხადებული კატადა დიდ ბრიტანეთში 1993 წელს ყალბი დოკუმენტებით ჩავიდა. დეპორტაციისთვის საფუძველი საკმარისზე მეტია, მაგრამ 20 აპრილს საქმეში ჩაერთო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელშიც ტერორისტის ადვოკატებმა შეიტანეს აპელაცია. ასე დაიწყო სასამართლო აბდაუბდა იმასთან დაკავშირებით, თუ სად უნდა განხილულიყო კატადას საქმე — ლონდონში თუ სტრასბურგში.

მანამდე კატადა ზუსტად ანალოგიური გზით რამდენიმეჯერ გაუშვეს ინგლისური ციხიდან. მაგალითად, **როდესაც ტერორისტი მორიგ ჯერზე დააკავეს ორიოდე თვის წინ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აკრძალა მისი იორდანიაში ექსტრადირება, რადგან იქ მას „წამება ელოდა“. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების განცხადებით, იგი საფრთხეს წარმოადგენდა ეროვნული უშიშროებისთვის, კატადა მაინც შიდა პატიმრობით გამოძვრა. ამრიგად, ლიბერალური, ჭეშმარიტად დემოკრატიული ევროპული ინსტიტუტები თვით ყველაზე ექსტრემისტი ისლამისტებისთვისაც კი უზრუნველყოფს მათ უფლებას, ხოცონ და აფეთქონ, სანამ არ მოსწყინდებათ.**

ანალოგიური შემთხვევების კლასიკურ მაგალითად იქცა ტულუზელი მკვლელის სახელით ცნობილი მუჰამედ მერას შემთხვევა. მის მიერ სასაკლაოს მოწყობისთანავე გაირკვა, რომ მერა დიდი ხნის მანძილზე პოლიციისა და სპეცსამსახურების მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

ჯერ კიდევ მოზარდობის პერიოდში ამ ადამიანს ათეულობით წვრილმანი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. 19 წლისამ ქურდობისათვის წელიწად-ნახევარი გაატარა ციხეში. გარდა ამისა, ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო, რომ 2010 წლის ნოემბერში და 2011 წლის აგვისტოში იმყოფებოდა ავღანეთსა და პაკისტანში, პაკისტანის ვაზირისტანის პროვინციაში კი „ალ ქაიდას“ ბანაკში გადიოდა წვრთნას.

ტელეარხ France 24-ის პროდიუსერმა კრისტოფერ ბაუერმა ხელისუფლებას პირდაპირ სახალხოდ ჰკითხა: **„თუ მერა განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყო, რა მეთვალყურეობაა ეს, რომელმაც მას საშუალება მისცა, რამდენიმე დღის შუალედით მოეწყო ხოცვა-ჟლეტა?“** პასუხი მართლაც გამაოგნებელი იყო — საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ფრანსუა ფიიონმა განაცხადა: **„ისეთ დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, არავის აქვს უფლება, იუსტიციის ორგანოების ნებართვის გარეშე განახორციელოს მუდმივი თვალთვალი ადამიანზე, რომელსაც სამართალდარღვევა არ ჩაუდენია. ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოში ვცხოვრობთ“.** ესოდენ მაღალი რანგის ჩინოვნიკის ეს განცხადება მომაკვდინებელი სიცხადით წარმოაჩენს ევროპაში ლიბერალური მარაზმის დონეს. სისხლის სამართლის დამნაშავე, ტერორისტი და მკვლელი არის „ადამიანი, რომელსაც არ ჩაუდენია სამართალდარღვევა“ და, ვიდრე სკოლაში ბავშვებსა და ქუჩაში სამხედროებს არ დახოცავს, მანამდე დაპატიმრებას არ ექვემდებარება.

უნდა ითქვას, რომ რადიკალი ისლამისტები სრულად ახდენენ თავიანთი „ადამიანთა უფლებების“ რეალიზებას. გასულ თვეში ევროპა წალეკა ისლამური ექსტრემიზმის ტალღამ.

15 აპრილს პოლიციამ ტულუზელი მსროლელის ორი მიმდევარი დააკავა, მათ ოთხი ადამიანის მოკვლა მოასწრეს, მაგრამ ეს მხოლოდ წვრილმანია იმ ტერორისტულ ქსელთან შედარებით, რომელიც საფრანგეთის მთელ რიგ ქალაქებს მოიცავდა.

3 აპრილს საფრანგეთის პროკურატურამ ბრალდება წაუყენა ისლამური დაჯგუფება Forsane Alizza-ს („სიამაყის რაინდები“) 19 წევრს, რომლებიც საფრანგეთში ისლამური სახელმწიფოს შექმნის მოწოდებებს ავრცელებდნენ.

**პროკურორმა ფრანსუა მოლენმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამ რადიკალური დაჯგუფების წევრები ჯიჰადის დაწყებას აპირებდნენ, პარიზის ირგვლივ მდებარე პარკებსა და ტყეებში კი სამხედრო მომზადებას გადიოდნენ. დაჯგუფება სიძულვილისა და ძალადობის პრინციპებს ქადაგებდა. მათ საიტზე განთავსებულია საფრანგეთში ისლამური ხალიფატისა და შარიათის სასამართლოს დაფუძნების მოწოდებები. გარდა ამისა, ფრანგი მუსლიმანები, ამ მოწოდებების თანახმად, უნდა გაერთიანებულიყვნენ და მომზადებულიყვნენ სამოქალაქო ომისთვის. ეს ფუჭი ლაქლაქი არ იყო — პოლიციამ პარიზის შემოგარენსა და კიდევ არაერთ ქალაქში იარაღის სამალავები, ექსტრემისტული ლიტერატურა და კომპიუტერული აღჭურვილობა აღმოაჩინა.**

13 აპრილს დანიის პროკურატურამ გამოაცხადა კრონპრინცი ფრედერიკის მოკვლის მიზნით ისლამისტთა შეთქმულების გახსნის თაობაზე. გამომძიებელთა მონაცემებით, ოთხი ექსტრემისტი ტერაქტის მოწყობას გეგმავდა გაზეთ Politiken-ის რედაქციაში, სადაც აპირებდა მისვლას სამეფო ოჯახის წევრი.

სამი ეჭვმიტანილი შვედეთის მკვიდრია, მეოთხე — ტუნისის მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა შვედეთში. საინტერესო დეტალია, რომ ოთხივე ჯერ კიდევ 2010 წელს დააკავეს სხვა „არამართალი“ გაზეთის რედაქციაზე თავდასხმის მზადებისას. ჩხრეკისას პოლიციამ ეჭვმიტანილების ბინებში უკანონო იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებები აღმოაჩინა. მოგვიანებით გამომძიებლებმა განაცხადეს, რომ დიდხანს უთვალთვალებდნენ ამ ჯგუფს, მაგრამ მისი წევრების დაპატიმრება მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ოთხივე დანიაში გაემგზავრა ტერაქტის მოსაწყობად. საინტერესოა, რამდენად სამართლიანი იყო ეს ქმედება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თვალთახედვით. ხომ არ იყო საჭირო, რომ პოლიციელები დალოდებოდნენ, როდის მოკლავდნენ ტერორისტები კრონპრინცს და მხოლოდ ამის შემდეგ დაეპატიმრებინათ?

**16 აპრილს გერმანიაში მოქმედი სალაფიტების რადიკალური სექტის მოქმედი ლიდერმა იბრაჰიმ აბუ ნაგიმ გამოაცხადა, რომ აპირებდა ყურანის სარაფიტული რედაქციის 25 მილიონი ეგზემპლარის გამოშვებას და გავრცელებას, რომ „ყურანი ყველა გერმანელის სახლში იყოს“.**

## მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების განცხადებით, იგი საფრთხეს წარმოადგენდა ეროვნული უშიშროებისთვის, კატადა მაინც შიდა პატიმრობით გამოძვრა

პროცესი უკვე სრული სვლით მიდის: ბერლინისა და გერმანიის სხვა ქალაქების ქუჩებში განლაგებულია ასობით საagitაციო პუნქტი, გერმანულ ენაზე ნათარგმნი ექსტრემისტული წიგნები აბსოლუტურად ღიად ურიგდება ყველა მსურველს. ვერც აქ მოხერხდა „ადამიანის უფლებებისთვის“ გვერდის ავლა. როგორც გერმანული გაზეტი Suddeutsche Zeitung-ი აღნიშნავდა, **„სალაფიტები არიგებდნენ ათასობით წიგნს ცისფერი პრიალა გარეკანით ყურანის დარიგების აქციის ფარგლებში, რომელიც გერმანიის უამრავ ქალაქში ჩატარდა. გერმანელი პოლიტიკოსები და უშიშროების სამსახურების წარმომადგენლები რადიკალი ისლამისტების მიმართ გაცილებით მკაცრი ზომების მიღებას ითხოვენ, მაგრამ ისლამისტი მოძღვარის — იბრაჰიმ აბუ ნაჯისა და მისი საზოგადოების „ნამდვილი რელიგიისათვის“ ბრალდების წაყენება არც ისე ადვილია. ჯერ კიდევ გასულ წელს კიოლნის პროკურატურამ შეიტანა საჩივარი აბუ ნაჯიზე ძალადობისკენ მოწოდებისა და რელიგიათშორისი შუღლის გაღვივების ბრალდებით, მაგრამ მაშინ გამოძიება შეწყვეტილ იქნა“.** ძნელი წარმოსადგენი არაა, რა იქნება ამის შემდეგ.

რაც შეეხება თავად რადიკალ ისლამისტებს, ისინი პოლიტკორექტულობითა და ტოლერანტულობით, ცხადია, თავს არ იწუხებენ. 18 აპრილს გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **გერმანული მასმედიის ჟურნალისტებს, რომლებიც კრიტიკულად აშუქებენ გერმანულად ნათარგმნი ყურანის დარიგებას, ისლამისტი ექსტრემისტები ემუქრებიან. ვინმე „ჭეშმარიტი მუსლიმანის“ მიერ ინტერნეტით გავრცელებულ ოთხწუთიან ვიდეორგოლში გერმანელი ჟურნალისტები სახელებითა და გვარებით არიან მოხსნიებულნი. უფრო მეტიც, იქვე ნაჩვენებია ამ ადამიანების ფოტოებიც და გადმოცემულია მათ შესახებ პირადი ინფორმაციაც. თუ გავითვალისწინებთ, რომ ისლამისტები ჟურნალისტებს უკვე არაერთხელ დაესხნენ თავს დანიაში, საფრანგეთსა და შვედეთში, ეს მუქარები ნამდვილად სახიფათოა.**

ვერ ვიტყვით, რომ მთელი ევროპული საზოგადოება თავიდან ფეხებამდეა ჩაფლული ლიბერალურ მარაზმში. „სამოქალაქო უფლებებზე“, „სიტყვის თავისუფლებასა“ და „აღმსარებლობის თავისუფლებაზე“ ლიბერალურ ნიანგის ცრემლების ფონზე სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება საგანგაშო სიგნალები ისლამური ექსტრემიზმის შესახებ. ამ მხრივ ძალზე ნიშანდობლივია სტატია გავლენიან ფრანგულ გაზეთ Le Monde-ში სათაურით „ტულუზის გაკვეთილები: ჯიჰადი ევროპის გულში“. გაზეთმა მკაცრი კომენტარი გააკეთა ევროპარლამენტის დეპუტატის — რაშიდ დატის იმ განცხადებაზე, რომლის თანახმადაც მუჰამედ მერას ჯიჰადისტი არ უნდა უწოდონ, რათა ფრანგ მუსლიმანებს იარლიყი არ მიეკეროთ. ამ ლიბერალურ გამოსარჩლებას სტატიის ავტორებმა შემდეგნაირად უპასუხეს: **„მერას ჯიჰადის მეთოდებით ასწავლიდნენ ავღანეთისა და პაკისტანის საზღვარზე. დაე, ვინმემ აუხსნას ქალბატონ დატის, რომ ცრურწმენებთან ბრძოლა შეუძლებელია სემანტიკური აკრობატიკის ან რეალობის იგნორირებით“.** იქვე მოყვანილი იყო მუსლიმანური თემის ლიდერთა გამონათქვამები, რომლებიც მერას პიროვნების დადგენამდე გაჟღერდა. ამბობდნენ, რომ **ტულუზელი მსროლელი არის თეთრი ნეონაცისტი, რადგან ის ებრაელებს კლავდა.** საინტერესოა რეზიუმეც, რომელიც ავტორებმა გააკეთეს: „მრავალი ფრანგი ამომრჩეველი იძულებული იქნება, დაეთანხმოს მემარჯვენე რადიკალების ლიდერს — მარინ ლე პენს და მის გაფრთხილებას ▶

## ევროპაში არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან, იარაღით ხელში გამოვიდნენ რადიკალი ისლამისტების წინააღმდეგ




ამჟამად ერთ მექსიკელ ქალზე საშუალოდ 2,1 ბავშვი მოდის, რაც ამცირებს იმიგრანტთა რაოდენობას. არადა, მექსიკა აშშ-ისთვის იაფფასიანი მუშახელის ტრადიციული წყარო იყო. აშშ-ში ყოველი მესამე იმიგრანტი სწორედ მექსიკიდან იყო ჩასული. ახლა ამერიკიდან მექსიკელებიც გარბიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა იაფი მუშახელის გარეშე დარჩება და, მეორე მხრივ, აშშ-ის ეკონომიკა უფრო სწრაფი ტემპით შემცირდება, ვიდრე ამას ექსპერტები პროგნოზირებდნენ.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მუსლიმანი მიგრანტებისა და საფრანგეთის გახსნილობის შესახებ".

სტატიაში დასმულია ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი. **ვინაიდან ევროპული სახელმწიფოების ახლანდელი მმართველები არჩევენ ან დეკლარაციას, ან ევროპის გულში ჯიჰადის პრობლემის სრულ იგნორირებას, აუცილებელი ხდება მემარჯვენე ექსტრემიზმის, როგორც ისლამური ექსტრემიზმის ერთადერთი რეალური საპირწონეს, აღორძინება.**

ამ თემაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ანდერს ბრეივიკის პროცესს, რომელიც ნორვეგიაში მიმდინარეობს. მთავარი თემა დაკითხვისას მისი მემარჯვენე ექსტრმისტულ ორგანიზაციებთან კავშირი იყო. ბრეივიკმა აღიარა, რომ გარკვეული დროის განმავლობაში აქტიურად ეკონტაქტებოდა ბრიტანელი ნაციონალისტების ჯგუფს. მისი თქმით, 2002 წელს ლონდონში ხვდებოდა ოთხ ინგლისელ ნაციონალისტს. მათ შორის იყო ვინმე რიჩარდიც, რომელსაც ბრეივიკი თავის მოძღვრად მიიჩნევს. **„ეს არის ერთ-ერთი უზრწყინვალესი პოლიტიკური და სამხედრო ტაქტიკოსი ევროპაში",** — ასე დაახასიათა იგი ბრეივიკმა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ევროპაში არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან იარაღით ხელში გამოვიდნენ რადიკალი ისლამისტების წინააღმდეგ.**

**იმის მიხედვით, თუ რამდენად ხმამაღლა იქადაგებს ხელისუფლება მაღალი ტრიბუნიდან „ადამიანის უფლებებისა" და „ტოლერანტობის" შესახებ და ამით ნოყიერ ნიადაგს შექმნის რადიკალური ისლამისათვის, მით უფრო ფართო მასშტაბებს შეიძენს ულტრამემარჯვენეების გააქტიურებაც.**

იმის თაობაზე, თუ რას განაპირობებს ეს ყოველივე, იმავე ბრეივიკის განცხადებებიდან შეიძლება ვივარაუდოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში ნაციონალური იდენტურობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა მაინცადამაინც ულტრამემარჯვენეთა დროშით არ უნდა წარიმართოს. ამის დასტურად გამოდგება ცნობილი გერმანელი პოლიტიკოსის — ტილო ზარაცინის რეაბილიტაცია, რომელიც „არაპოლიტკორექტული" წიგნისთვის „გერმანიის თვითლიკვიდაცია" საჯაროდ გაროზგეს. 2011 წლის 27 აპრილს კი გერმანული ტელეარხი იტყობინებოდა, რომ ზარაცინს არ გარიცხავენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, მიუხედავად ისლამისტი იმიგრანტების მკვეთრი კრიტიკისა. მისი თქმით, ეს უკანასკნელნი ინტელექტუალურად აბსოლუტურად განუვითარებელნი არიან, არ შეუძლიათ ცივილიზებულ საზოგადოებასთან შერწყმა. ამ ინციდენტის გამოსაძიებლად შექმნილი სპეციალური კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ზარაცინის გამონათქვამები ჯდება სიტყვის თავისუფლების განსაზღვრებაში და პარტიის რეპუტაციას რაიმე ზიანს არ აყენებს.

stoletie.ru

# მექსიკელი მიგრანტები ამერიკიდან სამშობლოში გარბიან



**აშშ-ის ეკონომიკასთან დაკავშირებით ექსპერტთა პროგნოზები მოსახლეობის იმედებს არ ემთხვევა. მექსიკელი მიგრანტები მასობრივად ტოვებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს — იქ მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე მათ სამშობლოში. მექსიკიდან ყველაზე დიდი ნაკადი, 700 ათასი ადამიანი, აშშ-ისკენ 2000 წელს დაიძრა. მაგრამ ახლა სიტუაცია რადიკალურად საპირისპიროა. მექსიკელები მთელი არსებით ეწინააღმდეგებიან ამერიკის ეკონომიკის შესახებ კეთილსაიმედო პროგნოზებს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამერიკის ეკონომიკა უფრო მნიშვნელოვანი ტემპებით შემცირდება, ვიდრე ამას ექსპერტები ელიან.**

## აშშ — «საგადასახადო არმაგედონის» ზღვარზე

დღითიდღე გაუარესებული სტატისტიკური მონაცემები იმის დამადასტურებელია, რომ გლობალური ეკონომიკის აღდგენის პროცესი ილუზიური მოვლენაა. უფრო მეტიც, რეგულატორების მიერ ადრე მიღებული ზომების ეფექტი ნელ-ნელა ქრება. შედეგად **ის მაჩვენებლები, რომლებიც მკვეთრ ზრდასა და პოზიტიურ დინამიკას აჩვენებდა, დიდი სისწრაფით მცირდება. მაგალითად, აშშ-ის სამრეწველო წარმოების მოცულობა, უკვე ორი თვეა, ნულოვან დინამიკას აჩვენებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის გარეშე ვარდნას დაიწყებს.** წარმოება უკანასკნელ თვეებში ეკონომიკური აღდგენის მთავარი კატალიზატორი იყო, მაგრამ ექსპერტები ჯერ კიდევ იანვარში პროგნოზირებდნენ როგორც წარმოების, ისე აშშ-ის ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელებას. გარდა ამისა, **უახლოეს მომავალში აშშ-ში მკვეთრად შემცირდება სამომხმარებლო ხარჯები, ვინაიდან საგადასახადო შეღავათების მოქმედების ვადა იწურება. ექსპერტები აქტიურად საუბრობენ ღრმა „საგადასახადო ფსკერზე", რასაც პრესაში „საგადასახადო არმაგედონი" უწოდეს.**

საქმე ისაა, რომ, **თუ კონგრესი არაფერს მოიმოქმედებს, წლის დასასრულისთვის ამერიკული ოჯახები, რომელთა თვიური შემოსავალი 3800 დოლარს აღემატება, დაკარგავენ პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის მიერ დაწესებულ 500 მილიარდ დოლარად შეფასებულ შეღავათს გადასახადებზე.** რესპუბლიკელებმა თანხმობა განაცხადეს, ორი თვით გაგრძელდეს შეღავათები სახელფასო ფონდისა და უმუშევრობის დახმარების გადასახადებზე. მანამდე ისინი ბლოკავდნენ რეზოლუციას და ცდილობდნენ, დამატებითი დათმობებისთვის მიეღწიათ.

გადასახადების შეღავათის გაუქმების გამო მკვეთრად გაზრდილი ხარჯების შედეგად დაზარალდება სამომხმარებლო დონე, რომელმაც ნელ-ნელა აღდგენა დაიწყო. **საგადასახადო არმაგედონი არის მომხმარებელთა მიერ წელიწადში 500 მილიარდი დოლარის დაკარგვა, გადასახადების ზრდა, რასაც შეუძლია აშშ-ის ეკონომიკის გადასარჩენად თეთრი სახლის ყველა მცდელობის ნიველირება.**

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბუშისეული დაბალი გადასახადების ეპოქის დასასრულს გათვალისწინებულია მთელი რიგი სხვა სოციალური შეღავათების შემცირებაც. მაგალითად:

ხელფასის დაქვითვა, რომელიც მოსახლეობის სოციალური დახმარების ფონდში მიდის და რომელიც 4,2%-ს შეადგენს, ახლა 6,2%-მდე გაიზრდება;

**ერთ ბავშვზე გადასახადების ჩამოჭრა, რაც აქამდე 1000 დოლარს შეადგენდა, 500 დოლარამდე შემცირდება;**

რთული საოჯახო საკითხების სასამართლოში მოგვარებისათვის გადასახადი იზრდება, რაც ოჯახების ბიუჯეტებს მძიმე ტვირთად დააწვება;

ბუშის მიერ განახლებული გადასახადების ალტერნატიული მინიმალური ზღვარი გადაიხედება და აშშ-ის საგადასახადო სამმართველოსთვის უამრავი ოჯახი, რომელიც ადრე შეღავათით სარგებლობდა, შესაძლოა, უფრო მდიდრების კატეგორიაში მოხვდნენ და საგადასახადო შეღავათებს გამოემშვიდობონ.

**როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ამგვარი საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა აშშ-ის ბიუჯეტს გაცილებით უფრო მეტად დააზარალებს, ვიდრე ადრე ვარაუდობდნენ. აშშ-ის ეკონომიკას 2013 წელს რეცესია ელის. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ Morgan Stanley-ს ანალიტიკოსები. მთელი რიგი ანალიტიკოსების გათვლებით, აშშ-ს საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის გამკაცრება 2013 წელს საერთო შიდა პროდუქტის 3,5% დაუჯდება. მაგრამ, Morgan Stanley-ს ანალიზის თანახმად, შედეგი, შესაძლოა, გაცილებით უარესიც იყოს — მოქმედი კანონის თანახმად, საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის გამკაცრების საფასური საერთო შიდა პროდუქტის 5%-ს მიაღწევს.**

„თუ კონგრესი არ შეცვლის მოქმედ კანონს, საგადასახადო-საბიუჯეტო მუხრუჭი 2013 წელს აშშ-ში რეცესიას განაპირობებს", — აცხადებენ Morgan Stanley-ს ანალიტიკოსები.

პირველ რიგში, არაერთგვაროვანი სიტუაცია ყალიბდება შრომის ბაზარზე, უმუშევრობის საერთო დონე მაღალი რჩება. მეორე მხრივ, სუსტია უძრავი ქონების ბაზარი. ახალი სახლების გაყიდვები აშშ-ში მარტში რეკორდული 7,1%-ით დაეცა წინა თვესთან შედარებით. რეალური მონაცემები პროგნოზებს არ დაემთხვა — ექსპერტები საშუალოდ გაყიდვების 1,9%-ით ზრდას ელოდნენ. რაც უნდა პარადოქსული იყოს, ამერიკული ეკონომიკის ცვლილებებმა რეგიონის დემოგრაფიული სურათის ცვლილება განაპირობა. **აშშ-ის ეკონომიკის ირგვლივ რისკების ზრდამ მექსიკიდან აშშ-ში იმიგრაციის კლება განაპირობა: ახლა მექსიკიდან აშშ-ში იმდენივე ადამიანი ჩადის, რამდენიც აშშ-და მექსიკაში ბრუნდება.**

უკანასკნელი 40 წლის მანძილზე აშშ-ში სამხრეთიდან 12 მილიონი ადამიანი შევიდა, ნათქვამია „Pew Hispanic Center"-ის მოხსენებაში, მაგრამ ახლა ნაკადმა უკუდინება იწყო.

უკანასკნელ 5 წელიწადში აშშ-ში მხოლოდ 1,4 მილიონი ადამიანი გადავიდა, მაგრამ ზუსტად ამდენივე აშშ-დან მექსიკაში დაბრუნდა. ამრიგად, აშშ-დან იმიგრაციის ნაკადი ამ დროის მანძილზე გაორმაგდა. ამ ყველაფერში გადამწყვეტი როლი შეასრულა მექსიკაში შობადობის მკვეთრად კლებამ. **ამჟამად ერთ მექსიკელ ქალზე საშუალოდ 2,1 ბავშვი მოდის, რაც ამცირებს იმიგრანტთა რაოდენობას. არადა, მექსიკა აშშ-ისთვის იაფფასიანი მუშახელის ტრადიციული წყარო იყო. აშშ-ში ყოველი მესამე იმიგრანტი სწორედ მექსიკიდან იყო ჩასული. ახლა ამერიკიდან მექსიკელებიც გარბიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა იაფი მუშახელის გარეშე დარჩება და, მეორე მხრივ, აშშ-ის ეკონომიკა უფრო სწრაფი ტემპით შემცირდება, ვიდრე ამას ექსპერტები პროგნოზირებდნენ.**

win.ru



ამერიკა-მექსიკის საზღვარი

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკულმა საქმიანმა ჟურნალმა FORBES-მა მსოფლიოს ორი ათასი ყველაზე გავლენიანი და მსხვილი კომპანიის 2010 წლის რეიტინგი გამოაქვეყნა. ამ რეიტინგში წარმოდგენილია მსოფლიოს 62 ქვეყნის კომპანიები. მათ შორის 515 კომპანია აშშ-დანაა, 210 — იაპონიიდან, 113 — ჩინეთიდან, 56 — ინდოეთიდან, 62 კი — კანადიდან.**







# 10 კორპორაცია, რომლებიც მართავს მსოფლიოს

**როგორც გაირკვა, იმ საქონლის დიდ ნაწილს, რომელსაც მსოფლიო ყოველდღიურად მოიხმარს, სულ რამდენიმე გავლენიანი კორპორაცია აწარმოებს. მაგალითად, Unilever-ი აწარმოებს ყველაფერს — საპონი Dove-დან დაწყებული, შოკოლად Klondike-ით დამთავრებული. თავის მხრივ, არა მხოლოდ კოსმეტიკის, არამედ ჯინსი Diesel-ის მწარმოებელი L'Oreal-ის აქციების მფლობელი არის ფირმა Nestle.**

მიუხედავად ბრენდების ფართო სპექტრისა, საბოლოო ჯამში მთელი გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები ათი გიგანტური საწარმოს ხელში ხვდება.

მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს ეკონომიკაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა მუდმივად იზრდება. **დღეს უსხვილესი კორპორაციები პირობებს არა მხოლოდ თავიანთ კონკურენტებს, არამედ მთელ რიგ სახელმწიფოებსაც კარნახობენ თავიანთი ფინანსური ძლევამოსილებისა და უმაღლეს დონეებზე პოლიტიკური ლობირების წყალობით.** ამ კორპორაციების შემოსავლები მრავალი ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტის მოცულობას აღემატება. ისინი მილიონობით სამუშაო ადგილს ქმნიან სხვადასხვა სახელმწიფოში, ზოგიერთი მათგანი კი, ეკონომიკური თვალსაზრისით, უკვე წარმოადგენს სახელმწიფოს მაგვარ სტრუქტურას.

**ამერიკულმა საქმიანმა ჟურნალმა FORBES-მა მსოფლიოს ორი ათასი ყველაზე გავლენიანი და მსხვილი კომპანიის 2010 წლის რეიტინგი გამოაქვეყნა. ამ რეიტინგში წარმოდგენილია მსოფლიოს 62 ქვეყნის კომპანიები. მათ შორის 515 კომპანია აშშ-დანაა, 210 — იაპონიიდან, 113 — ჩინეთიდან, 56 — ინდოეთიდან, 62 კი — კანადიდან.**

რეიტინგი შედგენილია მსოფლიოს ელიტური კომპანიების ანალიზის საფუძველზე. მათ შორის არიან ყველაზე წარმატებული გლობალური გიგანტები, რომლებიც ტონს აძლევენ მსოფლიოს დარგობრივ ეკონომიკას.

**მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ორგანიზაციად აღიარებულია ამერიკული ბანკი JP Morgan Chase. საუკეთესოთა ხუთეულში ასევე შევიდა General Electric, Bank of America, ამერიკული ნავთობ-საგაზო კომპანია Exxon Mobil და ჩინური ბანკი ICBC.**

ორგანიზაციამ Partnership for a New American Economy გამოაქვეყნა ალტერნატიული რეიტინგი. ფორბსის რეიტინგის შემდეგ ეს მნიშვნელობით მეორე კორპორატიული რანჟირია. 2010 წლის შედეგების მიხედვით, მას ზედიზედ მეორედ ჩაუდგა სათავეში ამერიკული საცალო ვაჭრობის ქსელი Wal-Mart Stores 421,8 მილიარდი დოლარის წლიური კონსოლიდირებული სარგებლით. მას მოსდევენ ჰოლანდიური Royal Dutch Shell-ი და ამერიკული Exxon Mobil-I, შესაბამისად, 378,2 და 354,7 მილიარდი დოლარით. შედარებისთვის: გერმანიის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 2011 წელს სულ 438 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

**ექსპერტების გათვლებით, ამ რეიტინგის კორპორაციები მსოფლიო ეკონომიკას 10 მილიონი სამუშაო ადგილით უზრუნველყოფდნენ, მათი საერთო შემოსავალი კი აღემატება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტის მოცულობას, გარდა ჩინეთისა და იაპონიისა, და 4,2 ტრილიონს უტოლდება. რეიტინგის ზედა სტრიქონებზე განლაგებულნი არიან კომპანიები Apple, Google, AT&T, Budweiser, Colgate, eBay, General Electric, IBM და McDonaldVs.**

მსოფლიოს 100 უდიდესი ეკონომიკიდან 52 ტრანსნაციონალური კორპორაციაა, დანარჩენი კი — სახელმწიფოები. საგარეო ვაჭრობის ორი მესამედი და მსოფლიო სამრეწველო წარმოების თითქმის ნახევარი სწორედ ტრანსნაციონალური კომპანიების მფლობელობაშია. ისინი ფლობენ ტექნიკური სიახლეებისა და მიღწევების 80%-ს.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობა 4 ტრილიონ დოლარს აღემატება, ტრანსნაციონალური კომპანიების გაყიდვების მოცულობა კი მსოფლიო მაჩვენებლის 25%-ს აღემატება, ამასთან მათი პროდუქციის ერთ მესამედს აფილირებული უცხოური სტრუქტურები უშვებენ. ტრანსნაციონალური კომპანიების გაყიდვები საზღვარგარეთ უკვე აღემატება მთელი მსოფლიოს ანალოგიურ მაჩვენებელს.**

მაგალითად, აშშ-ის საექსპორტო ოპერაციების ნახევარი ხორციელდება ამერიკული და უცხოური ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ. ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი 80%-ს აღწევს, სინგაპურში კი — 90%-ს.

**ტრანსნაციონალური ბანკები მბრძანებლობენ ნაციონალურ და საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე და თავისუფლად შეუძლიათ, შეცვალონ ნებისმიერი ორი ნაციონალური ვალუტის ურთიერთპარიტეტი.**

ტრანსნაციონალური კომპანიების საწარმოებში 73 მილიონ ადამიანზე მეტი მუშაობს და წელიწადში ტრილიონ დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქციას აწარმოებენ. სხვადასხვა დარგების გათვალისწინებით, ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა სამსახურით სულ მსოფლიოს 150 მილიონზე მეტი ადამიანი უზრუნველყვეს.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებით მსხვილი კომპანიები მრავალ განვითარებად ქვეყანას უსწრებენ. ტრანსნაციონალური კომპანიების კონტროლქვეშაა ხორბლის, ყავის, სიმინდის, ტყის, თამბაქოსა და რკინის მადნის მსოფლიო ბაზრების 90%, ფოლადისა და ბოქსიტების ბაზრის 85%, ჩაის ბაზრის 80%, ნედლი ნავთობის, კაუჩუკისა და ბანანის ბაზრის 75% და ასე შემდეგ.

მრავალი ტრანსნაციონალური კორპორაცია მონოპოლიურ ძალაუფლებას ფლობს. ზოგიერთი მათგანი ბრუნვის მოცულობით ქვეყნებსაც უსწრებს, ამ კომპანიების ხელმძღვანელები კი, როგორც წესი, საქმეს იჭერენ სახელმწიფოთა მეთაურებთან.

**მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში წარმოდგენილ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე. მათგან ყველაზე ძლიერებსა და დიდებს შეუძლიათ, გვერდი აუარონ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტროლს.** ისტორიას ახსოვს არაერთი შემთხვევა, როდესაც უცხოელმა ინვესტორებმა მიაღწიეს საკუთარ ქმედებათა მხარდაჭერას პოლიტიკური ხელმძღვანელებისაგან, იმის მიუხედავად, თუ რა შედეგი ექნებოდა ამას ადგილობრივი მოსახლეობისა და მთლიანად ქვეყნისათვის.

Business Insider

# აშშ მსოფლიო ომისთვის ემზადება და კიდევ ერთ სამხედრო დაზვერვას ქმნის

**სამხედრო მოქმედებების ზონის მიღმა ჯაშუშობის გაძლიერებისაკენ მიმართული დაზვერვის რეორგანიზაციის ფარგლებში, პენტაგონი აპირებს, გაზარდოს თავისი სადაზვერვო ოპერაციები პრიორიტეტული სამიზნეების წინააღმდეგ. ამის შესახებ თავდაცვის სამინისტროს უფროსმა თანამშრომელმა განაცხადა. საზღვარგარეთ სადაზვერვო ოპერაციების გაძლიერების მიზნით შექმნილი „თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამსახური" ცსს-თან მჭიდროდ ითანამშრომლებს.**


ლეონ პანეტა

ეს გეგმა შემუშავდა იმ კვლევის ანგარიშის პასუხად, რომელიც გასულ წელს ნაციონალური დაზვერვის დირექტორის განკარგულებით ჩატარდა და რომელშიც გაკეთდა დასკვნა, რომ ძირითად ტაქტიკურ სამიზნეებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას მათი ორიენტაციისათვის საჭიროა სამხედრო დაზვერვის ძალისხმევა ერაყისა და ავღანეთის ფარგლებს მიღმა.

**ახალი სამსახური შეეცდება, დარწმუნდეს, რომ ოფიცრები კონკრეტული ამოცანების შესრულებისათვის საჭირო ადგილებზე იმყოფებიან.**

ოფიციალურმა პირმა, რომელმაც ამის შესახებ განაცხადა, ვინაობის გამხელა არ ისურვა და უარი თქვა დეტალებზე საუბარზე: თუ კონკრეტულად სად განხორციელდება ცვლილებები.

ახალი სამსახურის შექმნის პარალელურად პენტაგონში დაინიშნა უამრავი მაღალი თანამდებობის პირი, რომელთაც დაზვერვაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ და სჯერათ, რომ სამხედრო ჯაშუშობის პროგრამები არასწორად წარიმართა.

**თავდაცვის მინისტრი ლეონ პანეტა, რომელმაც ხელი მოაწერა ახალი სამსახურის შექმნის ბრძანებას, ცსს-ს დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა მაშინ, როდესაც სააგენტო „ალ ქაიდასთან" ბრძოლისას ფართოდ ეყრდნობოდა სამხედრო ტექნიკას, მათ შორის შეიარაღებულ უპილოტო საფრენ აპარატებს.**

**მაიკლ ვიკერსი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე დაზვერვის სფეროში და ცვლილებების მთავარი მამოძრავებელი, ყველაზე მეტად ცნობილია როგორც ცსს-ს იმ პროგრამის ერთ-ერთი შემქმნელი, რომლის მიხედვითაც 1980-იან წლებში ისლამისტი ბოევიკების შეიარაღება დაიწყეს ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გაყრის მიზნით. ამავე დროს იგი ამერიკული სპეცრაზმის ყოფილი წევრია.**

რეორგანიზაცია გავლენას მოახდენს რამდენიმე ასეულ ოპერატიულ სამხედროზე, რომლებიც უკვე ასრულებენ საჯაშუშო დავალებებს საზღვარგარეთ, როგორც სამხედრო დაზვერვის სააგენტოს თანამდებობის პირები. ეს ორგანო პენტაგონისათვის ადამიანური რესურსისა და ინფორმაციის ანალიზის მთავარი წყაროა.

ჩინოვნიკის თქმით, ახალი სამსახური რამდენიმე ასეული თანამშრომელიდან რამდენიმე ასეულზე უფრო მეტ თანამშრომლამდე გაიზრდება უახლოეს წლებში. ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ახალი სამსახურის პოტენციურად პროვოკაციული სახელწოდების მიუხედავად, არ არსებობს იმის საშიშროება, რომ პენტაგონი ცსს-ს ან ნაციონალური საიდუმლო სამსახურის როლის უზურპაციას აპირებს.

კონგრესმენებმა განაცხადეს, რომ ისინი ეძებდნენ უფრო დეტალურ ინფორმაციას ახალი გეგმის შესახებ.

გარკვეულწილად ეს გეგმა ჰგავს დონალდ რამსფელდის მინისტრობის დროინდელ გეგმას, რომლის მიხედვითაც სამხედროები უნდა გადაენაცვლებინათ დაზვერვის იმ სფეროებში, რომლებიც, დიდი ხანია, ცსს-ს პოლიგონია.

**ახლა თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამსახური მჭიდროდ ითანამშრომლებს ცსს-სთან, რათა გააფართოოს თავისი მოღვაწეობა საზღვარგარეთ, მით უფრო, რომ სააგენტოსა და სამხედროების მისიები სულ უფრო უახლოვდება ერთმანეთს.**

ავღანეთში მსახურებისას გენერალ-ლეიტენანტმა მაიკლ ტ. ფლინმა გამოაქვეყნა დაუნდობლად კრიტიკული ანალიზი ამ ქვეყანაში სადაზვერვო ოპერაციების შესახებ. მასში საუბარი იყო იმაზე, რომ ინფორმაციის შემგროვებლები ზედმეტად არიან კონცენტრირებულნი ტაქტიკურ საფრთხეებზე და არ ესმით ბრძოლის გაცილებით ფართო დემოგრაფიული და პოლიტიკური კონტექსტი.

**ახლა სამხედრო დაზვერვის სააგენტოს თანამშრომელთა 15 პროცენტი თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო სამსახურის ნაწილი გახდება, თავად სააგენტოს კი ამით საზღვარგარეთ მოღვაწეობის გაფართოების საშუალება მიეცემა.**

Washington Post



იოლად გამოსაცნობი ნაცისტური სიმბოლიკის მარშები რეგულარულად იმართება, თანაც ყოველგვარი შეფერხებების გარეშე. ოკლაჰომაში მიმდინარე მორიგი ამგვარი მარშის დროს პოლიციამ აქციის მონაწილეების ნაცვლად მისი ხელისშემშლელები დააკავა.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელ ნაცისტებს კონგრესში ოფიციალური ლობისტი გამოუჩნდათ

**ოფიციალური მონაცემებით, 2006 წელს აშშ-ის ნეონაცისტურ დაჯგუფებებში დაახლოებით 100 000 ადამიანი იყო გაერთიანებული. მათი რაოდენობა ნელ-ნელა მატულობდა. როგორც ჩანს, ამგვარი ტენდენცია არავის ანაღვლებს — მთავარია, ესენი არ იყვნენ სოციალისტები ან, უფრო უარესი, თავისუფალი ბაზრის მტერი კომუნისტები.**

განსაკუთრებულ საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აშშ-ის პოლიტიკოსები და დიპლომატები ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებენ, რათა ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ისტორიულ იდენტურობაზე კიდევ ერთხელ განაცხადონ. ის თვალნათელი ფაქტი, რომ ნაცისტური გერმანია თანმიმდევრულად ცდილობდა მსოფლიოს იმგვარად მოწყობას, რომ სხვადასხვა რასისა და ეროვნების ადამიანებს დასაწყისშივე არათანაბარი მდგომარეობა ჰქონოდათ, საბჭოთა კავშირი კი ზუსტად საწინააღმდეგო პარადიგმას უჭერდა მხარს და იქცა კიდეც სახელმწიფოდ, რომელმაც უზარმაზარი საფასური გადაიხადა ნაცისტური ექსპერიმენტების შეწყვეტისათვის, ანგარიშში არ ითვლება.

**თუ სიტუაციას გონებით შევაფასებთ, ნაცისტური გერმანია თანამედროვე ამერიკული ისტებლიშმენტისთვის გაცილებით უკეთესი მოკავშირე იქნებოდა, ვიდრე საბჭოთა კავშირი. და ამ შემთხვევაში საქმე მხოლოდ ესტონეთში ამერიკის საელჩოს იმ სამახსოვრო გზავნილებს ეხება, რომლებშიც მწუხარებას გამოთქვამდნენ რეიხის ტერიტორიაზე საბჭოთა ავიათავდასხმებზე. ჯერჯერობით არაა საკმარისი საფუძველი იმის სათქმელად, რომ ნაცისტების იდეებმა ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა ოკეანის მიღმა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ იდეების მიმართ სიმპათია თვალნათელია.**

55 წლის ჯონ ბოულზი 10 აპრილს ოფიციალურად დარეგისტრირდა სენატის სამდივნოსა და აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მიერ ამერიკის ნაცისტური პარტიის ლობისტად. ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ბოულზი იბრძოლებს პოლიტიკური უფლებების დაცვისა და საამომრჩევლო პროცესისადმი მოქალაქეთა თანაბარი წვდომისათვის. ნეონაცისტების წარმომადგენელს ხომ ის ადარდებს, რომ რასობრივი სეგრეგაციის მომხრეებს არჩევითი თანამდებობებისათვის ბრძოლის საშუალებას არ აძლევენ.

ბოულზი აცხადებს, რომ ერთი რასის მეორეზე გენეტიკურად განპირობებული უპირატესობის კონკრეტული თემის წამოწევას არ აპირებს და ადამიანის უფლებების, მიგრაციის კონტროლისა და ჯანდაცვის საკითხებზე ყურადღების გამახვილებას დასჯერდება. თუმცა გაურკვეველია, რამდენ ხანს გასტანს მისი მოღვაწეობა ამ, სოციალურად მისაღებ ნიშაში. ზემოხსენებული პარტიის წარმომადგენლებს ხომ ადამიანთა უფლებები თავისებურ ჭრილში აქვთ წარმოდგენილი.

ჯონ ბოულზის ფიგურა შესაფერისად გამოიყურება ნაცისტური იდეების ლობირებისათვის. 2008 წელს იგი ცდილობდა, აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატიც კი გამხდარიყო რაღაც ნაციონალურ-სოციალური მოძრაობისგან. ნიშანდობლივია, რომ თავად ბოულზის განცხადებით მისი კანდიდატურის უარყოფა განაპირობა არა ნაციონალიზმმა და რეიხის სიმბოლიკის სრულმა ნაკრებმა, არამედ სოციალისტურმა კომპონენტმა. პოლიტიკოსი იმაზე მიანიშნებდა, რომ **ამერიკელებს ბოლომდე არ ესმით ტერმინ „სოციალიზმის“ მნიშვნელობა და მათთვის ის სტაბილურად ასოცირდება „წითელ საფრთხესა“ და კრემლთან. ამერიკელი ობივატელისთვის საფრთხეების ერთგვარ შკალად შეიძლება გამოდგეს საინფორმაციო კამპანია, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას წინააღმდეგ აგორდა.** მას შემდეგ, რაც ობამამ განაცხადა ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გეგმების შესახებ, სამედიცინო სფეროში რეფორმისა და სხვა სიახლეების შესახებ, მისმა ოპონენტებმა პრეზიდენტის სოციალისტობისა და თვით კომუნისტობის ეჭვიც კი გამოთქვეს. გავლენიანი ბიზნესწრეების წარმომადგენელთა ყველა შეხვედრაზე ბარაკ ობამა იძულებული იყო, ხაზგასმით აღენიშნა, რომ კაპიტალიზმის, საბაზრო ეკონომიკისა და კერძო საკუთრების გულმხურვალე მხარდამჭერია. ამერიკელი პრეზიდენტისათვის არა მხოლოდ სოციალისტობა, არამედ მისკენ მიდრეკილებაც კი დიდი დარტყმაა.



## ნაცისტური გერმანია თანამედროვე ამერიკული ისტებლიშმენტისთვის გაცილებით უკეთესი მოკავშირე იქნებოდა, ვიდრე საბჭოთა კავშირი

გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსში“ ობამას შესთავაზეს, პასუხი გაეცა რესპუბლიკური პარტიის გარკვეული წრეების ბრალდებაზე სოციალისტობასთან დაკავშირებით. ობამამ განაცხადა „პასუხი — არა“ და სხვა საკითხზე გადავიდა, მაგრამ ზუსტად 90 წუთის შემდეგ პირადად დარეკა გაზეთის რედაქციაში და განაცხადა: **„ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, უბრალოდ, აღინიშნოს, თუ როგორ ისვრიან ამგვარ სიტყვებს იმ დროს, როდესაც ჩვენ თავისუფალი ბაზრის პრინციპების სრული შესაბამისობით ვმოქმედებთ და ამასთან ამ ადამიანთაგან ზოგიერთები ისე ისვრიან სიტყვას „სოციალიზმი“, რომ თავად არ შეუძლიათ რაიმე სხვა შემოგვთავაზონ“.** ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამერიკის საზოგადოებაში სოციალიზმისაკენ მიდრეკილება მკრეხელობად ითვლება. სამაგიეროდ, ამერიკელი კონგრესმენების ფსევდორელიგია ნებისმიერ ფასად კაპიტალიზმის დაცვა და მებრძოლი ანტიკომუნიზმია.

**იმავე დღეს, როდესაც ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის ნაცისტებს სენატში ოფიციალური ლობისტი ეყოლებათ, კონგრესმენმა რესპუბლიკელმა ალენ ვესტმა განაცხადა, რომ დემოკრატიული პარტიიდან 78-დან 81-მდე კონგრესმენი კომუნისტია და საიდუმლოდაა გაწევრიანებული აშშ-ის კომპარტიაში.** რის საფუძველზე გააკეთა ვესტმა ესოდენ სენსაციური განცხადება, გაურკვეველია. გარკვეული მოსაზრებები გამოთქვა კონგრესმენის წარმომადგენელმა ტიმ ედსონმა. მისი განცხადებით, ზოგიერთი დემოკრატი კონგრესმენი კუბაში იმყოფებოდა და პოზიტიურად საუბრობდა ფიდელ კასტროზე. **„რაც გინდათ, უწოდეთ მათ, მაგრამ ცხადია, რომ ისინი არიან ადამიანები, რომლებიც კაპიტალიზმის, თავისუფალი ბაზრისა და პირადი ეკონომიკური თავისუფლების წინააღმდეგ გამოდიან“,** — დაასკვნა ედსონმა.

მეორე მხრივ, **არანაირ აღშფოთებას არ იწვევენ ნაცისტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კაპიტალიზმს, თავისუფალ ბაზარს და რაიმე სასიკეთოს არ ამბობენ ფიდელ კასტროზე, ამიტომ ისინი ამერიკაში სავსებით პერსპექტიულ ადამიანებად ითვლებიან.**

ალენ ვესტი ჰარმონიულ ტანდემს შექმნიდა ჯონ ბოულზთან ანტიკომუნიზმის საფუძველზე. 2003 წელს ვესტი ერაყში მსახურობდა, პოდპოლკოვნიკის რანგს მიაღწია და საკუთარი სურვილით გათავისუფლდა მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციული სასჯელი და ხუთი ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა. **ამერიკელ ჯარისკაცზე თავდასხმის მზადებაში მონაწილეობაზე ეჭვმიტანილი ერაყელი პოლიციელის დაკითხვისას ვესტმა პირდაპირ უბრძანა ხელქვეითებს, ეცემათ ეჭვმიტანილი, თავად კი, მართალი ჩვენებების მიღების მიზნით, პისტოლეტიდან ისე ესროდა მას, რომ ტყვიებს თავთან რაც შეიძლება ახლოს ჩაექროლა. ვესტს 11-წლიანი პატიმრობა ელოდა, მაგრამ, ამერიკული სამხედრო სასამართლო წარმოების ნაციონალური წესების შესაბამისად, უმნიშვნელო ჯარიმით გამოძვრა.**

**2004 წელს აშშ-ში ნაცისტური იდეოლოგიისკენ მიდრეკილი 700-მდე დაჯგუფება მოქმედებდა.** იოლად გამოსაცნობი ნაცისტური სიმბოლიკის მარშები რეგულარულად იმართება, თანაც ყოველგვარი შეფერხებების გარეშე. ოკლაჰომაში მიმდინარე მორიგი ამგვარი მარშის დროს პოლიციამ აქციის მონაწილეების ნაცვლად მისი ხელისშემშლელები დააკავა. მანამდე, ჯერ კიდევ ოფიციალური ლობისტის გარეშე მყოფმა ნაცისტებმა ტოლედოში მიტინგი გამართეს თეთრკანიანი მოსახლეობის დამტერორებელი შევკანიანი ბანდიტების წინააღმდეგ. მიტინგი დარბევებში გადაიზარდა, პოლიციის რამდენიმე ოფიცერი დაიჭრა, 70-მდე ადამიანი დააკავეს და რამდენიმე დღით კომენდანტის საათიც შემოიღეს.

win.ru

## რუსეთი ბირთვულ იარაღზე უარს არ იტყვის

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის — დიმიტრი მედვედევის განცხადებით, რუსეთი ბირთვულ იარაღზე უარს არ იტყვის.** ამის შესახებ მედვედევმა კრემლში სახელმწიფო ჯილდოების გადაცემის ცერემონიალზე განაცხადა. მისი თქმით, რუსეთი არ აპირებს ბირთვული იარაღის გამოყენებას. „თუმცა ის უნდა იყოს, იმიტომ, რომ ჩვენ დიდი, რთული ქვეყანა ვართ“, — აღნიშნა მედვედევმა.

## ირანში 1 ტონა ოპიუმი ამოიღეს

**ირანისა და ავღანეთის საზღვართან მდებარე ქალაქ ნაბანდანში ირანელმა სამართალდამცავებმა ერთი ტონა ოპიუმი ამოიღეს.** უცხოური მედიის ცნობით, ოპიუმი ავღანეთიდან იყო შეტანილი. ნარკოტიკული ნივთიერების ამოღების დროს, ნარკოტრანზიტის ბრალდებით, ირანულმა პოლიციამ ხუთი პირი დააკავა. ეს ირანში დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების აღმოჩენის პირველი შემთხვევა არ არის. შარშან ავღანეთის საზღვართან მდებარე პროვინცია სამხრეთ ხორასანში დაკავებული სხვადასხვა ნარკოტიკული ნივთიერების მოცულობამ თითქმის 30 ტონა შეადგინა.



## უნგრეთის ახალ პრეზიდენტად იანოშ ადერი აირჩიეს

**უნგრეთის ახალ პრეზიდენტად ევროპარლამენტის წევრი იანოშ ადერი აირჩიეს. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ადერის კანდიდატურა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა 16 აპრილს დაასახელა.** 52 წლის იანოშ ადერის კანდიდატურა დღეს უნგრეთის პარლამენტში პირდაპირი და ფარული კენჭისყრით დაამტკიცეს. 386 დეპუტატიდან ადერს მხარი 262-მა დაუჭირა. შეგახსენებთ, რომ უნგრეთის ექს-პრეზიდენტმა პალ შმიტმა თანამდებობა აპრილის დასაწყისში მას შემდეგ დატოვა, რაც პლაგიატში დაადანაშაულეს და ამის გამო დოქტორის ხარისხი ჩამოართვეს.

მსოფლიო

## ევროზონამ უმუშევრობის რეკორდი დაამყარა

**უმუშევრობის დონე ევროზონაში რეკორდულად მაღალ მაჩვენებელს აღწევს. „ევროსტატის“ ინფორმაციით, ევროზონის ჩვიდმეტივე ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი კვლავ 10.9 პროცენტამდე გაიზარდა და 1999 წელს, ევროს დამკვიდრების შემდეგ, ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს.** ახლა 17.4 მილიონი ადამიანი ეძებს სამსახურს და მათგან 3 მილიონი 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდაა. იტალიის უმუშევრობის მაჩვენებელმა 12 წლის მანძილზე უმაღლესი ზღვარი, 9.8 პროცენტი, დააფიქსირა. ყველასთვის გასაკვირად, უმუშევრობის მაჩვენებელი მარტში გერმანიაშიაც 6.8 პროცენტამდე გაიზარდა, თუმცა ოფიციალური პირები მაჩვენებლის ექვსთვიანი შემცირების ფონზე წინა თვის 6.7 პროცენტზე დარჩენას ვარაუდობდნენ. სამუშაოს გარეშე დარჩენილი გერმანელების რაოდენობა უკვე 2.87 მილიონს შეადგენს. მთლიანი ევროკავშირის მასშტაბით, გაერთიანებული სამეფოსა და დანიის ჩათვლით, უმუშევრობის მაჩვენებელი 10.2%-ია. გასულ კვირას ესპანეთმა განაცხადა, რომ სამსახურის მაძიებელთა რაოდენობა რვა თვის მანძილზე 5.6 მილიონამდე გაიზარდა და რეკორდული, 24.4 % შეადგინა.



კომენტარი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინმა თავი ვერ შეიკავა და ჩერჩილი დამამცირებელ მდგომარეობაში ჩააყენა. მას ჰქონდა ამის უფლება, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს იმ არმიებისა, რომლებიც მოცემულ მომენტში უმძიმეს და სისხლისმღვრელ ომში იყვნენ ჩაბმული**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-16 (139-154)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

**ვალენტინ ბერეჟკოვის წიგნში „როგორ გავხდი სტალინის თარჯიმანი“ დაწვრილებითაა აღწერილი სტალინისა და ჩერჩილის საუბრები 1942 წელს მოსკოვში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ავტორი სტალინის მაქებართა ანტისტალინელების ბანაკში გადაბარგდა. ისტორიკოსები შენიშნავენ, რომ „პერესტროიკის“ წლებში ბერეჟკოვი თავის ნაწერებში იწყებს ისეთი ცვლილებების შეტანას, რომელთა მიხედვით სტალინი სისხლიან დიქტატორად წარმოჩნდება.**

**ბერეჟკოვი თბილისშიც იყო ჩამოსული, რუბრიკის წამყვანს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა მას, იგი საქტელერადიოს ეთერშიც გამოვიდა თავისი საუბრებით. მაგრამ ქართულ ტელეეკრანზე მან ამგვარი გამოხდომებისგან თავი შეიკავა...**

**ასეა თუ ისე, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ბერეჟკოვის ფაქტობრივ თხრობას შეიძლება ვენდოთ. და მაინც, დღევანდელ პუბლიკაციაში ბერეჟკოვთან ერთად მაინც სხვა ავტორების მიერ გადმოცემულ და აღწერილ მოვლენაზე იქნება საუბარი.**

**ასე ვთქვათ, კოლექტიური მონათხრობია.**

### ჩერჩილი სტალინთან თავის გასამართლებლად მივიდა

როგორც ვთქვით, ჩერჩილი მოსკოვში 1942 წლის 12 აგვისტოს ჩამოფრინდა, დღისით, საღამოს უკვე კრემლში მიიღეს. მასთან ერთად იყვნენ პრეზიდენტ რუზველტის პირადი წარმომადგენელი ავერელ ჰარიმანი და დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრკ-ში. შეხვედრის წინ სტალინმა მოლოტოვს უთხრა:

— კარგს არაფერს უნდა ველოდოთ...

ჩერჩილი შევიდა სტალინის არც თუ დიდ სამუშაო ოთახში, სტალინი მაგიდასთან იდგა, არ იღიმებოდა. შეეგება სტუმარს, გაუწოდა ხელი, რომელიც ინგლისის პრემიერმა ენერგიულად ჩამოართვა, და მშვიდად და უემოციოდ უთხრა:

— მოგესალმებით მოსკოვში, ბატონო პრემიერ-მინისტრო.

ჩერჩილმა ნაძალადევად გაიღიმა და უპასუხა, რომ მოხარულია რუსეთში ყოფნითა და მის ხელმძღვანელებთან შეხვედრით. თავს აშკარად უხერხულად გრძნობდა. მაგიდას რომ მიუსხდნენ, სტალინმა ჰკითხა, როგორ გრძნობდა თავს ხანგრძლივი გადაფრენის შემდეგ, კარგად მოეწყო თუ არა. შემდეგ მოკლედ მიმოიხილა ფრონტებზე არსებული ვითარება:

— ცნობები მოქმედი არმიიდან უნუგეშოა. გერმანელები უზარმაზარ ძალ-ღონეს ხმარობენ ბაქოსა და სტალინგრადისკენ გზის გასაკვლევად. არ შეიძლება, გარანტირებული არ ვართ, რომ გავუძლებთ მათ შემოტევას. სამხრეთით მათი შეტევა გრძელდება.

ბრიტანეთის პრემიერს გასაგებად ეუბნებოდნენ, რამდენად აუცილებელია მეორე ფრონტის გახსნა. ჩერჩილმა გადაწყვიტა ეჩვენებინა, თუ როგორი გაუთვითცნობიერებულია და დამაჯერებლად განაცხადა, რომ გერმანელებს არ ჰყავთ საკმარისად ბევრი თვითმფრინავი და ამიტომ არ განახორციელებენ შეტევას ვორონეჟის რაიონში და — უფრო ჩრდილოეთით.

— ეს ასე არ არის, — შეეპასუხა სტალინი, — იმის გამო, რომ ფრონტის ხაზი ძალიან არის გაჭიმული, ჰიტლერს თავისუფლად შეუძლია გამოჰყოს 20 დივიზია და შექმნას ძლიერი შემტევი მუშტი. ამისთვის სავსებით საკმარისია ოცი ქვეითი დივიზია და ორი ან სამი ჯავშანსატანკო დივიზია. იმის გათვალისწინებით, რაც დღეს გააჩნია ჰიტლერს, მას არ გაუჭირდება ასეთი ძალების გამოყოფა. მე საერთოდ ვერ წარმომედგინა, რომ გერმანელები ამდენ ჯარსა და ტანკს შეაგროვებდნენ მთელს ევროპაში...

მართლაც, გერმანელები აკონტროლებდნენ თითქმის მთელ დასავლეთ ევროპას, რომელიც ფრონტს აწვდიდა ტექნიკას, აღჭურვილობას. სსრ კავშირის მოსახლეობის მესამედზე მეტი და ბევრი ინდუსტრიული ცენტრი ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. მტრის შემოტევის შეჩერება უაღრესად ძნელი იყო. სტალინი მართალს ამბობდა. ჩერჩილსაც ასევე უნდა ემოქმედა. მან ჰკითხა:

— ვფიქრობ, თქვენ გსურთ, რომ გადავიდე მეორე ფრონტის საკითხზე?

— როგორც ამას პრემიერ-მინისტრი ისურვებს.

— მე აქ მოვედი, რათა უაღრესად გულახდილად ვილაპარაკო რეალურ საგნებზე. მოდით, ვისაუბროთ როგორც მეგობრებმა.

და ჩერჩილმა დაიწყო ლაპარაკი მიზეზებზე, რომელთა გამოც საფრანგეთში გადმოსხმა მიმდინარე წელს მიზანშეწონილი არ იქნებოდა. სტალინი მოთმინებით უსმენდა, უფრო და უფრო იღუშებოდა, ბოლოს კი შეაწყვეტინა:

— სწორად გავიგე თუ არა, რომ მეორე ფრონტი წლეულს არ იქნება?

ჩერჩილი ცოტა შეფერხდა და დაიწყო იმის ახსნა, რომ საფრანგეთის სანაპიროზე დესანტირებისთვის საჭიროა საფუძვლიანი მომზადება, რათა ეს ოპერაცია განხორციელდეს უფრო მასშტაბურად და წარმატებით მომავალ, 1943 წელს (ეს დაპირება, როგორც ცნობილია, ტყუილი აღმოჩნდა. — ავტ.). უახლოეს პერიოდში არაფერი მსგავსის გაკეთება არ შეიძლება, ოპერაცია განწირული იქნება და არ დაეხმარება რუს მოკავშირეს. ჩერჩილის თხოვნით, ჰარიმანმა გააცნო სტალინს აშშ პრეზიდენტის მოსაზრება, რომელიც ადასტურებდა უწინდელ შეთანხმებებზე უარის თქმას, რადგან საფრანგეთში გადმოსხდომა უკიდურესად სარისკოა.

— **მე ომზე სხვა შეხედულება მაქვს, — დინჯად თქვა სტალინმა, — ის, ვისაც არ სურს გარისკვა, ბრძოლას ვერ იგებს. ინგლისელებს გერმანელების არ უნდა ეშინოდეთ. ისინი სულაც არ არიან ზეადამიანები. ასე რატომ გეშინიათ მათი? თუ გსურთ ნამდვილი ჯარი გყავდეთ, ის ცეცხლსა და სროლაში უნდა გაატაროთ. სანამ ჯარი ომით არ შემოწმდება, ვერავინ იტყვის, რა ფასი აქვთ მას. მეორე ფრონტის ამჟამად გახსნა საშუალებას მოგცემთ, ცეცხლში გამოსცადოთ იგი. თქვენს ადგილზე მე ასე მოვიქცეოდი, ოღონდ გერმანელების არ უნდა გეშინოდეთ...**

**სტალინი, რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული, გაღიზიანებული იყო და შესანიშნავად ესმოდა, რომ ინგლისის მთავრობას ორ-სამ თვეში ვერ აიძულებდა მეორე ფრონტის გახსნას. აშკარა იყო, რომ მოკავშირეებს უკვე გამომუშავებული ჰქონდათ თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება. მაგრამ სტალინმა თავი ვერ შეიკავა და ჩერჩილი დამამცირებელ მდგომარეობაში ჩააყენა. მას ჰქონდა ამის უფლება, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს იმ არმიებისა, რომლებიც მოცემულ მომენტში უმძიმეს და სისხლისმღვრელ ომში იყვნენ ჩაბმული,** ამ დროს კი ისინი, ვინც მოკავშირის სახელი დაირქვა, ამჯობინებდა გვერდიდან თვალი ედევნებინა ამ შერკინებისთვის, დაეცვა თავისი ხალხი და დაეზოგა ძალები.

შეურაცხყოფილი ჩერჩილი აბოლებდა სიგარას და განაგრძობდა, რომ 1940 წელს ინგლისი მარტოდმარტო იდგა ჰიტლერელების პირისპირ, რუსეთს კი ბერლინთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ინგლისელები არ შედრკნენ, გაუძლეს, ჰიტლერმა კი ვერ გაბედა შეჭრილიყო ინგლისში, რადგან მას წინ აღუდგა სახელოვანი ბრიტანული ავიაცია.

პასუხად სტალინმა შეახსენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ, მართალია, ინგლისი მარტო წინ აღუდგა გერმანიას, მაგრამ უმოქმედობას აძლევდა უპირატესობას და ჰიტლერს ევროპის ქვეყნებს ერთიმეორის მიყოლებით აბარებდა. დიახ, ბრიტანეთის ავიაციამ აქტიურად იმოქმედა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

ჩერჩილი შეეპასუხა: ჰიტლერს ლა-მანშის ფორსირების შეეშინდა. ეს ოპერაცია არც ისე მარტივია, როგორც შეიძლება ჩანდეს. მისთვის სერიოზულად მომზადებაა საჭირო.

სტალინმა უპასუხა, რომ ანალოგია აქ არ არის. ჰიტლერის ინგლისში გადასხდომა ხალხის წინააღმდეგობას შეხვდებოდა, ხოლო ინგლისის საფრანგეთში გადასხდომის შემთხვევაში ხალხი ინგლისელების მხარეს დაიჭერს.

ჩერჩილი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ოპერაციის წარუმატებლობის შემთხვევაში, ჰიტლერი მოსახლეობაზე იყრიდა ჯავრს და მოკავშირეები დაკარგავდნენ ცოცხალ ძალას, რომელიც 1943 წლის დიდი ოპერაციისთვის დასჭირდებოდათ.

კარგა ხნით ჩამოვარდა სიჩუმე...

### „ტორჩი“ ევროპაში მეორე ფრონტის ნაცვლად

სტალინს ესმოდა, რომ იგი ვერ აიძულებდა დასავლეთელ მოკავშირეებს, ჩართულიყვნენ გერმანელების წინააღმდეგ ომში. ასეც თქვა და ხაზი გაუსვა, რომ პრემიერ-მინისტრის არგუმენტებმა იგი ვერ დაარწმუნა. ჩერჩილი მიხვდა, რომ მისი მისიის ყველაზე უსიამოვნო ნაწილი დასრულდა და დაიწყო ლაპარაკი გერმანიაზე ავიათავდასხმების შესახებ, რომლებიც გრძელდება. სტალინმა კმაყოფილება გამოთქვა ამასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გერმანელი ხალხის მორალურ მდგომარეობაზე გავლენის მოსახდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინგლისურ ავიადარტყმებს.

„საუბრის დროს, — იხსენება შემდგომ ჩერჩილი, — ბატონობდა ზრდილობისა და ღირსების ატმოსფერო“. და მაშინ გადაწყვიტა გადასულიყო ჩრდილოეთ აფრიკაში ოპერაცია „ტორჩის“ („ჩირაღდანი“) განხილვაზე, სწორედ იგი გახდება მეორე ფრონტი. ჩერჩილმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ცნობები სრულიად საიდუმლოა. სტალინს ამაზე გაეღიმა:

— ვიმედოვნებ, რომ ამ საკითხზე ინგლისურ პრესაში არავითარი ცნობა არ გაჩნდება.

საბჭოთა ხელმძღვანელმა ამის შემდგომ შეცვალა მოლაპარაკების ტაქტიკა. იგი დარწმუნდა, რომ მოკავ- ▶

უკომენტაროდ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის დიქტატორმა სრულად და სწრაფად გაიაზრა პრობლემა, რომელიც მანამდე მისთვის უცნობი იყო. ცოცხალი ადამიანებიდან ძალიან ცოტანი თუ შეძლებდნენ რამდენიმე წუთში გაეგოთ მოსაზრებები, რომლებზეც თვეების განმავლობაში თავს ვიმტვრევდით, მან ეს ყველაფერი ელვისებრ სწრაფად შეაფასა.**

შირეები არავითარ შემთხვევაში უარს არ იტყვიან თავიანთ გეგმებზე, შეწყვიტა თავისი უკმაყოფილების გამჟღავნება და მოთოკა ემოციები. ასე უნდა მოქცეულიყო, რათა საბაბი არ მიეცა გერმანელებისთვის, ეფიქრათ მოწინააღმდეგეთა შორის დაპირისპირების შესაძლებლობაზეც კი. გესლიანი მინიშნება ინგლისელების მისამართით, რომლებსაც ძალიან ეშინიათ გერმანელების, მიმართული იყო იმისკენ, რომ ჩერჩილი მდგომარეობიდან გამოსულიყო, გამოეწვია საპასუხო მკვეთრი რეაქცია, ჩაეყენებინა ისეთ ვითარებაში, როცა ადამიანს შეიძლება ბევრი რამ წამოსცდენოდა, გაემჟღავებინა თავისი გრძნობები, რომელთაც მანამდე მალავდა.

სტალინმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა, ზემოქმედება მოეხდინა მოკავშირეებზე, მხოლოდ მიანიშნა გერმანიასთან შესაძლო სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაზე. ასეთი დიპლომატიური ხრიკი ჩერჩილს ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩააგდებდა. მაგრამ იოსებ სტალინმა ამჯობინა, ემოქმედა პატიოსნად, დაუფარავად. მან მოისმინა ინფორმაცია ოპერაცია „ტორჩის" შესახებ. ჩერჩილის თქმით, სტალინმა იმავე წამს ჩამოთვალა ამ ოპერაციის მხარდამჭერი ორი ძირითადი მოსაზრება.

**„ამ შესანიშნავმა განცხადებამ, — აღიარა ბრიტანეთის პრემიერმა, — ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან დამანახა, რომ რუსეთის დიქტატორმა სრულად და სწრაფად გაიაზრა პრობლემა, რომელიც მანამდე მისთვის უცნობი იყო. ცოცხალი ადამიანებიდან ძალიან ცოტანი თუ შეძლებდნენ რამდენიმე წუთში გაეგოთ მოსაზრებები, რომლებზეც თვეების განმავლობაში თავს ვიმტვრევდით, მან ეს ყველაფერი ელვისებრ სწრაფად შეაფასა.**

მცირე გადახვევა. ჩერჩილის ასეთი გულწრფელი შეფასება სტალინის ყოფილი თარჯიმნისთვის — ბერეჟკოვისთვის ცნობილი იყო, მაგრამ მან თავის წიგნში ამის შესახებ დუმილი ამჯობინა, რითაც კრემლის ახალი პატრონების გული მოინადირა...

## მოლოტოვი: სტალინი ძალიან ბრძენი ადამიანია

ამრიგად, პირველი ოთხსაათიანი შეხვედრა მიუხედავად იმისა, რომ მაინც და მაინც თბილი ტონალობით არ გამოირჩეოდა, ზოგჯერ ემოციურიც კი იყო, კეთილი განწყობილებით დასრულდა. მაგრამ ბრიტანეთის პრემიერი დარწმუნებული არ იყო, რომ საბჭოთა ლიდერი, ფრონტზე შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, კვლავ არ დააყენებდა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის საკითხს. ამიტომ მეორე დღეს, კრემლში მოლოტოვთან შეხვედრის დროს, მან ბევრი ილაპარაკა ოპერაცია „ტორჩის" ღირსებათა შესახებ.

„სანამ ამ დახვეწილი, მკაცრი ოთახიდან გამოვიდოდი, — წერდა ჩერჩილი, — მივუბრუნდი მოლოტოვს და ვუთხარი: „სტალინი დიდ შეცდომას დაუშვებდა, ჩვენ მკაცრად რომ მოგვეპყრობოდა მას შემდეგ, რაც ასე შორი გზა გამოვიარეთ. ასეთი საქმეები ორივე მხარის მიერ სწრაფად არ კეთდება". მოლოტოვმა პირველად მოიცილა ქედმაღლობა. „სტალინი, — თქვა მან, — ძალიან ბრძენი ადამიანია. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ როგორიც გინდა ყოფილიყო თქვენი არგუმენტები, იგი გაგიგებდათ. მე გადავცემ მას, რაც თქვენ თქვით".

მიუხედავად ამისა, იმ საღამოს სტალინმა წარუდგინა ჩერჩილს მემორანდუმი, რომელშიც გამოხატავდა მკვეთრ უკმაყოფილებას დიდი ბრიტანეთის მთავრობის პოზიციით. კერძოდ, დოკუმენტში ნათქვამი იყო: **„სრულიად გასაგებია, რომ საბჭოთა სარდლობა ზაფხულისა და შემოდგომის თავისი კამპანიების გეგმებს ადგენდა 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის გათვალისწინებით".**

გერმანელების წარმატებული შეტევა აიხსნებოდა იმითაც, რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდათ თავიანთ ძირითად და ყველაზე უფრო ბრძოლისუნარიან ნაწილებისთვის თავი მოეყარათ აღმოსავლეთ ფრონტზე იმ მიზნით, რათა ერთი მძლავრი დარტყმით ბოლო მოეღოთ საბჭოთა კავშირისთვის, იძულებული გაეხადათ გამოეცხადებინა კაპიტულაცია. ამიტომ სტალინს ყველა საფუძველი ჰქონდა განეცხადებინა:

**„ადვილი გასაგებია, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნაზე უარის თქმა მორალურ დარტყმას აყენებს მთელს საბჭოთა საზოგადოებრიობას, რომელსაც მეორე ფრონტის გახსნის იმედი ჰქონდა, ართულებს წითელი არმიის მდგომარეობას ფრონტზე და ზიანს აყენებს საბჭოთა სარდლობის გეგმებს. უკვე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ წითელი არმიისთვის შექმნილი დაბრკოლებები... უეჭველად გააუარესებს ინგლისის და ყველა დანარჩენი მოკავშირის სამხედრო მდგომარეობას..."**

ამ სიტყვებში შეიძლება შევნიშნოთ მითითება იმაზე, რომ ვერმახტის შემდგომი წარმატებების შემთხვევაში, რუსებმა შეიძლება ურალის იქით დაიხიონ, და მაშინ გერმანიის არმიები დასავლეთისკენ დაიძრებიან. საპასუხო ბარათში ჩერჩილმა, კერძოდ, შეახსენა თავისი, გაზაფხულზე განცხადებული, დათქმა: „ჩვენ არ შეგვიძლია არავითარი დაპირების მოცემა". მაშასადამე, ეს ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან, იმის გამო, რომ მოკავშირეებმა არ გაიღეს დაპირებული დახმარება წითელი არმიისათვის ომის უმძიმეს პერიოდში. უფრო მეტიც, ჩერჩილმა თავის თავს უფლება მისცა, ესპეკულირა იმ სიძნელეებით, რომლებიც შეიქმნებოდა, თუ ბრიტანეთის მთავრობა საჯაროდ გამოიტანდა თავის უარს საფრანგეთში ჯარების გადმოსხმის თაობაზე, რის შედეგადაც გერმანელები თავიანთი ჯარების ნაწილს დასავლეთიდან აღმოსავლეთის ფრონტზე გადაიყვანდნენ.


ჩერჩილის ვიზიტი მოსკოვში 1942 წელს

**ბოლშევიკების ყოფილმა აშკარა მტერმა მოულოდნელად თვალებში ჩახედა თანამოსაუბრეს და ჰკითხა: — თქვენ მე მაპატიეთ? — პრემიერი სტალინი ამბობს, — გადაუთარგმნა პავლოვმა, — რომ ეს ყველაფერი წარსულში მოხდა, წარსული კი ღმერთს ეკუთვნის.**

როგორც ჩანს, **ბრიტანეთის პრემიერი დარწმუნდა, რომ სტალინი არ გაურიგდებოდა ჰიტლერს, ამიტომ შეიძლებოდა თავისუფლად ამოესუნთქა და შეეღრინა კიდეც.** ბრიტანეთისთვის მდგომარეობა კარგად ვითარდებოდა: გერმანია და სსრკ დაუნდობელ ომში იყვნენ ჩართულნი, რომელშიც, მას შემდეგ, რაც ისინი ერთმანეთს საბოლოოდ დაასუსტებენ, გამარჯვება ინგლისს დარჩება. იგი კვლავ დომინანტი სახელმწიფო გახდება მთელს ევროპაში, თანაც უმნიშვნელო დანაკარგებით.

გამოდის, რომ დიპლომატიური გამარჯვება ჩერჩილს დარჩა. თუმცა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სტალინს არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნდა მოკავშირეებზე ზეგავლენის, თუ არ ჩავთვლით ჰიტლერთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების საშიშროებას. ჩერჩილის „ეშმაკური" განცხადება, რომ იგი გამოაქვეყნებდა განცხადებას საფრანგეთში ჯარების გადმოსხმაზე უარის თქმის თაობაზე, მისთვის ფრიად დამამცირებელი აღმოჩნდებოდა. ამ მუქარის შესრულება სერიოზულად არც აღიქმებოდა. გერმანელებს მიეცემოდა საფუძველი განეცხადებიათ, რომ მოკავშირეთა მიერ საფრანგეთში შეჭრაზე უარის თქმა სამხედრო დეზინფორმაციაა.

ასე იყო თუ ისე, 13 აგვისტოს 23 საათზე კრემლში სტალინთან შეხვედრის დროს ჩერჩილმა კვლავ მოისმინა საყვედურები, ინგლისის უარის გამო აქტიურად ემოქმედა ევროპის ფრონტზე, აგრეთვე, იმის გამოც, რომ არ შეასრულა რუსეთისთვის მიწოდებათა დაპირება. შეიძლება ითქვას, რომ იგი ცდილობდა, თანამოსაუბრეში გაეღვიძებინა საკუთარი ბრალეულობის გრძნობა, და საბოლოოდ დამშვიდდა, როცა აფორიაქებულმა ჩერჩილმა დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ აუცილებელია კარგი საქმიანი ურთიერთობის დამყარება სამ დიდ სახელმწიფოს შორის, რაც უზრუნველყოფს მათ გამარჯვებას საერთო მტერზე. სტალინმა ბოლომდე არც მოუსმინა ამ აბნეულ სიტყვას და შენიშნა, რომ მას მოსწონს წარმოთქმის ტონი.



## „წარსული ღმერთს ეკუთვნის"

მოლაპარაკების შემდეგ კრემლში ოფიციალური სადილი გაიმართა. „სტალინმა და მოლოტოვმა გულითადად მიიღეს სტუმრები, — იხსენებდა ჩერჩილი. — ასეთი სადილები დიდხანს გრძელდება, დასაწყისიდანვე წარმოითქვა ბევრი ძალიან მოკლე სადღეგრძელო და საპასუხო სიტყვები. ვრცელდებოდა სულელური ისტორიები იმაზე, რომ ეს საბჭოთა სადილები ღრეობაში გადაიზრდებოდა. ამაში სიმართლის ნატამალიც არ არის. მარშალი და მისი კოლეგები ერთი ციცქნა სირჩებიდან ოდნავ, ერთ ყლუპს მოწრუპავდნენ. მე ხელგაშლით მიმასპინძლდებოდნენ!"

**სადილის შემდეგ ისინი დიდხანს და გაცხოველებით საუბრობდნენ. სტალინმა გაიხსენა, რომ ლედი ასტორთან და ბერნარდ შოუსთან შეხვედრის დროს მან უარი თქვა მოსკოვში ლიოდ ჯორჯის მოწვევაზე, რომელიც სამოქალაქო ომში ინტერვენტებს მეთაურობდა. ლედი ასტორმა თქვა, რომ მაშინდელი პრემიერი ჩერჩილმა შეაცდინა.**

**— ყოველ შემთხვევაში, — უპასუხა სტალინმა, — ლოიდ ჯორჯი მთავრობის მეთაური იყო და მემარცხენეებს ეკუთვნოდა. პასუხისმგებლობა მას ეკისრება, ჩვენ კი აშკარა მტრები მოჩვენებით მეგობრებს გვირჩევნია.**

**ბოლშევიკების ყოფილმა აშკარა მტერმა მოულოდნელად თვალებში ჩახედა თანამოსაუბრეს და ჰკითხა:**

**— თქვენ მე მაპატიეთ?**

**— პრემიერი სტალინი ამბობს, — გადაუთარგმნა პავლოვმა, — რომ ეს ყველაფერი წარსულში მოხდა, წარსული კი ღმერთს ეკუთვნის.**

**იდუმალი სიტყვებია. უწინარეს ყოვლისა, განგაცვიფრებთ ღმერთის ხსენება. რაც პირველად არ მომხდარა. ნათქვამი იყო ასე სტუმრისთვის რომ ესიამოვნებინა? არა, რა თქმა უნდა. შეგვიძლია დავასკვნათ, და არა მხოლოდ ამ კერძო შემთხვევისა გამო, რომ სტალინს, როგორც ყველა ჭკვიან და განათლებულ ადამიანს თავისი წარმოდგენა ჰქონდა ჩამოყალიბებული უზენაეს ძალებსა და მსოფლიო გონზე. კონკრეტულად როგორი? სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია და მხოლოდ მარჩიელობა შეგვიძლია. შეიძლება, მისთვის ახლობელი იყო ძველებური რუსული ანდაზა: ღმერთი ძალაში კი არა, სიმართლეშია. იგი სიცრუეს არ კადრულობდა და ვერ იტანდა, როცა ტყუილს ეუბნებოდნენ, სძულდა და ეჯავრებოდა პირმოთნეები და მედროვენი, რადგან მიაჩნდა, რომ ისინი ადვილად გარდაიქმნებიან მოღალატეებად...**

**ჩერჩილის შეკითხვაზე შეიძლებოდა მარტივი პასუხის გაცემა — მიპატიებიაო... მაგრამ სტალინმა უფლება არ მისცა თავის თავს ქედმაღლური პატიებისა — ყოფილმა აშკარა მტერმა გულწრფელად მოინანია მის წინაშე. ამ შემთხვევაში ღმერთია მტყუან-მართლის გამრიგე.**

ჩერჩილი დარწმუნდა, რომ მისი თანამოსაუბრე და ამჟამინდელი მოკავშირე ურთიერთობაში უბრალოა, ბრძენი და მახვილგონიერი, შეუძლია სწრაფად იპოვოს რთული პრობლემების გადაწყვეტის სწორი გზა, არნახული ნებისყოფის პატრონია და მაქსიმალურად თავშეკავებულია, ლაპარაკობს სიმართლეს და დარწმუნებულია ფაშიზმზე გამარჯვებაში. სტალინმა აჩვენა, რომ შეუძლია იყოს მკაცრიც და დაუნდობელიც, მაგრამ არა გულღვარძლიანი. მისთვის მთავარი საქმის ინტერესებია. ასეთ მოკავშირესთან ურთიერთობა იოლი არ არის, მაგრამ მას შეიძლება ენდო.

17 აგვისტოს სტალინმა მიიღო წერილი ჩერჩილისგან, რომელიც წინა დღით მოსკოვიდან გაემგზავრა: „ძალიან კმაყოფილი ვარ, მოსკოვში რომ ვიყავი: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ვალდებული ვიყავი, გამომეთქვა ჩემი აზრი, და, მეორე, იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, ჩვენი შეხვედრა ჩვენი საქმისთვის იქნება სასარგებლო. გთხოვთ, გადასცეთ ჩემი მოკითხვა ბ-ნ მოლოტოვს".

**ერთ-ერთი საუბრის დროს სტალინმა ჩერჩილს ხუმრობით უთხრა:**

**— რატომ დაბომბეთ მაშინ ჩემი ვიაჩესლავი?**

**— არასოდეს ხელიდან არ უნდა გაუშვა ბედნიერი შემთხვევა, — უპასუხა პრემიერმა, უთუოდ იმიტომ, რომ მიენიშნებია: ინგლისური ავიაციის ბერლინზე თავდასხმა სპეციალურად იყო მისადაგებული ბერლინში მოლოტოვის ყოფნისთან.**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ექსპერტთა პროგნოზით, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონზე ნაკლები იქნება. გაცილებით შემზარავი სურათი იხატება 21-ე საუკუნის მიწურულს. დემოგრაფიული ვარდნის ტემპი თუ ასე გაგრძელდა, მაშინ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა შეიძლება მილიონ 500 ათას ადამიანსაც არ აღემატებოდეს. ამას დაემატება სხვა ტომებთან ქართველთა ასიმილაცია, რაც უკვე დაწყებულია, და ქვეყნის სახელმწიფოებრიობა კატასტროფის წინაშე დადგება. სანამ დროა, ეს რომ არ მოხდეს, ქართველი ერის მყისიერი გამოფხიზლებაა საჭირო, თორემ წაყრუებამ და გულგრილობამ ჩვენი შთამომავლობა შეიძლება უფსკრულის პირას დააყენოს.**

# მალე ქართველი ერი საკუთარ მიწა-წყალზე უმცირესობაში აღმოჩნდება

**ცნობილ პიროვნებებს ხშირად ეკითხებიან, — რაა დღევანდელი საქართველოს მთავარი ამოცანა. პასუხი მრავალფეროვანია, მაგრამ გამოკვეთილად ვერ სახელდება ის მიზანი, რის მისაღწევად ქვეყანამ დაუყოვნებლივი, ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას. ერთპიროვნულად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის უმთავრესი, ანუ ზეამოცანა სახელმწიფოში დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებაა.**

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან შედარებით, ჩვენთან დემოგრაფიული ვარდნა კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს. უცხოელი და ქართველი ექსპერტების პროგნოზებით, **საქართველოში მოსახლეობის რაოდენობის კლება თუ ისეთივე ტემპით გაგრძელდა, როგორიც დღეს არის, სულ მალე ქართველი ერი თავის მიწა-წყალზე უმცირესობაში აღმოჩნდება და ქვეყნის სახელმწიფოებრიობასაც საფრთხე დაემუქრება.** ბუნების წესი მკაცრია: ის, რაც არ იზრდება და არ ვითარდება, ათასგვარი სენის მსხვერპლი ხდება და ნაადრევად იღუპება.

გავიხსენოთ გოდერძი ჩოხელის ფილმი-ნოველა — მიტოვებული და უკაცრიელი სოფლის ფონზე სიმბოლურად ჩამოშვებული ბაწრის მარყუჟი. რამდენი სოფელი და მხარეა დღეს კისერზე მარყუჟჩამოცმული. თუ ჩვენი წინაპარი უმკაცრეს ბუნებრივ პირობებშიც კი ახერხებდა აურაცხელი მტრის მოგერიებას და თვითგამრავლებას, ჩვენ — მათ ნაშიერებს, რამ დაგვაკარგვინა ის ეროვნული მუხტი და ენერგია, რომელსაც დედულ-მამულის სიყვარული და პატრონობა ჰქვია?

ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული საკითხების წარმატებით გადაწყვეტაში, საკუთარ ისტორიაში დაგროვილი გამოცდილების გარდა, ამ სფეროში მსოფლიოს გამოცდილებაც უნდა გამოვიყენოთ. **1984 წელს ჩინეთში, რომლის ტერიტორია 9 მილიონ 561 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, მოსახლეობის რაოდენობა იყო მილიარდ 36 მილიონი ადამიანი, ე. ი. ადამიანთა სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე შეადგენდა 109-ს. 2007 წელს ჩინეთში იმავე ტერიტორიაზე მილიარდ 330 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა და სიმჭიდროვე შეადგენდა 139-ს.**

მსოფლიოს მეორე გიგანტურ ქვეყანაში — **ინდოეთში, რომლის ტერიტორია 3 მილიონ 288 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, 1984 წელს 746 მილიონ 740 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ანუ სიმჭიდროვის კოეფიციენტმა 227-ს მიაღწია. 2007 წელს ინდოეთში მოსახლეობის რაოდენობა მილიარდ 150 მილიონი გახდა და შესაბამისად სიმჭიდროვის კოეფიციენტი 356-მდე გაიზარდა.**

ელემენტარული ჭეშმარიტებაა ის, რომ რომელიმე ქვეყანაში მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტის ზრდა უსასრულოდ შეუძლებელია. ამის გამო, ეს ორი გიგანტური ქვეყანა თავიდანვე ფიქრობს დემოგრაფიულ რეგულაციაზე. მათთვის არსებობს ორი გამოსავალი: ან მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შემცირება, ან ახალი ტერიტორიების ათვისება.

გადავხედოთ სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოს მოსახლეობის შესახებ. თუ ზოგიერთი ქვეყანა მოსახლეობის შემცირების გზის ძიებაშია, ჩვენი თავსატეხი, პირიქით, გამრავლებაა. 1984 წლის აღწერით, ჩვენთან 5 მილიონ 200 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, 2007 წლის მონაცემებით კი — 4 მილიონი. შემაძრწუნებელი ფაქტია ის, რომ სულ რაღაც 23 წელიწადში საქართველოში მოსახლეობა მილიონ 200 ათასით შემცირდა. **ექსპერტთა პროგნოზით, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონზე ნაკლები იქნება. გაცილებით შემზარავი სურათი იხატება 21-ე საუკუნის მიწურულს. დემოგრაფიული ვარდნის ტემპი თუ ასე გაგრძელდა, მაშინ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა შეიძლება მილიონ 500 ათას ადამიანსაც არ აღემატებოდეს. ამას დაემატება სხვა ტომებთან ქართველთა ასიმილაცია, რაც უკვე დაწყებულია, და ქვეყნის სახელმწიფოებრიობა კატასტროფის წინაშე დადგება.**

სანამ დროა, ეს რომ არ მოხდეს, ქართველი ერის მყისიერი გამოფხიზლებაა საჭირო, თორემ წაყრუებამ და გულგრილობამ ჩვენი შთამომავლობა შეიძლება უფსკრულის პირას დააყენოს.

**ამჟამად საქართველოში, რომლის ტერიტორია 70 ათასი კვადრატული კილომეტრია, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა, სავარაუდოდ, — 4 მილიონი, მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტი კი 57-ის ტოლია.**



**საგანგაშოა ის, რომ ბოლო ოც წელიწადში ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედი ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთს მიაწყდა და სამშობლოს გამოეთხოვა**

საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ მხრივ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში: **სომხეთის მოსახლეობა 3 მილიონ 210 ათასია, ტერიტორია — 29 ათას 800 კვადრატული კილომეტრი, სიმჭიდროვის კოეფიციენტი – 108; აზერბაიჯანის მოსახლეობა – 8 მილიონ 676 ათასი, ტერიტორია – 87 ათასი, სიმჭიდროვის კოეფიციენტი – 100.** როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე ნაკლებდასახლებული ტერიტორია საქართველოშია და სწორედ ამიტომ იგრძნობა უცხო ტომელთა ინტენსიური ლტოლვა მისკენ, რომ არაფერი ვთქვათ ტერიტორიის ნაწილის მიტაცებაზე. **თუ საქართველოს მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტს, ინდოეთისას შევადარებთ, ადვილი გამოსათვლელია ის, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია 20 მილიონზე მეტ ადამიანს დაიტევს და გამოკვებავს.** ეს რესურსები ჩვენთვის მთავარი მამოძრავებელი ძალა უნდა იყოს იმისათვის, რომ ენერგიულად და თანმიმდევრულად დავიწყოთ საქმიანი, შორსმჭვრეტელური, შეუქცევადი ღონისძიებების გატარება. ამ მხრივ საქართველოში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგმება, მაგრამ არა ისეთი, როგორიც დავითის, თამარის, შოთას, ილიას... სამშობლოს შეეფერება.

დემოგრაფიის სფეროში ნამდვილად აღნიშვნის ღირსია საქართველოს საპატრიარქოს და, კერძოდ, დიდი მამულიშვილის, ილია მეორეს საქმიანობა. არიან ბიზნესმენებიც და ორგანიზაციებიც, რომლებიც ცდილობენ დემოგრაფიული ვარდნის პროცესის შეჩერებას. სასარგებლო იქნება ქვეყნის მთავრობის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ ზეამოცანის მოსაგვარებლად მეცნიერულად დასაბუთებული, სტრატეგიული და გადამწყვეტი ღონისძიებებია შესამუშავებელი. **კარგი იქნება, საქართველოში თუ დავაფუძნებთ ქვეყნის ბიუჯეტიდან გამყარებულ დემოგრაფიული რეგულაციის სამინისტროს ან დეპარტამენტს მაინც. ქვეყნის ამ სასიცოცხლო ფაქტორის აღმასვლასა და რეალიზებაში მთელი ერი უნდა იყოს ჩაბმული. საქართველოს მოსახლეობის თითოეულმა წევრმა სახელმწიფოებრივი აზროვნება უნდა გამოავლინოს, თორემ მოვლენების უკან ჩანჩალით სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ.**

საქართველოში ბევრი სამაგალითო ოჯახია, მაგრამ ხშირია ოჯახების ნგრევის შემთხვევებიც. ყოველი მიტოვებული ბავშვი, ყოველი დანგრეული ოჯახი ქვეყნისთვის მხოლოდ წუხილისა და დისკომფორტის მომტანია. იმ ქვეყანაში, რომელშიც ადამიანებს შორის სიყვარული და სათნოება არ ზეიმობს, უმეტესწილად ქოლერიკული და მელანქოლიკური ტიპის ადამიანები სჭარბობენ. სწორედ ამიტომ მომრავლდა საქართველოში ამდენი მკვლელობის, თვითმკვლელობის, თავდასხმის, ძარცვის ფაქტები.

**დემოგრაფიული ფაქტორი ქვეყნის ბალავართა ბალავარია და, თუ იგი მოიშალა, ქვეყნის არსებობაც წარსულს ჩაბარდება.** გენიალური ვაჟა 1908 წელს წერილში „შინაური ამბები" წერდა: **„თუ ამ გზით ვიარეთ, უეჭველია, ჩვენი ტერიტორია მალე დაიფუყება და საქართველოს ნიადაგზე ისე აჭრელდება სხვადასხვა ტომთა და ერთა სოფელ-დაბანი, რომ საქართველო ეთნოგრაფიულ გამოფენას დაემსგავსება".** ამ მომენტიდან 100 წელზე მეტი გავიდა. შეიცვალა რამე? პირიქით, საქართველოს პრობლემები უფრო მოუმრავლდა და ქართეხილების გზაჯვარედინზე გაურკვევლობის ღრუბელი თავს ისევ ძალუმად გრძნობს.

**დემოგრაფიის საფუძვლებზე და ქრისტიანული სარწმუნოების მოძღვრებაზე ცოდნა ადამიანმა სკოლის მერხიდან უნდა შეიძინოს, თუ გვინდა, ვუშველოთ დაცლილ სოფლებსა და სასაზღვრო ზოლზე აუთვისებელ ტერიტორიებს. ასეთ ადგილებში მაცხოვრებელი ადამიანისთვის სახელმწიფომ უნდა შემოიღოს პრივილეგიები და ეროვნული სახსრების გარკვეული ნაწილი განკარგოს იქ, სადაც ამას დღევანდელობა და მომავალი მოითხოვს.** აქ ისევ ვაჟა უნდა მოვიშველიოთ: **„ფულით ჩვენს მეზობლებთან ვერ მივალთ, მაგრამ არც ისე ღარიბნი ვართ, როგორც ვტირით და ვჩივით. რაც გვაბადია, სახეიროდ ვერც იმასა ვხმარობთ ჩვენი ქვეყნისა და მომავლისათვის. მაშასადამე, ჩვენ გვაკლია ის გრძნობა თავის დაცვისა, რომელიც თავს იჩენს არა მარტო განათლებულ ერთა ცხოვრებაში, არამედ პირუტყვთა ცხოვრებაშიც".**

საქართველოს მიტოვებულ და დაუსახლებელ უბნებს გარეშე მტერი სანამ შეამჩნევს, ცხადია, მათ წართმევას მოინდომებს და მოსვენებას არ მოგვცემს. ამაში აგვისტოს ომმაც დაგვარწმუნა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში, ომებში, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, საქართველომ 20 ათასზე მეტი ახალგაზრდა დაკარგა. ცხადია, ამ ტრაგედიამ ქვეყანაში დემოგრაფიული ვარდნა დააჩქარა და მომავალში მრავალი ახლადშესაქმნელი ოჯახი ოცნებებში დარჩა.

**საგანგაშოა ის, რომ ბოლო ოც წელიწადში ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედი ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთს მიაწყდა და სამშობლოს გამოეთხოვა. დღეს ბევრი ქართველი უცხოეთში ხარჯავს იმ ენერგიასა და ტალანტს, რომელიც საქართველოს აღმშენებლობას უნდა მოხმარებოდა.** საკვირველი და პარადოქსულია, რომ ქართველების მიერ მიტოვებულ მიწაზე, ბულბულების ცარიელ ბუდეებში, უცხოელები გუგულებივით ისადგურებენ, სამუშაოსაც პოულობენ და არნახული ტემპითაც მრავლდებიან.

რადგან ყველა ქართველის ვალია, შეძლებისდაგვარად ემსახუროს ქვეყანას, ორიოდე წლის წინ დავაფუძნე **„საქართველოს დემოგრაფიული რეგულაციის ფონდი — შთამომავლობა"** იმ იმედით, რომ ეს არასამთავრობო ორგანიზაცია, ბიზნესმენებისგან ყურადღებას დაიმსახურებდა. განვლილმა ორმა წელიწადმა აჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიულ საკითხებს სათანადოდ ვერ აფასებენ და, თუ ამ სფეროსადმი მიდგომა ძირეულად არ შეიცვალა, შედეგებიც სავალალო იქნება. აქვე ერთი წინადადებაც უნდა გავაჟღერო: **საქართველოში შემოდგომის რომელიმე დღე გამოვაცხადოთ სრულიად ქართველთა და მოქალაქეთა ერთად ყოფნის დღედ. თუ ეს დღე ოფიციალურად გამოცხადდება, უცხოეთში მყოფი ბევრი ქართველი წინასწარ დაგეგმავს — თავის მამულს ამ დღეს ეწვიოს და ერთად ყოფნის სადღესასწაულო ღონისძიებებში მიიღოს მონაწილეობა.** იმედი მაქვს, ამ წერილს გამოხმაურება მოჰყვება და ეს ერისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სფერო ფართო განსჯის საგნად იქცევა.

**ელგუჯა კეკელიძე,**
მეცნიერი

ამჟამად გორის ძველი უბნის რეაბილიტაციისთვის 2 მილიონი ლარია გამოყოფილი. აღნიშნულ სამუშაოებს, ყანჩაველის კომპანიის გარდა, კიდევ 3 კომპანია ახორციელებს, მათ შორის — „იბოლია“ და „არქმშენსტუდია“

**იუბილე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გიორგი სიჭინავა — 70



**ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — გიორგი სიჭინავას ცხოვრების ჟამთსაბრუნავმა სამოცდაათი გაზაფხული მიითვალა. ვარდობის თვეს — 1942 წლის 10 მაისს მოევლინა იგი ამ წუთისოფელს. მაისი ხომ სიხარულისა და ყვავილების თვეა, მაგრამ გიორგი რომ დაიბადა, იმ დროს მსოფლიოს წარღვნით ემუქრებოდა შავი ჭირი — ფაშიზმი.**

დაბადებიდანვე რთული იყო გიორგის ცხოვრების გზა. ბავშვობიდან დღემდე უსამართლობას ბევრჯერ დაუკორტნია მისი ალალი, კაცთმოყვარე გული, მაგრამ არ გაბოროტებულა, შური, ღვარძლი თუ მტრობა არ გაჰკარებია მის ნათელ შინაგან სამყაროს. მას, ჭირსა თუ ლხინში, ემიგრაციასა თუ თავის სამშობლოშივე დევნილს, არ დაუკარგავს სულიერი სიწმინდე თუ აუმღვრევლობა. ეს სათქმელად ადვილია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, — ბევრმა ვერ შეძლო ასე გულუმწიკვლოდ ცხოვრება.

**გიორგი სიჭინავა, როგორც მწერალი, უწინარესად, სიტყვის ოსტატია. მისი შემოქმედება გამორჩეულია თავისი მწერლური ხედვით, თემატიკით, ერთი შეხედვით უმნიშვნელოშიც მნიშვნელოვანის დანახვის უნარით, მიმზიდველი თხრობითა თუ ნათელი, გამჭვირვალე სტილით.**

ახალგაზრდა მწერლის მოთხრობების პირველი წიგნი „დაბრუნება“ 1971 წელს დაისტამბა, რომელმაც მკითხველის მოწონება დაიმსახურა. ამას მოჰყვა 1973 და 1978 წლებში ახალი მოთხრობების კრებულები — „სამი ცისფერი რგოლი“ და „მოლოდინი“.

1984 და 1988 წლებში გამოცემულმა რომანებმა — „გვირილების მინდორი“ და „უთვისტომო“ მკითხველს ახალი, ეპიკური კუთხით დაანახა გიორგი სიჭინავას, როგორც მწერლის, მასშტაბურობა. ამ რომანებში დახატული პერსონაჟები ცხოვრებისეული, ცოცხალი და დასამახსოვრებელი ადამიანები არიან.

**2004-2010 წლებში გამოდის გიორგი სიჭინავას ოთხწიგნეული, ისტორიული რომანი — ტეტრალოგია „უტუ მიქა“. უცნაური აღმოჩნდა ამ რომანის ბედი. მწერალმა ოცდახუთი წლის წინ დაიწყო ამ რომანის წერა, 1992 წელს გამომცემლობა „ალაშარას“ ქართულ განყოფილებას ჩააბარა, რომანი ააწყვეს, მაგრამ აიწეწა, აირია ჟამთსაბრუნავი, წიგნის დაბეჭდვა ჩაიშალა, გადაბეჭდილი ხელნაწერის ორივე ეგზემპლარიც სტამბაში დაიკარგა. შემდეგ იყო დევნილობა, ემიგრაციაში ყოფნა, ისევ დაბრუნება... მწერალმა არქივში მოიძია დანარჩენი ფრაგმენტები და თბილისში ხელახლა ჩაუჯდა ამ რომანს, დიდი მოთმინებითა და რუდუნებით გაასრულა და გამოსცა კიდეც. ძნელია ამ რომან-ტეტრალოგიის ორიოდე სიტყვით შეფასება. მასში ცოდნითა და ოსტატურადაა აღწერილი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო, კერძოდ, დასავლეთ საქართველო, იმჟამინდელ რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესები და ცნობილი აჯანყება უტუ მიქას მეთაურობით. ამ აჯანყების აშკარა თუ ფარული მიზეზები და სავალალო შედეგები.**

**ეს რომანი — ტეტრალოგია „უტუ მიქა“, დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში ღირსეულ ადგილს დაიკავებს მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში.**

გიორგი სიჭინავას ვრცელი მოთხრობა „მოლოდინი“ რუსულ ენაზე ითარგმნა და რუსმა მკითხველმა ინტერესით მიიღო იგი.

ამ წერილის ფორმატის გამო, მოკლედ, მშრალად მოგვიწევს გიორგი სიჭინავას მოღვაწეობიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალის აღნიშვნა. 1982-1987 წლებში იყო აფხაზეთში გამომავალ ალმანახ „რიწის“ მთავარი რედაქტორი; დევნილობაში, 1996 წლიდან, რედაქტორობს თავისივე დაარსებულ ჟურნალ „აიას“, 2003-2006 წლებში მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეროვნებათაშორისო განყოფილების მთავარ სპეციალისტად... გამოსცა ალმანახი „ირიათონი“, მის კალამს ეკუთვნის მეგრული ენის თვითმასწავლებელი, „ნანაშ ნინა“, მეგრული ლექსების კრებულები: „შურობუმუ“, „რინა მოკო პელაზგური“ აგრეთვე მოთხრობების, ლექსების, თქმულებების სრული კრებული „ნანაგე“...

**ერთ-ერთ ინტერვიუში გიორგი სიჭინავას როცა ეკითხებიან, თუ რატომ მიუბრუნდით მეგრულს, იგი პასუხობს: — მივუბრუნდი კი არა, იქიდან მოვდივარ! ჭეშმარიტ ქართველს არ უნდა ეუცხოვოს მეგრულიო.**

**გიორგი სიჭინავას მთელი ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა ერთიანი, ძლიერი, გამთლიანებული საქართველოსთვის დაუღალავი ბრძოლაა.** იმ მძიმე წლებში, როცა ქვეყანაში აღზევდნენ შინაური თუ გარეშე მტრები, სიმართლისათვის მებრძოლ, ეროვნული პოზიციის გაზეთ „აღდგომას“ რედაქტორობდა. არავინ უწყოდა, საქართველოს ორგულთა და ქვეგამხედვართა მიერ მისკენ და მის თანამებრძოლებისკენ მიმართული დატენილი თოფის ლულა როდის იფეთქებდა...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **გიორგი სიჭინავას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. გულითადად ვულოცავთ მას ამ მნიშვნელოვან თარიღს და ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს და ახალ-ახალ შემოქმედებით აღმაფრენას.**

დიდი კონსტანტინეს თქმისა არ იყოს, მას დღესაც მზადა ჰყავს „სიტყვის ლაშქარი“ კიდევ ახალი ბრძოლებისა და გამარჯვებისთვის.

**ალექსანდრე ჭაჭია,**
**ტარიელ გაგნიძე,**
**თემურ ქორიძე,**
**როლანდ ჯალაღანია,**
**ზაურ გახარია,**
**მამანტი ძაძამია,**
**რინოზ კვარაცხელია,**
**ზაურ მოლაშხია,**
**ვიქტორ ცაავა**

# შენ ხალხის ჭირისუფლობა გარგუნა განგებამ, ჩემო გიორგი, ჩემო ძვირფასო უფროსო მეგობარო!

**ვერ ვიჯერებ, რომ უკვე 70 წლის გამხდარხარ... ოცდაექვსი წელია, რაც გიცნობ და მაქვს პატივი, ვიწოდებოდე შენს უმცროს მეგობრად, მაქვს ბედნიერება ვიყო შენი თანამოაზრეც.**

**ამიტომაც ამქვეყნად ვინმემ თუ იცის, მეც ვიცი, თუ რაოდენ დიდი სევდითა და ტკივილით ცხოვრობ ამ ცოდვილ მიწაზე; ვინმემ თუ იცის, უთუოდ მეც ვიცი, რომ ეს „მეგრული სევდა“ და „მეგობრული ტკივილია“** შენი... არა-და, ვიცი ისიც — „მსოფლიო სევდითაც“ რომ გაქვს გული დამდუღრული...

**მიუხედავად ყველაფრისა, ოპტიმიზმიც არ გაკლია ნამდვილად და გწამს, შენი შურობუმი ოდაბადეც გადარჩება აუცილებლად. და თუ ეს მართალაც ასეა, თუ მართლაც არ უწერია შენს მოდგმას სიკვდილი და გადაშენება, მაშინ სახელი შენი და ღვაწლი შენი დაუვიწყარიც იქნება და მარადიულიც...**

უნდა ვთქვა პირდაპირ: ხომ ფაქტია, რომ ჩვენი ბევრი არაკეთილმოსურნის გულის გასახეთქად არსებობს მეგრული ენაც, მეგრული პროზაც და პოეზიაც. დიახ, ეს არსებობს და სწორედ რომ შენ ხარ ამ პროზისა და ამ პოეზიის ცოცხალი და უპირველესი კლასიკოსი!.. ამის აღიარება კი ვისაც არ სურს, ვურჩევ ცივი წყალი დალიოს! შენ კი, შენ სხვა მისია, განსაკუთრებული მისია, შენ ხალხის ჭირისუფლობა გარგუნა განგებამ, შენ მის მარადიულ სიცოცხლეზე ფიქრი და ზრუნვა დაგაკისრა ზეციერმა... ასე რომ, კვლავაც იარე შენი გზით! შენეული სიმტკიცითა და შეურყევლად ზიდე შენი ჯვარი...

**70 წელი არც ისე ბევრია, ჩემო გიორგი! სიბერეზე ფიქრს ნუ მისცემ თავს! არ გცალია შენ ამისთვის! იფიქრე სიცოცხლეზე და თავს მოუარე... ხომ იცი, შენს გასაკეთებელს სხვა ვერავინ გააკეთებს ამქვეყნად... იცოცხლე დიდხანს და გაიხარე...**

**ზურაბ კვარაცხელია,**
**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი**

# ბრიუსელში სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი ერთ თვეში დაიწყება

**ბელგიაში პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი მზადდება, რომელსაც სააკაშვილისთვის ამ ქვეყანაში და, შესაბამისად, ევროკავშირისა და ნატოს სტრუქტურებში შესვლის აკრძალვა შეიძლება მოჰყვეს. პროცესის ინიციატორია დევნილობაში მყოფი უფლებადამცველი მერაბ ბლადაძე.**

**„ჩვენ ბრალს ვდებთ საქართველოს პრეზიდენტს კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულში, 2007 წლის არჩევნების გაყალბებაში, რუსეთთან ომის დაწყებაში 2008 წელს, ოპოზიციის სისტემატიურ რეპრესიებში, მუქარასა და ფიზიკურ ანგარიშსწორებაში არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების მიმართ“,** — აცხადებს ბლადაძე.

ბლადაძის ინფორმაციით, საქართველოში ამჟამად 93 პოლიტპატიმარია. მათგან 19 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად აღიარა სინდისის ტუსაღად. საქართველოს ციხეებში პატიმართა რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს — 45 ათასს გადააჭარბა.

**„გაცილებით ნაკლები პოლიტპატიმრის გამო ბელარუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო ევროპას, უკვე 7 წელია, „შავ სიაში“ ჰყავს შეყვანილი, –** აცხადებს ბლადაძე, — **რაკი ოფიციალური ბრიუსელი არათანმიმდევრულია, ჩვენ სასამართლო გზით წავალთ. საქმის მასალები უკვე შეკრებილია, ბელგიელი ადვოკატები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. პროცესი, სავარაუდოდ, ერთ თვეში უნდა დაიწყოს. ჩვენ სააკაშვილს გზას გადავუკეტავთ ევროკავშირისა და ნატოს შტაბბინებისკენ“.**

ბელგიურ სასამართლოს უნივერსალური იურისდიქციის უნიკალური უფლება აქვს. შესაბამისი კანონი 1993 წელს არის მიღებული. ის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქის, სახელმწიფო მოღვაწეების ჩათვლით, გასამართლებას ითვალისწინებს გენოციდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო.

# გორის რეაბილიტაციას «მოქალაქეთა კავშირი» ახორციელებს



**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გორის „სიღნალიზაციის“ დათვალიერების დროს სამშენებლო კომპანია „ტრესტი №3“-ის ხელმძღვანელს — ვახტანგ ყანჩაველს შეხვდა. მისი თანხლებით სამუშაოები დაათვალიერა და მომავალ აღმშენებლობაზე ისაუბრა.**

ყანჩაველი და სააკაშვილი 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს სხვადასხვა მხარეს იდგნენ. მიხეილ სააკაშვილი „ნაციონალურ მოძრაობას“ ედგა სათავეში, ხოლო ვახტანგ ყანჩაველი მაშინდელი სამთავრობო ბლოკ „ახალი საქართველოსთვის“ ლიდერი იყო შიდა ქართლში. ყანჩაველი იყო ასევე გორის მაჟორატი დეპუტატი „მოქალაქეთა კავშირიდან“.

როგორც მაშინდელი გუბერნატორი დავით ქობლიანიძე აცხადებდა, ყანჩაველი დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა ადგილობრივ მოსახლეობაში. იგი ცნობილი მოკრივის — გიორგი კანდელაკის სიმამრია. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ყანჩაველი სამშენებლო სფეროს დაუბრუნდა. როგორც შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრისთვისაა ცნობილი, იგი ბევრჯერ გახდა იძულებული, საკუთარი სახსრებით სხვადასხვა ობიექტის მშენებლობა-რეაბილიტაცია განეხორციელებია. ამჟამად გორის ძველი უბნის რეაბილიტაციისთვის 2 მილიონი ლარია გამოყოფილი.

აღნიშნულ სამუშაოებს, ყანჩაველის კომპანიის გარდა, კიდევ 3 კომპანია ახორციელებს, მათ შორის — „იბოლია“ და „არქმშენსტუდია“, რომელთა ხელმძღვანელები ძმები მაკრახიძეები არიან. „იბოლიამ“ 2010-2011 წლებში „ნაციონალურ მოძრაობას“ 100 ათასი ლარი შესწირა. ამავე მშენებელთა სიაში „საგზაო სამშენებლო სამმართველოა“, რომლის ხელმძღვანელობამ „ნაციონალურ მოძრაობას“ იმავე 2010-2011 წელს ანალოგიური თანხა შესწირა. აღნიშნულ კომპანიები, „ვარდების რევოლუციამდეც“ და შემდეგაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სხვადასხვა ტენდერში მუდმივად იმარჯვებს. დღეს კი ადგილობრივ ბიუჯეტს საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ხმალაძე და გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ხმიადაშვილი განაგებენ. ორივე მათგანი 2003 წლამდე „მოქალაქეთა კავშირის“ პარტიული წარმომადგენელი იყო.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე გრძელი საქორწინო კაბა



**რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტის მთავარ ბულვარზე უჩვეულო სანახაობა მოეწყო. 17 წლის მოდელი ემა 1.85 მილის სიგრძის საქორწინო კაბაში პოზირებდა. ჰოლანდიელი დიზაინერის შექმნილი მაქმანებით მორთული აბრეშუმის ფატა გინესის რეკორდების წიგნში შევიდა.** იმისათვის, რომ კაბის სიგრძე კარგად გამოჩენილიყო, მოდელი საჰაერო ბუშტში ჩაჯდა და მოედანი ნაჭრით დაფარა. კაბას 100 დღის განმავლობაში ქმნიდნენ და მასზე 10 მკერავი მუშაობდა. მაქმანები საფრანგეთიდან ჩამოვიტანეთ. ქსოვილი იტალიაში შევისყიდეთ, ეს ყველაფერი ათასობით ფუნტი დაჯდა.

# შავ-თეთრი ტყუპები

**7 წლის კიანი და რიმი ტყუპები არიან, მაგრამ განსხვავებული კანის ფერი აქვთ. მსგავსი მოვლენა მილიონ შემთხვევაში ერთხელ ხდება. მათი მშობლები — კაილი ჰოდგონი და რემი ჰორდერი თავადაც შერეული რასის არიან — ბავშვებს თეთრკანიანი ბებიები და შავკანიანი ბაბუები ჰყავთ.**

ტყუპები 2005 წლის აპრილში საკეისრო კვეთის შედეგად 1 წუთის ინტერვალით გაჩნდნენ. თავიდან ორივეს ლურჯი ფერის თვალები ჰქონდა. ერთადერთი, რაც მათ განასხვავებდა, თმის ფერი იყო — რემი ქერა გაჩნდა, კიანი კი — შავგვრემანი.



რამდენიმე ხნის შემდეგ კი კიანის თვალის ფერმა და კანმა გამუქება დაიწყო.

# 8 ტყუპის დედა გაშიშვლდა

**8 ტყუპის დედამ, ნადია სულეიმანმა აღნიშნა, რომ „არასოდეს გამოიყურებოდა ასე კარგად“. მან წონაში 63 კგ დაიკლო და საუკეთესო ფორმაში ყოფნის დასამტკიცებლად კამერის წინ გაშიშვლებაზეც კი არ თქვა უარი.**

„ბავშვებს დისციპლინას ვაჩვევ. ისინი მხოლოდ ჯანსაღი საკვებით იკვებებიან. არც ერთმა არ იცის, რა არის ტკბილეული!“ — აცხადებს 14 შვილის დედა.

ნადიამ აღნიშნა, რომ 13 წლის განმავლობაში მას გვერდით მამაკაცი არ ჰყოლია და რომ ყველა მისი შვილი დონორი სპერმით ჩაისახა. **„ძალიან ბევრი მამაკაცია ჩემით დაინტერესებული, მაგრამ მათ მანამდე არ შევხვდები, სანამ ჩემი „რვაკუთხედი“ სრულწლოვანებას არ მიაღწევს, — მე მათ ძალიან დიდ დროს ვუთმობ“,** — განაცხადა ნადიამ.





# ყველაზე დიდი ტელევიზორი




**ლონდონის უნივერმაღის ელექტროხელსაწყოების განყოფილებაში გასაყიდად მსოფლიოში ყველაზე დიდი ტელევიზორი გამოიტანეს.**

Panasonic-ის ტელევიზორი დაახლოებით 600კგ-ს იწონის. მისი დიაგონალი 386სმ-ია. სამი მოწყობილობა მას სრულფასოვან სახლის კინოთეატრად აქცევს. მსოფლიოში ყველაზე დიდ პლაზმურ ტელევიზორს ჩვეულებრივ ტელევიზორთან შედარებით 4-ჯერ მეტი პიქსელი აქვს და მისი ფასი 178 000 ევროა.

მიუხედავად მაღალი ფასისა და ექსკლუზიურობისა, Panasonic-ი მაინც ვერ გახდა ყველაზე ძვირადღირებული ტელევიზორის ტიტულის მფლობელი. ეს ტიტული PrestigeHD Supreme Rose Edition-ს ეკუთვნის. მისი ფასი 2.25 მილიონი დოლარია. ბრიტანელმა დიზაინერმა ამ ტელევიზორის კორპუსი 18-კარატიანი ოქროთი დაამზადა და 72 ბრილიანტის თვლით შეამკო, მაგრამ ის უნივერმაღებში არ იყიდება.

# გადანერგილი სახე





**მამაკაცს, რომელმაც 1997 წელს სახეში ტყვია მოიხვედრა, ცხვირი, ყბა, ენა და კბილები გადაუნერგეს.**

მერილენდის შტატის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის ექიმების თქმით, 37 წლის რიჩარდ ლი ნორისმა სახის გადანერგვის 36-საათიანი ოპერაცია წარმატებით გადაიტანა.

„იგი საკუთარ სახეს გრძნობს, იპარსავს და კბილებს იხეხავს. რიჩარდს ყნოსვის გრძნობაც დაუბრუნდა, რომელიც მან 15 წლის წინ უბედური შემთხვევის შემდეგ დაკარგა“, — აცხადებენ მედიკოსები.

1997 წლის ტრაგედიის შემდეგ რიჩარდმა ცხვირი და ტუჩები საერთოდ დაკარგა და ყბების მოძრაობა არ შეეძლო. მას შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცმა 12 ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ არც ერთმა არ გამოიღო შესამჩნევი შედეგი.

პაციენტი დამახინჯებულ სახეს ნიღბის ქვეშ მალავდა და ცდილობდა, სახლიდან მხოლოდ ღამით გასულიყო, სანამ 21 მარტს დონორმა მამაკაცმა რიჩარდს საკუთარი სახე არ მისცა.

სარეაბილიტაციო კურსის გავლის შემდეგ რიჩარდი ნელნელა ლაპარაკს, ღეჭვას, ჭამას და სიცილს დაიწყებს.

ოპერაციაში, რომელიც 10 წელი მზადდებოდა, 100-ზე მეტი ექიმი და მეცნიერი იყო ჩართული.



# ცეროდენა ლეკვი

**ლეკვს, რომელიც ხელისგულზე თავისუფლად თავსდება, ჯეკ რასელი ქვია და ინგლისის ქალაქ სვინდონში დაიბადა.**

ლეკვის პატრონი, 10 წლის კელი-მეი კოლესი, მას 9 დღის განმავლობაში სპეციალური პატარა ბოთლით კვებავდა, რადგან ცხოველი დედამ დაბადებისთანავე მიატოვა.

როდესაც ლეკვი დაიბადა, მისი სიგრძე მხოლოდ 8 სანტიმეტრი იყო. ჯეკისთან ერთად კიდევ 4 ლეკვი გაჩნდა, მაგრამ მხოლოდ ჯეკი გადარჩა.

# 31 წლის ჩვილი



**31 წლის სტენლი ტორნტონი საზოგადოებაში ზრდასრული მამაკაცია, ხოლო სახლში — ჩვილი.**

ღამით ბავშვის საწოლში სძინავს, დილით დედიკო აღვიძებს და საჭმელს კოვზით ან ბოთლით აჭმევს. შემდეგ ზრდასრული მამაკაცის სამოსს იცვამს და სამსახურში მიდის.

ქალი, რომელიც მასზე ზრუნავს, სტენლის ნამდვილი დედა არ არის. სანდრა დიასი სტენლის მეზობელია.



სტენლი ჩვილის როლში თავს შესანიშნავად გრძნობს. **„მომწონს, როცა ისე მეპყრობიან, როგორც პატარას. მშვენიერია — წარსულში ბრუნდები, როცა შენზე ვიღაც ზრუნავდა“,** — ამბობს 31 წლის ჩვილი.




## იტალია

**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 81,86 წელი**

იტალიელები საშუალოდ 3,37 წლით მეტს ცოცხლობენ ვიდრე ამერიკელები. ბევრი ექსპერტი მათი სიცოცხლის ხანგრძლივობას კვების თავისებურებებთან აკავშირებს. ხმელთაშუა ზღვის დიეტას მიაწერენ რისკის შემცირებას ყველა დაავადებებისადმი. ანტიოქსიდანტებს, რომლებიც აღმოჩენილია ზეითუნის ზეთსა და წითელ ღვინოში, შეუძლია არეგულიროს ქოლესტერინის დონე, აღკვეთოს ტრომბების წარმოქმნა და გულ-სისხლძარღვთა სხვა დაავადებები. იტალიელები ეტანებიან სანელებლებს, როგორიც არის რეჰანი, ორეგანო, ნიორი, რათა სურნელება შეჰმატონ საჭმელს და, შესაძლოა, ბევრმა მათგანმა არც კი იცის, რომ ამით გემრიელი სადილის მომზადების გარდა საკუთარ სხეულს სისხლის წნევისა და ინსულტის წინააღმდეგაც აძლიერებენ.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უხუცესების ქვეყანა

**1953 წელს ესპანელი ხუან პონსე დე ლეონი გემით გაემგზავრა ბიმინის საპოვნელად, სადაც, ლეგენდის თანახმად, მოედინებოდა წყარო, რომლის წყალიც ახალგაზრდობას დაუბრუნებდა. კარიბის ზღვისა და ფლორიდის „გადაქექვის“ შემდეგ მოგზაური შინ ხელცარიელი დაბრუნდა, მარადიული ახალგაზრდობის წყარო კი აღმოუჩენელი დარჩა. ასე ეძებდნენ ადრეც, უკვდავების წყაროს აღმოჩენა ოდითგანვე იყო ადამიანების ერთ-ერთი მთავარი ოცნება, რაც ბოლომდე განუხოციელებელი დარჩა. მაგრამ არიან ერები, რომლებმაც უკვდავების წყაროს გარეშეც მიაკვლიეს ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლოებას.**




## მონაკო

**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 89,68 წელი**

მონაკოს მცხოვრებლები ცოცხლობენ 5,25 წლით მეტს, ვიდრე მაკაოს რეზიდენტები და 10-ზე მეტი წლით ბევრს, ვიდრე ამერიკელები. მონაკო იზიარებს ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების ასპექტებს, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან დაწყებული, მედიცინის განვითარებით დასრულებული. ამასთან, ამბობენ, რომ ადამიანთა ხანგრძლივ სიცოცხლეს მონაკოს განსაკუთრებული ჰაერი განაპირობებს.




## გერნსი

**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 82,24 წელი**

ეს პატარა კუნძული არ არის დიდი ბრიტანეთის ან ევროკავშირის წევრი. დამოუკიდებლობამ კი ის განაპირობა, რომ გერნსი არ დაზარალდა თავისი მეზობლების ქაოტური ეკონომიკით. ერთ-ერთი თეორიის თანახმად, გერნსის მცხოვრებლები დიდხანს იმიტომ ცოცხლობენ, რომ ისინი მდიდრები არიან, რაც საშუალებას აძლევს მათ, შეინარჩუნონ ჯანმრთელობა და იზრუნონ რაციონალურ კვებაზე.




## ჰონგკონგი

**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 82,12 წელი**

იტალიელების მსგავსად, ჰონგკონგელების სიცოცხლის ხანგრძლივი მაჩვენებელი უკავშირდება კვებას – ბრინჯს, ბოსტნეულსა და აქტიური ცხოვრების სტილს. იქ მსუქანი ადამიანის მოძებნა, შესაძლოა, გაგიჭირდეთ კიდეც. ჭარბწონიანობამ იმდენად იკლო, რომ უკან დაიხია თანმდევი დაავადებების მაჩვენებლებმაც. მაგალითად, მნიშვნელოვნად შემცირდა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რაოდენობა.




## მაკაო

**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 84,43 წელი**

გასართობი თამაშები (კაზინოები) მაკაოს შემოსავლის უმთავრესი წყაროა. კაზინოებიდან შემოსული ფულის 70% კი ინვესტირებულია საზოგადოებრივ ჯანდაცვაში მაკაოს მთავრობის მიერ.




## სინგაპური

**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 83,75 წელი**

ჯანმრთელი დიეტა და სუფთა გარემო დიდ როლს თამაშობს მალაიზიის ნახევარკუნძულის სამხრეთ საზღვართან მდებარე სწრაფად პროგრესირებად ქალაქ-სახელმწიფოში მცხოვრებთათვის. როგორც ჰონგკონგში, სინგაპურული სამზარეულოს მთავარი ატრიბუტიც ბრინჯი და ბოსტნეულია, რაც აქ მცხოვრებთა ჯანმრთელობისა და აქტიურობის საწინდარია. სინგაპურის მთავრობა იცავს სისუფთავის მკაცრ ნორმებს. მაგალითად, შეზღუდულია მოსაწევი არეები. ეს კი ხელს უწყობს იმას, რომ ყველა ადამიანმა იცხოვროს ჯანმრთელ გარემოში. საინტერესოა ისიც, რომ 1980-იან წლებში მთავრობამ შეამჩნია, რომ მოსახლეობაში სიცოცხლის ხანგრძლივობის ასაკი არ იმატებდა, ამიტომ დღესდღეობით სინგაპურს აქვს შესანიშნავი სამკურნალო ცენტრები და პროგრამები მოხუცებისათვის.




## ავსტრალია

**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 81,90 წელი**

ავსტრალიელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა რამდენიმე ფაქტორის დამსახურებაა. ამ ხალხში ძალზე დაბალია თამბაქოს მოხმარებისა და სიმსუქნის მაჩვენებლები, აქტიური ცხოვრების წესს კი მხოლოდ სასიკეთო გავლენა აქვს მოსახლეობაზე. მაგრამ ბევრი ავსტრალიელი მედიკოსი იტყობინება, რომ ავსტრალიელების ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლო ჯანმრთელობაზე უნივერსალური ზრუნვაა. ავსტრალიაში აუცილებელი სამედიცინო დახმარების მიღება აბსოლუტურად არაა იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენს გამოიმუშავებს ადამიანი.




## იაპონია

**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 83,91 წელი**

იაპონია ამაყობს სიმსუქნის საოცრად დაბალი მაჩვენებლით (3,1%). ეს მაჩვენებელი ამერიკის შეერთებულ შტატებში 33,9%-ს უდრის. დიდი წვლილი ამ საკითხში მიუძღვის იაპონურ დიეტას, რომელიც ძირითადად შეიცავს ახალ ბოსტნეულს, ბრინჯს და, რაც მთავარია, თევზს. ახალი თევზი მდიდარია ომეგა-3 ცხიმმჟავით, რომელიც ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევას და ამცირებს გულის შეტევების რისკს. ასევე, ომეგა-3 ცხიმ-მჟავა ხელს უწყობს ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას და გვაძლევს სხვადასხვა დაავადების თავიდან აცილების საშუალებას. იაპონელები სხვებზე ჯანმრთელ საყოფაცხოვრებო არჩევანს აკეთებენ – ისინი ბევრს მოძრაობენ და ზედმეტ საკვებს არ იღებენ.




## სან მარინო

**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 83,07 წელი**

ევროპის მესამე, ყველაზე პატარა სახელმწიფო და მსოფლიოს უძველესი რესპუბლიკის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი 4,5 წლით აღემატება აშშ-ის მაჩვენებელს. ამ შემთხვევაში მთავარ როლს ფული თამაშობს, ისევე, როგორც გენსსა და ანდორაში.




## ანდორა

**სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 82,50 წელი**

ის, რომ ანდორელები სხვა ქვეყნებში მცხოვრებლებზე დიდხანს ცოცხლობენ, შეგვიძლია ავხსნათ რამდენიმე ფაქტორით: პირველ რიგში, ეს პატარა ნაცია, რომელიც ცხოვრობს საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მდებარე პირინეის მთებში, ეწევა აქტიურ „საგარეო“ ცხოვრებას. მათ აქვთ შეუზღუდავი შესაძლებლობები როგორც ფეხით ლაშქრობებისათვის, ასევე მთის კურორტებზე თხილამურებით სრიალისთვის. სუფთა და კეთილმოწყობილი პარკები ხშირად რაგბის ან ფეხბურთის სათამაშოდ გამოიყენება. ანდორის მოსახლეობა დიდ დროს ატარებს სუფთა ჰაერზე, რაც, შეგვიძლია ვთქვათ, ამცირებს სტრესის დონესა და ისეთი პრობლემების ალბათობას, როგორიცაა სისხლის მაღლი არტერიული წნევა. მეორე მხრივ, ანდორის მოსახლეობის განათლების მაღალი დონე უმუშევრობის ექსტრემალურად დაბალ მაჩვენებელს განაპირობებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანდორელების უმეტესობას შეუძლია მიიღოს უმაღლესი ხარისხის საკვები და აკონტროლოს საკუთარი ჯანმრთელობა.



# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი თბილისს არ ანებივრებს




**აშშ-ის კონგრესში ხუთშაბათს გამართულ სხდომაზე, რომელიც მომავალ თვეში ჩიკაგოში დაგეგმილ ჩრდილოატლანტიკურ სამიტს მიეძღვნა, საქართველოს ნატოში გაწევრიანებისკენ მისწრაფებას სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთი ჩინოვნიკის მხრიდან განსაკუთრებული მხარდაჭერა არ მოჰყოლია.**

დიდი ხანია, რაც აშშ-ის ოფიციალური პირები მინიშნებებს აკეთებდნენ იმაზე, რომ სამიტზე საჭირო იყო საქართველოს რაიმე ფორმით დაჯილდოება მისი მხრიდან ბოლო დროს გადადგმული ისეთი კონსტრუქციული ნაბიჯების გამო, როგორიცაა კრემლთან შემხვედრ ნაბიჯზე წასვლა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის. აი, რა განაცხადა ვაშინგტონის მომავალმა ელჩმა თბილისში, რიჩარდ ნორლანდმა გასულ თვეში გამართულ სხდომაზე, რომელზეც მისი კანდიდატურის დამტკიცება განიხილებოდა:

**„აშშ-ის ადმინისტრაცია „სერიოზულ ძალისხმევას“ ხარჯავს, რათა გამოიყენოს ნატოს დამდეგი სამიტი ჩიკაგოში იმისთვის, რომ „დააფიქსიროს ის, რომ აღიარებს ამ სფეროებში საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს, და იმუშაოს მოკავშირეებთან კონსენსუსის გამომუშავების მიზნით ამ მიმართულებით შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით“.**

ეს ჯილდო არ იქნება ნატოში წევრობის სამოქმედო გეგმა — საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის საოცნებო მიზანი და ალიანსის წევრობის ფაქტობრივი გარანტია, მაგრამ ვაშინგტონს მაინც სურს, საქართველოს აგრძნობინოს, რომ მის ძალისხმევას აფასებს (ბოლოს და ბოლოს საქართველომ ავღანეთის კოალიციურ ჯარში ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დიდი სამხედრო კონტიგენტი გააგზავნა) და განაგრძობს მასზე ზეწოლას შემდგომი პოლიტიკური რეფორმების გატარების მიზნით. **ნორლანდის თქმით, ის, თუ როგორ ჩატარდება დამდეგი არჩევნები, „ლაკმუსის ქაღალდი“ გახდება საქართველოს ნატოში მისწრაფებისთვის: წელს ამ ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები, მომავალ წელს კი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება, ხოლო სააკაშვილს, როგორც ჩანს, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ამ გზაზე რაც შეიძლება მეტი დაბრკოლება შეუქმნას თავის მთავარ ოპონენტს.**

მაგრამ, თუკი აშშ გეგმავს ნატოს სამიტზე საქართველოსთვის რაიმე ძვლის გადაგდებას, მაშინ ამას ძალიან მოკრძალებულად აკეთებს. აი, რა განაცხადა ხუთშაბათს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში თინა ქეიდენაუმ:




**ამერიკის ადმინისტრაცია ჯერ კიდევ ცდილობს იმის განსაზღვრას, თუ როგორ მოიქცეს, და არ სურს არანაირი მინიშნების გაკეთება მანამ, სანამ ზუსტად არ ეცოდინება, თუ რის გაკეთებას გეგმავს**

**„რაც შეეხება საქართველოს, ამერიკული დახმარება უსაფრთხოების სფეროში და თანამშრომლობა სამხედრო სფეროში ხელს უწყობს ქვეყანაში თავდაცვითი რეფორმების განხორციელებას, ასევე საქართველოს არმიის მომზადებასა და აღჭურვას უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალების ოპერაციებში მონაწილეობისა და ნატოსთან თანამშრომლობის პოტენციალის გაზრდისთვის. ამერიკული დახმარების პროგრამების საშუალებით რესპუბლიკას დამატებითი მხარდაჭერა აქვს დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმირების საქმეში – საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი, რომელშიც მათ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. აშშ კვლავ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, ხოლო ჩვენი მხრიდან სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების არაღიარებასთან დაკავშირებული პოზიცია უცვლელია“.**

სტრიქონებს შორის კითხვისას, ხედავ, რომ ეს ყველაფერი რაღაც ძალიან შაბლონურია. ამის საპირისპიროდ, თინა ქეიდენაუმ ახსენა ის კონკრეტული ნაბიჯები, რომელთაც აშშ ნატოს სხვა სამ ასპირანტ ქვეყნასთან დაკავშირებით დგამს, კერძოდ კი ბოსნიის, მაკედონიისა და ჩერნოგორიის მიმართულებით. ზედმეტად ბევრი რამ ხომ არ ამოვიკითხე ამ ერთ პარაგრაფში? შეიძლება, მაგრამ **ისიც შესაძლებელია, რომ ამერიკის ადმინისტრაცია ჯერ კიდევ ცდილობს იმის განსაზღვრას, თუ როგორ მოიქცეს, და არ სურს არანაირი მინიშნების გაკეთება მანამ, სანამ ზუსტად არ ეცოდინება, თუ რის გაკეთებას გეგმავს. თუმცა, მე რომ საქართველოს მცხოვრები ვიყო, ეს გამოსვლა გულს დამწყვეტდა.**

მოსმენაზე ისაუბრეს ასევე კვლევითი ცენტრების რამდენიმე წარმომადგენელმა და ერთ-ერთმა მათგანმა საინტერესო აზრი გამოთქვა. Heritage Foundation-ის მეცნიერ-თანამშრომლის — ლიუკ კოფის თქმით, საქართველო ამტკიცებს, რომ მზადაა, არ ჩართოს ნატო კონფლიქტების დარეგულირებაში აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან:

**„საქართველოს ნატოში გაწევრინების გზაზე მთავარი დაბრკოლება, დასავლეთის აზრით, რუსეთის მხრიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდინარე ოკუპაციაა. ეს რეგიონები ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის 20%-ს შეადგენენ. კერძო რეჟიმში, საქართველოს ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ სიხარულით დათანხმდებიან ნატოში გაწევრიანების კომპრომისულ სქემას, რომლის თანახმად, უსაფრთხოების გარანტიებთან დაკავშირებული ნატოს წესდების მე-5 მუხლი დროებით, ამ საკითხის რუსეთთან დარეგულირებამდე, ამ ორ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ გავრცელდება“.**

რა თქმა უნდა, საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე კიდევ ბევრი სხვა პრობლემა რჩება, კერძოდ, მისი მიდრეკილება — ჩაებას ჩხუბში ბირთვულ სახელმწიფოებთან. საინტერესოა, რომ საქართველო მსგავს ნაბიჯზე წავიდა. ვნახოთ, მისცემს კი ეს მას რამეს ჩიკაგოში?

**ჯოშუა კუცერა**
EURASIANET.org




## საგასტროლოდ — ესპანეთში

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი ესპანეთის Teatro Jovellanos-ის მიწვევით 10-15 მაისს საგასტროლოდ ესპანეთში მიემგზავრება. ორკესტრი ქალაქ ხიხონის საერთაშორისო ფესტივალის აუდიტორიის წინაშე ორჯერ წარსდგება. თბილისის ოპერის თეატრის სიმფონიურ ორკესტრს ცნობილი ესპანელი დირიჟორი მარიანო რივასი წარუძღვება.**



ქართველმა მსმენელმა მარიანო რივასის შემოქმედება 2009 წელს გაიცნო ჯუზეპე ვერდის „რეკვიემის“ შესრულებით.

შეგახსენებთ, რომ თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრი 2009 წლის აგვისტოშიც იმყოფებოდა ესპანეთის ქალაქ ხიხონის საოპერო მუსიკის ფესტივალზე, სადაც სწორედ მარიანო რივასის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო ჯაკომო პუჩინის ოპერის „მადამ ბატერფლაის“ შესრულებაში.


## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru





ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია გამოძიება დაიჯესტი

http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru